საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№4 (239)
5 - 11 თებერვალი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

რეპორტაჟი 18 დავით ნარმანიას მშობლიური სოფლიდან



## მოქალაქე №1: გავაკონტროლოთ პრესა, გავაკრიტიკოთ პატრიარქი, დავენიოთ და გავუსწოროთ უსუფაშვილს!

ბიძინა ივანიშვილი: „საზოგადოებამ უნდა გადალახოს ის ბარიერი, რომ ეკლესიის თემა არის ტაბუდადებული და იქ რაც ითქმება და როგორც ითქმება, არის უმწიკვლო და ხელშეუხებელი... ისინიც საჭიროებენ კრიტიკას, ისინიც საჭიროებენ მითითებას... ამ დროს ყველას შეიძლება შეეშალოს, პატრიარქსაც შეიძლება შეეშალოს.“

10

სამეგრელოში «ნაციონალების» თარეში არ 7 დასრულდება

ადგილობრივ არჩევნებში ნაცები, სულ ცოტა, 40%-ს აიღებენ

ცოტნე გამსახურდია:

რად მინდა ხელისუფლება, თუ თვითონვე დავიწყე 8 სამართლის აღსრულება?!



„ორი გვამი მჭირდება. მომიტანეთ ეს ორი გვამი. ვსიო. პრემია დიდია!“

იქ, სადაც 5 პრემია დიდია...

«ყველაზე დიდი დამნაშავე ლექციებს 13 კითხულობს ამერიკაში!»

«ნაცმოძრაობა» 28 პარტია თუ ბანდა?

## «შენ თავი მართლა ქვეყნის პირველი პირი ხომ არ გგონია?»

...მიუნხენის კონფერენციაზე სააკაშვილიც ისეთივე ამალით იყო წარმოდგენილი, როგორც დღევანდელი ხელისუფლება. საქართველოს ოფიციალურ დელეგაციას პრემიერ ღარიბაშვილის, საგარეო საქმეთა მინისტრ ფანჯიკიძისა და თავდაცვის მინისტრ ალასანიას ტრიო წარმოადგენდა...

2



4

## სანამ ღარიბაშვილსაც «დაბრიფავენ»

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„...მიუნხენის კონფერენციაზე სააკაშვილიც ისეთივე ამალით იყო წარმოდგენილი, როგორც დღევანდელი ხელისუფლება. საქართველოს ოფიციალურ დელეგაციას პრემიერ ღარიბაშვილის, საგარეო საქმეთა მინისტრ ფანჯიკიძისა და თავდაცვის მინისტრ ალასანიას ტრიო წარმოადგენდა...“**



## ჯონ კორნბლუმი: სააკაშვილი არ არის პატივსაცემი სახელმწიფო მოღვაწე და არ შეიძლება მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდეს

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე ევროპის საქმეებში, აშშ-ის ექსწარმომადგენელი ეუთოში ჯონ კორნბლუმი რამდენიმე დღის წინათ საჯაროდ არ დაეთანხმა მიხეილ სააკაშვილისთვის სპეციალური თანამდებობის („მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე“) შექმნას აშშ-ში, მასაჩუსეტსის შტატის ტაფტის უნივერსიტეტთან არსებულ ფლეტჩერის სახელობის სამართლისა და დიპლომატიის სკოლაში. სკოლის დეკანი წარსულში ცნობილი სამხედრო მეთაური ჯეიმს სტავრიდისია. საქართველოს ყოფილი პირველი პირი ლექციების კურსს წაიკითხავს მომავალი ამერიკელი დიპლომატებისა და სამართალმცოდნეებისთვის. ელჩი ჯონ კორნბლუმი გაზეთ „იზვესტიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განმარტავს, თუ რატომ არის ამ დანიშვნის წინააღმდეგი.**

— მიმაჩნია, რომ სააკაშვილი არ შეიძლება ფლეტჩერის სკოლაში მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწედ იყოს მიღებული. ის შეეძლოთ მიეწვიათ, როგორც ცნობილი და, ამასთანავე, სადავო პოლიტიკური ფიგურა, მაგრამ არა როგორც პატივსაცემი სახელმწიფო მოღვაწე, რადგან ასეთი არ არის. მე მივწერე სკოლის ხელმძღვანელობას და ვურჩიე, გაცნობოდა საქართველოს ცოტა ხნისწინანდელ ისტორიას და შევთავაზე, ეთქმევინებინათ სააკაშვილისთვის სრული სიმართლე. ვურჩიე, მეტი გაეგოთ პატიმრებისადმი მოქცევაზე, 2011 წლის მაისში დემონსტრანტების სასტიკ დარბევაზე, კორუფციასა და პირად გამდიდრებაზე, რომელმაც მთელი მისი რეჟიმი მოიცვა. ჩემი აზრით, სააკაშვილი ვერაფრით იქნება მისაბაძი მაგალითი მომავალი დიპლომატებისა და ხელმძღვანელი პირებისთვის.



## ბიუჯეტს 600 მილიონზე მეტი დააკლდა

**პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილის განცხადებით, 2013 წლის ბიუჯეტს 600 მილიონ ლარზე მეტი დააკლდა.** „600 მილიონზე მეტი დააკლდა ბიუჯეტს და ეს ცუდია, მაგრამ ეს არის გამოწვეული იმით, რომ ეკონომიკა არა ექვსი პროცენტით, არამედ 3,5%-ით გაიზარდა. დღგ პირდაპირ არის დამოკიდებული ეკონომიკის აქტიურობასა და ზრდაზე. შესაბამისად, ამდენი შემოსავალი ვერ შემოვიდოდა. პარლამენტში მოხდება განხილვები, როდესაც მთავრობა ბიუჯეტის დამტკიცების დოკუმენტს შემოიტანს“, — განაცხადა ონოფრიშვილმა.

# შენ თავი მართლა ქვეყნის პირველი პირი ხომ არ გგონია?!

**ე. წ. მუხროვანის ამბოხის ამსახველი ვიდეოკადრების გამოქვეყნებამ, სადაც შს იმჟამინდელი მინისტრი, ამჟამად განსასჯელის სკამზე მჯდომი ვანო მერაბიშვილი „დიდი პრემიის“ სანაცვლოდ „ორ გვამს“ ითხოვს, საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ამ კადრებზე ხალხის რეაქცია თითქმის ისეთივეა, როგორიც 2012 წლის სექტემბერში ე. წ. ციხის („ცოცხების“) კადრებზე იყო. ბევრი მოითხოვს, რომ ამ კადრებში ასახული პირები უნდა დაისაჯონ, მაგრამ ახალ ხელისუფლებასთან შეხმატკბილებული და კოაბიტაციით გათავხედებული „ნაცები“ არათუ ბოდიშს იხდიან 9 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების გამო, არამედ აქეთ გადმოდიან შეტევაზე.**



ამის ნათელი მაგალითია ახლახან მიუნხენის საერთაშორისო კონფერენციაზე საგარეო საქმეთა ყოფილის მინისტრის — ეკა ტყეშელაშვილისა და აშშ-ში ყოფილი ელჩის — თემურ იაკობაშვილის თანხლებით ჩასული პრეზიდენტყოფილისა და „ნაცმოძრაობის“ ლიდერის — მიხეილ სააკაშვილის კომენტარი ქართველი ჟურნალისტების თხოვნაზე, შეეფასებინა ზემოაღნიშნული სკანდალური კადრები. **„პოლიტიკაში, ძალიან გთხოვთ, ნუ ჩამრევთ. საკმარისი ქართული პოლიტიკა მქონდა ცხოვრებაში იმისთვის, რომ დამანებოთ თავი ამ თემაზე მაინც. მაგრამ ეს, რაც აქ ხდება, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველანაირი ჩვენი ადგილობრივი რაღაცები... ნუ ჩამრევთ**“.

სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ოფიციალურად აღარ არის და არც რაიმე სხვა წარმომადგენლობითი სტატუსი აქვს, მიუნხენის კონფერენციაზე სააკაშვილიც ისეთივე ამალით იყო წარმოდგენილი, როგორც დღევანდელი ხელისუფლება. საქართველოს ოფიციალურ დელეგაციას პრემიერ ღარიბაშვილის, საგარეო საქმეთა მინისტრ ფანჯიკიძისა და თავდაცვის მინისტრ ალასანიას ტრიო წარმოადგენდა... **ამით სააკაშვილმა უსიტყვოდ, მაგრამ საჯაროდ მიანიშნა ღარიბაშვილს, შენ თავი მართლა ქვეყნის პირველი პირი ხომ არ გგონიაო, და ეს ძალიან მძიმედ აღსაქმელი იყო „ოცნების“ მხარდამჭერებისთვის, რადგან მათ ქჰონდათ განცდა, რომ ასეთ შეკითხვას სააკაშვილს მოქმედი ხელისუფლება იქეთ დაუსვამდა და არ დაუშვებდა პარპაშს ყოფილი პრეზიდენტისა, რომელიც, ვინაიდან საკუთარ ქვეყანაში არ დაედგომება, ლექციების წაკითხვის საბაბით, ოკეანისგაღმელ პატრონებს შეეხიზნა... მოდი და გაიგე, ამის მერე ვინ არის ყოფილი და ვინ კიდევ მოქმედი ხელისუფალი...**

უფრო მეტიც, ჟურნალისტის შეკითხვაზე სააკაშვილის ზემომოყვანილი პასუხიდან ჩანს, რომ მას თავი მსოფლიო დონის მოღვაწედ მიაჩნია, რომელმაც წარმატებით გაიარა საქართველოში მოღვაწეობის ეპიზოდი, საფეხური, ასე ვთქვათ, საშინაო დავალება და აღარ სურს კომენტარის გაკეთება შიდა ქართულ საკითხებზე, რადგან საკუთარი თავი უკვე იმ მცირერიცხოვანი კლუბის წევრად მიაჩნია, რომელიც მსოფლიო დონის გადაწყვეტილებებს იღებს და პლანეტაზე თამაშის წესებს ადგენს. ამგვარი დამოკიდებულება, ანუ საკუთარი სამშობლოს როგორც დავალების, ვიღაცის თვალში ქულების აწევის საშუალებად მიჩნევა ახასიათებს მის გარემოცვასაც და იმ მხარდამჭერებსაც, რომელთაც ჰგონიათ, რომ მიშას მსოფლიოს შეცვლის მისია აკისრია. რომ დავაკვირდეთ, იმ „მსოფლიო ელიტის“ თვალში, რომლის ნაწილიც ასე ძალიან უნდა სააკაშვილს რომ იყოს, წარმატების მისაღწევი ყველაზე მოკლე გზა მკვეთრად ანტირუსული პოზიციაა. სააკაშვილიც ხელისუფლებაში ყოფნისას, ანუ დავალების შესრულებისას ანტირუსული ისტერიის გარდა არაფერს აკეთებდა. ჩანს, იგი თავიდანვე ცდილობდა, ამ გზით დაემახსოვრებინა თავი პატრონებისთვის და ამ მიზანს შესწირა როგორც სახელმწიფო ინტერესები, ისე უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ქვეყნის ტერიტორიებიც კი. სააკაშვილისგან მსგავსი „ნომერი“ გასაკვირი სულაც არ არის, გასაკვირი ის უფროა, თუ რატომ აგრძელებს ახალი ხელისუფლება მის რიტორიკას, ნუთუ ახლებისთვისაც მიშასავით სამშობლო მხოლოდ დავალება, მხოლოდ ტრამპლინი, ეტაპია, რომელსაც თავი უნდა გაართვა, რათა უფრო წარმატებული ხელისბიჭის სტატუსი მოგანიჭონ?

**მიუნხენში სააკაშვილის მიზანი იყო, რომ იმ პატრონებისთვის, რომლებიც რატომღაც სულაც არ ჩქარობენ ახალ „ლეველზე“ მის გადაყვანას, თავი შეეხსენებინა — ვერ მხედავთ, აი, აქ ვარ, ხომ არ დაგავიწყდით?** მე ხომ პირნათლად შევასრულე თქვენი ყველა დავალება — ვებრძოდი ყოველივე ეროვნულს საქართველოში, მოვსპე განათლება, კულტურა, ჩავრეცხე ინტელიგენცია, ვატერორებდი ბიზნესს, მოსახლეობის დიდი ნაწილი ვაიძულე, სამშობლოდან გადახვეწილიყო, ნაწილი მოვკალი, ნაწილი საპყრობილეებში გამოვამწყვდიე და სასტიკად ვაწამე, არც ცოცხი დავაკელი და არც ხელკეტი, ვცდილობდი, ძირი გამომეთხარა მართლმადიდებლობისთვის, გავაჩუქე ტერიტორიების ოცი პროცენტი, ახლა კი ტაფტის უნივერსიტეტის ფლეტჩერის დიპლომატიისა და სამართლის სკოლაში ლექციების წაკითხვა შევწყვიტე და აქ ვარ, კიდევ ერთხელ რომ დაგიმტკიცოთ ჩემი ერთგულება, ის, რომ საქართველო ფეხზე მკიდია! — აი, დაახლოებით ეს იყო მიუნხენში ჩასული მიხეილ სააკაშვილის გზავნილი თავისი პატრონებისადმი. ამით **ის ერთგულების დამტკიცებას და ამა ქვეყნის ძლიერთა შორის დამკვიდრებას, უფრო მაღალი პოსტის მოპოვებას ცდილობდა, ვიდრე ფლეტჩერის სკოლის მასწავლებლობაა**. თუმცა, მხოლოდ სააკაშვილი რომ იქცეოდეს ასე, რაღა გვიჭირს, სამწუხაროდ, **ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც მონური აღტაცებით შესციცინებენ თვალებში უცხოელ „ბიძიებს“.**

რაც შეეხება 2009 წლის მაისში გადაღებულ და ახლახან გავრცელებულ სკანდალურ ვიდეოკადრებს ვანო მერაბიშვილის, გიგი უგულავას, ერეკლე კოდუასა და სხვათა მონაწილეობით, საზოგადოებას მის მიმართ უამრავი კითხვა გაუჩნდა, რომლებზეც პასუხი ჯერჯერობით გაუცემელია, თუმცა **პასუხი ნათელია ერთ კითხვაზე — ვისი ბრძანებით მოითხოვა ვანო მერაბიშვილმა ორი გვამი?** ამაში დავრწმუნდებით, თუ მიხეილ სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლას გავიხსენებთ. აი, რა განაცხადა მან 2004 წლის 4 იანვარს, ანუ ინაუგურაციამდე 16 დღით ადრე (სტილი დაცულია):

**„მე ვურჩიე, როგორც საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა და ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა, ჩემს კოლეგას, ზურაბ ადეიშვილს, იუსტიციის მინისტრს... გახსნან ცეცხლი და ადგილზევე მოკლან, გაანადგურონ ყველა ის პიროვნება, რომლებიც შეეცდებიან სიტუაციის არევას! ჩვენ ამ ხალხისთვის ტყვიები არ გვენანება!“**

აი, ასე! ასე იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის 9-წლიან პერიოდში, **ნაცბანდის ატამანს — მიხეილ სააკაშვილს, მის ხერხემალ ვანო მერაბიშვილს, გიგა ბოკერიას, გივი თარგამაძეს, გიგი უგულავას თუ სხვებს ქართველებისთვის არც ტყვია ენანებოდათ, არც ხელკეტი და არც ცოცხი...**

## საქართველო ბოლოდან მე-4 ადგილზე

GALLUP® World

**საზოგადოებრივი აზრის კვლევის ამერიკული ინსტიტუტის (American Institute of Public Opinion ), გელაპის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე პოზიტიური განწყობით სამხრეთ ამერიკელები გამოირჩევიან.** 86 პროცენტით პირველ ადგილზეა პარაგვაი. ცხოვრებისადმი ყველაზე ნეგატიური დამოკიდებულება კი სირიაშია.

საქართველო ამ სიაში 53-პროცენტიანი ინდექსით ბოლოდან მეოთხე ადგილს იყოფს სომხეთთან, ბელარუსთან, ბოსნია-ჰერცოგოვინასთან და იემენთან.

გელაპის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სიაში ქვეყნის გასწვრივ აღნიშნული მონაცემი იმ ადამიანების პროცენტულ შემადგენლობაზე მიუთითებს, რომლებიც პოზიტიური განცდების შესახებ დასმულ კითხვებს დადებითად პასუხობდნენ. შეკითხვები წინა დღით განცდილ ემოციებს უკავშირდებოდა და დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო: „ბევრი იცინეთ ან ბევრჯერ გაიღიმეთ გუშინ? პატივისცემით გეპყრობოდნენ მთელი დღის განმავლობაში? თავს კარგად დასვენებულად გრძნობდით? გუშინ რაიმე საინტერესო შეიტყვეთ ან გააკეთეთ?“

**აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 19 დეკემბერს გამოქვეყნებულ სიაში საქართველო იმავე, ბოლოდან მეოთხე, ადგილზე იყო.**

**„დავინახე, რომ ბავშვმა გალურჯება დაიწყო: სიდნის სწრაფად ჩავუყავი თითები პირში საჭმლის ნარჩენების ამოსაღებად და უცებ რაღაც მაგარს შევეხე. როდესაც ეს საგანი პირიდან ამოვუღე, ჩემს მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა — ხელში ძვალი მეჭირა!“**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გულმოდგინედ შეამოწმეთ, რას აჭმევთ თქვენს შვილს!

## Heinz-ის პროდუქტმა 8 თვის გოგონა კინაღამ დაახრჩო

**დედების უმრავლესობა ცდილობს, თავისი პირმშო იმ ფირმის პროდუქციით გამოკვებოს, რომელსაც სახელი მსოფლიოში აქვს განთქმული და მისი ნაწარმი სანდოობით სარგებლობს, თუმცა ამბავი, რომელიც 8 თვის ჩვილს გადახდა თავს, მოწმობს, რომ ასეთი კომპანიებისგანაც კი არავინ არის დაზღვეული უსიამოვნო სიურპრიზებისგან.**



ბრიტანული გამოცემა Daily Mail აქვეყნებს წერილს (ფოტოებით) იმის შესახებ, რაც 36 წლის ბირმინგემელ კრისტი ოსტინს (Kristy Austin) და მის 8 თვის გოგონას, სიდნის, შეემთხვათ ფირმა Heinz-ის პროდუქტით კვების დროს.

ჩვილებისთვის განკუთვნილი „სპაგეტი ბოლონიეზეს“ მორიგი კოვზის შემდეგ გოგონას უცებ სუნთქვა შეეკრა და გალურჯება დაიწყო.

**„დიდი ხანი არ არის, რაც ამ პიურეს ჩემს გოგონას ვაძლევ, ამიტომ ვიფიქრე, რომ, უბრალოდ, იუცხოვა ახალი საკვები, — იხსენებს ბრიტანელი ქალი, — მაგრამ, როცა საბავშვო საკვების კიდევ ერთი კოვზი მივაწოდე, მივხვდი, რომ ჩემი შვილის თავს რაღაც ხდებოდა. შემდეგ უცნაური ხმა შემომესმა და დავინახე, რომ ბავშვმა გალურჯება დაიწყო: სიდნის სწრაფად ჩავუყავი თითები პირში საჭმლის ნარჩენების ამოსაღებად და უცებ რაღაც მაგარს შევეხე. როდესაც ეს საგანი პირიდან ამოვუღე, ჩემს მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა — ხელში ძვალი მეჭირა!** თვალებს არ ვუჯერებდი. ბავშვის საკვებში ძვლის ბასრი ნატეხები არ უნდა იყოს!“ — ემოციებს ვერ მალავდა კრისტი ოსტინი ჟურნალისტთან საუბრისას.



კრისტიმ სახიფათო საგანი არ გადააგდო და საკვები პროდუქტების მწარმოებელი ამერიკული ფირმა Heinz-ის შტაბ-ბინაში დარეკა, თუმცა კომპანიის წარმომადგენლებს ჩვილის ასფიქსიის შემთხვევაზე დიდი შეშფოთება არ გამოუხატავთ და ქალს უთხრეს, რომ ძვალი მათთვის გაეგზავნა. „ამის გაკეთება არ მინდოდა, მაგრამ, რომ გავრკვეულიყავი, რა მოხდა, იძულებული შევიქენი, ძვალი ლაბორატორიაში გამეგზავნა, მოგვიანებით მაცნობეს, რომ ფირმა ამ ინციდენტს გამოიძიებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მე აღარასოდეს შევიძენ ამ ფირმის პროდუქტს და ამიერიდან ყველაფერს გულმოდგინედ შევამოწმებ, რაც ჩემს შვილს საკვებად უნდა მივცე. **ეს საშინელი გამოცდილება იყო და არ მინდა, სხვა მშობლებმაც იგივე განიცადონ**“, — ამბობს კრისტი ოსტინი Daily Mail-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ფირმა Heinz-ის პრესმდივანმა დაადასტურა საბავშვო საკვებში ძვლის პოვნის შემთხვევა და განაცხადა, რომ კომპანიამ უკვე დაიწყო ამ საქმის გამოკვლევა.

**რადგან ქართული აფთიაქებიც სავსეა ფირმა Heinz-ის საკვები პროდუქტებით, ბრიტანელი ქალის გაფრთხილება ქართველი დედების ყურამდეც უნდა მივიტანოთ: გულმოდგინედ შეამოწმეთ, რას აჭმევთ თქვენს შვილს!**

**P.S. ზემოაღწერილი საშინელი შემთხვევა, რომელმაც კინაღამ 8 თვის ბავშვის სიცოცხლე შეიწირა, მოხდა დიდ ბრიტანეთში, რომელსაც, ხარისხიანი პროდუქტებით მომარაგების მხრივ, ფირმები პირველი რიგის ქვეყნებს მიაკუთვნებენ. ჩვენთან, საქართველოში კი, რომელსაც მესამეხარისხოვან ქვეყნად თვლიან, რა ხარისხის პროდუქტი შემოაქვთ, მხოლოდ ღმერთმა უწყის...**



# ჰენრი კისინჯერი: პუტინი უკრაინაში იმის რეპეტიციას ხედავს, რისი გაკეთებაც ჩვენ გვინდა რუსეთისთვის

**პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში იმის გენერალურ რეპეტიციას ხედავს, რისი გაკეთებაც მოსკოვში გვინდა — რეჟიმის შეცვლა. და იმის გამო, რომ ეს ყველაფერი სოჭის ოლიმპიური თამაშების წინ ხდება, მისი ეჭვი კიდევ უფრო ღრმავდება, — განუცხადა აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა სიენ-ენის ჟურნალისტს.**

„ურთიერთობის აწყობა რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოსთან, რუსეთსა და ჩვენ შორის უზარმაზარი პრობლემაა, იმიტომ, რომ ეს ქვეყანა ისტორიულად იმპერია იყო და მისი თვითშეგნება იმპერიულ მიღწევებს ეფუძნება. ისინი ჩინეთს ესაზღვრებიან და ეს სტრატეგიული კოშმარია, ისინი ისლამს ესაზღვრებიან — ეს კი იდეოლოგიური კოშმარია, მათ აქვთ საზღვარი ევროპასთან — ისტორიულად ძალიან მყიფე... ჩვენს ინტერესებში არ შედის რუსეთი „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის“ მდგომარეობაში ჩავაგდოთ. ასეთ შემთხვევაში ისინი გადაწყვეტენ, რომ უნდა გვაჩვენონ, რისი გაკეთებაც შეუძლიათ!“ — განაცხადა ჰენრი კისინჯერმა.

უკრაინაში, ორ თვეზე მეტია, გრძელდება საპროტესტო აქციები. ხელისუფლების მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმით პროვოცირებულმა მღელვარებამ ახალი ძალით იფეთქა მასობრივი არეულობების გამომწვევთა მიმართ პასუხისმგებლობის გამკაცრების შემდეგ. აქციების მონაწილეთა სამართალდამცველებთან შეტაკების შემდეგ, სულ ცოტა, 6 ადამიანია დაშავებული, არაოფიციალური მონაცემებით — გაცილებით მეტი.

მომიტინგეები კიევისა და ქვეყნის სხვადასხვა ოლქის ადმინისტრაციულ შენობებში შეიჭრნენ. მოლაპარაკებების შედეგად, ე. წ. რეპრესიული კანონები გაუქმდა, ხოლო უკრაინის პრემიერი ნიკოლაი აზაროვი გადადგა.

# სააკაშვილის მიერ წახალისებული ვანდალები ქართული კულტურის ძეგლების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობენ

**„ნაცმოძრაობამ“ ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე, სხვა უბედურებებთან ერთად, ქართული კულტურის ძეგლების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო.** ჯერ იყო და თბილისის ყოფილმა მერმა და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ბურჯმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა შეურაცხყო ელგუჯა ამაშუკელის სკულპტურა „ქართლის დედა“, ერთ ხელში — საშო, მეორეში კი ფალოსი უჭირავსო; შემდეგ ქუთაისში „დიდების მემორიალი“ ააფეთქეს და დედა-შვილის სიცოცხლე იმსხვერპლეს, ამას არ დასჯერდნენ და ცირკთან ახლოს აღმართული და სააკაშვილის მიერ ზარ-ზეიმით გახსნილი პრომეთეს (ვითომ ქართულ მითოსში ამირანი არ არსებობდა) ძეგლი ბორჯომში გადაიტანეს, შემდეგ დიდი ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის, ძეგლს მიადგნენ და თბილისის ცენტრიდან გარეუბანში გააძევეს, მის ადგილას კი ველოსიპედი წამოჭიმეს. ბათუმში მემედ აბაშიძის ძეგლი სადღაც კუნჭულში „მიაყუჩეს“, სამაგიეროდ შლოპანცებისა და კვერცხების ე. წ. სკულპტურისთვის გამოძებნეს კარგი ადგილი...

არც ძეგლების შეურაცხყოფა დავიწყებიათ: გორში სტალინის ძეგლი დაამხეს (სხვათა შორის, მის აღდგენას გორელები, კარგა ხანია, ითხოვენ, საჭირო თანხაც შეაგროვეს, მაგრამ ხელისუფლება ყურს არ იბერტყავს); ქუთაისში დები იშხნელების ძეგლი დააზიანეს; თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე, ყველა ქართველისთვის საყვარელ მსახიობ დოდო აბაშიძის ბიუსტს ლურჯი საღებავი შეასხეს.



**„ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის, ზიზღმა ქართული კულტურის და, საერთოდ, ყოველივე ქართულის მიმართ, როგორც ჩანს, ღრმად გაიდგა ფესვები და აი, ახლახან თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე, სიონის სკვერში გამოჩენილი ქართველი მსახიობის, სოფიკო ჭიაურელის, სკულპტურული კომპოზიცია გაძარცვეს. მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძის მიერ 2009 წელს შექმნილი კომპოზიციიდან ერთ-ერთი სკულპტურა — ფუფალა — მოიპარეს.**

შარშან სოფიკო ჭიაურელის პორტრეტის გვირგვინი მოიპარეს, რომელიც მოქანდაკემ ხელახლა დაამზადა, 20 დღის წინ კი „მკერავი ვარდოს“ მოპარვას შეეცადნენ... ახლა სიონის სკვერში სოფიკო ჭიაურელის მიერ შესრულებული როლების — „მეეზოვის“ და „კინტოურის“ — სკულპტურებია დარჩენილი.

**V საუკუნეში ვანდალებმა რომი გაძარცვეს და კულტურის უამრავი ძეგლი გაანადგურეს, მაგრამ ისინი სხვა სახელმწიფოს, სხვა კულტურას ებრძოდნენ. ჩვენ?**

# ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში... 

# იანვარში საქართველოში ინფლაციის დონე 0,8 პროცენტი იყო

**ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე. ამ ჯგუფში ფასები გაიზარდა 2,1 პროცენტით.**

შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა იანვრის თვის ინფლაციაში 0,63 პროცენტი შეადგინა. ფასების მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ქვეჯგუფზე (13,0 პროცენტი), ფასები ასევე გაიზარდა ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფსა (4,5 პროცენტი) და რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფში (4,2 პროცენტი); მოცემულ პერიოდში ფასების 0,7-პროცენტიანი მატება აღინიშნა ტრანსპორტის ჯგუფზე, რაც იანვრის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,08 პროცენტული პუნქტი წვლილით აისახა. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (3,4 პროცენტი), ხოლო ფასების კლება აღინიშნა სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტზე (-2,8 პროცენტი).

# იტალიური კომპანია პასუხისმგებლობას არ იღებს

**იტალიური კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ აშენებული თბილისის იუსტიციის სახლზე, რომელიც შარშან ოქტომბერში წვიმამ და ქარმა დააზიანა, ადამიანების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვერ აიღებენ, თუკი იქ თანამშრომლები და მოქალაქეები შევლენ.**

„იტალიური კომპანიისგან რამდენიმე კვირის წინ მივიღეთ დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი ვერ აგებენ პასუხს ადამიანის უსაფრთხოებაზე და აქედან გამომდინარე, ვერც იმაზე იღებენ პასუხიმგებლობას, რომ, თუკი თბილისის იუსტიციის სახლის დარბაზში თანამშრომლებსა და მოქალაქეებს შეუშვებენ, იქ ამას რაიმე სავალალო შედეგი არ მოჰყვება. სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, თუ ყინვამ არ შეგვიშალა ხელი, ვგეგმავთ, რომ დარბაზი გაზაფხულზე გაიხსნას. ამასობაში ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურება თბილისში ორ სხვადასხვა ცენტრში გრძელდება“, — აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და განმარტა, რომ სხვა რაიონებში იუსტიციის სახლები უპრობლემოდ განაგრძობენ მუშაობას.



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი ადგილობრივი ევროინტეგრატორები იმ დავალებას ასრულებენ, რომელიც მიუნხენში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ გაახმოვანა: „უკრაინამ უნდა აირჩიოს, ვისთან იყოს — მთელ მსოფლიოსთან თუ ერთ ქვეყანასთან“. იმ „ერთი ქვეყნის“ პრეზიდენტმა 2007 წელს იმავე მიუნხენში მკაფიოდ განაცხადა, რომ ერთპოლარული მსოფლიო აღარ იარსებებს...**

# სანამ ღარიბაშვილსაც «დაბრიფავენ»

**ვაჰ, დრონი, დრონი! ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ვინ წარმოიდგენდა, რომ ამერიკაში წაკითხულ ლექციებს შორის შუალედში სააკაშვილი მიუნხენში ჩაქანდებოდა, რათა ამერიკელ კონგრესმენებს იქ მაინც შეხვედროდა? ან იმას თუ ივარაუდებდა ვინმე, რომ პრეზიდენტყოფილი მიშა ჟურნალისტებს ამას ეტყოდა: „მე საერთოდ პოლიტიკას ჩამოვშორდი, რაც ხდება, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადგილობრივი პოლიტიკა. ნუ ჩამრევთ“.**



ახლა კი არა, იმთავითვე რომ არ ჩარეულიყო პოლიტიკაში, ჩვენთვისაც აჯობებდა და მისთვისაც, მაგრამ ახლა უკვე „რუსთავი 2“-დან პოლიტიკაში ჩარეულმა ირმა ნადირაშვილმა ისე გულისამაჩუყებლად გვამცნო, სააკაშვილი კლიჩკომ დაპატიჟაო, რომ ნათელია – სხვა დამპატიჟებელი სააკაშვილს აღარავინ დარჩა, ტაფტის ინსტიტუტის გარდა.

**აბა, გამოიცანით, რა ახალი რიტორიკით გამოიჩინეს თავი ოფიციალურად დაპატიჟებულმა ქართველმა მაღალჩინოსნებმა? გამოცანა გერგებათ! რა თქმა უნდა, ევროკავშირისა და ნატოსკენ სწრაფვის ქვეშევრდომული ერთგულების მტკიცებით!**

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში გამართულ ორმხრივ შეხვედრებზე ნატო-ში ინტეგრაციის პროცესში საქართველოს წვლილზე გაამახვილა ყურადღება: **„ერთ-ერთი მთავარი და ძირითადი თემა დიდ ბრიტანეთში დაგეგმილი ნატო-ს მომავალი სამიტი იყო, ასევე ის შანსები, რომლებიც საქართველოსა და სხვა ასპირანტ ქვეყნებს აქვთ, რათა სოლიდური ნაბიჯები გადავდგათ წინ მეტი ინტეგრაციისკენ. ვისაუბრეთ, თუ რამხელა კონტრიბუცია აქვს საქართველოს დღეს, ასევე საქართველოს შეერთებას სწრაფი რეაგირების ძალებში. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მაღალია სამხედროების ინტეგრაცია — ეს პოლიტიკურ დაახლოებასა და საქართველოსა და ნატოს შორის უფრო ღრმა ინტეგრაციას მოიტანს“.**

უბრალო ენაზე რომ ვთარგმნოთ, ხომ ხედავთ, რამდენ ჯარისკაცს ვაგზავნით თქვენების მაგივრად ცხელ წერტილებში და დაგვიფასეთ, ბიძიაბაბუებოო!

სესიას, რომელზეც სიტყვით პრემიერმინისტრი ღარიბაშვილი გამოვიდა, ერთობ მრავლისმთქმელი სახელწოდება ჰქონდა: „გლობალური ძალაუფლება და რეგიონული სტაბილურობა“. **საქართველოს ახალი ხელისუფლება, რომელსაც შინ პრობლემები ჯერაც ვერ მოუგვარებია, ახლა „გლობალურ ძალაუფლებაში“ ჩართვას ლამობს! პოლიტკორექტულობას რა ვუთხრა, თორემ ამაზე ერთი ძველი ქართული ანდაზა გვაქვს, ძაღლი შინ რომ არ ვარგოდა...**

კონფერენციის მონაწილეებს ღარიბაშვილმა დეტალურად აუხსნა, თუ როგორ „თანაცხოვრობდნენ“ 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ძველი და ახალი ხელისუფლება და როგორ შეძლეს, „მშვიდობიანად გაძლოლოდნენ ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემის პროცესს“. მერე რა, რომ ამომრჩევლის უმრავლესობას ყელში ძვალივით აქვს გაჩხერილი ეს „თანაცხოვრება“, მთავარი ხომ ის არის, რომ დასავლეთი სწორედ ამ სიტყვებს და შეფასებებს ელის...

„ჩვენ განვაგრძობთ დემოკრატიული რეფორმების ჩატარებას. ჩვენ ნამდვილად ჩავატარეთ სამართლიანი, თავისუფალი საპრეზიდენტო არჩევნები. ბოლო პერიოდის საზოგადოებრივი გამოკვლევა მოწმობს, რომ 85%-ზე მეტი ჩვენი მოსახლეობის მხარს უჭერს ევროპასთან და ევროპულ ინსტიტუტებთან ინტეგრაციის პროცესს. ეს პროცესი ნამდვილად შეუქცევადი გახდა. საქართველოს სწრაფვა, გახდეს ნატოსა და ევროკავშირის წევრი, ეს არის შეუქცევადი პროცესი. ჩვენ იმავე ფასეულობებს ვიზიარებთ და მივისწრაფვით, გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი. ეს სწრაფვა დიდი ხანია ჩვენს გულებში და გონებაშია“, — დასძინა ღარიბაშვილმა.

**ერთი სიტყვით, იპოვეთ განსხვავება „ნაციონალებისა“ და „ოცნების“ მთავრობის რიტორიკაში! ვერ იპოვით, მაგრამ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ახლებს არ დაუფასეს ერთგულების „ინდექსი“ და მყისიერად მოჰყვნენ მათ კრიტიკას.**

გიორგი კანდელაკმა ჯერ არასწორად დასმულ პოლიტიკურ აქცენტებზე იქილიკა, მერე კი იმაზე იხალისა, რომ შტეფან ფულემ ღარიბაშვილს სიტყვა გააწყვეტინა: **„უკრაინაზე კომენტირებისას მხოლოდ ძალადობა დაგმო და მეტი არაფერი. არ დაუჭირა მხარი უკრაინელი ხალხის ევროპულ არჩევანს და თქვა, იმედია, ყველა მხარე, მათ შორის, ევროკავშირი და რუსეთი, იპოვიან გამოსავალსო, რითაც ძალაუნებურად აღიარა გავლენის სფეროთა კონცეფცია! რატომ უნდა ელაპარაკოს ევროკავშირი უკრაინის მომავლის შესახებ რუსეთს??? მაშინ საქართველოს მომავალიც უნდა შეუთანხმოს, ასე არ გამოდის? წელთაღრიცხვა 2012-დან იწყება — რუსეთი უნდა დავარწმუნოთ, რომ ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაცია რუსეთის ინტერესშიაო... მოკლედ, საერთოდ აცდა დისკუსიის კონტექსტს და ამ წამს ფულემ გააწყვეტინა, დროზე დაამთავრეო“...**

მკრეხელობა გაგვიგია, მაგრამ ასეთი? ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ ისტორია 2003 წლიდან იწყება, ღარიბაშვილმა კი „აღმშენებლობის“ 9 წელი გამოტოვა!

აშშ-ში საქართველოს ყოფილი ელჩი თემურ იაკობაშვილი იმას იწუნებს, რომ „პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს ახალი ხელისუფლების ხედვა ევროპულ მომავალზე არა ზოგადი სიტყვებით, არამედ უფრო ფართოდ უნდა გაეჟღერებინა“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „გრასის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის — ელენე ხოშტარიას შეფასებით, პრემიერმა აღნიშნული სტრატეგიული ფორუმი ვერ გამოიყენა და მისი დრო წვრილმანებზე საუბარს დაუთმო. „საუბრობდა კოჰაბიტაციაზე, ერთ წელზე, ისეთ წვრილმანებზე, რომლებიც არ იყო საინტერესო. დიდ სტრატეგიულ კონტექსტში აბსოლუტურად ვერ ჩასვა ეს სურათი“.

**„ნაცებისთვისაც“ თუ ასეთი უმნიშვნელო წვრილმანია ეს ყბადაღებული კოჰაბიტაცია და მათი დაუსჯელად პარპაში, ახლა ხალხს ჰკითხონ! და თუ ეს მართლაც ასე უმნიშვნელოა, მაშინ რატომ გადააყოლა ახალმა ხელისუფლებამ ამომრჩევლის ოცნება და იმედი „ნაციონალებთან“ სიამტკბილობას?**

ხოშტარიას აზრით, პრემიერმა ვერ გამოიყენა ეს ფორუმი. „ერთი მიზეზი იყო მისი გამოუცდელობა, რაც ნაწილობრივ აისახა გამოსვლაზე. როცა ვსაუბრობდით, რომ ექსპერიმენტია ასეთი ადამიანის დანიშვნა ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, აქ იგულისხმებოდა ის, რომ ამ ექსპერიმენტს სწორედ ასეთ მნიშვნელოვან ფორუმებზე ვაწყდებით. გამოცდილების მიღებას წლები სჭირდება“.

კარგი, რა! ახლა გახდა საჭირო წლები გამოცდილების შესაძენად? თქვენ რომ წამოსკუპდით მაღალ-მაღალ სკამებზე, მაშინ გამოცდილება სულ არ იყო საჭირო?! თუმცა მეორე მიზეზი კიდევ უფრო საყურადღებოა: „მეორე მიზეზი არის ის, რომ მას გუნდიც არ ჰყავს, რომელიც გაიაზრებდა, თუ როგორ უნდა გამოეყენებინა ეს ფორუმი“. მოკლედ, ჩვენ ვართ ასეთი გუნდი და უჩვენოდ წარმატება არ გიწერიათო!

**იქნებ სწორედ ამიტომაა ყველა სახელმწიფო სტრუქტურა გამოტენილი „ნაციონალური“ კადრებით? ბატონო პრემიერმინისტრო, ეგენი რომ გვდომებოდა ისევ, 1 ოქტომბერს ხუთ ნომერს ვერ შემოვხაზავდით?**

საკადრო საკითხზე „ტაბულას“ რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილიც არიგებს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს: **„გამომდინარე იქიდან, რომ შემდეგი სამი წელი (თუ რამდენიცაა 2016 წლის არჩევნებამდე), სასურველია, ხელისუფლება არ შეიცვალოს და ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის ტრადიცია შენარჩუნდეს, ისევ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ირაკლი ღარიბაშვილს ვთავაზობთ შემდეგს: შევკრებ საერთაშორისო პოლიტიკისა და ურთიერთობების მცოდნე 10 ადამიანს (ვისაც მე შევარჩევ, დამიჯერეთ, უკეთესს ვერავინ შეგირჩევთ) და მნიშვნელოვან საერთაშორისო ვიზიტამდე, პრემიერს დაბრიფავენ, ანუ მოამზადებენ. გვინდა, არ გვინდა, ჩვენს ინტერესებს წარმოადგენს და საჭიროა, მომზადებული იყოს, რომ პირი არ დააღოს და არ გვაზარალოს. გადადეთ გვერდზე პატივმოყვარეობა და დამთანხმდით“**, — წერს ჩერგოლეიშვილი.

ერთი სიტყვით, ეს ჯგუფი უმრავლესობაშია თუ უმცირესობაში, მაინც მან უნდა მართოს ქვეყანა, რასაც „მეოცნებე“ ხელისუფლების წყალობით ახერხებენ კიდეც. აბა, სხვას რას უნდა დავაბრალოთ, რომ მთელი ქვეყნის დამტერორებელი პროკურატურა უეცრად „უკბილო“ (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) და უსუსური გახდა? პროკურატურის მოსამსახურე სასამართლო ერთი ხელის მოსმით გახდა დამოუკიდებელი? ყველა სამსახურში ძველი სახეები დარჩნენ და ვითომ დასჯილ ძველ კადრებს ძალოვან სტრუქტურებში ისევ აწინაურებენ. ბნელა? თუ იმის იმედი გაქვთ, რომ ასეთ „შემწყნარებლობას“ დაგიფასებენ ნაცისტები?

**ნუ ხართ ილუზიაში; ეგ ის ხალხი არ არის, ან რამე მოგიწონოს, ან სიკეთე დაგიმახსოვროს. როგორც არ უნდა ეცადოთ დასავლეთისთვის ერთგულების დამტკიცებას – ესენი მაინც რუსეთუმეებს და კრემლის აგენტებს დაგიძახებენ!** მათსავით ვერავინ ელაციცება დასავლეთს. ამით მაინც მიხვდით, ბატონებო, რომ ცუდ გზას ადგახართ; რამდენიც უნდა შეეჯიბროთ, დასავლეთისთვის ერთგულების მტკიცებაში თქვენ მაგათ ვერ აჯობებთ, ხოლო მადლობის მაგიერ ასეთ ეპითეტებს დაიმსახურებთ: „უსუსური“, „არაპროფესიონალური“, „რუსეთის გაღიზიანების შიში ჰქონდა“, „მოერიდა“, „მიაფუჩეჩა“, „არ ახსენა ნატო, როგორც ჩვენი არჩევანი“, და ა. შ.

მიუნხენში 1938 წელს დიდი გარიგება მოხდა. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა სანქცია მისცეს ჰიტლერს, რათა მას ჩეხოსლოვაკიის მიწები მიეტაცებინა. თავად ჩეხოსლოვაკია და საბჭოთა კავშირი ამ გარიგებას არ დაასწრეს. ბრიტანეთისა და საფრანგეთის ამ პოლიტიკამ ხელი შეუწყო ფაშისტური გერმანიის გაძლიერებას და მოგვიანებით — მთელი ევროპის დაპყრობას. „ნაციონალების“ მიერ ფაშისტებთან გაიგივებული საბჭოთა ჯარი რომ არა, სად იქნებოდა დღეს საფრანგეთი ან ბრიტანეთი, არავინ იცის.

**დღეს „ნაციონალები“ უკრაინის საკითხთან რუსეთის არმიშვების პოლიტიკას „აწვებიან“. მათ მსოფლიო ისტორია ისევე იციან, როგორც სააკაშვილმა – გეოგრაფია. თუ „ქართული ოცნება“ „ნაციონალების“ ხიბლიდან არ გამოვა და მათ თამაშს განაგრძობს, ეს საქართველოს სიკეთეს არ მოუტანს.**

ჩვენი ადგილობრივი ევროინტეგრატორები იმ დავალებას ასრულებენ, რომელიც მიუნხენში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ გაახმოვანა: „უკრაინამ უნდა აირჩიოს, ვისთან იყოს — მთელ მსოფლიოსთან თუ ერთ ქვეყანასთან“. იმ „ერთი ქვეყნის“ პრზიდენტმა 2007 წელს იმავე მიუნხენში მკაფიოდ განაცხადა, რომ ერთპოლარული მსოფლიო აღარ იარსებებს. დღეს ექსპერტებად ქცეულ „ნაციონალებს“ სმენის და გაგების უნარი რომ ჰქონოდათ, 2008-ში იმას არ მოიმოქმედებდნენ, რაც ჩაიდინეს.

**ახლა 2014 წელია და აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის, რომელიც მიუნხენში მისი თანამდებობაზე ყოფნის ერთი წლისთავისთვის გამართულ ფურშეტზე მიდიოდა, გერმანელებმა „მკვლელი“ და „ომის გამჩაღებელი“ უძახეს. ვის-ვის და გერმანელებს „ომის გამჩაღებლის“ ცნობა არ უჭირთ. ქართველებისგან განსხვავებით, მათ საკუთარი ისტორია ზედმიწევნით კარგათ იციან და საკუთარ შეცდომებზე სწავლობენ.**

ჩვენ კი ვერაფერი ვისწავლეთ; საქართველოში საკუთარი „მიუნხენის გარიგება“ ხდება — ძველი და ახალი ხელისუფლება ერთმანეთს ქართველი ხალხის ზურგსუკან ურიგდება. ახლებიც იმავე გზას ადგანან, რომელსაც ძველები და მთელი სახელმწიფო მანქანაც ისევ „ნაციონალების“ კლანჭებშია. დასავლეთის მიმართ ქვეშევრდომული დამოკიდებულება არ შეცვლილა და ამიტომაც არის, რომ უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის თანამეცხედრე დაუფარავად სთავაზობს პრემიერმინისტრს დახმარებას მის მიერ შერჩეული „საერთაშორისო პოლიტიკისა და ურთიერთობების მცოდნე 10 ადამიანს (ვისაც მე შევარჩევ, დამიჯერეთ, უკეთესს ვერავინ შეგირჩევთ)“!

**ფრთხილად, ბატონო პრემიერო, თორემ ეგენი მართლაც „დაგბრიფავენ“, ანუ „მოგამზადებენ“, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რისთვის!**

**თამარ დავითულიანი**

რაც შეეხება სააკაშვილის ამჟამინდელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, შესაძლოა, ის მართლაც ფიქრობს, რომ ქართული პოლიტიკა მისთვის ერთგვარ „საშუალო სკოლას“ წარმოადგენდა, რომელშიც ის ბეჯითად ასრულებდა უცხოელი მასწავლებლების დავალებებს, ახლა კი „უმაღლესში“ ჩარიცხავენ და მსოფლიო პოლიტიკის მწვერვალზე მოხვდება...



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იქ, სადაც პრემია დიდია...

**„ორი გვამი მჭირდება. მომიტანეთ ეს ორი გვამი. ვსიო. პრემია დიდია“, — ეს სიტყვები ვანო მერაბიშვილის კარიერის ერთგვარ ეპიტაფიად იქცა. უახლესი ისტორიის მატიანეში „ყოფილი ხერხემალი“, ალბათ, სწორედ ამ რეპლიკით შევა, რომელიც მისი მრავალწლიანი მოღვაწეობის კვიტესენციას წარმოადგენს.**

ის არგუმენტები „ორი რუსის“ გვამის ძებნის თაობაზე, რომელსაც მერაბიშვილი თავის მართლებისას იყენებს, სერიოზულ განხილვას, ალბათ, არ ექვემდებარება, თუნდაც იმიტომ, რომ იქვე გაისმა რეპლიკები **„ფეხდაფეხ მივყვეთ“, „ეს სასტავი... წავიდა თელავის მიმართულებით“, „გადასასვლელები არის ჩასაკეტი“ და ა. შ. ასეთი ენერგიული გვამები ზომბების ცხოვრებასა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ფილმებშიც კი არ მოიძებნება.** ყოველივე ამას ყურადღება რომც არ მივაქციოთ, სადაა ორი ჰიპოთეტური რუსის ჰიპოთეტური მკვლელობის ჰიპოთეტური ფაქტზე აღძრული საქმე? მოკლედ, ეს არგუმენტაცია აშკარად არ მუშაობს და მის დეტალურ განხილვაზე დროის დახარჯვა, ალბათ, არ ღირს. მერაბიშვილი, სავარაუდოდ, აცნობიერებს, რომ მიუხედავად იმისა, რა იურიდიული შედეგი მოჰყვება ამ საქმის გამოძიებას (გამორიცხული არაა, რომ კონკრეტულად ამ ეპიზოდში ვერაფერი დაუმტკიცონ, რადგან ზეპირი განცხადება და მისი შემდგომი ინტერპრეტაცია, როგორც ასეთი, ბრალდებისთვის საკმაოდ არამყარი ფუნდამენტია), მთავარი შედეგი საინფორმაციო ხასიათისაა. **რეპლიკა გვამების შესახებ სამუდამოდ მიეწება მერაბიშვილს და მისი იმიჯის ნარჩენები მიწასთან გაასწორა; ის თანაგუნდელებისთვის საშიშ ბალასტად იქცა. მედიისა და სოციალური ქსელების ზედაპირული მონიტორინგიც კი საკმარისია იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ, რომ საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა აღიქვა მერაბიშვილის რეპლიკა, როგორც მუხროვანის მოვლენებში მონაწილე პირების ლიკვიდაციის მოთხოვნა.**

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ყურადღების ცენტრში ვანო მერაბიშვილი მოექცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის, ყველაფრის მიუხედავად, უფრო შემსრულებელია, ვიდრე დამკვეთი. **მართალია, ის მაღალი რანგის შემსრულებელი და რეპრესიული სისტემის „მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი“ გახლდათ, მაგრამ იმ იდეების ფორმულირება, რომელთაგან გარდაუვალად გამომდინარეობდა რეჟიმის შიზოფრენიული სისასტიკე, მიხეილ სააკაშვილმა მოახდინა;** თანაც გაცილებით ადრე, ვიდრე წარმოთქვამდა ავადსახსენებელ მონოლოგს „ნულოვან ტოლერანტობაზე“, რომლის შემდეგ შსს ისე ამოქმედდა, თითქოს „მკვლელობის ლიცენზია“ მიეღოს. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ 2004 წლის იანვარი, როდესაც ჯერ კიდევ ინაუგურაციამდე სააკაშვილმა შემდეგი განცხადება გააკეთა: **„მე ვურჩიე, როგორც საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა და ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა, ჩვენს კოლეგას, ზურაბ ადეიშვილს, იუსტიციის მინისტრს, რომ ციხეში ბუნტის ნებისმიერი მცდელობისას (და ეს მინდა კარგად მოისმინონ ციხეში დაბუდებულმა და ციხის გარეთ მყოფმა კრიმინალებმა) გამოიყენონ ძალა და ბუნტის ნებისმიერი მცდელობისას გახსნან ცეცხლი და ადგილზევე მოკლან, გაანადგურონ ყველა ის კრიმინალი, რომელიც შეეცდება სიტუაციის არევას. ჩვენ ამ ხალხისთვის ტყვიები არ გვენანება“** (ერთიანი ნაციონალური დუჩეს აქტივში კიდევ რამდენიმე მსგავსი, მიზანტროპული და, იურიდიული თვალსაზრისით, აბსოლუტურად კოშმარული განცხადებაა).

**ასე რომ, დღეს, როდესაც საზოგადოება მერაბიშვილის ან სხვა შედარებით დაბალი რანგის შემსრულებლების ავკაცობაზე საუბრობს, სასურველია, წამითაც არ დაავიწყდეს, რომ მათი ნამოქმედარის უკან მიხეილ სააკაშვილი დგას.** როდესაც ჟურნალისტებმა „გვამების სკანდალზე“ კომენტარი სთხოვეს, მან ისეთი პასუხი გასცა, თითქოს მოხდარი საერთოდ არ ეხებოდა: „საკმარისი პოლიტიკა მქონდა ცხოვრებაში იმისთვის, რომ გამანებოთ თავი ამ თემაზე მაინც“ (ინტერპრესნიუსი). უფრო დიდი ცინიზმი, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, თუმცა მთავარი აქ, ალბათ, სულ სხვა რამ არის.

არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ქართული საზოგადოება ემოციურია და ყოველთვის ორიენტირებულია სწრაფი შედეგის მიღებაზე. სააკაშვილი, თავის გარემოცვასთან ერთად, ამ კოგნიტური ხარვეზების გამოყენებას და საზოგადოებაში ისეთი განწყობის დამკვიდრებას ცდილობს, თითქოს მისი გამგზავრებით აშშ-ში ყველაფერი დასრულდა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი აღარ დადგება, რომ ამერიკელებმა ის შეიფარეს, ქართულ თემიდას ცოცხალი თავით არ გადმოსცემენ და მის გასამართლებაზე ან თუნდაც დაკითხვაზე ფიქრს აზრი არ აქვს. **ამ წარმოდგენების გავრცელებას ხელს უწყობს რესპუბლიკური პარტიის წევრი ლევან ბერძენიშვილი, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპის სრული უგულებელყოფით, გამუდმებით იმეორებს, რომ სააკაშვილის დაჭერა არ ღირს, რადგან ეს დასავლეთთან ურთიერთობებს გაგვიფუჭებს. მის ოპონენტებს კი, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება ჩასვა ციხეში მერაბიშვილი, ახალაია და სხვა შედარებით დაბალი რანგის ჭანჭიკები რეპრესიებისთვის ან ფულის მოპარვისთვის, ისე, რომ ამავე დროს სააკაშვილი არ დასაჯო, რომელიც მათი უშუალო ხელმძღვანელი იყო და მათი საქმიანობის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას ფლობდა.**

დასაწყისში ორიოდე სიტყვა, ალბათ, დროის ფაქტორზე უნდა ვთქვათ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიხეილ სააკაშვილმა თანამდებობა სულ რაღაც სამი თვის წინ დატოვა. თუ თვალს უცხო ქვეყნების გასამართლებული პრეზიდენტების ბიოგრაფიებს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ **„ყველაზე სწრაფად დაპატიმრებულების“ რეიტინგში ლიდერობენ ტაივანის პრეზიდენტი ჩენ შუიბიანი და სამხრეთ კორეის პრეზიდენტი რო დე უ. პირველი გადადგომიდან 5 თვეში დააპატიმრეს, მეორე კი — 9 თვეში. სამი თვე, რომელიც სააკაშვილის გადადგომიდან გავიდა, დროის ძალიან მცირე მონაკვეთია იმისთვის, რომ პროკურატურამ თავისი სამუშაო იდეალურად შეასრულოს, რაც აუცილებელია, რადგან მსოფლიო სავარაუდო პროცესს გამადიდებელი შუშით დააკვირდება, როგორც ეს, მაგალითად, პერუს ყოფილი მმართველის, ალბერტო ფუხიმორის გასამართლებისას გააკეთა.** ის, რომ ამ მომენტამდე სააკაშვილი არ დაკითხეს (ან არ დააპატიმრეს) არ ნიშნავს, რომ ეს საერთოდ არ მოხდება.

მეორე მითი ძია სემის წარმოსახვით ვეტოს უკავშირდება, რომელიც სააკაშვილის გასამართლებას თითქოსდა აპრიორი გამორიცხავს. მაგრამ რა მოხდება, თუ გამოქვეყნდება ახალი ვიდეოფირი, სადაც სააკაშვილი გაცილებით უარესს ამბობს ან აკეთებს, ვიდრე მერაბიშვილი „გვამების ეპიზოდში“? **რა მოხდება, თუ დამტკიცდება მისი კავშირი საერთაშორისო ტერორისტებთან (ამას არ გამორიცხავენ ექსპერტები, რომელნიც ლაფანყურის ინციდენტს იკვლევენ), იარაღით უკანონო ვაჭრობასთან (ეს ვარაუდები კეზერაშვილის საქმესთან დაკავშირებით არაერთგზის გამოითქვა) ან ზურაბ ჟვანიას მკვლელობასთან? ის, ვინც ფიქრობს, რომ ამერიკელები ამ შემთხვევაშიც, მყარი მტკიცებულებების პირისპირ, სააკაშვილის დაცვას განაგრძობენ, ალბათ, ცდება.** თუმცა ამ სკეპტიკოსებზე გაცილებით დიდ შეცდომას ის ადამიანები უშვებენ, რომელნიც უბრალოდ დგანან და უდანაშაულობის პრეზუმფციის სრული იგნორირებით ყვირიან: „დაიჭირეთ სააკაშვილი!“. გაცილებით სასარგებლო იქნებოდა, პროკურატურის მუშაობასა და გახმაურებული საქმეების დროულ გამოძიებაზე სამოქალაქო კონტროლი დაეწესებინათ, რადგან, სავარაუდოდ, სწორედ ამ საქმეებშია მიმოფანტული „ძაფები“, რომლებმაც შეიძლება გამოძიება უშუალოდ სააკაშვილზე გაიყვანოს. მნიშვნელოვანი როლის შესრულება, აგრეთვე, ყოფილი მაღალჩინოსნების ჩვენებებს და მათ მიერ (99%-იანი ალბათობით) საგულდაგულოდ შენახულ კომპრომატს შეუძლია; ეს თემა ისევ ვანო მერაბიშვილის საკანში გვაბრუნებს.



**დღეს, როდესაც საზოგადოება მერაბიშვილის ან სხვა შედარებით დაბალი რანგის შემსრულებლების ავკაცობაზე საუბრობს, სასურველია, წამითაც არ დაავიწყდეს, რომ მათი ნამოქმედარის უკან მიხეილ სააკაშვილი დგას**

ბოლო ინციდენტმა დაამძიმა მისი მდგომარეობა და რაღაც მომენტში შეიძლება ჩათვალოს, რომ თანამებრძოლებმა არა მხოლოდ მიატოვეს, არამედ ხელიც შეაწმინდეს და განტევების ვაცის როლის შესრულება დააკისრეს (ვერსია იმის თაობაზე, რომ სკანდალური ვიდეო თანაპარტიელებმა გაუვრცელეს სავსებით ლეგიტიმურია). **საინტერესოა, მივა თუ არა მერაბიშვილი დასკვნამდე, რომ საკუთარი მდგომარეობის შემსუბუქების ერთადერთი გზა გამოძიებასთან ნაყოფიერი თანამშრომლობაა? დრო მერაბიშვილის წინააღმდეგ მუშაობს, განაჩენის გამოტანის დღე ახლოვდება, პროკურატურაში სხვა ყოფილი ჩინოვნიკების ჩვენებები გროვდება, რომლებიც თანდათან ახდენს იმ კომპრომატის გაუფასურებას, რომელსაც მერაბიშვილი, სავარაუდოდ, ფლობს.** რაღაც მომენტში ეს ლეგენდარული არქივი კომპრომატით შეიძლება ისეთივე გამოუსადეგარი გახდეს, როგორც ნიკოლოზისდროინდელი ბანკნოტების დასტა.

საინტერესოა, ნახა თუ არა მერაბიშვილმა სიუჟეტი, რომელშიც სააკაშვილმა მის საქმეზე საუბრისას მთელი ქვეყნის გასაგონად თქვა: „თავი გამანებეთ“? **ზოგიერთი კომენტატორი ადრეც საუბრობდა იმაზე, რომ სააკაშვილი მერაბიშვილს ძალიან პასიურად, თითქმის სიმბოლურად იცავს. ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ სულ მალე ის იტყვის, რომ ვანო სულ ორჯერ ჰყავს ნანახი, ისიც შემთხვევით.**

**რაც შეეხება სააკაშვილის ამჟამინდელ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, შესაძლოა, ის მართლაც ფიქრობს, რომ ქართული პოლიტიკა მისთვის ერთგვარ „საშუალო სკოლას“ წარმოადგენდა, რომელშიც ის ბეჯითად ასრულებდა უცხოელი მასწავლებლების დავალებებს, ახლა კი „უმაღლესში“ ჩარიცხავენ და მსოფლიო პოლიტიკის მწვერვალზე მოხვდება (მარტივად, მათი ტერმინოლოგიის მოშველიებით რომ ვთქვათ, — იქ, სადაც პრემია დიდია). რაც უფრო შორს გაიჭრება ამ ოცნებებში, მით უფრო მწარე იქნება იმედგაცრუება და, ნარკოლოგების თქმის არ იყოს, დეტოქსიკაცია.**

სკანდალური ჩანაწერის გამოქვეყნებას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პოლიტიკური შედეგები მოჰყვება და, ძველი ტრადიციის თანახმად, ალბათ, ნეგატივით უნდა დავიწყოთ. ადგილობრივ არჩევნებამდე არც ისე ბევრი დრო რჩება და „გვამების ეპიზოდი“ ხელს უწყობს იმას, რომ საზოგადოება ბიპოლარული დაპირისპირების მოდელს მიუბრუნდეს და პოლიტიკური პროცესები ისევ „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ყოვლისმომცველი დაპირისპირების კონტექსტში აღიქვას. ეს მოდელი სავსებით ადეკვატური იყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ნაწილობრივ ადეკვატური — საპრეზიდენტო არჩევნების წინ, მაგრამ დღეს ის აშკარად მოძველებულია. პოლიტიკური ტექნოლოგიის თვალსაზრისით, ამ მოდელის კიდევ ერთი გამოყენება სავსებით პრაგმატული გადაწყვეტილებაა, მაგრამ ამომრჩეველს დღეს, სავარაუდოდ, სულ სხვა რამ სჭირდება — კონტრუქტივზე და არა უარყოფაზე დაფუძნებული პროგრამები, ღია დისკუსია ხელისუფლებასთან პრობლემურ საკითხებზე და ავანსცენაზე ახალი, ჯანსაღი ძალების გამოსვლა. თუ ამის ნაცვლად ზომბებზე ნადირობის ფესტივალს მოვაწყობთ, უბრალოდ, დროს დავკარგავთ. **პოლიტიკური თვალსაზრისით, „ნაციონალური მოძრაობა“ დღეს თვითმავალი გვამია, ზომბი, რომელსაც ვიწრო პროფილის სპეციალისტებმა უნდა მიხედონ. მისგან ორპარტიული სისტემის (თუნდაც წარმოსახვითი) „მეორე პოლუსის“, ლეგიტიმური პოლიტიკური ძალის ფორმირების მცდელობა, მწავე კრიზისის გარდა, სხვა შედეგს ვერ გამოიღებს და, ნებისმიერ შემთხვევაში, წარუმატებლად დასრულდება.**

**რაც შეეხება დადებით პოლიტიკურ შედეგს, უდავოდ კარგია, რომ საზოგადოებამ კიდევ ერთხელ იხილა, თუ ვისთან, უფრო სწორად, რასთან ჰქონდა საქმე ამ 9 წლის განმავლობაში; ეს, სავარაუდოდ, დაეხმარება იმაში, რომ პოპულისტი დემაგოგების მიმართ იმუნიტეტი გამოიმუშაოს და მომავალში ქვეყნის ბედი აღარ მიანდოს ისე, როგორც ეს საბედისწერო 2003-ში მოხდა.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ იდეების მატარებლები ნებისმიერ ქვეყანაში ადრე თუ გვიან ყოვლისმომცველ კონფლიქტში შევლენ თანამედროვე დასავლურ ლიბერალიზმთან და გლობალიზაციის ძირითად იდეებთან და პუტინის რუსეთს ბუნებრივ მოკავშირედ აღიქვამენ.**

# სოჭის ოლიმპიური მედლის მეორე მხარე

**7 თებერვალს სოჭში ზამთრის XXII ოლიმპიადა დაიწყება და მასში მონაწილეობას საქართველოს ნაკრებიც მიიღებს. ბოიკოტის მომხრეებმა, რომელთა ძირითად ნაწილს „ნაციონალები“ შეადგენდნენ, მთავრობასა და საზოგადოებას პოზიცია ვერ შეაცვლევინეს — „ენ-დი-აის“ ბოლო გამოკითხვის თანახმად (ეს ორგანიზაცია „პრორუსულობით“ არასოდეს გამოირჩეოდა, უფრო პირიქით), საქართველოს მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაში მისაღებია რესპონდენტთა 66 პროცენტისთვის, მიუღებელი კი — მხოლოდ 17 პროცენტისთვის. ჩვენი ნაკრების ჩასვლა სოჭში რუსულ-ქართული „გადატვირთვის“ პირველი ეტაპის ერთგვარ სიმბოლურ დაგვირგვინებად იქცა და, ალბათ, ყველას აინტერესებს, რა მოხდება ორი ქვეყნის ურთიერთობაში ამის შემდეგ.**



**უკრაინის «მაიდანური ვნებების» გადამკიდე, ბევრმა კომენტატორმა, უბრალოდ, ვერ შეამჩნია, რომ გასულ კვირას, 30 იანვარს, უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა მრავალწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ დაამტკიცა შეთანხმება რუსეთთან ყირიმისა და ყუბანის დამაკავშირებელი ხიდის აშენების თაობაზე**

## ოპერაცია „ციტადელი“

სოჭის ოლიმპიადას რუსეთისთვის დიდი საიმიჯო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, სავარაუდოდ, გაცილებით მნიშვნელოვანია გეოსტრატეგიული ქვეტექსტი, რომელიც ამ პროექტის უკან დგას. გაწყვეტილება სოჭის განაცხადის შესახებ რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა 2005 წლის ივლისში მიიღო (შესაბამისად, კრემლმა — უფრო ადრე). ამას წინ უძღოდა „ფერადი რევოლუციები“ საქართველოსა და უკრაინაში, ხელისუფლებაში სააკაშვილის და იუშჩენკოს მოსვლა მკვეთრად პროდასავლური ლოზუნგებითა და ნატო-ში გაწევრიანების სურვილით; მაშინ ყველა როდი ვარაუდობდა, რომ მათი ძალისხმევა კრახით დასრულდებოდა. **თუ რუკას დავხედავთ, ვნახავთ, რომ მოსკოვისთვის ნეგატიურ ვარიანტში, სოჭის მიმდებარე რუსეთის ტერიტორია და გასასვლელი შავ ზღაზე „ალყაში ექცეოდა“ — ორი მხრიდან ნატო-ს შესაძლო წევრები, უკრაინა და საქართველო; ზურგში კი ჩრდილოეთ კავკასიის არასტაბილური რესპუბლიკები.** გავითვალისწინოთ ისიც, რომ ანგლო-ამერიკული გეოპოლიტიკის ფარგლებში, რომლის ცენტრალურ იდეას საზღვაო ძლიერება წარმოადგენს, კონტინენტალურ სახელმწიფოებზე ზემოქმედების დროს მთავარ სამიზნედ განიხილება მისი გასასვლელი ზღვაზე. სავარაუდოდ, ამ ნიადაგზე კრემლში დაიბადა პოტენციურად პრობლემურ რეგიონში პოზიციების სასწრაფო გამაგრების გეგმა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სოჭის ოლიმპიური განაცხადის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში არის არაერთი სხვა ქალაქი, რომელშიც გაცილებით უკეთაა განვითარებული სპორტული და „ჩვეულებრივი“ ინფრასტრუქტურა და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გაცილებით მეტი თოვლია.

**მომზადებამ სოჭის ოლიმპიადისთვის, მოსკოვს შესაძლებლობა მისცა, შემჭიდროებულ ვადებში აეშენებინა ახალი და განეახლებინა ძველი საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები, სპორტული ნაგებობები, მოეხდინა ელექტროსადგურების რეაბილიტაცია და გაცილებით მაღალ საფეხურზე აეყვანა რეგიონის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. ამასთანავე, გაეკეთებინა უსაფრთხოების სფეროში ყველაფერი, რასაც საჭიროდ ჩათვლიდა, რადგან ამას ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამართლებდა; რეგიონში საკმაოდ შთამბეჭდავი სამხედრო ინფრასტრუქტურა შეიქმნა. ოლიმპიადა დასრულდება, ხოლო ყოველივე ეს დარჩება — ტერიტორია, 2005 წლის მდგომარეობასთან შედარებით, დღეს გაცილებით მომზადებული ჩანს იმისთვის, რომ შეასრულოს ციხესიმაგრის როლი თავდაცვისთვის და პლაცდარმის როლი წინსვლისთვის (არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც).**

მოსკოვი ყრუ თავდაცვაზე გადასვლას არ აპირებს და, აქედან გამომდინარე, რეგიონში მისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამი სატრანზიტო პროექტი იძენს, რომელთა რეალიზაციის შემთხვევაში „განახლებულ“ კრასნოდარის მხარეზე ევრაზიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაგისტრალი, გადაჭარბების გარეშე, „სტრატეგიული ღერძი“ გაივლის. ესენია: ყუბანსა და ყირიმს შორის სარკინიგზო ხიდის აშენება (სტალინის ძველი პროექტი), აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა და სომხეთ-ირანის რკინიგზის აშენება (საავტომობილო დუბლირებით). ცალ-ცალკე, ყველა ეს პროექტი ეკონომიკურად წამგებიანია, თუმცა ერთად აღებული არა მხოლოდ მომგებიანი გახდება, არამედ რუსეთის სამეზობლოში გავლენის პროეცირების უნიკალურ შესაძლებლობას მისცემს და მის პოზიციებს რეგიონში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

**უკრაინის „მაიდანური ვნებების“ გადამკიდე, ბევრმა კომენტატორმა, უბრალოდ, ვერ შეამჩნია, რომ გასულ კვირას, 30 იანვარს, უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა მრავალწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ დაამტკიცა შეთანხმება რუსეთთან ყირიმისა და ყუბანის დამაკავშირებელი ხიდის აშენების თაობაზე.**

ახლო მომავალში აფხაზეთის გავლით სატრანზიტო მიმოსვლის აღდგენა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებზე, დიდი ალბათობით, ერთ-ერთი დომინანტური თემა გახდება. აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზისა და საავტომობილო ტრასის რეაბილიტაციას გაცილებით ნაკლები დრო და რესურსი სჭირდება, ვიდრე სომხეთ-ირანისა და ყირიმ-ყუბანის დამაკავშირებელი მაგისტრალების აშენებას. მაგრამ ამ შემთხვევაში გაცილებით მეტ ძალისხმევას (და, სავარაუდოდ, დროს) პოლიტიკური წინაღობების მოხსნა მოითხოვს. ამის გაკეთება 2008 წლის ომამდე ვერ მოხერხდა და ახლა კიდევ უფრო რთული იქნება.

## სარკინიგზო მიმოსვლა ბეწვის ხიდზე

2005 წლის 17 დეკემბერს რუსეთის ტრანსპორტის იმჟამინდელმა მინისტრმა იგორ ლევიტინმა ვლადიმერ პუტინს ქართულ მხარესთან გამართული მოლაპარაკებების თაობაზე მოუთხრო: **„ძირითადი მოვლენა გახდა ქართული მხარის თანხმობა სარკინიგზო მიმოსვლის გახსნაზე სოჭი-თბილისის მონაკვეთზე. შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ საქართველო აპირებს, ეს მონაკვეთი რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან ერთად აღადგინოს... საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პროტოკოლს ხელი მოაწერა“.** ამის პასუხად რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა: **„ეს, არსებითად, ჩვენი და პრეზიდენტ შევარდნაძის სოჭის შეთანხმებების რეალიზაციაა. მაგრამ მაშინ, ჩვენ შევთანხმდით იმაზეც, რომ ეს სინქრონიზებული იქნება გალის რაიონში სიტუაციის სტაბილიზაციასთან, დევნილებთან და ელექტროენერგეტიკის პრობლემებთან. მე ცალკე მითითებას მივცემ უშიშროების საბჭოს, რომ ქართველ კოლეგებთან ერთად ამ სიტუაციას შემდგომშიც ყურადღება მიაქციონ“.** რამდენიც უნდა აკრიტიკონ „ნაციონალებმა“ შევარდნაძის ხელისუფლება, ფაქტია, რომ მან მიაღწია იმას, რომ რკინიგზის აღდგენა მიბმული ყოფილიყო დევნილების დაბრუნებასა და კონფლიქტის ეტაპობრივ დარეგულირებაზე და ამას არც რუსეთის ხელისუფლება უარყოფდა. სააკაშვილის ხელისუფლება, რკინიგზის საკითხთან დაკავშირებით, მცირე დროის განმავლობაში ინერციით ამავე ხაზს მიჰყვებოდა, თუმცა ძალიან მალე მუშაობა ამ მიმართულებით, ფაქტობრივად, შეწყვიტა.

დღეს, ომისა და რუსეთის მიერ სეპარატისტული სოხუმისა და ცხინვალის აღიარების შემდეგ, სასტარტო პირობები გაცილებით რთულია. ერთის მხრივ, აშკარაა, რომ კრემლი მზადაა პროექტის რეალიზაციისთვის გარკვეული საფასური გაიღოს (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი, პოლიტიკური მნიშვნელობით), თუმცა **ათი წლისწინანდელი სიტუაციისგან განსხვავებით, იმ ბონუსების ჩამონათვალი, რომელთაც ქართულ მხარეს, სავარაუდოდ, შესთავაზებს, გაცილებით მოკრძალებულია.**

საქართველოს უახლეს ისტორიაში უკვე იყო მომენტი, როდესაც მოსკოვისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გახდა ოფიციალური თბილისის თანხმობა გარკვეულ საკითხზე; ეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების დროს მოხდა. მიხეილ სააკაშვილმა მაშინ გადაწყვიტა, თანხმობის სანაცვლოდ რუსეთისგან ყველა წარმოსადგენი დათმობა მიეღო და, როგორც ყოველთვის, მძიმე შეცდომა დაუშვა. კრემლმა საქართველოს დასავლელ პარტნიორებს მიმართა, მათი ზეწოლის გამო სააკაშვილი იძულებული გახდა, უკან დაეხია და ამდენი ვაჭრობის შემდეგ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელსაც საქართველოსთვის არანაირი რეალური სარგებელი არ მოუტანია. მალე მსგავს სიტუაციაში ახალი ხელისუფლება აღმოჩნდება. რუსეთს სჭიდება მისი თანხმობა, რათა სამხრეთ კავკასიაში სატრანზიტო დერეფანი გაჭრას, მაგრამ აშკარაა, რომ ამ თანხმობის სანაცვლოდ ყველა პირობას არ დათანხდება და უარის შემთხვევაში შეიძლება ალტერნატიული (დიდი ალბათობით, საქართველოსთვის მეტად საზიანო) სტრატეგია აირჩიოს. **ერთი მხრივ, ღარიბაშვილის მთავრობამ მაქსიმუმის მიღება უნდა სცადოს, მაგრამ, მეორე მხრივ, ვაჭრობის პროცესში ზომიერება გამოავლინოს და არ გადააბიჯოს ზღვარს, რომლის მიღმა შეიძლება დაკარგოს ყველაფერი, ისევე, როგორც სააკაშვილმა — თავის დროზე.**

რა იქნება უფრო გონივრული? პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გამიჯვნა თუ პირიქით — „ყველა კვერცხის ერთ კალათაში ჩადება“? შევარდნაძისდროინდელი დარეგულირების სქემების რეანიმირების მცდელობა? წინა პლანზე დევნილების საკითხის წამოწევა? **მთავრობას საკმაოდ რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს და მას, ნებისმიერ შემთხვევაში, არაერთი ოპონენტი გამოუჩნდება, თუმცა ეს მეორეხარისხოვანია — მთავარია შედეგი და იმედია, ის ისეთივე კატასტროფული და სამარცხვინო არ იქნება, როგორც სააკაშვილის მმართველობის წლებში.**

ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლამ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე აუდიტორიაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მან დააფიქსირა ოფიციალური თბილისის პრინციპული პოზიცია სეპარატისტულ რესპუბლიკებთან დაკავშირებით, მაგრამ, ამასთანავე, პრემიერი, სააკაშვილისგან განსხვავებით, არ ლანძღავდა რუსეთს ისტერიული ბავშვივით (რაც თავისთავად არაფერს ცვლის), არამედ სავსებით რაციონალურად საუბრობდა მასთან ურთიერთობის დარეგულირების შესაძლებლობებზე. კარგი იქნება, თუ ასეთივე ტონალობაში წარმართავს დიალოგს კრემლთან, რომელშიც სოჭის ოლიმპიადის შემდეგ, სავარაუდოდ, არაერთი ახალი თემა გაჩნდება (რკინიგზა მხოლოდ ერთ-ერთია).

## კონსერვატორებო ყველა ქვეყნისა!

თითქმის ყველა ექსპერტი თანხმდება იმაზე, რომ სააკაშვილის რეჟიმის კრახის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ახალი ომის დაწყების ალბათობა მკვეთრად შემცირდა. რუსეთი, სავარაუდოდ, იომებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დღის წესრიგში ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის (რეალურის და არა წარმოსახვითის) საკითხი დადგება, რადგან სამხრეთ კავკასიაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არშეშვებას მისთვის ძალიან დიდი ფასი აქვს. ამ ეტაპზე კი, როდესაც საქართველოს გაწევრიანება ალიანსში, ფაქტობრივად, დაბლოკილია, ის, სავარაუდოდ, „რბილი ძალის“ გამოყენებით იმოქმედებს, რათა თანდათან შეამციროს დასავლეთის გავლენა საქართველოში და ქართულ საზოგადოებაში ევრაზიული ინტეგრაციის იდეა პოპულარული გახადოს.

ბოლო დროს რუსეთში ხშირად ტარდება საქართველოსთან დაკავშირებული სოციოლოგიური გამოკითხვები; გამორიცხული არაა, რომ ხელისუფლება ცდი- ▶

**„ოცნების“ წევრები „ნაცებს“ გაურიგდნენ, თანამდებობებს მშვენივრად ინაწილებენ და ცხოვრობენ შეხმატკბილებულები. ეს კი იმიტომ ხდება, რომ „ოცნებამ“ ისეთი ხალხი წამოსწია წინ, რომელთაც არც ცოდნა აქვთ და არც გამოცდილება, „ნაციონალების“ გამოცდილების იმედად არიან.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლობს, დაადგინოს საზოგადოების შესაძლო რეაქცია თავის „ახალ ქართულ პოლიტიკაზე“ და ამისთვის მისი დღევანდელი განწყობისა და აღქმის სტერეოტიპების ტესტირება სჭირდება. ერთ-ერთი ასეთი გამოკითხვის შედეგები რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა (იგივე „ვციომი“) გასულ კვირას გამოაქვეყნა. 1600 რესპონდენტის გამოკითხვა 2-3 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციის 42 სუბიექტში ჩატარდა.

რასთან ასოცირდება რუსეთის მოსახლეობისთვის საქართველო? გამოკითხულთა 37% მიიჩნევს (ეს იყო ე. წ. დახურული კითხვა, ხუთი პასუხის შესაძლებლობით), რომ „ამ ქვეყანას კულტურის სფეროში ბევრი მიღწევა აქვს“. 32% თვლის (რაც ომისა და თანმდევი პროპაგანდის კვალობაზე გასაკვირი ნამდვილად არაა), რომ „ამ ქვეყანას რუსეთის მიმართ არამეგობრული განზრახვები აქვს“. გამოკითხულთა 29% აზრით, „ეს ქვეყანა მიეკუთვნება იმავე კულტურულ სივრცეს, რომელსაც რუსეთი“. რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთანხმა შემდეგ მოსაზრებებს: „ეს კონტრასტების ქვეყანაა, რომელშიც ერთმანეთის გვერდი-გვერდ სიღარიბეში უბრალო ხალხი, ფუფუნებაში კი მდიდრები ცხოვრობენ“, „ამ ქვეყნის მოსახლეობისთვის თავისუფლება და დემოკრატია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ძლიერი ხელისუფლება“ და „ამ ქვეყნის მცხოვრებნი დიდი გაქანებითა და ფანტაზიით მოქმედებენ“ (28, 26 და 24 პროცენტი შესაბამისად). ალბათ, საინტერესო იქნება იმ მოსაზრებების (თუნდაც პირველი ხუთეულის) ჩამოთვლა, რომელთაც „ვციომის“ რესპონდენტები არ იზიარებენ. 39% არ ეთანხმება მოსაზრებას „ამ ქვეყნის ცხოვრების ყველა სფერო გამართულად ფუნქციონირებს, ხელისუფლება ეფექტურად მუშაობს“. 38% უარყოფს მოსაზრებას „ამ ქვეყანაში ხალხი კარგად ცხოვრობს“. **აგრეთვე, „ვციომის“ მიერ გამოკითხული რუსეთის მოქალაქეები არ იზიარებენ საქართველოსთან დაკავშირებულ შემდეგ მოსაზრებებს: „ამ ქვეყნის როლი მსოფლიოში იზრდება“, „ამ ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად ვითარდება“ და „ამ ქვეყანაში წარმოებული საქონელი ძირითადად ხარისხიანია“ (35, 33 და 30 პროცენტი შესაბამისად).**

**როდესაც რესპონდენტებს სთხოვეს, დაესახელებინათ სამი ღირებულება, რომელიც, მათი აზრით, ქართველებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ სოციოლოგებს შემდეგი პასუხი გასცეს: ტრადიცია — 63%, ოჯახი — 53%, სიამაყე — 35%, რელიგიურობა — 16%, თავისუფლება — 13%, კანონის პატივისცემა — 11% (დანარჩენი — 10%-ს ქვემოთ).** ეს მონაცემები რუსეთის უბრალო მოქალაქეების პოზიციას ასახავს, მაგრამ დაახლოებით იგივე პრიორიტეტები ფიგურირებს რუსი მაღალჩინოსნებისა და ექსპერტების ზოგიერთ განცხადებებში, რომლებშიც ცდილობენ, საქართველოს მდგომარეობა შედარებით ვრცლად აღწერონ. როგორც ჩანს, სწორედ ასეთებად წარმოვუდგენივართ და, სავარაუდოდ, დახლოებით ამ სივრცეში მდებარეობს ის რესურსი, რომელსაც მოსკოვი საქართველოში პოზიციების გაძლიერებისთვის გამოიყენებს.

საქმე ისაა, რომ ყოველივე ჩამოთვლილი კონსერვატორებისა და ტრადიციონალისტების პრიორიტეტული ღირებულებების რიცხვს მიეკუთვნება (აქ საუბარია შესაბამისი იდეების მატარებლებზე და არა ამავე სახელწოდებების მქონე ქართულ პოლიტიკური პარტიებზე). ახლახან თავის ყოველწლიურ მიმართვაში რუსეთის პარლამენტისადმი ვლადიმერ პუტინმა საყოველთაო ანტიგლობალისტური მობილიზაციისკენ მთელ მსოფლიოში სწორედ ამ ძალებს მოუწოდა და, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს იმას, რომ ამ ძალებმა საქართველოშიც გაიმარჯვონ. **ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ იდეების მატარებლები ნებისმიერ ქვეყანაში ადრე თუ გვიან ყოვლისმომცველ კონფლიქტში შევლენ თანამედროვე დასავლურ ლიბერალიზმთან და გლობალიზაციის ძირითად იდეებთან და პუტინის რუსეთს ბუნებრივ მოკავშირედ აღიქვამენ.** მნიშვნელობა არ აქვს, ექნება ამ დაპირისპირებას ისეთი ფორმები, როგორიც მან გასული წლის 17 მაისს თბილისში, ფართო მასების მიერ ლგბტ-აქტივისტების დარბევის დროს მიიღო თუ რაიმე სხვა, მოსკოვისთვის მთავარია, რომ დაფიქსირდეს პრინციპული შეუთავსებლობა (უპირველესად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების) კონსერვატორ-ტრადიციონალისტების ღირებულებებსა და იმ პერსპექტივას შორის, რომელსაც მათ დასავლეთი სთავაზობს. ასე რომ, ყველაზე სასურველ პარტნიორებად საქართველოში კრემლი, სავარაუდოდ, განიხილავს არა მათ, ვინც უბრალოდ ყვირის, რომ „მზე ჩრდილოეთიდან ამოდის“, არამედ ჩვეულებრივ, ასე ვთქვათ, „საშუალო-სტატისტიკურ“ კონსერვატორებსა და ტრადიციონალისტებს, რომელთაც ყველაზე მეტად ეროვნული თვითმყოფადობისა და ტრადიციების დაცვის პრობლემები აღელვებთ. ეს საკმაოდ სერიოზული რესურსია (ყოველ შემთხვევაში, საქართველოში ასეა) და მოსკოვი გააკეთებს ყველაფერს, რათა ის სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის პოზიციების შესუსტებისთვის გამოიყენოს. შემდეგ კი, როდესაც ანტიდასავლური განწყობა საქართველოში პიკს მიაღევს, გამორიცხული არაა, პუტინმა კიდევ ერთხელ, ამჯერად გაცილებით მკაფიოდ თქვას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელია (ცხადია, რუსული ქოლგის ქვეშ), როგორც ეს უკვე ორჯერ გააკეთა სადისკუსიო კლუბ „ვალდაისა“ და ევგენი პრიმაკოვის იუბილეზე, რომლის შემდეგაც ბრძოლა საქართველოსთვის ახალ სტადიაში შევა, ხოლო ქართულ საზოგადოებაში, საგარეო ორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით, დიდი ალბათობით, სწრაფი და მკვეთრი პოლარიზაციის პროცესი დაიწყება.

**დიმიტრი მონიავა**

# სამეგრელოში «ნაციონალების» თარეში არ დასრულდება, ადგილობრივ არჩევნებშიც დიდ შედეგს დადებენ, ისინი, სულ ცოტა, 40%-ს აიღებენ

**ბიძინა ივანიშვილის ქველმოქედების შესახებ მის პოლიტიკაში მოსვლამდეც ბევრი რამ ცნობილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი ერთი ფოტოც კი არ გაგვაჩნდა და ფიზიკურად ვერ ვცნობდით, მაინც ყველაფერი ვიცოდით. მასზე ლეგენდები დადიოდა. როგორც კი ხელისუფლებაში მოსვლა გადაწყვიტა, მთელი დავთარი გამოქვეყნდა იმის შესახებ, თუ სად, რომელ კუთხეში რა გააკეთა. გურულები მის მზეს ფიცულობდნენ, აჭარლებიც, აღარაფერს ვამბობთ, თავად საჩხერეზე და საკუთარ სოფელ ჭორვილაზე, წინასაარჩევნოდ დიდი პატივი სცა სტიქიით დაზარალებულ კახელებსაც, რამაც 2012 წლის არჩევნებზე გარკვეული გავლენა იქონია.**



ერთ-ერთი კუთხე, რომელიც ყველა ყოფილი ხელისუფლებისგან და თავად ბიძინა ივანიშვილისგანაც მიტოვებული იყო და ასეთად დარჩა კიდეც, სამეგრელოა. ივანიშვილის ქველმოქმედების ნუსხაში სამეგრელო არ ფიგურირებს და საპარლამენტო არჩევნების შედეგიც ასეთი დადგა, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა მხოლოდ ერთ ქალაქში — ფოთში გაიმარჯვა.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა, თუ რა ვითარებაა სამეგრელოს რეგიონულ ცენტრში — ზუგდიდში: რა შეიცვალა ახალი ხელისუფლების პირობებში სასიკეთოდ, როგორ ცხოვრობენ ადგილობრივები და გაჩნდა თუ არა რეგიონში დაპირებული საწარმოები?

ომარ სიჭინავა, ზუგდიდის მკვიდრი, პედაგოგი, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი:

**— ბატონო ომარ, რა ვითარებაა ზუგდიდში? როგორი განწყობა აქვს ხალხს? თვლიან, რომ მათი ყოფა გაუმჯობესდა?**

## ახალი ხელისუფლების მოსვლას ზუგდიდში ვერავინ გრძნობს, შეგრძნება გვაქვს ისეთი, რომ მთავრობა საერთოდ არ გვყავს

**— ახალი ხელისუფლების მოსვლას ზუგდიდში ვერავინ გრძნობს, შეგრძნება გვაქვს ისეთი, რომ მთავრობა საერთოდ არ გვყავს ან ზუგდიდისთვის არ სცალია. ადგილი აქვს უსამართლობას, ზუსტად ისე, როგორც წინა მთავრობის დროს.**

**— რა სახის უსამართლობაზეა საუბარი?**

— ძირითადად, სოციალურად დაუცველი ხალხი ჩივის, მათ ისევ უჭიანურდებათ ის პროცესი, რომ დახმარება მიიღონ, ისევ თბილისისკენ იშვერს ყველა ხელს და ამბობენ, რომ დედაქალაში უნდა მოგვარდეს კონკრეტული გაჭირვებული ოჯახის პრობლემა, რაც გასაკვირია. ისევ ბიუროკრატიაა და სიმართლის პოვნა ძნელია. საპასუხისმგებლო სამსახურებში ისევ „ნაციონალები“ სხედან.

ყველაზე მეტად ხალხის წყრომას იწვევს ის, რომ **სამეგრელოში ეკონომიკური მდგომარეობა კი არ გამოსწორდა, უარესობისკენ წავიდა. გაზაფხულზე ყველა რაიონს უჭირს, მაგრამ ზუგდიდს — განსაკუთრებით. ჩვენი ერთადერთი შემოსავალი თხილია და გაზაფხულზე თითქმის ყველა ოჯახი უშემოსავლოდ რჩება. ჩვენთან არ არის სამუშაო ადგილები, გაჩერებულია ყველანაირი მშენებლობა, პროექტები, რომლებიც ანაკლიაში ხორციელდებოდა და საკმაოდ ბევრი ხალხიც იყო დასაქმებული.** თავად ანაკლიაში მცხოვრები მცირე ბიზნესმენებიც გაგიჟებულნი არიან, მათი ერთადერთი შემოსავალი ის პატარა მაღაზიები და ჯიხურები იყო, რომელთაც აქამდე მეტ-ნაკლებად ამუშავედნენ. მათთან გასაუბრება პრობლემა არ არის, თქვენც შეგიძლიათ ჰკითხოთ და გეტყვიან, რა მდგომარეობაა.

ანაკლიაში მას შემდეგ, რაც მშენებლობები დაიწყო, ხალხმა ცოტა ამოისუნთქა. მათთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ბევრი დამსვენებელი ყოფილიყო, სასტუმროებში სტუმარი ჩასულიყო, ამით მაღაზიის მეპატრონეები ოჯახის რჩენას ახერხებდნენ. ერთ-ერთმა მეწარმემ თქვა, რომ დღეში 2 ათას ბოთლ მინერალურ წყალს ყიდდა და ახლა ათ ბოთლს ძლივს ყიდის. თითქოს მცირე ნიუანსია, მაგრამ ყველაფერი ერთმანეთს ემატება და ხალხის უკმაყოფილებაც მძაფრდება.

**— რა ვითარებაა საკრებულოებში და გამგეობაში?**

— გამგეობა „ქართული ოცნების“ წევრებით დაკომპლექტდა, საკრებულოში ისევ „ნაციონალები“ არიან.

**— ძალიან ბევრ რაიონში ახალ ხელისუფლებას უჩივიან, რომ „ნაცებიდან“ შეგზავლინი ხალხიაო, ამ მხრივ რა ვითარებაა ზუგდიდიში?**

— ამის ფაქტები არ მაქვს, მაგრამ **ყველაფერი „ნაციონალებთან“ შეთანხმებით რომ ხდება, ეს ნათლად ჩანს. „ნაცები“ და „ოცნება“ ერთმანეთთან შეხმატკბილებულები მუშაობენ. საპრეზიდენტო არჩევნებში ეს აშკარად გამოჩნდა, ისინი პროცენტებზეც შეთანხმებულები იყვნენ.**

სამეგრელოში „ნაციონალების“ თარეში არ დასრულდება, ადგილობრივ არჩევნებშიც დიდ შედეგს დადებენ, ისინი, სულ ცოტა, 40%-ს აიღებენ.

**— რა იწვევს ამას, რომ ხალხს „ნაციონალების“ მეტი იმედი აქვს?**

— ზუგდიდში საქმე არ კეთდება. სამართალდამცავები, როგორც ადრე, ისევ დაგეშილები არიან, მგონი, ამ მხრივ დაწყევლილები ვართ. ისინი თავის უფლებამოსილებას ამეტებენ. არჩევნებისთვის ფულს აგროვებენ და ჯარიმებს, როგორც გაუხარდებათ, ისე უწერენ ხალხს.

**გზების მშენებლობა შეჩერებულია, დენი ითიშება, ამის კი აქაურ მოსახლეობას ძალიან ეშინია, ყველას ახსოვს დრო, როდესაც კვირაობით შუქი არ ჰქონდათ, იმ დროში დაბრუნება არავის სურს. ზუგდიდი უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაშია და ამას როდემდე გაუძლებენ ან მოითმენენ, არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, უკმაყოფილება დღითიდღე მატულობს.**

ირაკლი დარასელია, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი:

— ყველაფერი უარესობისკენ შეიცვალა, ამას ვინ ელოდა? ჩვენ, ვინც როლანდ ახალაიასა და მისი ნაძირალა შვილების პირობებშიც კი ვახერხებდით, რომ სიმართლე გვეთქვა და გვებრძოლა, ძალიან იმადგაცრუებულები ვართ. რამდენი რამე გადავიტანეთ და **ახლაც კი, როდესაც ბოლოსდაბოლოს „ნაცები“ ხელისუფლებაში აღარ არიან, მაინც ზუგდიდელების საშველი არ არის. „ოცნების“ წევრები „ნაცებს“ გაურიგდნენ, თანამდებობებს მშვენივრად ინაწილებენ და ცხოვრობენ შეხმატკბილებულები. ეს კი იმიტომ ხდება, რომ „ოცნებამ“ ისეთი ხალხი წამოსწია წინ, რომელსაც არც ცოდნა აქვს და არც გამოცდილება, „ნაციონალების“ გამოცდილების იმედადაა.**

მოკლედ, ბევრი რომ არ ვილაპარაკო, ყველაფერი ძალიან ცუდად არის. შეგრძნება გვაქვს, რომ არც გამოსწორდება, რადგან ამ სურვილს ვერავისგან ვხედავთ. ეს კი კარგი ნამდვილად არ არის. რაც ყველაზე მთავარია, მიშას სიტყვები მართლდება, ძველ დროში დაბრუნდებით, დენი და გზა რომ არ გქონდათო. ასეც არის, შუქი ისეთი ინტენსივობით ითიშება, რომ ხალხს უკვე მართლა აქვს შეგრძნება, რომ ძველ დროში ვბრუნდებით.

## სამეგრელოში ეკონომიკური მდგომარეობა კი არ გამოსწორდა, უარესობისკენ წავიდა

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გუშინ ერთი ხელით ქრთამს რომ იჯიბავდი და მეორეთი პატიმრებს აწამებდი, დღეს, როდესაც გაკრიალებული ფორმა ჩაიცვი, გარეგნული სისუფთავე გგონია მუნდირის ღირსება? მუნდირის ელვარება ღირსებას ნიშნავს?**




**ამონარიდი წერილიდან, რომელიც ცოტნე გამსახურდიამ 2013 წლის 7 ივნისს გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში:**

„ხალხო, ამიხსენით, ნუთუ გჯერათ, რომ ავღანეთში ვინმე ძალით მიჰყავთ?! რიგი დგას წამსვლელების, ოღონდ ხელფასზე დარიცხვები მიიღონ! თქვენი დაუფიქრებელი, აბსურდული ეპითეტები მათ მხოლოდ უძლიერებს მოტივაციას და არარეალურ, ილუზორულ სამყაროში ამყოფებთ. რა გმირები და რის ვაჟკაცები, მონასპის ვაჟკაცობა ვინ გაიგონა? ახლა კიდევ გამოვა ვინმე „ჰუმანისტი“ და დაიწყებს გამართლებას, — აი, გაჭირვებამ ქვეყანაში, ეშმაკმა, მასონებმა, სომხებმა, „ნაცებმა“ და ა. შ. მიგვიყვანეს ამ დონემდეო. არა, ეგ ყველაფერი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების რეცეპტებია! თუ მიდიხარ, იმის ტრ...ც უნდა გქონდეს, რომ პასუხი აგო შენს საქციელზე და გაჭირვება ინდულგენცია არაა! ეს არის ქვეყანა, სადაც გლოვობენ რამდენიმე დაქირავებულს, ვინც თვეში რამდენიმე ასეული დოლარით მეტის ასაღებად ყიდის საკუთარ და სხვის სიცოცხლეს, მაგრამ არ ახსოვთ: აქ წელიწადში დაახლოებით ორი ათასი უმანკო, ანგელოზი ბავშვი შიმშილით კვდება. ნუ ამაღლით თქვენს სისხლს და დოლარებს ნურავის, ბლიად! ცოტა მეტი რომ გადაგიხადონ, ჩვენც მოგვკლავდით! ასე ბევრჯერ მომხდარა ამ ქვეყანაში...“

### ცოტნე გამსახურდია:

# რად მინდა ხელისუფლება, თუ თვითონვე დავიწყე სამართლის აღსრულება?!



## «არ ვაპირებ ვანო მერაბიშვილის ცოლთან პოლემიკას, მაგრამ, სამართალი რომ აღდგეს, მისი ქმარი მთელი ცხოვრება ციხიდან ვერ გამოვა»

**„გავიხსენებ, როგორი წკავწკავი ატეხეს მავანთ ჩემი მწვავე სტატუსის გამო, რომელიც ავღანეთში მომსახურე სამხედროებზე დავწერე სოციალურ ქსელში. ვირის წიხლი და ღორის მიერ ნასროლი ტალახი დიდად არ მადარდებს, მაგრამ დღეს ყველას გეკითხებით — ნორმალურია ის საზოგადოება, რომელსაც ამ კადრების ფიგურანტების (ძალოვან სტრუქტურებს ვგულისხმობ) 90-პროცენტიანი ნდობა ჰქონდათ?! აჰ, დამავიწყდა, მეთქვა, — ალბათ, ესენი ქართველები არ არიან, უმრავლესობას სომხური სისხლი ექნება, მაშ!“ — ეს სარკაზმით სავსე სიტყვები ცოტნე გამსახურდიამ სოციალური ქსელში დაწერა ე. წ. მუხროვანის ამბოხის კადრებთან დაკავშირებით, შს იმჟამინდელი მინისტრი ვანო მერაბიშვილი ორ გვამს რომ მოითხოვს და ამისთვის პრემიას აწესებს. საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ვაჟი ცოტნე გამსახურდია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება:**

— არ მიყვარს განცდა, რომელსაც იმედს უწოდებენ. მიმაჩნია, რომ იმედი მხოლოდ ილუზიაა, ადამიანის წარმოსახვა და პროექციაა იმისა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. იმედი, ფაქტობრივად, არასდროს მართლდება და, როგორც გსურს, ისე არფერი ხდება. რა გაეწყობა, ეს ცხოვრების კანონზომიერებაა! იმედს თან სდევს შიშიც. როდესაც რაღაცის იმედი გაქვს, ამასთანავე, გაქვს შიშიც, რომ ეს ისე არ მოხდება, როგორც შენ გსურს. ამიტომ ყოველგვარი იმედისგან შორს ვარ და არც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მქონია ილუზია, რომ ქვეყანაში ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა, მაქვს პროცესის დაუსრულებლობის განცდა. **მართალია, ხელისუფლებაში აღარ გვყავს ჰიპერაქტიული ბანდა, რომელიც ცდილობდა საყოველთაო ტერორის დამყარებას, უკონტროლო ძალაუფლებისა და ქონების მოხვეჭას, დღეს ესენი აღარ ბოგინებენ, მაგრამ მაქვს დაუსრულებლობის განცდა, თუნდაც იმიტომ, რომ ახალმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო იმ დაპირების შესრულება, რომელსაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია და ასევე ჯერჯერობით არ ჩანს ფინანსურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების წინაპირობა.**

**— რა არის ამის მიზეზი?**

— **ამ სიტუაციაში დღევანდელი ხელისუფლების უუნარობა იკვეთება. არსებობს საგარეო ფაქტორიც, მაგრამ არ მგონია, რომ ერთი მუჭა დამნაშავეებისთვის ვინმემ გააფუჭოს საერთაშორისო ურთიერთობები, თუმცა შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამერიკელები და ევროპელები ზნეობრიობის ეტალონები არიან.** ამ ქვეყნებშიც ისეთივე ადამიანები ცხოვრობენ, როგორიც ყველგან და დასავლეთის გარკვეულ წრეებთან არცთუ კეთილსინდისიერი ურთიერთობა ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს და მის რეჟიმს, უხეშად რომ ვთქვათ, ძალიან ბევრს აჭმევდა.

**— კონკრეტულად ვის?**

— როგორ გითხრათ, სანთელი ხელში არ მეკავა და მათ არ ვდარაჯობდი, მაგრამ **არსებობს ფაქტები, რომელთაც ვერსად გაექცევა სააკაშვილი და მთელი ნაცბანდა. მაგალითად, მეთიუ ბრაიზას თავის დროზე ქორწილი გადაუხადეს, ბინა აჩუქეს და ა.შ. ზოგი სტიპტიზბარებში დაჰყავდათ და ზოგი — სად. უცხოური ორგანიზაციები კი მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის ქმედებებს დაბურული მინებიდან უყურებდნენ — ხელს აძლევდათ ხელისუფლებაში სააკაშვილის ყოფნა, რადგან მათი პროექტის ნაწილი იყო.** ეს ადამიანები თუ ძალები კვლავ უფრთხილდებიან საკუთარ ავტორიტეტს და დღესაც იძულებულნი არიან, სააკაშვილი და მისი ამალა მსოფლიოს თვალში გაათეთრონ. ამის გამო, დარწმუნებული ვარ, ახალ ხელისუფლებაზეც ზემოქმედებენ. საუბარია გარკვეულ წრეებზე, რომლებსაც მეტ-ნაკლებად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ წინა ხელისუფლებასთან, თუმცა ეს ყველაფერი ხელს არ უნდა უშლიდეს ახალ ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენასა და დამკვიდრებაში. აბა, **რად მინდა ხელისუფლება, თუ თვითონვე დავიწყე სამართლის აღსრულება?! დღევანდელ სიტუაციაში ხელისუფლების უუნარობაც გამოსჭვივის. დღეს ძალოვან სტრუქტურებში კვალიფიციური, წესიერი კადრების დეფიციტია,** თუნდაც იმ შავი დღეების გამო, რომლებიც ბოლო ორ ათეული წლის განმავლობაში საქართველომ გამოიარა. ისე, რა ორი ათეული წელი, ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმიდან მოყოლებული, **გამახსენეთ, საქრთველოში როდის არსებობდა წესიერი, პატრიოტი, პროფესიონალი ძალოვანი სტრუქტურა?** მეცინება, როდესაც საუბრობენ მუნდირის ღირსებაზე. ეს ღირსება მათ არასდროს ჰქონიათ და დღეს რატომ საუბრობენ ამაზე? **გუშინ ერთი ხელით ქრთამს რომ იჯიბავდი და მეორეთი პატიმრებს აწამებდი, დღეს, როდესაც გაკრიალებული ფორმა ჩაიცვი, გარეგნული სისუფთავე გგონია მუნდირის ღირსება? მუნდირის ელვარება ღირსებას ნიშნავს?** დარწმუნებლი ვარ, დღეს საქართველოში შესაძლებელია ამ ცვლილების განხორციელება, უამრავი კვალიფიციური იურისტი არსებობს, რომლებიც შეძლებენ ამ პროცესების წარმართვას ისე, როგორც საჭიროა.

**რაც შეეხება ცნობილ სასამართლო პროცესებს, ახალაიასი იქნება ეს თუ მერაბიშვილის, აქ შეგნებულ საბოტაჟს თუ შეუგნებელ უმეცრებას აქვს ადგილი პროკურატურის მხრიდან ბრალის წაყენების დროს.** ჩემს საქმეზეც მოგახსენებთ. რამდენიმეჯერ ვიმყოფებოდი პროკურატურაში და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ დღევანდელი პროკურატურის თანამშრომლები შეგნებულად ცდილობენ, შეალამაზონ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაული და მიჩქმალონ ფაქტები. **ორი წელი სრულდება, რაც ციხიდან გამოვედი და ჩემ მიერ პროკურატურაში შეტანილ განცხადებებს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. კანონიერ ძალაში შესული უკანონო განაჩენის გადახედვაც კი არ მომხდარა.** გარდა ამისა, შეტანილი მაქვს საჩივარი ჩემთვის მოყენებულ ფიზიკურ დაზიანებაზე და არც ამ საკითხზე მომხდარა რეაგირება. პროკურატურაში ბოლოს შარშან ზაფხულში ვიმყოფებოდი, ვესაუბრე პროკურორებს და დამრჩა განცდა, რომ თითქოს, მათ არაფერი იციან და ცდილობენ, ჩემგან მიიღონ ინფორმაცია. ასე იმიტომ იქცეოდნენ, რომ მომავალში შეთხზან შელამაზებული ვერსია ნაცრეჟიმის გასამართლებლად. რაც შეეხება კბილაშვილის მიერ დანიშნული პროკურორების გათავისუფლებას ფარცხალაძის მიერ, ეს ნიშნავს, რომ როტაცია შესაძლებელი ყოფილა და თურმე არც ისე უიმედოდაა საქმე, როგორც პაპუასები შეჰყურებდნენ მიკლუხო-მაკლაის. სიმართლე გითხრათ, მაწუხებს მხოლოდ ის, რომ ეს ორგანო არ მუშაობს.

— **„ორი გვამი მჭირდება!“ — ვანო მერაბიშვილის მიერ ნათქვამმა ამ ფრაზამ დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია...**

— მიმაჩნია, რომ მუხროვანის ბაზაზე მართლაც ჰქონდა გარკვეულ დაუმორჩილებლობას ადგილი. შეიძლება, იქ მართლაც იყო კოცონი, მაგრამ არ ყოფილა ხანძარი, როგორც ეს გააბუქეს და 2009 წლის საპროტესტო აქციების ფონზე, სააკაშვილმა გადაწყვიტა, საკუთარი პიარისთვის, ძალაუფლების განსამტკიცებლად გამოეყენებინა. **იქ იყო გარკვეული დაუმორჩილებლობა, მაგრამ არ ყოფილა ამბოხება და წინასწარ დაგეგმილი, უცხო ძალების მიერ კოორდინირებული შეთქმულება.** რაც შეეხება გვამებს, არ ვარ რეჟისორი, მაგრამ ამ სცენას მათზე უკეთესად დავდგამდი. **ამ კადრებში ცხადად ჩანდა ქართველი კაცისთვის, კერძოდ, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებისთვის დამახასიათებელი უპასუხისმგებლობა, უუნარობა, საკუთარი აზრის არქონა, მერკანტილურობა, ბრმა მორჩილება მატერიალური დაინტერესების გამო...** ამ სიტუაციაში საუბარი ზედმეტია ვიღაცის სიცოცხლის ფასეულობაზე. ამ კადრებში ვინც ჩანდა, ნებისმიერისთვის რომ ებრძანებინა ვანოს, საკუთარ შვილს ესროლეო, უყოყმანოდ ესროდა. ესენი იყვნენ ზომბირებული ტიპები, რომლებიც თვალებში შესციცინებდნენ ვანოს. ასეთია ჩვენი ძალოვანი სტრუქტურებისა და ასევე ჩვენი საზოგადოების სახე. დიახ, ამ ადამიანებს საზოგადოების 90-პროცენტიანი ნდობა ჰქონდათ. რაც შეეხება იმას, რომ ვანოს ორი გვამი სჭირდებოდა, არც ვიცი, ამ დამოკიდებულებას რა ვუწოდო, რადგან ეს გვამები საილუსტრაციოდ სჭირდებოდათ. რის საილუსტრაციოდ, ეს სხვა თემაა. მათ სჭირდებათ გვამები და მნიშვნელობა არ ჰქონდა, დამნაშავის იქნებოდა თუ უდანაშაულო ადამიანებისა. არადა, დამნაშავისთვის სიცოცხლის მოსწრაფებაც დანაშაულია, მით უმეტეს, სახელმწიფო მოხელის მიერ, როდესაც ჯერ არც სასამართლო ჩატარებულა და ქვეყანაში არ არის სიკვდილით დასჯა. მთავარი იყო ის, რომ ვანოს სჭირდებოდა გვამი და ვისი — ჩემი თუ თქვენი, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. რაც შეეხება „ნაცმოძრაობის“ წევრთა მოსაზრებების აჯაფსანდალს ამ თემაზე, ამაზრზენია. ერთი გაიძახის, რუსების გვამი სჭირდებოდაო; თვითონ ვანო ამბობს, გაქცეულების თუ გამოქცეულების, უცხო პლანეტელების გვამებს ვგულისხმობდიო.

**— მის ცრემლს ბოლო სასამართლო სხდომაზე რას უკავშირებთ?**

— ტირილით ყველა ადამიანს უტირია. მისი ცრემლები სცენური ეფექტისთვის გათვლილი მომეჩვენა. **ცრემლითა და ბავშვის წერილებით ვითარების დრამატიზება არ არის საჭირო. ვანოს ამ ყველაფერზე იმ დროს უნდა ეფიქრა, როდესაც უამრავი ბავშვი დააობლა და აატირა. დაე, მან კანონის წინაშე აგოს პასუხი, მით უმეტეს, რომ მისი პატიმრობის სიტუაცია გაცილებით მსუბუქია, ვიდრე მისი მინისტრობის დროს იყო ციხეებში შექმნილი.**

**— ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია ტრანსფარანტებით სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს...**

**— არ ვაპირებ ვანო მერაბიშვილის ცოლთან პოლემიკას, მაგრამ სამართალი რომ აღდგეს, მისი ქმარი მთელი ცხოვრება ციხიდან ვერ გამოვა. სამართალი რომ აღდგეს, სანდრო გირგვლიანის საქმეც უნდა გამოიძიონ. ბოლოს და ბოლოს, ამ ამბიდან 8 წელი გავიდა და რას ფიქრობს ხე-** ▶

**„აქ რომ წიწაკის გაზითა და ხელკეტებით შემოვიდნენ, კარგი არაფერი მოხდება. პატიმრების ცემა-ტყეპამ სადამდე მიიყვანა წინა ხელისუფლება, კი ხედავთ კარგად. იმათ არ ჰქონდათ უფლება და ყველაფერს იყენებდნენ, ამათ კიდევ დაკანონება უნდათ და ვნახოთ, აბა, ბოლოს რა გამოვა“.**

ღირსების საქმე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლისუფლება, არ ვიცი,** თუმცა ერთი რამ გარდაუვალია, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა აუცილებლად მოუწევთ.

**— თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ამერიკაში ვიზიტისას განაცხადა, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ და დავაფასოთ წინა ხელისუფლების ღვაწლი და მათ მიერ აგებულ მყარ ნიადაგზე წინსვლა განვაგრძოთო. მინისტრის ეს სიტყვები საზოგადოების დიდ ნაწილს დღემდე აღიზიანებს...**

— ეს არის უპრინციპო, დაბნეული პოლიტიკოსის ნათქვამი. ამ ფრაზის ავტორი იმავე კატეგორიას განეკუთვნება, რომელსაც ლევან ბერძენიშვილი. ბერძენიშვილმა ხომ განაცხადა, მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებით დემოკრატიის სკოლის პირველ კლასში დავბრუნდებითო, და ისიც — „ნაციონალური მოძრაობის“ შენარჩუნება ჩვენი პირველი ამოცანააო?! სამწუხაროა, თუ ალასანია მართლა ასე ფიქრობს. შესაძლოა, ეს უნებლიეთ მოუვიდა, ადეკვატურად ვერ გამოხატა თავისი სათქმელი. სააკაშვილის გზით სიარული კი, არა მგონია, ვინმეს უნდოდეს.

**თუ სამართლიანობის აღდგენა ახლა არ მოხდა, ქვეყანაში სამართალი ვერასდროს დამკვიდრდება.** ამიტომ, საზოგადოება უნდა გააქტიურდეს, ჩამოყალიბდეს შესაბამისი ორგანიზაციები, სადაც გაერთიანდებიან რეჟიმის მსხვერპლი ადამიანები და უნდა ვაიძულოთ ხელისუფალნი, რომ შეასრულონ ის ფუნქცია, რომელიც ევალებათ; თუმცა ერთიც არის — ქართველებს სოლიდარობის განცდა მაინცდამაინც გამძაფრებული არ გვაქვს; ნაცნობ-მეგობრობის, ნეპოტიზმის ფაქტორი უფრო მუშაობს.

**— საზოგადოების დიდმა ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ გაიგო გიორგი მარგველაშვილის ფუნქცია. მას უმოქმედოს და „შემოულაწუნე პრეზიდენტსაც“ კი უწოდებენ...**

— მარგველაშვილისა და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტების პლუს-მინუსებზე შემდეგ ინტერვიუში ვისაუბროთ. ამაზე მართლაც ძალიან ბევრია სალაპარაკო, თუმცა ესეც ვერ უშველის არსებულ მდგომარეობას. გამოსავალი ის იქნება ის, რომ თითოეულმა ადამიანმა ვიზრუნოთ საკუთარი თავის შეცვლაზე, ჩვენს გონებაში მოვახდინოთ გარდატეხა უკეთესობისკენ. დროა, ვისწავლოთ წესიერება, სხვისი გასაჭირის გულთან მიტანა, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ჩვენ მუდამ გვსურს ნაჩუქარი, გამზადებული, მოვალეობებს და ვალდებულებებს კი ყოველთვის გავურბივართ. ეს ყველაფერი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზეც აისახება და, შესაბამისად, საზოგადოებრივზეც. **სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს საზოგადოება, არსებობენ ცალკეული ადამიანები და მათი ოჯახები. როგორიც ვართ თითოეული ჩვენგანი, ისეთივეა ჩვენი ქვეყანა!**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

# რატომ არ წავიდნენ ხაიშის მოსახლეობასთან შეხვედრაზე სოსო ჯაჭვლიანი და თეა წულუკიანი

**ხუდონჰესის მშენებლობას, შესაძლოა, ისეთი ამბები მოჰყვეს, წინა ხელისუფლების დროსაც რომ არ მოხდარა. სოფელ ხაიშის მცხოვრებნი არ მალავენ, რომ საკუთარ მიწას არ დათმობენ. უფრო ზუსტად, ხაიშელებს ყველაზე მეტად წინაპართა საფლავების დათმობა უჭირთ და ამბობენ, საფლავებს ფულზე ვერ გავყიდითო. განცხადებების გარდა, სვანებმა ხატზეც დაიფიცეს და, ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ეს რადიკალური ზომაა. ახლა რომ დათმონ ხაიშელებმა, სვანები არ აპატიებენ და ეგებ არც სალოცავებზე შეუშვან ამ სოფლის მცხოვრებნი.**

ხელისუფლება კარგად ხვდება, რომ სიტუაცია უმძიმესია და სწორედ ამიტომ, ხაიშელებთან სასაუბროდ ის სვანები გაუშვეს, რომლებიც პარლამენტშიც არიან და მთავრობაშიც. მოკლედ, წინასწარი ვარაუდით, ხაიშელებს პრალამენტარები — ვიქტორ ჯაფარიძე და სოსო ჯაჭვლიანი, მინისტრები — სოზარ სუბარი და თეა წულუკიანი უნდა შეხვედროდნენ. მათთან ერთად უნდა ყოფილიყო მესტიის გამგებელი კახა ჟორჟოლიანიც, თუმცა...

**საჯაროდ არავინ ამბობს, მაგრამ ხაიშში წასვლაზე და სოფელთან დახურულ კარს მიღმა საუბარზე უარი წულუკიანმა და ჯაჭვლიანმა განაცხადეს. პარლამენტარს პირდაპირ უთქვამს: რა პირით მივიდე ხალხთან, რომელმაც ხატზე დაიფიცა, რა ვუთხრა, ხატი გატეხეთ და მე დამიჯერეთო?!.. იმავე მიზეზით ხაიშის გზას არ დაადგა თეა წულუკიანიც და, როგორც ამბობენ, ამის გამო ირაკლი ღარიბაშვილის აშკარა რისხვა დაიმსახურა, თუმცა წულუკიანი პრაქტიკულად ერთადერთია იმ მინისტრთაგან, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია თქვას, მივდივარო და ეს დისკომფორტს არ შეუქმნის.** შესაბამისად, წულუკიანთან ულტიმატუმით საუბარი არ გამოვიდა, ისევე, როგორც ჯაჭვლიანთან და შედეგად მძიმე მისია ჟორჟოლიანი-ჯაფარიძე-სუბარის ტრიომ იკისრა.




**ჩვენი ინფორმაციით, ეს სამეული ხაიშელებს კახა კალაძის დანაბარებს ჩაუტანს. ხელისუფლება მზად არის, მოსახლეობას საქართველოსთვის უპრეცედენტო საკომპენსაციო თანხა გადაუხადოს და ამით ის ბრძოლა მოიგოს, რომელსაც ხუდონი ჰქვია.** თავისთავად, შეჭირვებული მოსახლეობისთვის ფულადი კომპენსაცია ცუდი არ არის და დიდი საცდურია, მაგრამ რა უნდა უყონ ხატზე არ დაფიცებას? თუმცა არსებობს ერთი არცთუ უმნიშვნელო ფაქტი — ხატზე მთელმა სოფელმა არ დაიფიცა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოლაპარაკებებზე წასვლა ნაწილს თამამად შეუძლია, მეორე ნაწილს კი — არა. სავარაუდოდ, ეს ფაქტი ადგილობრივთა შორის უთანხმოებას გამოიწვევს და სწორედ ამ უთანხმოების გაღრმავებას შეეცდება ხელისუფლება. თუ მთავრობა იმ ადამიანებს მიიმხრობს, რომლებსაც ხატზე არ დაუფიციათ, შიდა აშლილობა დაიწყება და არავინ იცის, რით დასრულდება.

და მაინც — რა თანხის გადახდაზეა საუბარი? ჩვენი ინფორმაციით, საკომპენსაციო თანხის ნაწილს ინვესტორი გადაიხდის, ნაწილს კი — სახელმწიფო. საუბარია 180 ათას დოლარზე, ანუ თითო ოჯახს 100 ათასს სახელმწიფო მისცემს, 80 ათასს კი — ინვესტორი. დაგვეთანხმებით, რომ 180 ათასი დოლარი არ არის ცოტა, ანუ ამ თანხით თბილისშიც შეიძლება ბინის შეძენა, თუმცა იმ ბინას მიწა არ მოჰყვება, თბილისში სვანები ვერც საქონელს იყოლიებენ და, რით უნდა იარსებონ, ჯერჯერობით ვერავინ ამბობს. არსებობს მოსაზრება, რომ ხაიშელი სვანები ახმეტის, თეთრიწყაროსა და გარდაბნის რაიონის სოფლებში ჩაასახლონ, სახლები, რომლებიც ამ ეტაპზე მიტოვებულია, მფლობელებისგან გამოისყიდონ და ხაიშელებს, უბრალოდ, აჩუქონ. პლუს, ის 180 ათასიც მისცენ, რომელიც უკვე, პრაქტიკულად, გამზადებული აქვთ...

რეალურად **ეს არის ტესტი, რომლის ჩაბარებაც უწევთ სვანებს და ძალიან ძნელია იმის პროგნოზირება, რას გადაწყვეტენ საბოლოოდ. ხელისუფლებამ ეს საქმე პრიორიტეტულად აქცია, ხაიშის მცხოვრებლებმა — ღირსების საქმედ და...**

**დავით მინდიაშვილი**

# რას ფიქრობენ პატიმრები წიწაკის გაზსა და დამაწყნარებელ სკამზე



**როგორც საპარლამენტო ოპოზიცია ამტკიცებს, ხელისუფლება ერთი უკიდურესობიდან მეორეში ჩავარდა. თუ წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში პატიმრები სასტიკ მოპყრობაზე წუწუნებდნენ, ახლა ვითარება შეცვლილია და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში „პარადი“ სწორედ პატიმრებს მიჰყავთ.**
**სოზარ სუბარი კი ამტკიცებს, სიტუაცია სხვაგვარიაო, მაგრამ, როგორც ჩანს, ციხეებში წესრიგი ისევ არ არის და ამის მიზეზი პარლამენტში წარდგენილი ახალი კანონპროექტი უნდა იყოს.**

პარლამენტში წარდგენილ „პატიმრობის კოდექსში“ შესატანი ცვლილებების თანახმად, საპატიმრო დაწესებულებებში, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რამდენიმე ახალი სპეციალური საშუალების გამოყენება ხდება დასაშვები.

პროექტი, ბორკილისა და დამაწყნარებელი პერანგის გარდა, ითვალისწინებს პატიმრის მიმართ ისეთი ტიპის სპეციალური საშუალებების გამოყენებას, როგორიცაა: დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლმდენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი და სასამსახურო ძაღლი, ცხენი....

**საინტერესოა, რას ფიქრობენ თვითონ პატიმრები ამ საკითხზე. „საქართველო და მსოფლიოს“ აღმოსავლეთ საქართველოს სასჯელაღსრულების ერთ-ერთი, ნახევრად ღია დაწესებულების ე. წ. მაყურებელი ესაუბრა.**

**— პირველ რიგში, იმას გკითხავ, რატომ არიან მაყურებლებით უკმაყოფილო პატიმრები. ადრე თითქოს ასე არ იყო... არადა, ეს „ინსტიტუტი“, როგორც ვიცი, სულ არსებობდა.**

— და ის ჯობდა, აბა, წინა ხელისფულება რომ აკონტროლებდა მაყურებლებსაც და, საერთოდ, ყველაფერს? „არესტანტზე“ „არესტანტი“ უფრო იფიქრებს თუ „ნადზირატელი“?

**— იმას კი არ გეკითხები, ადრე რა იყო, ახლა რატომ არიან უკმაყოფილონი-მეთქი.**

— ვინც მაგას ამბობს, „კრისაა“. „ნაციონალების“ დროს ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული — ბოზები ბლატაობდნენ. წარმოიდგინეთ, კაცი ან ბარიგობაზე იჯდა, ან არასრულწლოვანის გაუპატიურებაზე და ხმას იღებდა რა. ახლა ასე აღარ არის, ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი.

**— ადგილის მიჩენაში რა იგულისხმება?**

— რას ჰქვია, რა იგულისხმება? თუ პატიოსანი კაცი ხარ, ნუ ჩაერევი, კაი ბიჭები რას იზამენ და რას იმოქმედებენ. თუ „კაზიოლი“ ხარ, შენი საქმე აკეთე. ზოგადად, ქურდების არყოფნის შემდეგ აირია ყველაფერი, თორემ მაშინ მართლა თავისი სახელი ერქვა ყველაფერს.

**— იცი, რა მაინტერესებს? ადმინისტრაციამ ხომ იცის, რომ შენ ხარ ამ კონკრეტული ზონის მაყურებელი?**

— იცის.

**— ისიც ხომ იცის, რომელ ზონაში არიან ეს მაყურებლები და ვინ არიან?**

— წინა ხელისუფლების დროსაც და ახლაც მხოლოდ გლდანის ციხეს არ ჰყავდა მაყურებელი. სხვაგან, ყველგან იყო მაშინაც და ახლაც იქნება.

**— ჰოდა, თუ იციან, მუხლი რომ არის „ქურდული სამყაროს წევრობისთვის“, რატომ არ გიყენებენ?**

— ნახევარზე მეტი „კაი ბიჭია“ და მაშინ პატიმრების 70 პროცენტს უნდა დაუმატონ სასჯელი. ასე კიდევ არ გამოვა, რა... ადმინისტრაციას ის ურჩევნია, რამდენიმე მაყურებელს ელაპარაკოს, ვიდრე მთელ ზონას.

**— ანუ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობთ?**

— ეს თანამშრომლობა არ არის, ურთიერთობა გვაქვს, პატიმრების უკეთეს ყოფაზე ვზრუნავთ. ჩვენ გვეუბნებიან პატიმრები, რა უჭირთ და ჩვენც ადმინისტრაციას შეძლებისდაგვარად ვაგვარებინებთ ამ პრობლემებს.

**— ერთი კონკრეტული მაგალითი შეგიძლია მითხრა?**

— მაგალითად, ვინმეს ოპერაცია სჭირდება ან გარედან ვინმეს დიდი ამანათი მოუტანეს და არ უშვებენ. არადა, არიან პატიმრები, რომელთაც წელიწადში ერთხელ აკითხავენ და, რაც მოაქვთ, ადგილამდე ხომ უნდა მოვიდეს? კიდევ...

**— მოიცა, ამბობ, რომ მაყურებლები წყვეტთ, ვის უნდა გაუკეთონ ოპერაცია და ვის — არა?**

— არა, ჩვენ, უბრალოდ, ვერევით, რომ პროცესი დაჩქარდეს. ექიმები კი სვამენ დიაგნოზს, რომ ეს კაცი საოპერაციოა, მაგრამ მნიშვნელობა ხომ აქვს, ერთ კვირაში წაიყვანენ საოპერაციოდ თუ ორ თვეში?

**— ექიმი არ ამბობს, რომ სასწრაფოდ საოპერაციოა?**

— ამბობს, მაგრამ ვინ უსმენს? ადმინისტრაციამ თუ „დაბრო“ არ თქვა, რომ კვდებოდე, არსადაც არ წაგიყვანენ. დაწერს ზონის უფროსი, რომ ამ პატიმრის გაყვანა არ შეიძლება, რადგან, შესაძლოა, გაქცევა სცადოს და დამთავრდა.

**— გვითხრეს, ზონაში თამაშობენ და წაგებულის ოჯახის წევრი მოგებულის ახლობელს ფულს გარეთ აბარებსო...**

— კი, ასეც ხდება ხანდახან, მაგრამ ეს ზონასთან რა კავშირშია? ვიღაცას თუ თამაში უნდა და იმის იმედი აქვს, რომ გარედან გადაუხდიან, რა პრობლემაა? რატომ უნდა დავუშალო?!

**— ვიღაცები იმასაც ჩივიან, მაყურებლები გვცემენო...**

— თუ პატიმარი თავისი მოქმედებით მასას ვნებს და „პალაჟენიას“ აფუჭებს, კი უნდა გაილახოს ხანდახან.

**— ახალ კანონპროექტზე რას ფიქრობ... წიწაკის გაზით დაგაწყნარებენ მალე...**

— ამას წინათ საავადმყოფოში ჰყავდათ ერთი წაყვანილი და უკან მოიყვანეს ისე, რომ არ უმკურნალეს. ექიმს აგინა და იცი, რატომ? — ექთანს უთხრა თურმე, ცოცხი გაიტანე ოთახიდან, პატიმრებში ცუდ ასოციაციას იწვევსო. „ეიაზვა“ რა. ამანაც აგინა. აქ რომ წიწაკის გაზითა და ხელკეტებით შემოვიდნენ, კარგი არაფერი მოხდება. პატიმრების ცემა-ტყეპამ სადამდე მიიყვანა წინა ხელისუფლება, კი ხედავთ კარგად. იმათ არ ჰქონდათ უფლება და ყველაფერს იყენებდნენ, ამათ კიდევ დაკანონება უნდათ და ვნახოთ, აბა, რა გამოვა.

ესაუბრა
**დავით მინდიაშვილი**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საზოგადოებამ უნდა გადალახოს ის ბარიერი, რომ ეკლესიის თემა არის ტაბუდადებული და იქ რაც ითქმება და როგორც ითქმება, არის უმწიკვლო და ხელშეუხებელი... ისინიც საჭიროებენ კრიტიკას, ისინიც საჭიროებენ მითითებას... ამ დროს ყველას შეიძლება შეეშალოს, პატრიარქსაც შეიძლება შეეშალოს.“**

# მოქალაქე №1:

# გავაკონტროლოთ პრესა, გავაკრიტიკოთ პატრიარქი, დავეწიოთ და გავუსწროთ უსუფაშვილს!



**4 თებერვალს სრულიად საქართველოს ყურადღება „მოქალაქე №1“-ის პრესკონფერენციას იყო მიჯაჭვული. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, პოლიტიკაში შემოსვლით მოქალაქეობის დამკარგავმა პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ „მყისიერად“დაიბრუნა მოქალაქეობა დამოუკიდებლობის ეტალონად ქცეული კოტე კუბლაშვილის ხელიდან, საკუთარი ასო (ცუდი არაფერი გეგონოთ, არასამთავრობო ორგანიზაციის აბრევიატურაა) დააფუძნა და სახელადაც „მოქალაქე“ უწოდა.**

ამ წერილის ტონზე ნუ შემოგვედავებით: ბიძინა-ჩვენმა თავად გვირჩია, „ირონია ვიხმაროთო“ — რა ვქნათ, აბა, **სამართლიანობის აღდგენა მაინც ვერ ხერხდება და თავი ხუმრობითა და ლაზღანდარობით მაინც შევიქციოთო!** ჭკუანასწავლმა სააგენტოებმა ეს უხერხული ნათქვამი – „ირონია ვიხმაროთ“ იქვე შეულამაზეს „ნომერ პირველ მოქალაქეს“ და მესამე პირში გვამცნეს: **„არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებას ურჩევს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა განცხადებებს იუმორით შეხედოს“.**

მოძალადეს, დიახაც, იუმორით უნდა შეხედო, აბა, სერიოზულად თუ შეხედე, შეიძლება გული გაგისკდეს, მით უფრო, როცა ამ მოძალადის გადარჩენაზე თავად „ნომერ პირველი მოქალაქის“ მიერ მოყვანილი პოლიტიკური ძალა ზრუნავს! დიდი მადლობა, ბატონო მოქალაქევ, რომ ისევ პირდაპირ ველარ ძალადობენ ჩვენზე, მაგრამ ამათ უტიფრობას ასე სიცილ-ღიმილით როგორ ვუყუროთ? აკი თავად ხვდებით, რომ მათი ძალადობა კიდევ უფრო დახვეწილ ფორმებს იღებს?

„ახლა, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ პირდაპირი მნიშვნელობით ძალადობას ველარ ახერხებს, ის მენტალურ ძალადობაზე გადავიდა — ძალადობა უტიფრობაში გადაიზარდა. ნახეთ, როგორი ტერმინებით გვესაუბრებიან, როგორ გვიკითხავენ მორალს და ჩვენ გვდებენ ბრალს იმაში, რასაც თვითონ აკეთებენ. საზოგადოებას ეგონა, რომ ისინი ბოდიშს მოიხდიდნენ, ნაცვლად ამისა, იქედან მივიღეთ ირონიული ღიმილი და, უკაცრავად და, ენას გვიყოფენ, ისევ შეურაცხყოფას გვაყენებენ. შესაბამისად, საზოგადოებაში ეს აგრესია კიდევ უფრო გაიზარდა. **მინდა მივცე რჩევა ჩვენს მოქალაქეებს, მხოლოდ იუმორი გვიშველის“, — განაცხადა „მოქალაქემ“. აი, აქ კი სააგენტოებს გაეპარათ ნათქვამი იმ სახით, როგორც „ნომერ პირველმა მოქალაქემ“ ბრძანა: „არ მოხდება მათი გადაკეთება, მათ შუბლის ძარღვი აქვთ გაწყვეტილი. ვიხმაროთ ჩვენი ბრძნული იუმორი“.**

ჩვენც ვიხმაროთ იუმორი: რაკი მათი („ნაციონალების“) გადაკეთება არ ხერხდება, სჯობს, ჩვენი, ანუ დანარჩენი საქართველოს გადაკეთებას მიჰყოს ხელი და „პირველი მოქალაქეც“ ამაზე ზრუნვას მედიის „ხარისხის ამაღლებით“ იწყებს. **არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ ქართულ მედიას კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარება, თუმცა ამავე დროს კონტროლსაც გაუწევს. ქართული მედია, სააკაშვილის პერიოდშიც კი, სულ მუდამ მაკონტროლებლის ძიებაში იყო და... არის! ასრულდა იმედი!**

„პირველი მოქალაქის“ შეფასებით, „ზოგჯერ ყველაზე პროფესიონალი ჟურნალისტი თუ ანალიტიკოსი ყველაზე ურცხვად ტყუის, შესაბამისად, გარდა კვალიფიკაციის ამაღლებისა, „მოქალაქეს“ ამოცანად აქვს, რომ ამავე დროს ჩატარდეს პერმანენტული კვლევები მედიის ობიექტურობის, ხარისხის, სრულყოფილების“. კვლევები, როგორც ჩანს, ისეთივე „ობიექტური იქნება, როგორც წინასაარჩევნოდ „პირველი მოქალაქის“ მიერ ერთიერთში ჩასმული მარგველაშვილის 63%!

თუმცა მას არც დაუმალავს, მედიის რომელი საშუალებები იქნება მის მიერ წახალისებული: **„მოქალაქე“ ითანამშრომლებს ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელსაც აქვს შესატყვისი კვალიფიციური ეთიკა, მაღალი ევროპული სტანდარტები და ხელს უწყობს ქვეყნის ევროპული სივრცისკენ სვლას. ყურადღება! ვისაც ევროპული ორიენტაციის მიმართ ოდნავადაც კი შეეპარება სკეფსისი, ნურც მიმართავთ! გასაგებია? ახლა, იმაზე ნუღარ დავწვრილმანდებით, თუ რაში სჭირდება მხარდაჭერა იმ ასოებს, რომელთაც ისედაც „შესატყვისი კვალიფიციური ეთიკა და მაღალი ევროპული სტანდარტები“ აქვთ?!**

„პირველი მოქალაქე“ ექსპერტებითაც ისევე უკმაყოფილოა, როგორც მედიით, აკი არც დაუმალავს ეს მათთან შეხვედრისას! ამიტომ საგანგებოდ აცხადებს კიდევ ერთი პრიორიტეტის შესახებ: **„დაგეგმილი გვაქვს ახალი ანალიტიკოსების მომზადების დაფინანსება. ჩვენ მხოლოდ დავაფინანსებთ და ორგანიზებას გავუწევთ, რომ ეს პროცესი იყოს ჯანსაღი, მედიასაშუალებებთან შეთანხმებით და მათი მოთხოვნის მიხედვით დავეხმარებით სხვადასხვა ტიპის გრანტებით, რომ სრულყოფილი ანალიზის საშუალება ჰქონდეს ყველა მედიასაშუალებას. დროულად, ობიექტურად, ხარისხიანად და, რა თქმა უნდა, პროფესიონალურად მიწოდებული ინფორმაცია საზოგადოებას დაეხმარება იმაში, თუ როგორც უნდა ავირჩიოთ და შემდეგ როგორ ვაკონტროლოთ ხელისუფლება“.**

**მოკლედ რომ ვთქვათ, ახლა იარსებებენ მხოლოდ „მოქალაქის“ მიერ სანქცირებული ექსპერტები, რომელთა „ნააზრევსაც“ ასევე „მოქალაქის“ მიერ მხარდაჭერილი მედია დაატირაჟებს და დემოკრატიაც აშენდება! აბა, როგორ? თქვენ რა გეგონათ? რასაც ფიქრობთ, იმას დაწერთ და „პირველი მოქალაქე“ თქვენი ნაწერების კითხვით აიტკივებს თავს? ნურას უკაცრავად!**

„ნუ გგონიათ ჟურნალისტებს, რომ, რასაც გინდათ, გაისვრით და მე მერე უნდა მოვძებნო თქვენი გასროლილი“, — ეს პასუხი მიიღო „მაესტროს“ ჟურნალისტმა, რომელმაც გაუფრთხილებლად შეახსენა „პირველ მოქალაქეს“ შეუსრულებელი დაპირებები. „მოქალაქესთან“ სრულიად შეუთანხმებლად ტელეკომპანია „მაესტრომ“ ჩაატარა მოქალაქეების გამოკითხვა, თუ რა კითხვები აქვთ მათ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. გაირკვა, რომ მოსახლეობას კითხვები აქვს დაპირებებთან, ეკონომიკურ სტაბილურობასთან, 100 საწარმოსთან, ლარის კურსის ვარდნასთან, საზღვრის გადმოწევასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

„პირველმა მოქალაქემ“ დაჟინებით მოითხოვა ჟურნალისტისგან, თავად დაეკონკრეტებინა, თუ რა დაპირებები არ შეასრულა მან. პენსიების ზრდის დაპირებასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ არასდროს უთქვამს, თითქოს 2014 წლის ბუჯეტში პენსიების ზრდა ჩაიდებოდა: „კეთილი ინებეთ და დამიკონკრეტეთ, რას გულისხმობდნენ თქვენი რესპონდენტები. სადმე მითქვამს, რომ 2014 წლის ბიუჯეტში პენსიების ზრდა იქნებოდა ჩასმული? რამდენიმეჯერ იყო ჩემს გამოსვლაში ნათქვამი, რომ პენსიები უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე არა ნაკლები. პირველ საარჩევნო პერიოდში ეს მოხდება, ალბათ. მე კონკრეტული დრო არ მითქვამს. თქვენ, ჟურნალისტებს ნუ გგონიათ, რომ, რასაც გინდათ, გაისვრით და მე უნდა მოვძებნო, თქვენი გასროლილი სად წავიდა. უფრო გასაგები უნდა იყოს კითხვა“.

**ბატონო მოქალაქევ! ჩვენ უნდა აგიხსნათ, რას გულისხმობენ ჩვენი რესპონდენტები თუ თქვენ უნდა სცადოთ, გაიგოთ, რა არ არის ისე, როგორც ჰპირდებოდით? დაპირებების შესრულებას რომ დრო სჭირდებოდა, ამიტომ წახვედით „უდროოდ“ პრემიერ-მინისტრის პოსტიდან? ჩვენც ვიცით, რომ „ქალბატონი ფეხმძიმედ 9 თვე უნდა იყოს, რათა ბავშვი გაჩნდეს“, მაგრამ თქვენ ზუსტად ამდენ ხანში წახვედით პოლიტიკიდან და არც შეუსრულებელ დაპირებებზე გინდათ რამის მოსმენა!**

„ხუთ წუთში რომ გინდათ, ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი დაგილაგოთ, ეგრე არაა“, — ბრძანებს „პირველი მოქალაქე“. ხუთ წუთში ვინ გთხოვათ დაპირებების შესრულება, მაგრამ, ხუთი წლით არჩეული ცხრა თვეში რომ წავა, ამაზე კითხვაც აღარ უნდა დაგისვან?

მაჟორიტარულ არჩევნებთან დაკავშირებით „პირველმა მოქალაქემ“ აღიარა, რომ აჩქარდა და ისეთი რამ წამოსცდა, რაც უნდა ეთქვა. კარგი იქნება, მის მიერ მხარდაჭერილმა ექსპერტებმა სამომავლოდ კვირაში ერთხელ იმ ნებადართული საკითხების სია მოგვაწოდონ, რომელშიც „პირველი მოქალაქის“ „წამოცდენები“ და „აჩქარებები“ იქნება ჩამთვლილი, რათა ორიენტირი არ დავკარგოთ და ვიცოდეთ, რომ ამ საკითხებზე ცოტაოდენი კრიტიკა დაშვებულია!

თუმცა საკითხს მივუბრუნდეთ: **„მე წამომცდა მართლაც, ნაჩქარევად ვთქვი. ჩემი დამოკიდებულება მართლაც ასეთია, რაც ვთქვი, მაგრამ ამასაც დრო სჭირდება, განვითარება, საზოგადოებისთვის ახსნა-განმარტების მიცემა და გაგება იმისა, რა ჯობია. მე არ ვარ დიდი სპეციალისტი ამის, მუდამ ვიმეორებდი, რომ პოლიტიკოსი არ ვყოფილვარ, გამოუცდელი ვიყავი, ბევრი ვისწავლე, მაგრამ ბევრი რამ ვერ ვისწავლე. არც ახლა არ ვარ იმ დონის, როგორც, თუ გნებავთ, უსუფაშვილია“.**

პოლიტიკოსი რომ არ ბრძანდებოდით, ბატონო მოქალაქევ, ეგ ჩვენც ვიცოდით და ხმა იმიტომ როდი მოგეცით, რომ პოლიტიკოსი გვეგონეთ, თორემ მაგ თქვენს ნაქებ უსუფაშვილს მისი პარტიიდანაც რამდენი კაცი მისცემს ხმას, ახლა რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს (თანაც უთქვენოდ), მაგას დაინახავდით!

**ვერაფერი ნუგეშია, თუ თქვენ უსუფაშვილისგან „ბევრი ისწავლეთ“. ამაში, როგორც ჩანს, არ ტყუით, რადგან მხოლოდ რესპუბლიკელების მოწაფეს შეიძლება ეთქვა ასეთი რამ: „საზოგადოებამ უნდა გადალახოს ის ბარიერი, რომ ეკლესიის თემა არის ტაბუდადებული და იქ რაც ითქმება და როგორც ითქმება, არის უმწიკვლო და ხელშეუხებელი... ისინიც საჭიროებენ კრიტიკას, ისინიც საჭიროებენ მითითებას... ამ დროს ყველას შეიძლება შეეშალოს, პატრიარქსაც შეიძლება შეეშალოს“.**

თუ ატყობთ, ბატონო მოქალაქევ, რომ უკრიტიკო თქვენს თვალში მხოლოდ უსუფაშვილი და რესპუბლიკელები დარჩნენ? მერე კარგია ეს? პატრიარქის კრიტიკისკენ მოწოდება რა პოპულარობასაც მოგიტანთ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ამ იდეოლოგიის ძალა ხომ უკვე გვყავდა ხელისუფლებაში და, როგორც „შეიყვარა“ იგი ხალხმა, კარგად მოგეხსენებათ! და რაც მთავარია, თუ უსუფაშვილსაც ვერ „დაეწიეთ“ და დღესაც არ ხართ „იმ დონის, როგორიც უსუფაშვილია“, მაშინ იქნებ მენტორისა და მასწავლებლის ტონი შეარბილოთ, რადგან „თვით უსუფაშვილსაც“ კი არათუ მასწავლებლად პარლამენტში ასარჩევად ვერ გუობს საზოგადოება და მის დონემდე ვერმისულ ყოფილ პრემიერს მით უმეტეს ვერ იგუებს მენტორად, მახვშად თუ დენ სიაოპინად!

**ბატონო მოქალაქევ! მოგეხსენებათ, ჩვენებურ ევროინტეგრატორებს „მწვანე შუქის“ ანთების გარეშეც ყბა ჰქონდათ ამოგდებული მართლმადიდებლობისა თუ საპატრიარქოს ძაგებით და ადვილი წარმოსადგენია, რა „კრიტიკის ქარცეცხლშიც“ გაატარებენ ისინი დედაეკლესიასა და პატრიარქს თქვენი, მსუბუქად რომ ვთქვათ, წამქეზებლური განცხადების შემდეგ.**

**მზად ხართ, აიღოთ პასუხისმგებლობა ღვარძლის იმ ღვარცოფზე, რომელსაც თქვენი ამ განცხადების შედეგად დედაეკლესიისა და მისი მესაჭისადმი მიმართავენ თქვენგან წაქეზებული და თქვენს საამებლად შემართული ბიურგერები?**

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას იმ ძალის ხელისუფლებიდან მოშორებისთვის, მაგრამ დრაკონთან მეომარი გმირი მეტისმეტად სწრაფად ხომ არ იქცა თავადაც დრაკონად?

**რიგითი მოქალაქე, ჟურნალისტი**

ჩვენებური
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აქ ჩავისუნთქე პირველად ჰაერი, აქ ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები, აქ ვსწავლობდი სკოლაში, ქართული ენა ჩემი მშობლიური ენაა. აქ ვგრძნობ დიდ სიყვარულს და პატივისცემას. ჩემთვის საქართველო აბსოლუტურად წმინდა ადგილია.

ლეო ბოკერია:

# სანამ ცოცხალი ვარ, ვიტყვი, რომ ბალტიის ქვეყნებიც, შუა აზიაც და ამიერკავკასიაც — ყველა ერთად ჩემი სამშობლოა

**ბატონი ლეო ბოკერია მსოფლიოში სახელგანთქმული კარდიოქირურგია: ხუთჯერ აქვს მინიჭებული „წელიწადის ადამიანის“ წოდება, „ათწლეულის ადამიანის“ და „ადამიანი ლეგენდის“ ტიტულები. არის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, არჩეულია აშშ ქირურგთა ამერიკული კოლეჯის საპატიო წევრად, რომელშიც მხოლოდ 100 საპატიო წევრია გაერთიანებული. მხოლოდ 100 მთელი მსოფლიოდან. ეს განსაკუთრებული პატივია, ჩაურთავს რეპლიკას ბატონი ლეო, როცა „საქართველო და მსოფლიოს“ რესპონდენტის ჰიპოსტასში მყოფს, მისი ტიტულების ჩამოთვლას შევუდგები.**



„საქართველო ჩემთვის სიწმინდეა!“

წოდებათა ამ ნუსხას (პრემიებზე არაფერს ვამბობ) კიდევ ერთი შეემატა — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი(!) აკადემიკოსის, რომლის დამადასტურებელი ატრიბუტიკა ბატონ ლეო ბოკერიას აკადემიის პრეზიდენტმა ოთარ კვესიტაძემ ამ ორშაბათს გადასცა ვიცეპრეზიდენტების როინ მეტრეველისა და თემურ ნანეიშვილის, აკადემიკოს-მდივნის — ფრიდონ თოდუას, საქართველოს თვალსაჩინო მედიკოსების — ლაურ მანაგაძის, რომან შაქარაშვილის, რეზო გაგუას და საზოგადო მოღვაწეების — ზურაბ აბაშიძისა და ბაკურ გულუას თანდასწრებით.

ეს საზეიმო აქტი განსაკუთრებული სითბოთი გამოირჩა, რადგან ლეო ბოკერიას მეცნიერული მიღწევების გამოწვლილივით აღნიშვნის გარდა შეკრებილთაგან ყველას თავისი სათქმელი აღმოაჩნდა, გასახსენებელი, მოსათხრობი სტუდენტური წლებიდან დაწყებული, ერთობლივი მოღვაწეობით გაგრძელებული და ბოკერიას წყალობით ავადმყოფი მეგობრის გადარჩენის ამბით დამთავრებული.

სტუმარიც გაიხსნა და იქ გამართული საუბრის მოსმენა ფართო საზოგადოებრიობისთვის ნამდვილად საინტერესო იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ ხალხს ერთად შეკრებილს და „ცენზურის გარეშე“ ალაპარაკებულს, ვეჭვობ, სადმე და ოდესმე გადაეყაროთ.

სხვა დროისთვის გადავდოთ, ეგებ მოგვეცეს გამოქვეყნების საშუალება.

ან — არა.

თქვენ ნამდვილად ღმერთი ხართ, — არაერთხელ უთქვამთ ლეო ბოკერიასთვის პატარა პაციენტების მშობლებს, რომელთა შვილებიც ამ უებარ დასტაქარს სიკვდილისთვის ხელიდან გამოუტაცნია.

— კარგად შემომხედეთ! — ღიმილით უთქვამს ბატონ ლეოს მადლიერი ადამიანებისთვის, — ვგავარ მე ღმერთს?!

ეგ არავინ იცის, ბატონო ლეო, რადგან ღმერთი არავის უნახავს, ხოლო ის, რასაც თქვენ აკეთებთ, ნამდვილი სასწაულია. როცა თქვენი ხანგრძლივი სამედიცინო მოღვაწეობის პრაქტიკაში 15 ათასჯერ გაგიჩერებიათ დაავადებული გულები, გაგიკეთებიათ უნიკალური ოპერაციები და კვლავ აგიმუშავებიათ ჩასაქრობად განწირული მთავარი სასიცოცხლო ორგანო ადამიანის ორგანიზმის, სასწაულია, აბა, რა არის?!

ლეო ბოკერია ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორად, წლებია, მუშაობს.

**— ბატონო ლეო, — იწყება ჩვენი საუბარი, — ოთარ კვესიტაძესთან გუშინ რომ დავრეკე, შევეკითხე, ბაკულევი როდის ჩამოდის-მეთქი?**

**არ გაგიკვირდეთ, თქვენი გვარის ასოცირება ინსტიტუტთან დღეს იმდენად გამჯდარია საზოგადოებრივ ცნობიერებაში, რომ ბაკულევი, ბურაკოვსკი, ბოკერია ერთ მცნებად ყალიბდება, ერთმანეთში გადაედინება. ასეა გავრცელებული.**

— *(არ უკვირს. ეღიმება. როგორც ჩანს, მეთანხმება).* თბილისელი კაცი ბურაკოვსკი ჩემი მასწავლებელი იყო.

**— თქვენთვის ჩამორთმეული ერთ-ერთი ინტერვიუდან ამოვიკითხე, რომ, თუ თქვენს ინსტიტუტში 1996 წელს 1200 ოპერაციას აკეთებდით გულზე, 2009 წელს — ათი ათასი იყო. ნიშნავს ეს, რომ დაავადებული თაობა ავადმყოფ ბავშვებს შობს?**

— არა, არ ნიშნავს. გულსისხლძარღვოვანი დაავადებანი მსოფლიოში პირველობს. ეს ცნობილია. ხოლო რაოდენობის ის ზრდა, რაც დაიმოწმეთ, გამოწვეულია უკეთესი გამოვლენითა და დაფინანსებით. რუსეთის ფედერაციაში აშენდა გულსისხლძარღვოვანი ქირურგიის ფედერალური ცენტრების საკმაოდ დიდი რაოდენობა. 1995 წლიდან მოცულობის ზრდა გეომეტრიული პროპორციით ხდება. მაგალითს გეტყვით, 1991 წელს კათეტერით ანგიოპლასტიკის 1000-ზე ნაკლებ ოპერაციას ვაკეთებდით, შარშან კი 80 ათასი გაკეთდა. არადა, 500 ათასის გაკეთებაა საჭირო. გაჩერებულ გულზე მთელ რუსეთში 1995 წელს 6000 ოპერაცია გაკეთდა, შარშან — 50 ათასზე მეტი. გვჭირდება 143 ათასი ერთ მილიონ მოსახლეზე. უახლოეს სამ წელიწადში ხელისუფლება აპირებს ერთნახევარჯერ გაზარდოს მაღალტექნოლოგიური დახმარების მოცულობა და ამით დაზღვევის მედიცინა მაღალტექნოლოგიური დახმარების მთავარი კომპონენტი გახდება.

**— გაზეთმა „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის ოთარ კვესიტაძის ინტერვიუ, რომელშიც მან განაცხადა, რომ ჩვენმა სამეცნიერო საზოგადოებამ არ უნდა დაკარგოს შემოქმედებითი ურთიერთობა რუსეთის ფედერაციის სამეცნიერო ცენტრებთან, უწინარეს ყოვლისა კი, მოსკოვისა და პეტერბურგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან.**

— ყოველმხრივ მხარს ვუჭერ ამ პოზიციას. ეს ორმხრივ სასარგებლო მოძრაობა იქნება. ჩემი ცხოვრებისეული პოზიციაც და ფილოსოფიური პოზიციაც ასეთია და ჩვენ ამას განვახორციელებთ კიდეც, ვაგრძელებთ პრაქტიკაში. ჩვენთან ორდინატურაში, ასპირანტურაში თითქმის სამასი კაცი სწავლობს.

**— „ქართული კოლონია“ ახსენეთ მეგობრებთან საუბარში...**

— ამ სამასიდან ხუთი პროცენტი მაინც საქართველოდან ჩამოსული ახალგაზრდები არიან. იცავენ დისერტაციებს, ბრუნდებიან საქართველოში. თბილისშიც, ქუთაისშიც არიან ჩვენი მოსწავლეები და, მგონია, რომ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობას ეწევიან.

**— თქვენ ეს-ესაა თქვით, რომ აკადემიკოსი ბურაკოვსკი, თბილისელი კაცი, თქვენი მასწავლებელი იყო. მან გამოგიყვანათ დიდ სამეცნიერო ასპარეზზე. ბატონი ფრიდონ თოდუა იხსენებდა ამასწინათ, რომ სწორედ თქვენ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაეხმარეთ მას, თბილისიდან მოსკოვში ჩასულ ახალგაზრდა კაცს.**

— დღეს აქ ლაურ მანაგაძემაც ილაპარაკა ჩვენს ასეთ ურთიერთობაზე. მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ, თუ ადამიანი ნიჭიერია, მხარში უნდა ამოუდგე რჩევით მაინც, რაც შეგიძლია და როგორც შეგიძლია ისე დაეხმარო უცხო გარემოში გზა რომ გაიკვალოს.

ლაურ მანაგაძესთან ერთად სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ერთ დერეფანში მეზობლები ვიყავით. ვხედავდი, რომ ძალიან ნიჭიერი კაცი იყო და მას მართლაც სჭირდებოდა მორალური თანადგომა, რწმენის განმტკიცება, პერსპექტივის ჩვენება.

ამასწინათ სახელმწიფო სათათბიროში ერთ მნიშვნელოვან თათბირზე მომიწია გამოსვლა, სადაც ვთქვი, რომ მე, ახალგაზრდა კაცი, ასპირანტურაში სწავლისას 67 რუბლს ვიღებდი, მაგრამ ვიცოდი, რომ თუ დავიცავდი დისერტაციას, ჩემი ხელფასი 220 რუბლი იქნება, სადოქტოროს დაცვის შემდეგ — 400 რუბლი. ჩემთვის ეს სტიმულიც იყო და ცხოვრებისეული მიზანიც. ამის თაობაზე ვესაუბრებოდი სტუდენტობის დროს ლაურსაც და ფრიდონსაც.

ეს ნორმალურია ყველა ადამიანისთვის, ასე მგონია.

**ბეჯითი მოწაფის მიერ დაზეპირებულივით ჩამოვუთვალე ბატონ ლეოს მისი წოდებები, პრემიები, ტიტულები აკადემიების წევრობა და მაინც ბოლოში ვერ გავედი არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრი იყო, არამედ უფრო იმიტომ, რომ ბატონმა როინ მეტრეველმა მანიშნა — დაამთავრე, ძალიან დაძაბული პროგრამა აქვს და ვერ მოასწრებსო.**

**ლეო ბოკერია, როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტი, არ მაგრძნობინებდა, რომ მის დროს ვფლანგავდი, პირიქით, ჩემს ჩამონათვალს კიდევ ერთი სიცილით დაუმატა:**

— მე კიდევ, რომ იცოდეთ, სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრიც ვარ.

**— დღეს კი მეცნიერებათა ჩვენი აკადემიის წევრიც გახდით. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?**

— ერთხელ, როცა ტიტულები უკვე მქონდა, მკითხეს, ყველაზე უფრო რომელი მეამაყება. ვუპასუხე, რომ ჩემთვის ყველაზე უფრო საამაყოა ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქეობა. ქალაქისა, რომელშიც გავიზარდე. ჯერ კიდევ ვლადიმერ ბურაკოვსკი მასწავლიდა, რომ მთავარია, შინ, სახლში ყველაფერი დალაგებული გქონდეს, და მეც ყოველთის ამ პრინციპის მიხედვით ვცდილობდი, მეცხოვრა. ერთხანობას ძალიან ბევრი დრო დავყავი საზღვარგარეთ, მიმაჩნდა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო პრესტიჟისთვის. მაგრამ შემდეგ თანდათან შევკვეცე მივლინებების რაოდენობა, ძირითადად, ინსტიტუტში ვიმყოფები, რადგან ვიცი, რომ თუ იქ კარგადაა ყველაფერი, გარშემოც კარგად იქნება.

ამიტომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრობა ჩემთვის დიდი პატივია. ეს ბევრს მავალებს. მაგრამ ყოველთვის ხუმრობით ვამბობ — რომელი უცხოელი წევრი მე ვარ?! *(ეღიმება).* მე აქაური ვარ.

**— ერთ-ერთი მოსკოველი ჟურნალისტის შეკითხვაზე, რატომ არ დარჩით ამერიკაში, როცა მუშაობის ზღაპრულ პირობებს გთავაზობდნენ, თქვენ უპასუხეთ: „აქ (მოსკოვში) არის ჩემი სახლი. აქ არის ჩემი ოჯახი, აქ არიან ჩემი შვილები, შვილიშვილები, მეგობრები, აქაა ჩემი ბაკულევის ცენტრი. მე არ მეშინია ხმამაღალი სიტყვების — აქაა ჩემი სამშობლო“.**

**საქართველო, ბატონო ლეო?!**

— საქართველო ჩემთვის სიწმინდეა.

მე ხშირად დავდივარ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ამჟამად სუვერენულ სახელმწიფოებში. ერთ-ერთი დიდი ქვეყნის პრეზიდენტთან საუბრის დროს ვუთხარი, რომ ეს ჩემი ქვეყანაა. მე დავიბადე იმ ქვეყანაში, რომელიც ერთიანი სახელმწიფო იყო და როცა ვამბობ, რომ მოსკოვი ჩემი სამშობლოს დედაქალაქია, ეს მართლაც ასეა. ახლა, სამწუხაროდ, ამბობენ, სხვა ქვეყანაში დავიბადეო, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, ვიტყვი, რომ ბალტიის ქვეყნებიც, შუა აზიისაც და ამიერკავკასიაც, ყველა ერთად ჩემი სამშობლოა.

საქართველო კი, ვიმეორებ, ჩემთვის სიწმინდეა, რადგან აქ ჩავისუნთქე პირველად ჰაერი, აქ ცხოვრობდნენ ჩემი მშობლები, აქ ვსწავლობდი სკოლაში, ქართული ენა ჩემი მშობლიური ენაა. აქ ვგრძნობ დიდ სიყვარულს და პატივისცემას. ჩემთვის საქართველო აბსოლუტურად წმინდა ადგილია. ეს არ ეწინააღმდეგება ჰუმანიზმის პრინციპებს და ადამიანის როლსა და დანიშნულებას ამ დედამიწაზე.

**— ბოლო შეკითხვა: როგორ ინარჩუნებთ ფორმას? კრემლის დიეტის გარდა, რა საიდუმლოს ფლობთ?**

— *(გულიანად იცინის).* კრემლის დიეტა, არა? სინამდვილეში ეს ამერიკელი ასტრონავტების კვების რაციონია.

**— და მართლა დილის ექვს საათზე იწყება თქვენი სამუშაო დღე?**

— არა, ასე არ არის. ახლავე გეტყვით. თუ მართლა ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, რომ კარგ ფორმაში ვარ, მადლობას მოგახსენებთ. როცა ოპერაციების გაკეთება დავიწყე ბაროკამერაში, რომელშიც წნევა წყალქვეშ, 25 მეტრის სიღრმეზე წნევის ეკვივალენტურია, მივხვდი, რომ საკუთარი თავისთვის უნდა მიმეხედა, არ გავციებულიყავი, რაღაც ამეკრძალა, რაღაც შემომეღო. ვიცავ რეჟიმს. თუმცა *(ეღიმება)* არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის. ვცდილობ, ზედმეტი არც ვჭამო, არც დავლიო. ვვარჯიშობ, ვცურავ, მაქვს ველოსიპედი, ველორგომეტრი, „მორბენალი ბილიკი“, მოწყობილობა თავქვე დასაკიდებლად. ეს ყველაფერი დღესაც ჩემი ცხოვრებისეული პრაქტიკის თანმდევია. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც რეჟიმის დაცვაა. ძალიან გვიან ვიძინებ, ვდგები 6 საათზე.

**— გყოფნით ძილი?**

— არა, რა თქმა უნდა. შაბათობით ვივსებ დანაკლისს, გამოვიძინებ ხოლმე. სამსახურში მივდივარ რვის ნახევარზე, რვა საათზე კი უკვე საოპერაციოში ვარ. ამ ნახევარ საათში 3-4 ადამიანის მიღებას ვასწრებ; ოპერაციების შემდეგ — საზოგადოებრივი საქმე, მიღებები, შეხვედრები; საღამოთი — ფოსტა... ასე გრძელდება 5 დღე კვირაში.

მომდევნო კვირაში ყველაფერი თავიდან იწყება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„2008 წლის 10 აგვისტოს, როდესაც ომი მძვინვარებდა, ბეჟაშვილის ერთ-ერთი მოწილე წივილ-კივილით მოგვივარდა და ომი არ გვაინტერესებს, ვადას არ გადააცილოთ ობიექტის ჩაბარებაო. წარმოგიდგენიათ, ფულს არ გვიხდიდნენ, ობიექტის ჩაბარებას კი ვადაში ითხოვდნენ!“**



# გურამ კვირიკაშვილი: ხელისუფლება რომ გაიძახის, ფული არ არის ბიუჯეტშიო, აილონ და გაყიდონ სააკაშვილის რეზიდენციები

**სამშენებლო კომპანია „არ დი აის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი გურამ კვირიკაშვილი ბიზნესმენთაგან ერთ-ერთია, ვინც სააკაშვილის ხელისუფლებამ საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო. აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის მიერ გაკოტრებული ბიზნესმენი სამართალს ახალი ხელისუფლების მმართველობის პერიოდშიც ვერ პოულობს.**

— რამდენიმე წლის განმავლობაში მოსკოვში ვცხოვრობდი. 2005 წელს საქართველოში დავბრუნდი, დავაარსე სამშენებლო კომპანია „არ დი აი“ და დავიწყე მუშაობა. 2006 წლიდან გადავედით სახელმწიფო შეკვეთებზე. ვაშენებდით თავდაცვის სამინისტროს რთულ და სპეციფიკურ ობიექტებს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებასა და ჩვენ კომპანიას შორის გაჩნდა პრობლემები. არადა, ყველა საქმეს ხარისხიანად და დროულად ვასრულებდით. **„ნაციონალური მოძრაობა“ განსაკუთრებით აგვისტოს ომის შემდეგ გაგიჟდა — აფთრებივით ესხმოდნენ თავს ყველა სამშენებლო კომპანიას.** ჩვენზე მათი პირველი თავდასხმა კონტროლის პალატის ფასადის მშენებლობის დროს მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ კონტროლის პალატაზე ვმუშაობდით, იუსტიციის იმჟამინდელი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი გვაკონტროლებდა. მისი მოადგილეები თუ ქვეშევრდომები, მათ შორის ლევან ბეჟაშვილიც, ყველაფერს გვიმოწმებდნენ. მოკლედ, კონტროლის **პალატის ფასადზე ჩატარებული სამუშაოებისთვის, სახელმწიფოს 200 ათასი ლარი უნდა გადაეხადა, მაგრამ უარი გვითხრეს. მეტიც, ამ თანხის სახელმწიფოსთვის ჩუქების ხელშეკრულება გაგვაფორმებინეს.**

**— რა მიზეზით?**

— დაენანათ. შვილობილ კომპანია „ევ ჯე ტე“-ს მამაჩემი ხელმძღვანელობდა და დაგვაშანტაჟეს. არადა, კონტროლის პალატის ფასადის აშენების უფლება ტენდერით მოვიგეთ და, **როდესაც პროექტი წარვადგინეთ, ძალიან მოეწონათ, თუმცა ფულის გადახდა აღარ მოისურვეს და დაგვემუქრნენ, — თუ ჭკუით არ იქნებით, განვაცხადებთ, რომ ეს ტენდერი ფულით იყიდეთ, ასე რომ, ან დათმობთ ამ ფულს, ან თქვენ წინააღმდეგ საქმეს აღვძრავთო.** ყველაზე საინტერესო არის ის, რომ **2008 წლის 10 აგვისტოს, როდესაც ომი მძვინვარებდა, ბეჟაშვილის ერთ-ერთი მოწილე წივილ-კივილით მოგვივარდა და ომი არ გვაინტერესებს, ვადას არ გადააცილოთ ობიექტის ჩაბარებაო. წარმოგიდგენიათ? ფულს არ გვიხდიდნენ, ობიექტის ჩაბარებას კი ვადაში მოითხოვდნენ.** სააკაშვილის მთავრობას მეორედ 2010 წელს დავეჯახეთ. იმხანად სააკაშვილის მთავრობამ დღგ-ს დაბრუნების საკითხი გააპიარა. ამ შემთხვევაში გამოცდილება არ მეყო... თანაც კომპანიაში ინვესტიცია გავაფართოეთ, სამშენებლო საქმიანობის გარდა საგზაო-სამშენებლო სისტემაშიც გადავიჭერით და გადავწყვიტეთ, დღგ-ს თანხა უკან დაგვებრუნებინა. **როგორც კი ეს თანხა მოვითხოვეთ, პროკურატურა შემოვიდა ჩვენს კომპანიაში, საბუთები 6 თვის განმავლობაში ჰქონდათ წაღებული და რას იქექებოდნენ, არ ვიცი. გვიან მივხვდი, რომ დღგ-ს თანხის დაბრუნების საკითხით ჩვენნაირი კომპანიები ანკესზე წამოაგეს, მაგრამ, აბა, ამას როგორ წარმოვიდგენდი?** მოკლედ, მალევე ჩემი კომპანიის თანამშრომელი პროკურატურაში დაიბარეს. ცოტა ხანში მეც გამომიძახეს და იქ მისულს სამივე თანამშრომელი დაპატიმრებული დამხვდა. დავინახე, როგორ გაატარეს დერეფანში ბორკილდადებულები.

**— რატომ დააპატიმრეს?**

— თითიდან გამოწოვილი მიზეზით. ეს ყველაფერი ზურაბ ადეიშვილის მოადგილემ ზაზა ქაჩიბაიამ განმიცხადა. **ქაჩიბაიას წნეხში ბევრ მშენებელს გაუვლია. მან ჩემი თანამშრომლების გათავისუფლებაში 3 მილიონი ლარის გადახდა მომთხოვა**. იმხანად, კომპანიაში მძიმე ფინანსური მდგომარეობა მქონდა და ამ თანხას ვერ გადავიხდიდი. ამიტომ ვუთხარი, ბიჭები გაუშვით და მათ ნაცვლად მე დამაპატიმრეთ-მეთქი. წამოვედი. 2 საათის შემდეგ ზაზა ქაჩიბაიამ კვლავ დამიბარა და მითხრა, **ადეიშვილს ველაპარაკე, თქვენს კომპანიაზე კარგი წარმოდგენა აქვს, მოსწონს თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოები და ამიტომ, სამი მილიონი ლარის გადახდის ნაცვლად, მილიონიანი სამუშაოს შესრულებას გთავაზობთ და თანამშრომლებსაც გავათავისუფლებთო, ანუ ჩემი ხარჯებით მილიონიანი პროექტი უნდა ამეშენებინა.** რა მექნა, დავთანხმდი და ვთხოვე, ჩემი თანამშრომლები, რომლებიც უკვე გლდანის ციხეში გადაჰყავდათ, არ ეწამებინათ. სხვათა შორის, ეს თხოვნა შემისრულეს და ბიჭები მალე გაათავისუფლეს. პროკურატურიდან კი დამავალეს ყვარლის სპორტის სასახლის რესტავრაცია-კეთილმოწყობა და ჩამაბარეს გაპარტახებული შენობა. თანაც მითხრეს, 2010 წლის არჩევნებამდე, ილიაობის დღესასწაულისთვის უნდა მოასწროო. სწორედ ამ პერიოდში მოვიგეთ ე. წ. საგზაო ტენდერი და მესტიაში დავიწყეთ გზის გაკეთება. ეს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტი იყო. დამიბარა გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, რამაზ ნიკოლეიშვილის, მოადგილემ ჯამბულ ნინიძემ და მომთხოვა ამ პროექტის დათმობა. უარი ვუთხარი და ამიტომ უაზრო მიზეზით გაგვინახევრეს ობიექტი. ეს ყველაფერი კი მუნიციპალური განვითარების ფონდის უფროსის, დათო სირაძის, დამსახურებით მოხდა. სხვათა შორის, **დღეს დათო სირაძე ადეიშვილთან ერთად გაქცეულია. ის ადეიშვილის ბულტერიერი იყო და ბევრი მშენებელი ჰყავდა გამწარებული...**

2011 წელს სვანეთში პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობა დავიწყე. ეს პროექტი თითქმის ჩავარდნილი იყო... მოკლედ, შველა დასჭირდათ და დამიძახეს... **გაზაფხული იყო და გვითხრეს, მიშას შემოდგომამდე ეჩქარება სვანეთის რეზიდენციის დასრულება და ძალიან სწრაფად ააშენეთო.** თანხაზეც შევთანხმდით და დავიწყეთ მუშაობა. **ავსტრიელი სპეციალისტი სებასტიან კულეტო ჩამოვიყვანე და შევუდექით მუშაობას. ჩავარდნილი პროექტი მალე ამოვქაჩეთ, მაგრამ ეს ავსტრიელი კაცი გააგიჟეს. ვერ ხვდებოდა, პროექტს რატომ აკონტროლებდა პროკურატურა, პოლიცია, ეკონომიკის იმჟამინდელი მინისტრი ვერა ქობალია...**

**— ვერა ქობალიაც მოდიოდა სვანეთის რეზიდენციის მშენებლობაზე?**

— დღეგამოშვებით... ეს **პროექტი ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო და ობიექტზე თვითონ ვერა დადიოდა. მარტო ვერა ქობალია კი არა, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ჩვენ გვამოწმებდა. ამ ყველაფერს სახელმწიფო უზრუნველყოფის დეპარტამენტი აკონტროლებდა, რომლის ფორმალური დირექტორიც ზაზა ფოდიაშვილი იყო. სხვათა შორის, ეს ადამიანიც ადეიშვილთან ერთად გაიქცა**. როგორც კი დავასრულეთ პროექტი, ფოდიაშვილმა განგვიცხადა, 400 ათასი ლარის დათმობაზე უნდა წამოხვიდეთო. **ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ავსტრიელ სპეციალისტს ჩემი ჯიბიდან გადავუხადე 55 ათასი ევრო. არ მართმევდა თანხას, — შენ რა შუაში ხარო და დაიწყო წერილების წერა სხვადასხვა უწყებაში, მაგრამ გავაჩერე, უარესს დამმართებ-მეთქი.** ამის შემდეგ, როდესაც ტელევიზიით ვნახე, როგორ ზარ-ზეიმით გახსნა ჯერ ყვარლის სპორტის სასახლე, შემდეგ — სვანეთის რეზიდენცია, წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა. **კინაღამ გავგიჟდი, — როგორ უტიფრად მოჰქონდა თავი აღმაშენებლად და როგორ ამაყობდა ჩემი ფინანსებით აშენებული ყვარლის სპორტის სასახლით, სხვა დანარჩენზე რომ აღარაფერი ვთქვათ. გაიხსენეთ „ნანუკას შოუში“ ველოსიპედზე ამხედრებული სააკაშვილი, როგორ ამაყად იშვერს ხელს სპორტის სასახლისკენ, — ეს საოცრება ჩვენ ვაჩუქეთ ყვარლელებსო. ეს კადრი რომ ვნახე, უსირცხვილო სააკაშვილის სიტყვებმა ისე გამომიყვანა მდგომარეობიდან, კინაღამ ტელევიზორი გადავაგდე ფანჯრიდან.** ველარ ავიტანე ეს ყველაფერი და 2011 წელს საქართველოდან წავედი. მოგვიანებით „ნაციონალებმა“ ნაცად ხერხს მიმართეს და 2012 წლის არჩევნებამდე მამაჩემი პროკურატურაში დაიბარეს. 5-საათიანი ლაპარაკის შემდეგ ძალდატანებით ისეთ საბუთზე მოაწერინეს ხელი, რომ 70 წლის კაცი მძევლად აიყვანეს. რა უნდა მექნა? ჩამოვედი...

**— რატომ უნდოდათ თქვენი დაბრუნება?**

**— 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ახლოვდებოდა და „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს სურდათ, ყველაფერი „კანონის ფარგლებში“ გაეკეთებინათ. ამიტომაც მომაწერინეს ხელი სახელმწიფოსთვის 500 ათასი ლარის ჩუქებაზე, რომელიც თავდაცვის ობიექტის აშენებისთვის მეკუთვნოდა.** რეალურად, ეს საკითხი პროკურატურაში გადაწყდა. ისე გაგვაცამტვერეს, რომ დოკუმენტურად არც ერთი შენობა არსად ჩანს. ყველაფერი სათავისოდ აქვთ გაკეთებული და ძალიანაც რომ მინდოდეს, ვერ მოვედავები, აქეთ დამედება ბრალი. **2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ პროკურატურაში შევიტანე განცხადება, მაგრამ ჩემს საქმეზე ჯერ ძვრა არ არის. პროკურატურაში ისევ ის პროკურორები დამხვდნენ და ირონიულად მკითხეს, — შენ კიდევ აქ ხარო?!** შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა რომ თქვა, დაზარალებულებმა მუნიციპალურ სამსახურებთან სცადეთ მოლაპარაკებაო, ვცადე და ამ სამსახურშიც იგივე ადამიანები დამხვდნენ და ისე გადაატრიალეს ჩემი საბუთები, რომ აქეთ დამაჯარიმეს 120 ათასი ლარით. დღეს 3 მილიონი ლარი ვალი მაქვს როგორც ბიუჯეტის, ასევე მასალების მომწოდებლის. ამას გარდა, რაც გამაჩნდა, სახლიც კი, ყველაფერი დავკარგე. თითქმის ყველა სამშენებლო კომპანია საშინელ დღეში ჩააგდეს და ამ დროს უსირცხვილო სააკაშვილი აღმშენებლობას იბრალებს.

**— რა თანხა დაჯდა სვანეთის რეზიდენციის აშენება?**

— აშენებიან-აღჭურვიან-სპეცტექნიკიანად 5 მილიონ ლარზე მეტი. ან რად უნდოდა ყოველ ნაბიჯზე რეზიდენცია ამ თავხედს? სააკაშვილს ლიკანში, რომანოვების სასახლეში, წეროვანში, ზუგდიდში, აჭარაში, სვანეთსა და თბილისში ჰქონდა რეზიდენციები. სვანეთის რეზიდენცია ჰაიკლასის არის და მისი შენახვა წელიწადში 200 ათასი ლარი ჯდება. ეს შენობა ათას კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული. ლიკანის რეზიდენცია რომანოვების სასახლეა და მუზეუმად თუ ივარგებს. დანარჩენ რეზიდენციებს კი თუ გაყიდიან და ამ თანხას ბიუჯეტში გადარიცხავენ, კარგი იქნება. **ახლანდელი ხელისუფლება რომ გაიძახის, ფული არ არის ბიუჯეტშიო, აილონ და გაყიდონ. როგორი იმედი მქონდა ახალი ხელისუფლების, მეგონა, ყველაფერს სამართლიანად მოაგვარებდნენ, მაგრამ...** ბიზნესის კეთება საქართველოში დამუხრუჭებულია, მხოლოდ ისევ „ნაცმოძრაობის“ წევრთა ბიზნესი დგას ფეხზე. ყველაფერი ძველებურად გრძელდება, სამართალი არ აღმდგარა!



პრეზიდენტის რეზიდენცია სვანეთში

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

„რაც უნდა მოხდეს, რამდენიც უნდა იძახონ „ნაციონალებმა“, რომ თურმე პოლიტიკურად იდევნებიან და სამართალი არის შერჩევითი, დაუსჯელი არავინ დარჩება! ვერც ერთი დამნაშავე, რომელიც კი მონაწილეობდა არა მარტო 26 მაისის, არამედ ყველა მსგავსი უკანონო ქმედების დაგეგმვასა და განხორციელებაში, თავის წილ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა!“

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლუკა კურტანიძე: ყველაზე დიდი დამნაშავე დღეს ამერიკაში ლექციებს კითხულობს!

**ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ლუკა კურტანიძე ქვეყანაში ბოლო ხანს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება.**



**— ბატონო ლუკა, ხელისუფლების მიერ დაპირებული სამართლიანობის აღდგენა ისე გაჭიანურდა, საზოგადოების დიდმა ნაწილმა უკვე იმედი დაკარგა, რომ ეს პროცესი ოდესმე დასრულდება. საფრანგეთში დაპატიმრებულმა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმაც კი ცინიკურად ჰკითხა საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტს — საქართველოში სამართალი აღდგაო? თქვენ, როგორც სააკაშვილის რეჟიმისგან დაზარალებული, როგორ ფიქრობთ, რამდენადაა დღეს საქართველოში მართლმსაჯულება პროცესების ადეკვატური?**

— პირველ რიგში, მადლობას მოგახსენებთ იმ ურთიერთობისა და თანადგომისთვის, რომელიც ძნელბედობის ჟამს ჩემ მიმართ გამოიჩინეთ! რაც შეეხება შეკითხვას, კარგად მესმის, რომ საზოგადოება 9 წლის განმავლობაში იყო დაზაფრული, დაშინებული, დაშანტაჟებული, მაგრამ ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, სად ვიყავით, როგორ სახელმწიფოში ვცხოვრობდით 2012 წლის 1 ოქტომბრამდე და როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ დღეს. ვფიქრობ, სამართლიანობა დიდწილად აღდგა, რადგან **საქართველოს მოქალაქეს უკვე აღარ ეშინია ხვალინდელი დღის, არ ეშინია ძალადობისა და იმის, რომ მისი ოჯახის წევრს საპატიმროში გააუპატიურებენ.** დიახ, სამართლიანობა აღდგა იმიტომ, რომ დღეს ხელისუფლების მაღალჩინოსნები გვამებს აღარ უკვეთენ, გაუსამართლებლად არავინ ხვდება ციხეში და ქონებას არავის ართმევენ... კიდევ ბევრი რამის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ არა ერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ, მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, ჩვენ აქ არ უნდა გავჩერდეთ. ჯერ ძალიან ბევრი გვაკლია სრულყოფილ, ჭეშმარიტად სამართლებრივ სახელმწიფომდე, ამიტომ, რა თქმა უნდა, საქმე უამრავია, პრობლემებიც არსებობს და ამ ყველაფერს ისევ ქართველი ერის გარდა, სხვა ძალა, სხვა სახელმწიფო ვერ მოაგვარებს...

**— გასაგებია, რომ პროკურატურას ძალიან ბევრი საქმე აქვს ერთდროულად გამოსაძიებელი, მაგრამ თითქმის წელიწად-ნახევარი გავიდა ხელისუფლების შეცვლიდან და პროცესი ოდნავ მაინც წინ ხომ უნდა წასულიყო?**

— ზუსტად ეს იყო და დღესაც ეს არის რეჟიმის მიერ გაწამებული ადამიანების მოლოდინი, რომელიც ჩემთვის სრულიად გასაგებია. მაგრამ დასაწყისშიც ვთქვი, რომ მთავარია, საზოგადოება გათავისუფლდა წნეხისგან. გამოსაძიებელ საქმეებს რაც შეეხება, ჩემთვის, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის, რომ პროცესი მიმდინარეობს ღიად და გამჭვირვალედ; ნებისმიერ უფლებადამცველ ორგანიზაციას აქვს საშუალება, დაუბრკოლებლად ადევნოს თვალყური, რომელ საქმეზე რა ხდება, რა ცვლილებებია და ა. შ.

**— ამის მიუხედავად, „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურ დევნაზე საუბრობს.**

— და გიკვირთ? **იმ ადამიანისგან, რომელსაც შუბლის ძარღვი გაუწყდება და ნამუსს დაკარგავს, რას ელოდებით, სინანულს?!** ან რომელ პოლიტიკურ დევნაზე გველაპარაკებიან, მერაბიშვილი და ახალაია რომ სხედან ციხეში? ვინმე იტყვის, რომ მათი უფლებები ირღვევა?

**— ამასაც ხშირად ამბობენ...**

— დღეს საქართველოში დამნაშავის უფლებებიც კი დაცულია, სასამართლო კონკრეტული მტკიცებულებების გარეშე ციხეში არავის სვამს. ამიტომაა, რომ ისეთი კრიმინალებისთვის, როგორიც ადეიშვილია, სამართალს ჯერ კიდევ არ მიუკაკუნებია. **იმ ვაჟბატონს კიდევ, კეზერაშვილს, დასაწყისში რომ ახსენეთ, მინდა, ვკითხო — იმ ხელფასით, რომელიც მას ოფიციალურად ჰქონდა, როგორ დააგროვა ამხელა ქონება?!** თუ ასეთი მართალია, შორიდან რომ იჭიმება, რატომ არ ჩამოდის საქართველოში და არ სცემს პასუხს მართლმსაჯულებას?!

**— დიდი ინტერესია 26 მაისის საქმის მიმართ. წინა კვირას სასამართლოში მოწმის სტატუსით იმყოფებოდით. რა ეტაპზეა დღეს გამოძიება?**

— მინდა, დავპირდე საზოგადოებას: რაც უნდა მოხდეს, რამდენიც უნდა იძახონ „ნაციონალებმა“, რომ თურმე პოლიტიკურად იდევნებიან და სამართალი არის შერჩევითი, დაუსჯელი არავინ დარჩება! ვერც ერთი დამნაშავე, რომელიც კი მონაწილეობდა არა მარტო 26 მაისის, არამედ ყველა მსგავსი უკანონო ქმედების დაგეგმვასა და განხორციელებაში, თავის წილ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა!

**— სასამართლოში თქვენი გამოსვლისას მერაბიშვილმა დარბაზი დატოვა. როგორ ფიქრობთ, რატომ არ მოგისმინათ?**

— ადამიანურად მესმის მისი... ძალიან რთულია, ამდენი დანაშაულის შემდეგ წარდგე სასამართლოს წინაშე, თვალებში უყურო და მოუსმინო შენგან გამწარებულ ხალხს. **მერაბიშვილს, უბრალოდ, თავისი ქმედებების გამამართლებელი არანაირი არგუმენტი არ აქვს, გარდა მსახიობობისა და არტისტობისა. ხან იტირებს, ხან რაღაც სენტიმენტურ განცხადებას გაავრცელებს სოციალურ ქსელებში და ა. შ. რეალურად კი პასუხს ვერ სცემს ვერც ერთ შეკითხვას.** ის ახლა ჩიხშია მომწყვდეული და ხვდება, იქიდან გამოსვლა შეუძლებელია.

**— ჯერჯერობით რასაც ვხედავთ, „ნაცმოძრაობის“ მთელი სამართლებრივი პასუხისმგებლობის სიმძიმე ვანო მერაბიშვილისა და ბაჩო ახალაიას მხრებზე გადადის. მხოლოდ ეს ორი ფიგურა აქციეს განტევების ვაცად და ეს საკმარისი იქნება? კი თქვით, რომ არც ერთი დამნაშავე დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, მაგრამ ფაქტია, მთლიანად პარტიის გასამართლება ვერ ხერხდება.**

— ამას წინათ ვთქვი, რომ **ყველაზე დიდი დამნაშავე, რომელმაც რეჟიმი შექმნა და რომლის ჭკუაზეც დადიოდა ყველა, მერაბიშვილი იქნებოდა, ადეიშვილი თუ სხვები, დღეს თავისუფალია და აშშ-ში ლექციებს კითხულობს.** ჩემი აზრით, ქართველმა ხალხმა ეს არ უნდა დაუშვას და, როცა სამართლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ვინც იყო იმ 9-წლიანი უსამართლობის, განუკითხაობის შემოქმედი, მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება უნდა მოითხოვოს.

**— წინა კვირას ამ საკითხზე თქვენი განცხადებაც გავრცელდა.**

— ამას მხოლოდ მე კი არ უნდა ვითხოვდე, ლუკა კურტანიძე, არამედ მთელი ერი, საზოგადოება. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არჩევნებში ხაზი გადაუსვა სააკაშვილს — ეს იყო ხალხის ნება და ახლა საჭიროა, მოხდეს ამ ნების მკაფიოდ, პრინციპულად გამოხატვა.

## «მხოლოდ ერთი და ორი ადამიანი კი არა, მთლიანად რეჟიმი უნდა გასამართლდეს!»

**— რა მოთხოვნით?**

— იმ მოთხოვნით, რომ ერთი და ორი ადამიანი კი არა, მთლიანად რეჟიმი გასამართლდეს! **და თუ ის დამნაშავე რეჟიმია, უნდა აეკრძალოს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა. აი, ეს იქნება საზოგადოების ერთიანობა და ამაში უნდა იყოს მოსახლეობა კონსოლიდირებული.** სხვანაირად ვერასოდეს დაესმება წერტილი „ნაცმოძრაობის“ მსგავსი პოლიტიკური ორგანიზაციებისგან მომავალ საფრთხეს.

**— რეჟიმის გასამართლებაზე საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელიც საუბრობდა თავის დროზე. არის კი ეს შესაძლებელი სამართლებრივად?**

— რა თქმა უნდა, სამართლებრივადაც შესაძლებელი იქნება, თუ, კიდევ ვიმეორებ, მოითხოვს სრულიად ქართველი ერი. რეჟიმის მთავარი ჰეგემონი იყო „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, ამიტომ ბუნებრივია, მას უნდა დაეკისროს მთელი პასუხისმგებლობა 9 წლის განმავლობაში მომხდარ დანაშაულებზე.

**— არ ფიქრობთ, რომ, თუ ეს მოხდება, დემოკრატიული დასავლეთის თვალში ქვეყნის იმიჯი სერიოზულად დაზარალდება?**

— ჩვენ დასავლეთსაც, აღმოსავლეთსაც და ჩრდილოეთსაც უნდა ვუთხრათ, რომ ეს ის საზოგადოებაა, რომელიც ითხოვს სამართლიანობას და არ გაჩერდება, ვიდრე მიზანს არ მიაღწევს. აქ ახლა მთავარია მტკიცებულებები, ყველაზე დიდი მტკიცებულება კი არის საზოგადოების ერთად დგომა.

**— რა ფორმით შეიძლება ხალხმა მოითხოვოს რეჟიმის გასამართლება — ქუჩის აქციებით, რეფერენდუმით, გამოკითხვით თუ, უბრალოდ, ხელისუფლებამ უნდა შეისწავლოს საზოგადოებრივი აზრი?**

— ფორმა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს, ამის მცოდნე ხალხი ბევრია საქართველოში და მათ უკეთ იციან. უბრალოდ, ხალხმა უნდა დაანახოს მსოფლიოს, რომ ასეთი ნება არსებობს, რომ ეს საზოგადოების მოთხოვნაა. ამისთვის შეიძლება მოწოდებაც გაკეთდეს, მიტინგიც გაიმართოს და ა. შ.

**— მოწოდებას და მიტინგს ორგანიზება სჭირდება.**

— ჩვენმა საზოგადოებამ, მისმა დიდმა ნაწილმა უნდა შეიგნოს, რომ ორგანიზატორი ყოველთვის არ გეყოლება. დავაკვირდეთ სხვა ცივილიზებულ ერებს, თვითორგანიზების რამხელა უნარი აქვთ. ეს ჩვენც შეგვიძლია, ჩვენშიც დევს ამის უნარი, მაგრამ, როგორც ჩანს, ბიძგი გვჭირდება. მერწმუნეთ, თუ ამას შევძლებთ, ყველა პრობლემა მოგვარდება — ყველა პარაზიტი, ბაცილა, რომელიც დღეს ჯერ კიდევ არსებობს პოლიტიკურ ასპარეზზე, ამოიშანთება და ქვეყანას მიეცემა განვითარების საშუალება. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველა მოქალაქეს, რომელთაც ის 9-წლიანი კოშმარი შეეხო: **გავერთიანდეთ არა ერთეული ადამიანების, არამედ რეჟიმის გასამართლების მოთხოვნით!**

**— სამართლებრივი პროცესის გაჭიანურების ერთ-ერთ მიზეზად ხშირად სახელდება საკმარისი მტკიცებულებების არარსებობა. სააკაშვილის მიმართ თუ არსებობს ეს მტკიცებულებები?**

— ამაზე კონკრეტული პასუხის გაცემა შეუძლია გამოძიებას, მაგრამ მე ამ შემთხვევაში, როგორც რეჟიმის მიერ დაზარალებული ერთი მოქალაქე, ჩემს პოზიციას გამოვხატავ: ეს ადამიანი საქართველოს მოსახლეობამ უნდა ჩამოიყვანოს და სამაგალითოდ გაასამართლოს! არავინ დაგვძრახავს ამის გამო, მსგავსი პრეცედენტი ევროპის ბევრ სახელმწიფოშიც არსებობს.

**— ადრინდელ ინტერვიუებში არა ერთხელ გითქვამთ, ახალი ხელისუფლება შენდობის გზას უნდა დაადგეს, საზოგადოებაში შერიგება რომ მოხდესო.**

— ახლაც ამ თვალსაზრისზე ვარ. სასამართლო პროცესზეც ხაზგასმით აღვნიშნე, რომ არავის დასჯა არ მიხარია, პირიქით, მინდა, ყველას თვალებში სინანული დავინახო. **აი, ამ სინანულს ვერ ვხედავ დღეს და ამიტომ ვამბობ, რომ დაუნდობელი ვიქნები, როგორც არასდროს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ საზოგადოებიდან ძირფესვიანად ამოვძირკვო დამნაშავეები და კრიმინალები!**

**— ეს ნათქვამი მხოლოდ „ნაციონალურ მოძრაობას“ ეხება?**

— დღეს, სამწუხაროდ, ორასზე მეტი პარტიაა საქართველოში და არიან სუბიექტები, რომლებმაც პროფესიად გაიხადეს პოლიტიკაში, ოპოზიციაში ყოფნა. ამ ხალხის მიმართაც ვიქნები დაუნდობელი, იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არიან ფარისევლები და ვითომ ერის, სამშობლოს სიყვარულს ქადაგებენ.

**— ანუ მთლიანად პოლიტიკური ველია გასაწმენდი?**

— ეს აუცილებელია ქვეყანაში პოლიტიკური ატმოსფეროს გასაჯანსაღებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩნდება შეკითხვაც — ვის აქვს ამის გაკეთების უფლება? ასეთი ლეგიტიმაცია შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებას და აქ ისევ და ისევ მივდივართ იმ საკითხამდე, რომელზეც დასაწყისში ვისაუბრეთ — ერი უნდა გაერთიანდეს! თუ ამ ერთიანობას, ერთსულოვნებას მივაღწევთ, მერწმუნეთ, გადაუჭრელი პრობლემა არ გვექნება, თუ არა — შეიძლება ნებისმიერი პრობლემა გვექცეს სერიოზულ დაბრკოლებად, რომელიც შეაფერხებს და ხელს შეუშლის ქვეყნის განვითარებას.

**— სამოქალაქო სექტორის სისუსტეზე ბიძინა ივანიშვილიც ამახვილებდა ყურადღებას. დღეს თუ არის მზად ჩვენი საზოგადოება სოლიდარობისთვის?**

— ვიმეორებ, ნებისმიერი საზოგადოების წინაშე, რომელსაც აქვს პრეტენზია დემოკრატიაზე, ყოველთვის არსებობს ასეთი მოცემულობა — ან ხარ ერთიანი და ძლიერი, ან — დაქსაქსული და, შესაბამისად, უსუსური. ჩვენ ვიცით, მეორე ტიპის საზოგადოებებს რაც ემართებათ ხოლმე, ამიტომ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, არჩევანი რთული არ არის...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2013 წელს 106 ათასმა იტალიელმა დატოვა ქვეყანა და საზღვარგარეთ გაემგზავრა სამუშაოს საძებრად. უმუშევრობა გაღატაკებას იწვევს. სიღარიბის დონით იტალია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მეორე ადგილზეა. ჩემპიონი საბერძნეთია. საფრანგეთში გაღატაკების რისკი მოსახლეობის 19,1 პროცენტს ემუქრება, გერმანიაში — 19,6 პროცენტს, ფინეთში — 17,2 პროცენტს, ჰოლანდიაში — 15 პროცენტს. საფრანგეთში გაღატაკების საფრთხის წინაშე დგას მოსახლეობის 29,9 პროცენტი, საბერძნეთი 34,6 პროცენტით აქაც ჩემპიონობს.**

# ნეოლიბერალიზმის მამათმავლური ხიბლი

**ტაილანდში ოპოზიცია ბობოქრობს, ინდონეზიაში — ვულკანი, იტალიის სამხრეთში წყალდიდობაა, ჩრდილოეთში — დიდთოვლობა, მიუნხენში მოკრივე კლიჩკო უკრაინის მთავრობას ზურგიდან ურტყამს, ჩვენი ირაკლი ღარიბაშვილი სააკაშვილის მამობილ ამერიკელ სენატორ მაკკეინს ხვდება. ანომალიების აჯაფსანდალია გაუგებარი ქმედების სურნელებით შეზავებული.**

ამ ფონზე ევროპამ თითქოს თვალები მოიფშვნიტა, გამოფხიზლდა, გაიხსენა, რომ ხალხია ქვეყნის ბატონ-პატრონი და საფრანგეთის ავანგარდული რაზმით შეუტია სოდომ-გომორის უბედურებას და უმუშევრობას, რაც, თუ რამ ჰყავის და აღზევებულია ევროკავშირის ქვეყნებში, ეგაა.

ნეოლიბერალური მამათმავლური ხიბლისა და ფსევდოსოციალიზმის წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა ისტორიულმა ლუტეციამ, ამჟამინდელმა პარიზმა.

**26 იანვარს 50-მა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ პარიზში „მრისხანების დღე" გამართა. თავსხმა წვიმის მიუხედავად, ათასობით ადამიანი გამოვიდა საფრანგეთის დედაქალაქის ქუჩებში. დემონსტრანტებმა მოითხოვეს პრეზიდენტის გადადგომა, ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება უმუშევრობის დასაძლევად და „ერთსქესიანთა კანონმდებლობის" გაუქმება.**

განსხვავებით ქართველი საზოგადოებისგან, რომლისთვისაც ევროპელი ნეოლიბერალების ცხვირის აბზუებამ და ჰომოფობიის დაბრალების პროვინციულმა შიშმა ლამის დამბლა დამართა, ფრანგებმა თავიანთი პრინციპული პოზიცია არ დათმეს.

საფრანგეთის ხელისუფლებამაც გამოაჩინა ბრჭყალები, კიევის მოვლენებისგან განსხვავებით, როცა უკრაინის ხელისუფლებამ რადიკალებს ხელი არ შეუშალა კიევის ცენტრის გატიალება-გაბინძურებასა და ადმინისტრაციული შენობების დაკავებას დედაქალაქში თუ პერიფერიაზე, ფრანგულმა პოლიციამ დემონსტრანტები ძალის გამოყენებით დაარბია. აქციის 262 მონაწილე დააპატიმრა.

## ფრანგებს უმუშევრობა და სოდომია მობეზრდათ

შუა იანვარში საფრანგეთის რეიტინგდაცემულმა პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ეკონომიკური კურსის მკვეთრი ცვლილების შესახებ განაცხადა. მისი პროგრამით, 3 წლის განმავლობაში საბიუჯეტო დანახარჯების 50 მილიარდი ევროთი შემცირებაა გათვალისწინებული.

ასეთი მკვეთრი ცვლილება პირველად ხორციელდება. ოლანდმა იცის, რაოდენ არაპოპულარულია ამ ღონისძიების განხორციელება და შეეცადა, დაერწმუნებია თანამემამულეები, რომ საფრანგეთის, როგორც მსოფლიო სახელმწიფოს, როლის აღდგენა ზედმეტად ხელგაშლილი სოციალური სისტემის დემონტაჟითაა შესაძლებელი. არადა, საპრეზიდენტო მარათონში ოლანდმა იმით გაიმარჯვა, რომ ამომრჩევლებს დაჰპირდა, პრინციპულად შეუტევდა „ფინანსურ სამყაროს", რომ მსხვილი კაპიტალი დაიბეგრებოდა 75-პროცენტიანი გადასახადით, რაც მთავრობას შესაძლებლობას მისცემდა, უპრობლემოდ დაეფინანსებინა მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენები, გაეზარდა მინიმალური ხელფასის დონე და ა. შ.

მოქალაქეთა ის ფენა, რომელიც საფრანგეთში ნაკლებად უზრუნველყოფილად არის მიჩნეული, საქართველოში სოციალურად დაუცველად არის წოდებული. ტერმინოლოგიური განსხვავება არაფერ შუაშია: იქ ნაკლებ უზრუნველყოფაზეა საუბარი, აქ — დაუცველობაზე!

იქ მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს, აქ — შეგუებულია. მოსახლეობაც და მთავრობაც.

ოლანდის სოციალიზმი გაქრა, როგორც შარშანდელი თოვლი. 2012-ის შემოდგომაზე საქართველოში სოციალიზმზე ლაპარაკიც არ ყოფილა, სიტყვაზე ნდობა იყო! შედეგი კი ორივეგან ნეგატიურია: დაიჩაგრა ის, ვინც ისედაც დაჩაგრული იყო.

**გამწარებული ფრანგები ამბობენ, რომ სოციალისტური პარტია წამყვან ნეოლიბერალურ ძალად გადაიქცა, მსხვილი საფინანსო კაპიტალის ხელქვეითად.**

**ჩვენც ხომ არ გვემუქრება ამგვარი ფერიცვალება?**

დაველოდოთ?!

საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ განცხადებული რეფორმების პროგრამის თავიდათავი ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის გაფორმებული „პასუხისმგებლობის პაქტია". ხელისუფლება კისრულობს, სერიოზულად შეუმციროს კომპანიებს შენატანები სოციალურ ფონდებში. ეს ხელს შეუწყობს მწარმოებლებს, 35 მილიარდი ევროთი შეუმცირდეთ საწარმოო ხარჯები. სანაცვლოდ, არნახული უმუშევრობის შესამცირებლად უნდა შექმნან მილიონი სამუშაო ადგილი. უმუშევრობა კი მართლაც ზღვარს მიღმაა გადასული: **2013 წლის III კვარტლის შედეგების მიხედვით 10,5 პროცენტს მიაღწია, ხოლო 25 წლამდე ახალგაზრდებს შორის — თითქმის 25 პროცენტი გახდა. საფრანგეთში დღეს 3 მილიონზე მეტი უმუშევარია.**



ეკონომიკის სუსტად განვითარების პირობებში უმუშევრობის შემცირება ეკონომისტებს პრაქტიკულად შეუძლებლად მიაჩნიათ. 2013 წელს საფრანგეთის მშპ, არსებული გათვლებით, სულ 0,2 პროცენტით გაიზარდა. ევროკომისიის ექსპერტების პროგნოზით, წლევანდელი ზრდა შარშანდელის იდენტური იქნება. ეს კი ნიშნავს, რომ სტაგნაცია გრძელდება, მაშასადამე, უმუშევრობის შემცირება ფუჭი დაპირებაა.

„პასუხისმგებლობის პაქტის" წინააღმდეგ გაილაშქრა **საფრანგეთის პროფკავშირებმა**, ხოლო საფრანგეთის უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ყოფილმა მინისტრმა **ლორან ვოკიემ** განაცხადა, რომ „სახეზეა სრულიად საფრანგეთის უკმაყოფილება — ფერმერების, კომერსანტების, ხელოსნების, მოსამსახურეების".

ახალი კურსის წინააღმდეგ გამოვიდნენ **მემარცხენე ძალები**, მათ შორის, კომუნისტების ლიდერი **ჟან-დიუკ მელანშონი,** რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნებში ხმების 11 პროცენტზე მეტი მიიღო, ხოლო ოლანდი მისი მხარდაჭერით იქნა არჩეული.

ეს — მემარცხენეები.

მაგრამ **მემარჯვენეებიც** სერიოზულად არიან დაეჭვებულები, რომ პრეზიდენტი შეძლებს ამ კურსის განხორციელებას. **საფრანგეთი სერიოზული შიგაპოლიტიკური კონფლიქტების წინაშე დგას.**

**Le Figaro** 15 იანვარს წერდა: „პირველ წუთებში ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ფრანსუა ოლანდი არის ჩერჩილისა და ბლერის ერთსახეობა. ასეთი ასოციაცია პრეზიდენტის დამაჯერებელმა ტონმა შეგვიქმნა, მისმა მოწოდებამ სიმტკიცისადმი. მაგრამ ეს შთაბეჭდილება წაიშალა, როგორც კი პრეზიდენტმა პერსპექტივაზე დაიწყო საუბარი. სახელმწიფო სახსრების ეკონომია კარგი საქმე რომ არის, გასაგებია. მაგრამ როგორ მოახერხებს ამას, ოლანდს არ უთქვამს... „ახალ სიმღერას" რომ ამბობდა, 50 მილიარდის ეკონომია 2017 წლამდეო, შესანიშნავია! მაგრამ ეს „სიმღერა" ფრანგებს, რამდენიმე თვეა, ესმით და გრძნობენ, რომ ეს ტვირთი საკუთარ მხრებზე დააწვებათ".

## იტალიას ღვინომ და ევროკავშირმა ვერ უშველა, ახლა მასხარას იმედიღა აქვს

2013 წლის თებერვლის საპარლამენტო არჩევნებში ყოფილმა კომიკოსმა **ბეპე გრილომ** ხმების 26 პროცენტი მიიღო და ქვეყნის უდიდესი პარტიის — „ხუთი ვარსკვლავის" ლიდერი გახდა. მისი ამომრჩევლების საშუალო ასაკი 31 წელიწადია, მთავარი საორგანიზაციო იარაღი — ინტერნეტი: მის ბლოგს, რომელიც იტალიის პოლიტიკური კლასის წინააღმდეგაა მიმართული, ყოველდღიურად მილიონზე მეტი ინტერნეტმომხმარებელი კითხულობს. "ტვიტერშიც" მილიონზე მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს.

არჩევით კი აირჩიეს მასხარა თავის ამალასთან ერთად ქვეყნის პარლამენტში, მაგრამ ამან იტალიას არ უშველა. მართალია, ყურძნის შარშანდელმა მოსავალმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია — 45 მილიონ ჰექტოლიტრს, რითაც გადაუსწრო საფრანგეთს, ესპანეთსა და აშშ-ს, მაგრამ ევროკავშირის წევრ ქვეყანას ამით დიდი შეღავათი არ მიეცა.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა **ენრიკო ლეტამ** "იტარტასისთვის" მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში მის ქვეყანაში უმუშევრობა კატასტროფულად იზრდება, რომ ეკონომიკური კრიზისი უმეტესად ახალგაზრდა თაობაზე აისახა და ყოველგვარი იმედი მოუსპო.

ვერც ნატოს, ვერც ევროკავშირის წევრობამ ვერ უშველა იტალიას და უამრავი პრობლემა კვლავ მარწუხებით ახრჩობს ქვეყანას: დიდი საგარეო ვალი, დაუსრულებელი ეკონომიკური ვარდნა, გალაღებული ბიუროკრატია და სოციალური უზრუნველყოფის არასაკმარისად სამართლიანი სისტემა, რაც მთავარია, უმუშევრობის მაღალი დონე ახალგაზრდობას შორის.

**2013 წლის III კვარტალში იტალიის მშპ 1,8 პროცენტით შემცირდა. 2008 წლის შემდეგ მომხდარი ორი რეცესიის შემდეგ მშპ კრიზისამდელ, ანუ 2007 წლის IV კვარტლის მაჩვენებელზე 8 პროცენტით ნაკლები რჩება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ იტალიის მშპ 2014 წლისთვის შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ 0,4 პროცენტით, ხოლო 2015 წლისთვის — არაუმეტეს 0,9 პროცენტისა. ქვეყნის რეიტინგი ისე დაეცა, რომ მხოლოდ ორი საფეხურიღა დარჩა ე. წ. ნაგვის რეიტინგამდე.**

საგარეო ვალი კოლოსალურია — შარშანდელი ნახევარი წლის მიხედვით 2,076 ტრილიონი ევრო, რაც მშპ-ს 130 პროცენტია, მაშინ, როცა მაასტრიხტის ხელშეკრულებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო ვალმა მშპ-ს 60 პროცენტს არ უნდა გადააჭარბოს.

2013 წლის ივნისის ბოლოს ინგლისურ **The Financial Times**-ში გამოქვეყნებული მასალის მიხედვით კრიზისს სათავე დაედო იტალიის ევროზონაში გადასვლის წინ განხორციელებული ოპერაციით, სახელმწიფო დეფიციტის მოჩვენებითი შემცირებისთვის რომ იყო გამიზნული. ამ „მიწერის" წყალობით იტალია ევროზონაში კი შევიდა, მაგრამ ახლა მთავრობა იძულებულია მრავალმილიარდიანი ვალი გაისტუმროს იმ ოპერაციის საფასურად.

**იზრდება ვალი, იზრდება უმუშევრობა, რომელმაც 2013 წლის ოქტომბერში 12,5 პროცენტს მიაღწია, უმუშევართა საერთო რაოდენობამ კი — 3,198 მილიონს. საერთაშორისო სარეიტინგო ასოციაცია S&P-ს გამოთვლით, უმუშევრობის ეს მაჩვენებელი, სულ ცოტა, 2-3 წლის განმავლობაში იქნება შენარჩუნებული.**

## სამათხოვრო შემწეობა

იტალიაში, ისევე, როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში, უმუშევრები შემწეობებს იღებენ. იმ მუშაკების შემწეობა, რომელთა ხელფასი თვეში 2014 ევროს არ აღემატებოდა, 931 ევროა დაწესებული, მათთვის კი, ვინც 2014 ევროზე მეტს იღებდა — 1119 ევრო, გადახდის ვადა 240 დღითაა განსაზღვრული. თუ დათხოვნის მომენტისთვის მუშაკი 50 და მეტი წლისა იყო, ეს ვადა 360 დღემდე იზრდება. შემდეგ კი ყველამ თავის თავს თვითონ უშველოსო.

უარესადაა საქმე ახალგაზრდობის უმუშევრობაში. პრობლემა მხოლოდ რაოდენობა კი არ არის, რაც თავისთავად 41,2 პროცენტია, არამედ ის, რომ სკოლის და უმაღლესის კურსის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები სამუშაოს ვერ პოულობენ და ბედის ანაბარა რჩებიან — არც სამუშაო, არც უმუშევართა შემწეობა!

„ახლანდელ ახალგაზრდებს არ ექნებათ ის ფინანსური დამოუკიდებლობა, რომელიც მათ წინამორბედებს ჰქონდათ. ამიტომ გაურთულდებათ ცხოვრება: სამუშაო ადგილის პოვნა იქნება ეს თუ ბინის ყიდვა, ოჯახის შექმნა თუ შვილების ყოლა და გაზრდა", — ასკვნიან მილანის ბოკონის უნივერსიტეტის სოციოლოგები 2013 წლის დასაწყისში ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით. მათი კატეგორიული აზრით, სახეზეა „ეკონომიკური და სოციალური კატასტროფა".

**2013 წელს 106 ათასმა იტალიელმა დატოვა ქვეყანა და საზღვარგარეთ გაემგზავრა სამუშაოს საძებრად.**

**უმუშევრობა გაღატაკებას იწვევს. სიღარიბის დონით იტალია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მეორე ადგილზეა. ჩემპიონი საბერძნეთია.**

საფრანგეთში გაღატაკების რისკი მოსახლეობის 19,1 პროცენტს ემუქრება, გერმანიაში — 19,6 პროცენტს, ფინეთში — 17,2 პროცენტს, ჰოლანდიაში — 15 პროცენტს. საფრანგეთში გაღატაკების საფრთხის წინაშე დგას მოსახლეობის 29,9 პროცენტი, საბერძნეთი 34,6 პროცენტით აქაც ჩემპიონობს.

**სადაა ხელის გამწვდენი და დამხმარე?**

**რით უდგას მხარში წევრ ქვეყნებს ევროკავშირი?**

პასუხის მჭევრმეტყველი გამცემი, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც მოიძებნება, მაგრამ რა ვუყოთ პროცენტულ მაჩვენებლებს, რომლებიც ისეთივე რეალობაა, როგორც თბილისის ქუჩებში ხელგაწვდილი მათხოვრები?

ეს პროცენტები ისე გთრგუნავს, როგორც ნაგვის ურნებში თავჩარგული ადამიანების მიერ ნარჩენების ქექვით საარსებო საშუალების პოვნის ეფემერულობა.

არადა, საქმე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ეხება, ევროკავშირისა, რომლისკენაც ხელებაპყრობილი მივემართებით.

ალილუია!

**არმაზ სანებლიძე**

**უცხოური პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალგაზრდებს უნერგავენ გარკვეულ კლიშეებს, შეხედულებებს, რომლებიც მათ ხდის ბევრად უფრო იოლად სამართავს. ამ კლიშეების თანახმად, სამშობლოზე, ეროვნებასა და ტრადიციებზე საუბარი სასაცილოა, ამიტომ, რომ წამოიზრდები და სრულწლოვანი გახდები, თვითონ უნდა გადაწყვიტო, რა ფასეულობებით იცხოვრებ.**



ზვიად ერემაძე:

# ხალხმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როცა ჩათვალა, რომ ივანიშვილის მოსვლით გვეშველა

**ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ კურსზე, მიმდინარე ცვლილებებსა და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე გვესაუბრება ანტიგლობალიზაციის ცენტრ „ივერიელების“ წარმომადგენელი ზვიად ერემაძე.**

**— ბატონო ზვიად, წინა ხელისუფლების პერიოდში უამრავი რეფორმა გატარდა, მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ზოგადი განათლების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები იყო. სააკაშვილი თავის გამოსვლებში ყოველთვის ხაზს უსვამდა ხოლმე, ნახეთ, რამხელა რევოლუცია მოხდა მენტალიტეტშიო. თქვენი აზრით, რა პოლიტიკა აქვს ამ მხრივ „ქართულ ოცნებას“ და რა პროცესები მიმდინარეობს, რა შეცვალა რეალურად ახალმა გუნდმა ეროვნული ცნობიერებისა და იდეოლოგიის ჩამოყალიბების კუთხით?**

— ცვლილებებზე როდესაც ვსაუბრობთ, ხშირად მესმის ხოლმე განცხადებები, ადამიანი უმადური არ უნდა იყოს და, რაც გაკეთდა, უნდა დავაფასოთო. რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგი დასაფასებელია, მაგრამ ის, რომ დაჭერები აღარ მიდის, ხალხს ციხეში არ აუპატიურებენ და არ აწამებენ, ეს საკმარისია თუნდაც იმ მინიმუმისთვის, რომელიც ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს? ამისთვის ვუხადოთ მადლობა ხელმძღვანელობას?! მენტალობას რაც შეეხება, ამ მხრივ რამის შეცვლა თუ უნდა ხელისუფლებას, პირველ რიგში, უნდა გატარდეს სასწრაფო რეფორმები განათლების სისტემაში. ზუსტად ამას შვებოდა სააკაშვილის გუნდი და, რა შედეგიც მივიღეთ, ყველა ვხედავთ. ესენი კიდევ არაფერს აკეთებენ, არანაირი ცვლილებები არ ხორციელდება იმისთვის, რომ წინამორბედის დამანგრეველი შედეგები ნაწილობრივ მაინც გამოასწორონ. საერთოდ, ნებისმიერ სახელმწიფოს, ესა თუ ის პოლიტიკა რომ გაატაროს, სჭირდება შესაბამისი კადრები და, კადრები რომ გყავდეს, ამისთვის უნდა შექმნა ამ კადრების სამჭედლო. ეს სამჭედლო, პირველ რიგში, არის ოჯახი, სკოლა და ინსტიტუტი. თუმცა, როგორც გითხარით, არც ერთი მიმართულებით ხელისუფლება არა თუ ნაბიჯებს არ დგამს, საერთოდ ლაპარაკიც არაა, რას ვაპირებთ და რა გზას ვირჩევთ, საით მივდივართ.

**— დასაწყისში მენტალური რევოლუცია ვახსენე, რომელსაც სააკაშვილი მისი მმართველობის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად თვლიდა. რა შედეგი მოგვცა 9 წლის მანძილზე ამ „რევოლუციამ“?**

— შედეგი არის ის, რომ დღესდღეობით ახალგაზრდებს უნერგავენ გარკვეულ კლიშეებს, შეხედულებებს, რომლებიც მათ ხდის ბევრად უფრო იოლად სამართავს. ამ კლიშეების თანახმად, სამშობლოზე, ეროვნებასა და ტრადიციებზე საუბარი სასაცილოა, ამიტომ, რომ წამოიზრდები და სრულწლოვანი გახდები, თვითონ უნდა გადაწყვიტო, რა ფასეულობებით იცხოვრებ. ანუ, თითქოს ახალგაზრდებს არაფერს ასწავლიან და აძლევენ სრულ თავისუფლებას, მაგრამ სინამდვილეში სატელევიზიო არხების მეშვეობით, თოქშოუებით იქნება ეს თუ სერიალებით, მიდის გამალებული პროპაგანდა. ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომელი უკეთ და უფრო სწრაფად გარყვნის ახალ თაობას, რომელი უფრო მალე ჩაკლავს ბავშვებში ქვეყნისა და ერის სიყვარულს. აი, ამას რომ არ ებრძვის ხელისუფლება, ესაა ჩემთვის დამაფიქრებელი, თორემ პროპაგანდისტები ყოველთვის იქნებიან; რა მმართველობაც უნდა დამყარდეს, ყოველთვის მოიძებნება გარკვეული ჯგუფი ადამიანების, რომლებიც, ნებით თუ უნებლიეთ, ანტისახელმწიფოებრივად იმოქმედებს...

**— ასეთ პროპაგანდისტებს, ალბათ, ლუსტრირება სჭირდებათ.**

— ლუსტრაციაზე წინა ხელისუფლების დროსაც მუდმივად საუბრობდნენ, მაგრამ ეს, ცოტა არ იყოს, პირობითი საკითხია. ყველაზე ლეგიტიმური ლუსტრატორი ერთადერთი შეიძლება იყოს ხალხი და ვერანაირი კომისიები ვერ წაართმევს საზოგადოებას ამ უპირატესობას. საერთოდ, ყველაფრის საფუძვლად ამ შემთხვევაში უნდა მოვიაზროთ სამართლიანობა. თუ კი სამართლიანობა არის, მაშინ ყველაფერს მოითმენს ხალხი — სოციალურ გაჭირვებასაც და პოლიტიკურ პრობლემებსაც; უამისოდ კი, უბრალოდ, შეუძლებელია, მოსახლეობისგან მოითხოვო რაიმე სახის რაციონალიზმი. ასეთ შემთხვევაში იწყება საყოველთაო ნიჰილიზმი და ყველას უჩნდება განცდა, რომ სახელმწიფო ჩვენზე არ ფიქრობს.



## «მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ არც ისტორია ვიცით და არც არჩევანის მნიშვნელობა გვესმის»

**— პროპაგანდაზე რადგან ვსაუბრობთ, დღესდღეობით ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი ერთი-ერთზე იმეორებს წინამორბედის რიტორიკას, — ევროკავშირი და ნატო ისევ პრიორიტეტად ცხადდება, ხოლო რუსეთის მიმართ, მართალია, ტონი ცოტა შერბილდა, მაგრამ რეალურად ურთიერთობაში წინგადადგმული ნაბიჯები არ ჩანს. როგორ ფიქრობთ, „ქართულმა ოცნებამ“ მისდაუნებურად ვერ გაარღვია „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური ჩარჩოები, თუ ეს ყველაფერი მიზანმიმართული პროცესია?**

— დასაწყისში კლიშეები ვახსენე და დღეს, სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკაც არის სწორედ ამ კლიშეებით შემოზღუდული. 20 წელია, ერთსა და იმავე წრეში ვართ, — ერთის მხრივ ცუდი რუსეთი და მეორეს მხრივ, მხსნელი დასავლეთი. მე, უბრალოდ, მაინტერესებს, საქართველოს ინტერესები სადაა. შეიძლება, სხვის გინებაში და სხვის ქებაში საკუთარი თავი დაგავიწყდეს?! მერწმუნეთ, არც რუსეთს და არც დასავლეთს საქართველო თავისთავად არ აინტერესებს, ყველას საკუთარი გასჭირვებია და, თუ კი ან ერთი ან მეორე გეპოტინება, მხოლოდ მისი ინტერესებიდან გამომდინარე; აქ ახლა შენი პოლიტიკის ადეკვატურობა განისაზღვრება იმის მიხედვით, რა გასაღებს მოუძებნი ამ პროცესებს. გამონახავ შუალედურ გზას და შეიძლება, რომ დიდი სახელმწიფოების ინტერესთა შეჯახების ასპარეზად არ იქცე, გექნება სტაბილურობა, რომელიც, როგორც მინიმუმ, უკუსვლას არ მოგიტანს. ვერ გამონახავ ამ გზას, შედეგი ყველამ ვიცით, რა შეიძლება იყოს, იგივე 2008 წლის აგვისტოს მოვლენების მაგალითზე.

**— რაც შეეხება ევროპასა და ევროკავშირს, ობიექტურად რამდენად არის დღეს საქართველოს სტრატეგიულ ინტერესში დასავლეთთან ინტეგრაცია? რამდენად არის ეს ჩვენი ისტორიული არჩევანი?**

— ეს ისტორიული არჩევანის თემა უკვე, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ გამოიყურება, მაგრამ დავანებოთ ამას თავი, ჩვენ პრობლემა ევროპელ ხალხთან კი არ გვაქვს, არამედ იმ კასტასთან, რომელმაც ხელში ჩაიგდო მთელი ევროპის ბერკეტები. მერწმუნეთ, მოსახლეობას, რიგით მოქალაქეებს არავინ არაფერს ეკითხება, იქ არის ადამიანების რაღაც მცირე ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურსაც, ეკონომიკურსაც და საერთოდ ყველანაირ პროცესებს, რაც კი მიმდინარეობს ამ უზარმაზარ გაერთიანებაში.

ახლა სოციალურ კეთილდღეობას რაც შეეხება: ბევრს ჰგონია, რომ თუკი ჩვენ ევროპულ ოჯახში შევალთ, სამოთხეში ვიცხოვრებთ, ამ დროს ნებისმიერი მოქალაქე რომ გააჩერო დღეს დასავლეთში, გინდა ფრანგი, გინდა იტალიელი და გინდა, ინგლისელი, გეტყვის, რომ გაცილებით უკეთ ცხოვრობდა ევროკავშირში შესვლამდე...

**— თქვენი აზრით, ჩვენც უარესად ვიცხოვრებთ, თუკი ევროკავშირში შევალთ?**

— არ მინდა, ზერელე შეფასებები გავაკეთო, მაგრამ ისტორიულ არჩევანზე როდესაც ვსაუბრობთ, ელემენტარული ხომ უნდა გვესმოდეს, რას გულისხმობს ეს არჩევანი. ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ არც ისტორია ვიცით და არც არჩევანის მნიშვნელობა გვესმის. ასე ზერელედ მიღებული გადაწყვეტილება კიდევ რას მოუტანს სახელმწიფოს, არ ვიცი.

საზოგადოების ყურადღების გადატანა მთავარიდან მეორეხარისხოვანზე ათასგვარი თოქშოუებით, ურთიერთბრალდებებით და რაღაც უაზრო განცხადებებით, ამ დროს პარლამენტი თავისთვის, წყნარად მუშაობს ანტისახელმწიფოებრივ კანონმდებლობებზე, რომლებიც პირდაპირ დამანგრეველია ქვეყნისთვის.

**— კონკრეტულად რომელ კანონს გულისხმობთ?**

— მაგალითად, ამ ზაფხულს დაიწყეს ისეთი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა, რომლითაც ადვოკატებს ჩამოერთვათ აბსოლუტურად ყველა უფლება. კაციშვილს არ ამოუღია ხმა ზაზა ხატიაშვილის გარდა და ახლა, იცით, რა მდგომარეობა გვაქვს? რამე რომ დაგჭირდეს სისხლის სამართლის საქმეში, ადვოკატი, ფაქტობრივად, ვერაფერს გააკეთებს, იმდენადაა შებოჭილი და შეზღუდული.

**— ისე, თავის დროზე სააკაშვილის უკანონო ქმედებებზეც სდუმდა საზოგადოება.**

— ჩვენ კარგად გვახსოვს, თითქმის სამი წელი დასჭირდა ქართველ ხალხს, რომ „ნაცმოძრაობის“ ალვირახსნილობაზე ხმა ამოეღო. მე არ ვიცი, ამ ხელისუფლების მიმართ რამდენად ფხიზლები ვიქნებით, მაგრამ ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეგვიძლია, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სუფთა პოლიტიკური წარსულის მქონე ხალხი ნამდვილად არ გვყავს სათავეში.

**— ეს ივანიშვილსაც ეხება? თუმცა ის უკვე არ არის პოლიტიკაში.**

— ეგ საკითხავია, არის თუ არა. მის წარსულს რაც შეეხება, ნებისმიერმა გლეხურ დონეზე მოაზროვნე ადამიანმაც კი იცის, რომ მილიარდები ჩვეულებრივი ბიზნესით არ იშოვება, თუ არ ხარ დიდი გაქანების მქონე ხელოვანი, მაგალითად, როგორიცაა მოქანდაკე წერეთელი რუსეთში. მოკლედ, მე იმის თქმა მინდა, რომ გაიდეალება არავისი შეიძლება, მით უმეტეს პოლიტიკოსის და ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, როცა ჩათვალა, რომ პოლიტიკაში ივანიშვილის მოსვლით გვეშველა. იმედია, ამ შეცდომის შედეგის გამოსწორება დაგვიანებული არაა.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

## «ევროპულ პოლიტიკას, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული, მომავალი არ აქვს!»

**რუსეთთან საერთო წერტილები უნდა მოიძებნოს და ურთიერთობა უფრო კონსტრუქციულად განვითარდეს, — ასეთია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის — ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის აზრი ევროპისა და რუსეთის ურთიერთობაზე.**

„ჩვენ აუცილებლად უნდა მოვძებნოთ საერთო წერტილები რუსეთთან, ურთიერთობა უფრო კონსტრუქციულად რომ განვითარდეს, მხოლოდ რუსეთის მეშვეობით შევძლებთ ირანის პრობლემისა და სირიაში ქიმიური იარაღის განადგურების პრობლემის მოგვარებას.

ევროპულ პოლიტიკას, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული, მომავალი არ აქვს, თუმცა მოსკოვმაც უნდა გადაწყვიტოს, შეხების რა საერთო წერტილები აქვს მას ევროპასთან და თავისი პოზიცია ჩამოაყალიბოს“, — განაცხადა გფრ-ის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.



ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლება ცდილობს, რომ სასამართლო პროცესზე ნამდვილი დამნაშავეები არ დაიკითხონ და აშკარაა, რომ მათ ვიღაც ხელს აფარებს. ბოლო სასამართლო პროცესზე საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელმა ხათუნა კალანდაძემ დააყენა შუამდგომლობა, რომ დასაკითხთა სიიდან ამოეღოთ გამომძიებლები: ქევხიშვილი, გრიგალაშვილი და ხვედელიძე, რამაც გაამძაფრა ეჭვი, რომ გამოძიება მათ ხელს აფარებს“.**



მაგდა კოტრიკაძე

# რისთვის სჭირდება ირაკლი ალასანიას «ნაცზონდერები» სამინისტროში?

**იმ გახმაურებულ საქმეთაგან, რომლებიც „ნაცების“ სახელს უკავშირდება, ერთ-ერთია გენერალი სერგო თეთრაძის მკვლელობის საქმე. 2012 წლის არჩევნების შედეგად მოსული ახალი ხელისუფლება ამ საქმის გამოძიების მნიშვნელობაზე თავიდანვე საუბრობდა, მაგრამ „ჯაშუშობის საქმის“ სულისჩამდგმელები ჯერ კიდევ არ არიან დაკავებულნი, უფრო მეტიც, ზოგი მათგანი დასაკითხთა სიიდანაც ამოიღეს და დააწინაურეს კიდეც თავდაცვის სამინისტროში. რისთვის სჭირდება ირაკლი ალასანიას „ნაცზონდერები“ სამინისტროში? რატომ აფარებენ ხელს დამნაშავეებს? —ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ სერგო თეთრაძის ოჯახის ადვოკატი მაგდა კოტრიკაძე ესაუბრება:**





— დაახლოებით ორი თვის წინათ მოვითხოვე შეხვედრა ირაკლი ალასანიასთან. მას მივაწოდე ყველა იმ ადამიანის გვარ-სახელი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ თეთრაძის უკანონო დაკავებასა და წამებაში ციხეში მიყვანამდე. თავდაცვის მინისტრს ვკითხე, — რატომ იკავებდნენ დამნაშავეები თანამდებობებს?

საქმე ის არის, რომ ირაკლი ალასანიამ მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრი გახდა, ეს ადამიანები კადრების განკარგულებაში გადაიყვანა, მაგრამ მისი მოადგილის, ირაკლი გეგეჭკორის, ბრძანების საფუძველზე კვლავ აღადგინეს და დაზვერვის დეპარტამენტში მაღალ თანამდებობებზეც დაინიშნენ. გეგეჭკორის ბრძანებით დაინიშნა კობა თოდუაც, რომელიც, გახსოვთ, ალბათ, სამეგრელოში ნაპოვნი კასრების საქმეზე დააპატიმრეს.

შეხვედრის შემდეგ მინისტრი დამპირდა, რომ საქმეს შეისწავლიდა და ყველა დამნაშავეს გაათავისუფლებდა. სამი დღის შემდეგ თავდაცვის სამინისტროდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ადამიანები, რომლებიც სერგო თეთრაძის საქმეში ფიგურირებდნენ, კადრების განკარგულებაში გადაიყვანეს. გენერალი თეთრაძის საქმეზე ბევრი ადამიანია დაპატიმრებული, ეს მხოლოდ ის ხალხია, რომელმაც თეთრაძე უშუალოდ ციხეში აწამა, მაგრამ თეთრაძე ციხეში მიყვანამდეც ნაწამები იყო და მისი დაპატიმრებაც უკანონოდ მოხდა. **თეთრაძის წამების საქმეზე რამდენიმე ადამიანია ბრალდებული: ალექსანდრე მუხაძე, ვიქტორ ყაჭეიშვილი, ოლეგ ფაცაცია, მეგის ქარდავა, რომელიც სერგო თეთრაძის წამების ნაწილში რატომღაც გამართლდა, ბრალი ლონდარიძისა და გორელაშვილის წამებაში დასდეს** (ლონდარიძე და გორელაშვილი თეთრაძესთან ერთად „ჯაშუშობის საქმეში“ ფიგურირებენ). დანარჩენები კი დაუსჯელნი არიან, ისინი თავდაცვის მინისტრმა ჩვენ მიერ მიწოდებული ფაქტების შედეგად კადრების განკარგულებაში გადაიყვანა. შემდეგ კი **ვინმე თენგიზ კვარაცხელიას სახელით ალასანიასთან მივიდა წერილი, რომლითაც ის მინისტრს ატყობინებდა, რომ თეთრაძის საქმეზე ბრალდებულებს, რომლებიც კადრების განკარგულებაში არიან გადაყვანილები, ბრალი არ უმტკიცდებათ.**

**— ვინ არის ეს კვარაცხელია?**

— როგორც მითხრეს, მთავარი პროკურატურის პროკურორია. **კვლევა და ბრალდების მოხსნა ლაშა ნაცვლიშვილისა და არჩილ კბილაშვილის დროს მოხდა. მაშინვე დავუკავშირდი თავდაცვის სამინისტროს და იქ დამიდასტურეს, რომ ნამდვილად კვარაცხელიას წერილის საფუძველზე მოხდა ამ ადამიანების სამსახურებში დაბრუნება და დაწინაურება.**

**ლევან გაბუნია დაზვერვის სამსახურის უფროსად დაინიშნა, რაც საკმაოდ მაღალი თანამდებობაა, ეს ადამიანი არაერთი მოწმის მიერ არის დასახელებული „ჯაშუშობის საქმეში“.**

2011 წლის 17 სექტემბერს სერგო თეთრაძე არაუფლებამოსილმა პირებმა დააპატიმრეს. თეთრაძის დაპატიმრება ბაჩო ახალაიას სიტყვიერი ბრძანების საფუძველზე მოხდა. არაუფლებამოსილი პირები კი ნიშნავს იმას, რომ ისინი კადრების განკარგულებაში იყვნენ. არც ერთი მათგანი დღეს დამნაშავედ არ არის ცნობილი.

**არაფრით შეიძლებოდა, რომ პირები, რომლებიც თეთრაძის საქმეში ფიგურირებდნენ, დარჩენილიყვნენ პროკურატურისა და თავდაცვის სამინისტროს მაღალ თანამდებობებზე, რადგან ისინი აუცილებლად ხელს შეუშლიდნენ გამოძიებას**

გამოძიებამ დღემდე საჭიროდ არ ჩათვალა ამ საქმეზე ბაჩო ახალაიას, ნიკოლოზ ძიმცეიშვილისა და გიგი კალანდაძის დაკითხვა. არ დაუკითხავთ ამ საქმის ზედამხედველი პროკურორები — გიორგი ქევხიშვილი და რობერტ გრიგალაშვილი. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის საგამოძიებო ნაწილში იყო გიორგი ხვედელიძე, რომელიც შემდეგ გადაიყვანეს მთავარ პროკურატურაში და თავდაცვის სამინისტროს ზედამხედველი პროკურორი გახდა, მაშინ, როდესაც სერგო თეთრაძის წამების საქმის ძიება დაიწყო. არც ეს პიროვნებაა დაკითხული.

ჩვენი პროტესტიც ამან გამოიწვია, არაფრით შეიძლებოდა, რომ პირები, რომლებიც თეთრაძის საქმეში ფიგურირებდნენ, დარჩენილიყვნენ პროკურატურისა და თავდაცვის სამინისტროს მაღალ თანამდებობებზე, რადგან ისინი აუცილებლად ხელს შეუშლიდნენ გამოძიებას.

მოვლენები ისე განვითარდა, რომ გამოძიებამ მთელი ბრალეულობა ციხის თანამშრომლებზე გადაიტანა, მაგრამ სინამდვილეში თეთრაძე ციხეში უკვე ნაწამები მიიყვანეს. აღსანიშნავია, რომ პროკურორმა კბილაშვილმა ისიც კი არ იცოდა, რამდენი წელი ჰქონდათ მისჯილი დამნაშავეებს. ამ თემაზე კამათიც მოგვივიდა. გამოძიებამ პროცესი ბოლოდან დაიწყო და მთელი ბრალეულობა ციხის თანამშრომლებზე გადაიტანა.

მივმართავ ხელისუფლების წარმომადგენლებს: სერგო თეთრაძის საქმის გამოძიება სახელმწიფოს ღირსების საქმეა და ნუ წაუყრუებენ! ყველას კარგად გვახსოვს, ალასანიას, წულუკიანისა და კიდევ სხვა მაღალი თანამდებობის პირების დაპირება, რომ ამ საქმეს გამოიძიებდნენ. **ფაქტები დღეს სულ სხვა რამეზე მეტყველებს, ხელისუფლება ცდილობს, რომ სასამართლო პროცესზე ნამდვილი დამნაშავეები არ დაიკითხონ და აშკარაა, რომ მათ ვიღაც ხელს აფარებს. ბოლო სასამართლო პროცესზე საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელმა ხათუნა კალანდაძემ დააყენა შუამდგომლობა, რომ დასაკითხთა სიიდან ამოეღოთ გამომძიებლები: ქევხიშვილი, გრიგალაშვილი და ხვედელიძე, რამაც გაამძაფრა ეჭვი, რომ გამოძიება მათ ხელს აფარებს.** გვაინტერესებს, ეს გადაწყვეტილება ხათუნა კალანდაძემ დამოუკიდებლად მიიღო თუ ვინმემ აიძულა. ის ჩვენ არ გვეკონტაქტება. ძალიან ბევრ ტყუილში გამოვიჭირეთ და მას შემდეგ პრესასთან და ტელევიზიასთან აღარ ჩნდება. **არ დაჰკითხეს ლევან გაბუნიაც, რომელიც შემდეგ დააწინაურეს კიდეც. ის, რომ კბილაშვილმა ძიების შესახებ ბევრი დეტალი არ იცოდა, იმაზე მეტყველებს, რომ გადაწყვეტილებას გიგი კალანდაძე და ლაშა ნაცვლიშვილი იღებდნენ, ძიება სხვა მიმართულებით რომ წასულიყო.** 27 იანვარს, როდესაც სასამართლო პროცესი დასრულდა, ყველანი შეურაცხყოფილები დავრჩით. **მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა მეგის ქარდავა თეთრაძის წამების ეპიზოდში უდანაშაულოდ ცნო.**

სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მთავარ პროკურორ გიორგი ბადაშვილს შევხვდი და ბევრ დეტალზე ვისაუბრეთ, მალე ყველა ინფორმაციას მივაწვდი, რადგან პროკურატურაზე მეტი ინფორმაცია ჩვენ გვაქვს.

**— რისთვის სჭირდება ალასანიას ნაცებისდროინდელი ზონდერებისთვის ხელის დაფარება? თუ არაპროფესიონალიზმთან გვაქვს საქმე და ბრალს ვერ უმტკიცებენ?**

— ეს თვითონ ალასანიას ჰკითხეთ. მან განაცხადა, მტკიცებულებები არ იყოო, მაგრამ ეს ადამიანები რისთვის დააწინაურა, არ ვიცი.

**სასამართლო პროცესზე, როდესაც განაჩენი დადგა, დარბაზშივე დააკავეს თორნიკე გუნავა, რომელიც თეთრაძის დაკავებისას ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი იყო. მას კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა იმ ადამიანებთან, რომლებიც ალასანიამ სამსახურში აღადგინა და დააწინაურა. მინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რომ თორნიკე გუნავას თეთრაძის საქმეზე ბრალი არ ედებოდა, მისი დაკავება სხვა ეპიზოდზე მოხდა, ეს იყო გიორგი ჩიკვატიას დაკავების საქმე, რომელიც რატომღაც თეთრაძის საქმეს მიაბეს. უბრალოდ, თორნიკე გუნავას ბევრი ინფორმაცია ჰქონდა და მისი გარეთ ყოფნა ხელს არ აძლევდათ. ის კონკრეტული ადამიანებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა.**

**— ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის?**

— იცით, რას გეტყვით? ლაშა ნაცვლიშვილი გახლდათ ახალი ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელიც წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს ლობირებდა. ვინ არის ხათუნა კალანდაძე და რატომ აქვს ამხელა უფლება, რომ ძიებიდან ამოიღო იმ პროკურორების გვარები, რომლებიც საქმეში ძალიან ცუდად ფიგურირებდნენ? **„ჯაშუშობის საქმეში“ თავდაცვის სამინისტროს იმჟამინდელი მაღალჩინოსნები ფიგურირებდნენ. ახალი დანიშნული იყო მეგის ქარდავა და ზაზა მჭედლიძემ მას საჩუქარი გაუკეთა, ასე ვთქვათ, გააპიარა, ეს ის ზაზა მჭედლიძეა, რომელიც ახლა ალასანიამ სამსახურში აღადგინა.**

**— მაგდა, თუ შეგიძლიათ, იმ ადამიანების გვარები დაასახელოთ, რომლებმაც თეთრაძე ციხეში მიყვანამდე აწამეს?**

**— ვიქტორ ყაჭეიშვილი, ოლეგ ფაცაცია, ალექსანდრე მუხაზე, მეგის ქარდავა, თორნიკე გუნავა, ზვიად კაპანაძე, სერგო ბიწაძე, რატი მგელაძე, ხუჭუაშვილი (სახელი არ მახსოვს), მერაბ მეტრეველი. მათ ბრალი წაუყენეს.**

**ლევან გაბუნიასთვის და ზაზა მჭედლიძისთვის ბრალი არ წაუყენებიათ და სამსახურებში დააბრუნეს.**

ესაუბრა
**ეკა ნახყიდაშვილი**

## სერგო ქავთარაძე გართობის მიზნით ბიუჯეტის თანხის გაფლანგვისთვის იძებნება



**თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ ყოფილი თავმჯდომარე სერგო ქავთარაძე, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ამჟამად იძებნება.**

გამოძიებით დადგინდა, რომ 2010 წლის აპრილ-მაისში ქ. თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ თანამშრომლები იმყოფებოდნენ ღამის კლუბ „დივაში“, სადაც გართობის მიზნით მართლსაწინააღმდეგოდ გახარჯეს 5 129,45 ლარი. მოგვიანებით, გაფლანგული თანხების საწარმოს ბუღალტერიაში ასახვისა და მისთვის კანონიერი სახის მისაცემად, „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ გამგეობის თავმჯდომარის — სერგო ქავთარაძის დავალებით, ღამის კლუბ „დივადან“ გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია (ინვოისები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა), რომლის მეშვეობითაც უკანონოდ გახარჯული თანხა საწარმოს წარმომადგენლობით ხარჯებში გატარდა. ამ გზით, სერგო ქავთარაძის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით არამიზნობრივად გაიფლანგა ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდის“ კუთვნილი თანხები.

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თეა თუთბერიძემ მითხრა, ეს საქმე თუ გამოვა, 150 ათასი დოლარი უნდა გადაგვიხადოო. გავგიჟდი, ამხელა თანხა რომ გადავიხადო, მე რაღა დამრჩება-მეთქი და უარი ვუთხარი“.



ელენე ჩიტუაშვილი:

# უკვე ბრენდადქცეული წარმოება «კულა» ვანო მერაბიშვილის საკუთრებაა!

**ელენე ჩიტუაშვილი იმ ბიზნესმენთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებამ უკიდურესაც დააზარალა და ახალ ხელისუფლების პერიოდშიც ვერ იპოვა სამართალი. თუ რა გადაიტანა მშვენიერმა ქალბატონმა, დედამ და მანდილოსანმა, ამაზე თვითონ გვესაუბრება:**






**«ახლახან დამიკავშირდა ერთი ადამიანი, რომლის ვინაობასაც ჯერჯერობით შეგნებულად არ ვახმაურებ და მითხრა, ტყუილად წვალობ, კულებს ახლა ამ ხელისუფლებიდან მფარველობენ და შენს ბრძოლას აზრი არ აქვსო»**

— პროფესიით იურისტი ვარ, 2006 წლამდე გორის რაიონულ სასამართლოში ვმუშაობდი სამეწარმეო და ადმინისტრაციული სამართლის დარგის წამყვან სპეციალისტად. 2006 წელს შიდა ქართლის იმჟამინდელი გუბერნატორ მიხეილ ქარელის თხოვნით, სააქციო საზოგადოება „გორკონის“ დირექტორი გავხდი. ქარხანა, ფაქტობრივად, დაშლილი ჩავიბარე. მხოლოდ 27 ადამიანი მუშაობდა. დირექტორი კი ჩემამდე ივანე გოგლიძე, მეტსახელად „კულა“, გახლდათ.

**— მიხეილ ქარელმა დირექტორის პოსტზე თქვენი კანდიდატურა რატომ შეარჩია?**

— მე და მიშა კურსელები და მეგობრები ვიყავით. მთხოვა, მხოლოდ ორი კვირით გადავსულიყავი ქარხანაში დირექტორის მოადგილედ, საბუღალტრო დოკუმენტაცია რომ შემესწავლა. როდესაც ივანე გოგლიძეს მოვთხოვე დოკუმენტაცია, მხოლოდ ნაწილი მომცა, დანარჩენი კი — მისმა ბუღალტერმა. აღმოვაჩინე, რომ „გორკონის“ ბაზაზე არაერთი ე. წ. შავი ფირმა იყო გახსნილი და 487-ზე მეტი აქციონერი გაკოტრების პირას იდგა. „გორკონის“ ბაზაზე შექმნილი იყო შპს „მარვანი“, რომელიც 100%-იან მოგებაზე მუშაობდა. „მარვანი“ იყენებდა „გორკონის“ ელექტროენერგიას, დანადგარებს, საამქროებს, მუშახელს, ბუნებრივ აირს... თანაც იმავე სამუშაოებს (ხილ-ბოსტნეულის გადამუშავება, კონცენტრანტების დამზადება და ა.შ.) ასრულებდა, რომელსაც „გორკონი“, განსხვავება მხოლოდ ნაწარმოები პროდუქტის ეტიკეტებში იყო.

აღმოვაჩინე, რომ „მარვანის“ ასეთმა მუშაობამ მილიონ ორასი ათასამდე ვალი დაადო „გორკონს“. როგორც კი ეს დარღვევა ვიპოვე, ვანო გოგლიძეს მოვახსენე. განრისხდა, — საიდან მოხვდა ეს დოკუმენტაცია შენს ხელშიო. **როდესაც შეიტყო, რომ ამ ამბის გასაჯაროებას ვაპირებდი, მითხრა, 250 ათას დოლარს ჩაგირიცხავ ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი ბანკის ანგარიშზე და დარჩი ქარხანაში ჩემს მოადგილედ, ნორმალურ ხელფასს დაგინიშნავ, ოღონდ ეს ამბავი ჩვენში დარჩესო.** უარი განვუცხადე და მოვთხოვე, რომ ეს 250 ათასი ლარი გამგეობისთვის გადაეცა, მაგრამ ივანე გოგლიძე მეორე დღიდან აღარ გამოჩენილა. ეს ყველაფერი მიხეილ ქარელს მოვახსენე და მითხრა, შენ უხელმძღვანელე ამ ქარხანას და რამენაირად აამუშავეო. სამეთვალყურეო საბჭოსთან დავდე ხელშეკრულება და, საერთო ჯამში, ჩემი ჯიბიდან ქარხანაში 470 ათასი ლარი ჩავდე. დავიწყეთ მუშაობა და ძალიან მალე დასაქმებულთა რაოდენობა 27 კაციდან 300 კაცამდე ავიყვანე. პროდუქცია ძირითადად საზღვარგარეთ — გერმანიაში, უკრაინასა და ისრაელში გაგვქონდა. მოკლედ, მიწასთან გასწორებული ქარხანა ფეხზე დავაყენეთ, მაგრამ...

2007 წელს მიშა ქარელსა და ირაკლი ოქრუაშვილს მთავრობასთან ურთიერთობა აერიათ და მოულოდნელად სრული დატვირთვით მომუშავე ქარხანაში ფინანსური პოლიცია შემოვიდა.

**— იმხანად ვინ იყო ფინანსური პოლიციის უფროსი?**

— რამაზ ნიკოლეიშვილი. თვითონ ნიკოლეიშვილი არ ჩამოსულა, სამაგიეროდ იყვნენ ირაკლი კირკიტაძე (ქვემო ქართლის იმჟამინდელი გუბერნატორის — დავით კირკიტაძის ძმა) იმხანად ფინანსური პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი, აგრეთვე, მამუკა ლეჟავა (რამაზ ნიკოლეიშვილის მარჯვენა ხელი) და ა. შ. რაც მთავარია, მათ მოჰყვა ივანე გოგლიძე, იგივე კულა!

**— რა სტატუსით?**

— არ ვიცი. გამორეკეს ხალხი ქარხნიდან და ყველა საამქრო და კაბინეტი თვითონ კულამ დალუქა. იმხანად ის არც პოლიციის თანამშრომელი იყო, არც საგადასახადოს და არც პროკურატურის, მაგრამ სახელდახელოდ შეითავსა ამ უწყებების თანამშრომელთა ფუნქციები. ვიცოდი, რომ მაინც ვერაფერს მიპოვიდნენ და არ ავღელვებულვარ. ყველა დოკუმენტი მოწესრიგებული მქონდა. **რომ ვიკითხე, რა ხდება-მეთქი, გაუგონარი სიტყვებით მაგინეს და, კაბინეტში რაც იყო, ყველაფერი დალეწეს.** ბოლოს მკითხეს, რა ურთიერთობა გაქვს ირაკლი ოქრუაშვილთან და მიშა ქარელთანო? ვუთხარი, ოქრუაშვილი თვალითაც არასოდეს მინახავს-მეთქი, თუმცა არ დავმალე, რომ მე და ქარელი კურსელები ვიყავით. ბევრი რომ არ გავაგრძელო, **თანამშრომლებს სცემეს, ირაკლი კირკიტაძემ ერთ-ერთს საფერფლით გაუტეხა თავი.** დაახლოებით ღამის 11-12 საათი იქნებოდა, როცა დამაპატიმრეს. გზაშივე მითხრეს, თუ არ გინდა, დაიღუპო, რასაც გეტყვით, ის დაწერეო და ფინანსურ განყოფილებაში მიმიყვანეს, სადაც 5 დღე-ღამის განმავლობაში ერთ-ერთ კაბინეტში გამომკეტეს. ამ ხნის განმავლობაში არ მიძინია და ერთი ლუკმა პურიც არ მოუწოდებიათ. **ჩემი დაპატიმრებიდან მეორე-მესამე დღეს ტელევიზიით გამოვიდა გენპროკურორის მოადგილე ნიკა გვარამია და განაცხადა, დავაკავეთ ელენე ჩიტუაშვილი, რომელიც ოქრუაშვილისა და ქარელის კლანს აფინანსებდაო.**

**— მაინც რას მოითხოვდნენ თქვენგან?**

— უნდა დამეწერა, რომ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მიზნით ოქრუაშვილსა და ქარელს ვაფინანსებდი. ვუპასუხე, ოქრუაშვილი თვალითაც არ მყავს ნანახი-თქო და რატომ უნდა დავწერო-მეთქი? როცა მივხვდი, რომ ამხელა წნეხს ველარ გავუძლებდი, ვთქვი, რაც გინდათ, დამაბრალეთ, ყველაფერზე მოვაწერ ხელს-მეთქი. შინ მეუღლე და შვილები მელოდებოდნენ, უმცროსი 2 წლის იყო.

როგორც იქნა, **დაწერეს ტექსტი, ანუ ჩემი „აღიარება“ და მომცეს, — დაიზეპირეო. დაახლოებით ღამის ორ საათზე სასამართლოში წამიყვანეს. მომიყვანეს ვიღაც ადვოკატი, მითხრეს, არ ჰკითხო სახელი და გვარიო, შემიყვანეს დარბაზში, სადაც მხოლოდ ივანე გოგლიძე, ფინანსური სამსახურის თანამშრომლები და პროკურორები იყვნენ. მოსამართლე კი გიორგი ჩემია გახლდათ.**

**ჩემს საქმეს ხელმძღვანელობდა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნუგზარ სალია, ზედამხედველი პროკურორი გახლდათ ლევან ზაქრაძე. სწორედ მათი დაწერილი იყო სცენარი, რომელიც წამაკითხეს.** გასაიდუმლოებული სასამართლო სხდომის მეორე დღეს მოვიდნენ ნუგზარ სალია და ლევან ზაქრაძე და მითხრეს, სასამართლოზე გადაღებული კადრები უფროსობას არ მოეწონა, ამიტომ სხვა სცენარს მოვიფიქრებთ და ხელი მოაწერეო. **მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას დაწერდნენ, ისე ვიყავი გაწამებული, მზად ვიყავიჰ ყველაფერზე მომეწერა ხელი. მომცეს ფურცელი, რომელზეც ეწერა რომ მე, ელენე ჩიტუაშვილმა, მიწიდან ამოვთხარე და დაუდგენელი მისამართით გადავმალე 444 მეტრი სიგრძის რკინიგზის ლიანდაგი.** ამ აბსურდზე **გამეცინა და ვუთხარი, თანახმა ვარ, ხელი მოვაწერო-მეთქი. ჩემი ირონია არ მოეწონათ და დამემუქრნენ, როგორც კი ხმას ამოიღებ, ქმარს და შვილებს საშინელებას დავმართებთო.** ბოლოს გირაოდ 2 ათასი ლარი შემიფარდეს. არადა, განაჩენის მიხედვით, სახელმწიფოსთვის 34079 ლარის ზიანი მქონდა მიყენებული.

**— ქარხანას რა ბედი ეწია?**

— ქარხანა მუშაობდა და დირექტორი ვანო გოგლიძე იყო. როგორც კი დამაპატიმრეს, იმავე დღეს დანიშნეს! მითხრეს, ვანო გოგლიძე დაგიბრუნებს იმ თანხას, რომელიც ქარხანაში ჩადე, მაგრამ ამ ფულს სხვას გადაურიცხავო. ამასობაში ვანო გოგლიძის ძმა ალიკა გოგლიძე შიდა ქართლის სოდ-ის უფროსად დანიშნეს, რის შემდეგაც ჩემი ცხოვრება საბოლოოდ აქციეს კოშმარად. მეუღლიდან დაწყებული, ნათესავებით დამთავრებული, ყველას იჭერდნენ და ნარკოლოგიურ განყოფილებაში მიჰყავდათ, თუმცა არავის აპატიმრებდნენ. **ფინანსურ პოლიციაში ჩემს საქმეს ვინმე გრიშა იძიებდა, გვარი არ მახსოვს. მან მითხრა, 470 ათას ლარზე, ანუ იმ თანხაზე, რაც ქარხანაში ჩადე, სახელმწიფოსთვის ჩუქების განცხადებას დაწერ, სამაგიეროდ პირველ არხზე დაიწყებ მუშაობას და ხელფასი 7 ათასი ლარი გექნებაო.** კატეგორიული უარი ვუთხარი.

**— ძმებ კულებს ვინ მფარველობდა?**

— ივანე მერაბიშვილი. დიახ, **„გორკონის“ ბაზაზე შექმნილი უკვე ბრენდად ქცეული წარმოება „კულა“ ვანო მერაბიშვილის საკუთრებაა.** რისი წაღებაც შეეძლოთ, ყველაფერი წაიღეს, მე და ჩემს ოჯახს ახლა საკუთარი სკამიც არ გვაქვს! გოგლიძეებმა იძულებით დაგვატოვებინეს გორი და ამჟამად ვცხოვრობთ სხვის სარდაფში! მიუხედავად ჩემ მიმართ განხორციელებული უკანონობისა, ვცდილობდი, დაკარგული ქონების ნაწილი მაინც დამებრუნებინა. ჩემი მეგობრის ოჯახში გავიცანი ზაზა რევიშვილი — დეპუტატი „ნაციონალური მოძრაობიდან“. დამპირდა, დაგეხმარები, კომპეტენტურ ხალხთან მიგიყვანო. მიმიყვანა თეა თუთბერიძესთან, რომელმაც მითხრა, **ეს საქმე თუ გამოვა, 150 ათასი დოლარი უნდა გადაგვიხადოო. გავგიჟდი, —ამხელა თანხა რომ გადავიხადო, მე რაღა დამრჩება-მეთქი და უარი ვუთხარი.**

**— ახლა რას აპირებთ?**

— შეტანილი მაქვს განცხადება პროკურატურაში, მაგრამ არავინ გამომხმაურებია. რაც მთავარია, **ახლახან დამიკავშირდა ერთი ადამიანი, რომლის ვინაობასაც ჯერჯერობით შეგნებულად არ ვახმაურებ და მითხრა, ტყუილად წვალობ, კულებს ახლა ამ ხელისუფლებიდან მფარველობენ და შენს ბრძოლას აზრი არ აქვსო.** მე დასაკარგი არაფერი მაქვს, ასე რომ, არაფერს შევეგუები და სიმართლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებ.

**— ძმები კულები სად არიან?**

— **ალიკა გოგლიძე შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილეა,** ივანე გოგლიძემ მას შემდეგ, რაც შევიდა სს „გორკონში“, 1 მლნ-ზე მეტი პროდუქცია მიითვისა, ჩამოაყალიბა შპს „კულა“ და იქ გადაქაჩა ჩვენი შექმნილი პროდუქცია, შეუცვალა ეტიკეტი და მიაწერა „კულა“. ჩემი ფული, ქონება — ყველაფერი მან მიითვისა!..

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

მამები და შვილები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველა დონის ადამიანთან ისეთი ურთიერთობის დამყარება შეუძლია, როგორიც საჭიროა... ისე არ არის, როგორც ერთმა კაცმა განაცხადა ტელეეკრანიდან: თბილისის მერი უნდა იყოს კარგი ღვინის მსმელი, კარგი თამადა და ისაო...**

# რეპორტაჟი დავით ნარმანიას მშობლიური სოფლიდან

**ზღვის სუნთქვას ამ სოფელში შესვლისთანავე იგრძნობ. ერთ დროს ჭაობზე შეტევის ავანგარდი — ქარსაფარი ზოლები — დღეს ნაჯაფი მოხუცი კაცის ხელის მტევნის ძარღვებივით დაბერილ-დაგრეხილი ევკალიპტების ნარჩენი ეკზემპლარებითღაა წარმოდგენილი. ამათი დღეც მოკლეა: სოფლის ასფალტირებული გზის გასწვრივ, ალაგ-ალაგ რაც შემორჩა, ისიც ძირში მოუჭრიათ და ყრია უყურადღებოდ, როგორც დიდი ომის გამარჯვებული ვეტერანები. მეოცე საუკუნის ეს ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანი თანდათან ქრება და ქარი დაშლიგინებს კოლხეთის მიწაზე, როგორც სულ ცოტა ხნის წინათ ტყვია, სიკვდილი და ყაჩაღთა ბანდები ამ და მეზობელ სოფლებში. აფხაზეთის ომის დროსაც და შემდეგაც — კარგა ხანს.**



ნარმანიების სახლი

**«საზღვრისპირა» სოფელი გახდა კოკი, რომელიც მე-16 საუკუნის ისტორიულ წყაროებში ამ სახელითაა მოხსენიებული. მანამდე კადარე ერქვა. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ეს ტერიტორია რკინის ხანიდან ყოფილა დასახლებული**

## ადგილის დედა

ეს ადგილი არის კოკი — ბოლო დასახლებული პუნქტი, რომელიც ჩვენს გამგებლობაშია და ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შედის. ყანების ბოლოდან კი, ენგურს გაღმა გაუცხოებული აფხაზეთი იწყება.

**„საზღვრისპირა“ სოფელი გახდა კოკი, რომელიც მე-16 საუკუნის ისტორიულ წყაროებში ამ სახელითაა მოხსენიებული. მანამდე კადარე ერქვა. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ეს ტერიტორია რკინის ხანიდან ყოფილა დასახლებული.**

ბებერი ისტორია.

ომი დაბედებია აქაურობას.

ზოგიერთი მოსაზრებით, სოფლის ძველი სახელწოდება კადარე მეგრულ კვადადან მოდის, რომელიც კერკეტ კაკალს ნიშნავს: მტერთან ბრძოლაში ძნელად გასატეხსა და აუღებელს.

შეიძლება ასეც იყოს. მაგრამ ეს ვარაუდია, ფაქტი კი ისაა, რომ აქ, ნალიმის ველზე 1855 წელს გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს დაპირისპირებიან რუსეთ-თურქეთის ომში ჩართული შეიარაღებული ძალები. როგორ უხდება და ესადაგება ლადო ასათიანის ასპინძის ბრძოლაზე ნათქვამი პოეტური სტრიქონები ნალიმის გადახდილ ბრძოლას:

**ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს,**
**თუ როგორ გავუმასპინძლდით, როგორ გავრეკეთ ურჯულო.**
**გადაიარა წინა დღის ბრძოლების პაპანაქებამ,**
**ხმალს დასვენება უნდოდა, მხედრობას — დაბანაკება...**
*(„ასპინძა“)*

დაბანაკდნენ... ნალიმის ძმათა სასაფლაოზე... ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, ყოველი წლის გაზაფხულზე იკრიბებოდნენ აქ კოკელები, ჩამოდიოდნენ სტუმრები და ქართველები და რუსები ერთად აღნიშნავდნენ აქ მოპოვებულ გამარჯვებას.

დღეს ნალიმის ძმათა სასაფლაოზე ამ ბრძოლაში გმირულად დაცემულთა უკვდავსაყოფად დგას ობელისკი-ჯვარი არდავიწყების ნიშნად თავდადებული რაინდების: ზვამბაიასი და სიმონოვის, წერეთლისა და კობელეცის, შერვაშიძისა და რუბცოვის, წულუკიძისა და სხვათა და სხვათა...

**სათემო ცენტრი ყოფილა კოკი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. იქ, სადაც დღეს სკოლის ეზოა, თუთის ოთხი უზარმაზარი ხე იდგა, თითოეული სამი მეტრის დიამეტრის მაინც. იმხელა ფუღუროები ჰქონდა, რომ ბავშვები შიგ ვიმალებოდით, — მეტყვის ბატონი კოტე ნარმანია, დინჯი, დარბაისელი კაცი, სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორის უმაღლესი განათლებით (ინფორმაცია წინასწარ მოვიპოვე), ინტელიგენტი, რომელიც (აშკარად ჩანს) სიხარულით გვეგებება ამ კვირა დღეს მისი სამოსახლოს კარზე მიმდგარ სტუმრებს.**

ოდაბადეს საზღვარზე.

კარიბჭიდანვე ვიწყებთ საუბარს და ისიც თანდათან გადაგვიფურცლავს ამ სოფლის მატიანეს. მოჰყვება, რომ იმ ოთხი ხის ძირას დასხდებოდნენ ოთხი სოფლის თავკაცები და წყვეტდნენ სათემო საჭირბოროტო საკითხებს.

დღეს თემში შემავალი სოფლები ცალკეა გასული: კოკი, ორსანტია, ახალკახათი, შამგონა.

იმ ასწლოვან ხეთაგან ერთიღა იყო შემორჩენილი. ქარიშხალმა წააქცია. ვადა გაუვიდა, როგორც სოფლის იმ საფიხვნოს.

კოკიში რამდენიმე ძირძველი გვარი ცხოვრობს: ნარმანიები, ხუბუები, შენგელიები, ჩიქავები, ხუნჯგურუები...

ნარმანიების უბანში მეგზურებთან ერთად ვარ მისული, რომლებიც ხუთი თითივით იცნობენ რაიონს, რეგიონს, ანუ, როგორც ახლა უწოდებენ, მუნიციპალიტეტს და აქაურებში ავტორიტეტით სარგებლობენ — მერაბ სიჭინავა და გენადი ჯიქია. ყოფილმა ხელისუფლებმა ორივე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და პრინციპულობის გამო მოიცილა ხელმძღვანელი თანამდებობებიდან, ერთ-ერთი იმიტომაც, რომ... რა ფულიან ადგილს აფუჭებო(!)

## სწავლის ძირი

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის — დავით ნარმანიას მშობლებს ვსტუმრობთ და ვისზე, თუ არა თავის შვილებზე იწყებს საუბარს ქალბატონი ნორა თოდუა, რომელიც, წლებია, კოკის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ მუშაობს (ეს სკოლა 1875 წელს დაარსებულა):

**— ნიჭიერი შვილები მყავს — დათო და ირაკლი. ისე დაამთავრეს სკოლა, ხუთიანზე დაბალი ნიშანი არ მიუღიათ. მინდოდა, დათო კარგი ექიმი დამდგარიყო, და ერთხელ, როცა მეცხრე კლასში იყო, ჩამოვაგდე ამ თემაზე საუბარი. მე არ მინდაო, მიპასუხა და ამის შემდეგ მისი მომავალი პროფესიის არჩევაზე აღარ გვილაპარაკია. ყველაფერი თვითონ გადაწყვიტა.**

— არც ტექნიკური საგნები უჭირდათ, არც ჰუმანიტარული, — განაგრძობს ბატონი კოტე, — თანაბრად კარგად ითვისებდნენ.

— უცხო ენასაც? დავითი ხომ ერთი პერიოდი გერმანიაში გადიოდა სტაჟირებას და გერმანულის კარგად ცოდნის გარეშე გაუჭირდებოდა, ამიტომ გეკითხებით.

**— სამი წელიწადი ზაფხულობით კოლეგებთან ერთად კვლევით სამუშაოებს აწარმოებდა გერმანიაში. გერმანული კი აქ, ჩვენს სკოლაში ისწავლა. უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების წინ სამი თვე კერძო მასწავლებელთან იარა.**

უჭირდათ მშობლებს, მაგრამ წელებზე ფეხი დაიდგეს და დაუქირავეს გერმანულის პედაგოგი. გამოცდები წარმატებით რომ ჩააბარა, იმ მასწავლებელთან განაგრძო სწავლა. დანარჩენი ნიჭმა და მონდომებამ ჰქმნა და ამიტომ არ გასჭირვებია გერმანულ გარემოში მოხვედრილ ახალგაზრდა კაცს არც გერმანელ კოლეგებთან საქმიანობა, არც ადგილობრივებთან კონტაქტის დამყარება.

**სხვათა შორის, ირაკლიც, ნარმანიების გვარის მეორე წარმომადგენელი, ერთი წელიწადი გერმანიის ბრემენის უნივერსიტეტში სწავლობდა.**

აქამდე მხოლოდ ერთ ადამიანს ვიცნობდი — ქალბატონ ვალია ხაზალიას, რომელიც ზუგდიდიდან პირდაპირ სორბონაში ჩაირიცხა და წარმატებით დაამთავრა ეს სახელგანთქმული უნივერსიტეტი.

იოლად ითვისებენ უცხო ენებს ნიჭიერი მეგრელები.

**და აქვე ვიგებ, რომ დათო ნარმანია ჯერ კიდევ სტუდენტობისას გერმანულიდან თარგმნიდა სტატიებს სპეციალურ საგნებში.**

ესეც დასტური ზემოთ გამოთქმული მოსაზრების ნიჭიერების შესახებ.

ეს კიდევ დოკუმენტია — რვეული გერმანულ ენაში შესრულებული დავალებების.

შეგიძლიათ იხილოთ და დარწმუნდეთ.

**ამ საერთო რვეულში კი, რომელსაც ინტერესით ვფურცლავ, მოსწავლე დათო ნარმანიას მომზადებული თემებია ქართულ ლიტერატურაში — ჰაგიოგრაფიული თემატიკა, რომლის სასკოლო პროგრამებიდან ამოძირკვას შეეცადა მეზობელ სოფელ ნარაზენში გაზრდილი და სააკაშვილის მთავრობაში მინისტრად დაბრძანებული, ე.წ. კახა ლომაია, ანტიქართული მოძრაობის სოროსელი აქტივისტი, რომელმაც ქართულად ერთადერთი სიტყვაც კი — ბავშვი, ქვეყნის დასანახად შეცდომით დაწერა დაფაზე. უფრო სწორად, დაწერა ისე, როგორც ნასწავლი ჰქონდა — ბაშვი...**

აბსოლუტური კონტრასტია კოკის საშუალო სკოლის მოსწავლის, დავით ნარმანიას ჩაწიკწიკებული თემები, რომელთაგან პირველი ქართული ანბანის (დამწერლობის) ქებათაქებით, ლეონტი მროველის დამოწმებით იწყება:

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენაი ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუაი ენაი ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა დამწერლობაი ქართული“.

და კონსტანტინე გამსახურდიას მოხმობით მთავრდება: „...მოცლილ ბალღსავით ვეთამაშები ქართულ ასოებს და განზრახული მაქვს, უთუოდ დავწერო მე ანბანთა ქება ხელმეორედ. სწორედ ამ ასოების მზერისას ხმიანდება ჩემში სახე, ფერი და მოძრაობა“.

დიდებულია! და ეს გადმოღებული და გათავისებული აქვს პატარა ბიჭს, სოფელ კოკის წარჩინებულ მოსწავლეს — დათო ნარმანიას.

შემდეგ — ცურტაველი, მერჩულე, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, შოთა რუსთაველი („ვეფხისტყაოსნის“ პლეხანოველ მ. საკაშვილის მიერ განხორციელებულ რედაქტირებამდე).

გაავლეთ პარალელი, კოხტაპრუწა ობივატელებო!

თუნდაც — ლაბორანტ ი. მერაბიშვილის ბატიფეხურით ნაწერ განცხადებასთან, პოლიტექნიკურის რექტორს რომ წარუდგინა. „ქვეყნის ხერხემლის“ წარმომავლობაც გაიხსენეთ და დამეთანხმებით (თუმცა უჩემოდაც იცით), რომ პასპორტში ჩაწერილი სადაურობა კი არ არის მთავარი, არამედ ის, რასაც ფუძის ანგელოზი დაგანათლის.

— ვინ ასწავლიდა ქართულ ლიტერატურას დავითს? — ბუნებრივად იბადება ეს შეკითხვა.

— ჯულიეტა კოდუა ჰყავდა მეცხრე კლასამდე, შემდეგ — მარინა კეიდია.

მადლობა ვუთხრათ!

**— სკოლაში ძალიან ძლიერი კადრები გვყავს, — ამბობს ქალბატონი ნორა, — ჩემი შვილების სხვა სკოლაში გადაყვანაზე არასოდეს მიფიქრია. და, საერთოდ, სოფლის მასწავლებლები ბავშვებს არაფერს აკლებენ.**

## ფესვები

შვილების აღზრდა-განათლება დედას ებარა. კარგი ბიჭები გაზარდა.

— უფროსი შვილი მინისტრი რომ გახდა, ელოდით?

— თავსატეხი გამიჩნდა, — ეს დედაა.

**— მოწყდა ოჯახს, — ამბობს მამა, — კი ჩამოდის, მაგრამ 10-15 წუთით შემოივლის.**

— საქართველოში რთულია ყველაფერი, მინისტრობა — განსაკუთრებით. ზოგჯერ იმდენ რამეს გადმოანთხევენ, რომ... — ისევ დედა ლაპარაკობს, — **სკოლაში ჩემს კოლეგებს ეკითხებიან, შეიცვალა მინისტრის დედაო? რატომ უნდა შევიცვალო?!** ▶

მამები და შვილები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამ საერთო რვეულში კი, რომელსაც ინტერესით ვფურცლავ, მოსწავლე დათო ნარმანიას მომზადებული თემებია ქართულ ლიტერატურაში — ჰაგიოგრაფიული თემატიკა, რომლის სასკოლო პროგრამებიდან ამოძირკვას შეეცადა მეზობელ სოფელ ნარაზენში გაზრდილი და სააკაშვილის მთავრობაში მინისტრად დაბრძანებული, ე.წ. კახა ლომაია

— მეზობლებთან ურთიერთობა?

— ისევ ისეთია, როგორიც გვქონდა. სხვანაირად ვერც წარმომიდგენია.

— მამა რას იტყვის?

**— სოფელში ყველანი ერთმანეთს მხარში ვუდგავართ — ლხინი, ჭირი ერთია ყველასთვის.**

— მე რომ სამსახურში წავალ, მეზობლის კაცები ამას აკითხავენ. ღვინისთვის *(ნიშნისმოგებით ეღიმება დედას).*

**— ღვინოს ვაყენებ — თეთრიცა მაქვს, შავიც. ნატურალური, და მოდიან, როცა თავისი გამოელევათ.**

ისეთი სიალალით ლაპარაკობს ბატონი კოტე, რომ აშკარად ჩანს, სხვისთვის ხელის გამართვა სიამოვნებას ანიჭებს. გულწრფელი კაცია.

შვილთან პროტექციის გაწევას ხომ არ თხოვენ მომსვლელები?

— არაო, — მიპასუხებენ, — აი, **სულ ახლახან ხურჩის უბანში გზა შეაკეთეს, აფხაზეთისკენ მიმავალი გზა არის და ამდენად, ქვეყნისთვის პრიორიტეტული საქმე იყო. მეტი რა უნდა გაუკეთოს სოფელს ინფრასტრუქტურის მინისტრმა?!**

— შვილებს მოსაკითხს უგზავნით, თუ აქეთ გეხმარებიან?

— ვუგზავნით, როგორ არა, მაგრამ თავისი აქვთ და ჰყოფნით. წლეულს სამ ტონამდე თხილი გავყიდეთ, რაც შემოვიდა, ორივეს გავუნაწილეთ.

— მშობლებს „წილში უსხედან“?

— (*ეცინებათ*). არა! თავიანთი ნაკვეთები აქვთ. ჩვენ კიდევ დაფნაც გვაქვს, კივიც, სიმინდიც, საქონელი...

— ღეჟი?

— *(ეღიმებათ)* ღორიც, რასაკვირველია, ქათმები... შაქარს და პურის ფქვილს ვყიდულობთ, დანარჩენი ყველაფერი ჩვენია.

**შრომისმოყვარე ოჯახია: სოფლის ინტელიგენციის (როგორც უწინ ამბობდნენ) და ფერმერების (როგორც ახლა ვიტყვით) შენადნობი ახალი „კლასი“. წელში გამართულია ამიტომაც.**

ამათ სახლამდე რომ მიხვიდე, მთავარი გზიდან მარცხნივ უნდა გადაუხვიო, ყანაში გაჭრილი, ხრეშდაყრილი არცთუ მცირე მანძილი გაიარო: მარტო სიმინდის ამ ყანის მოვლა არ გინდა?! უვლიან. ან — თხილის პლანტაციას, რომელიც ჩემნაირ დილეტანტებს ჩვეულებრივი ბუჩქი ჰგონიათ, რომელზეც ბუნება თვითონ ზრუნავს.

ეგრე არ არის თაყაო! ამ ზამთარში, როცა ნაჯაფარი სოფელი თითქოს უნდა ისვენებდეს, სწორედ თხილის ნარგავების გასხვლით არიან დაკავებული კოკელები.

და სხვებიც — ნარაზენელები, ორსანტიელები, ახალკახათელი მეურნე ადამიანები.

**— ჩვენთან ისეთი მიწაა, რომ, თუ მოუარე, არაფერს დაგაკლებს, — მიდასტურებს კოტე ნარმანია, — ჰექტარზე მეტი ყველას აქვს, იშრომე და მოსავალს არ დაგამადლის.**

ამიტომაც შედარებით ნაკლებია მოსახლეობის გადინება ამ ზონის სოფლებიდან. მყარად დგანან თავიანთ მიწაზე.

**ამის თვალსაჩინო მაგალითია (შორს რომ არ წავიდეთ) ოჯახის მამამთავარი, ფუძე და ძირი ვენედიქტე ნარმანია, ბაბუა ვენედიქტე, მრავალი წლის განმავლობაში სოფლის ერთადერთ ამბულატორიაში 1996 წლამდე მომუშავე უნიკალური მედიცინის მუშაკი** („თერაპევტიც ვიყავი, ქირურგიც, სტომატოლოგიც. ჩემით ვისწავლე — სოფელს სჭირდებოდა“. იყო ასეთი მძიმე პერიოდი ექიმების არყოლის. თუმცა არც ახლაა იმ ამბულატორიაში სპეციალისტების სიუხვე: ექიმი კვირაში ერთხელ ჩამოდისო).

**აი, ამ ხანდაზმულმა კაცმა სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე** (ღომი სულუგუნით, ჭადი, ელარჯი, რა თქმა უნდა, შემწვარი ქათამი, მოხარშული ქაცარის ხორცი, ტყემლის საწებელა, ოჯახის ღვინო, კარალიოკის არაყი (ოჰოჰო!), ფეიხოას კომპოტი (ესეც საკუთარი ბაღის მოსავლის) და სუფრის მშვენება — მეგრული ხაჭაპური!), **ისე ითამადა, ისე მოილხინა, რომ კეთილი გულიო, რომ იტყვიან, ყველა სადღეგრძელოში უშურველად ჩადო და ალავერდს ჩემთან გადმოვიდა.**

— შენ არ სვამ, რომანოზოვიჩ?! — (რომანოზოვიჩი მე ვარ), ცოტა კი გაიკვირვა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, უკანასკნელ წვეთამდე — „ასე მტერი დაგეცალოს!“ გადმოტრიალებული ჭიქა არ დაენახვებინა გაოცებული მეინახეებისთვის.

შესვი? შეგერგოს!

**ბატონი ვენედიქტე ისე უყვართ სოფელში, ისეთ პატივს სცემენ, თვალში რომ ჩაუვარდეს, არავინ ხელს არ ამოისვამსო. ასე თქვეს აქაურებმა.**

**ქალბატონი ბაბუცა ჯაბუა, ოთხმოცდახუთი წლის მისი ღირსეული მეუღლე და ჭაპანის გამწევი, ომისა და შრომის ვეტერანი** („თავიდან ჩაი ამ ადგილებში არ იყო, სიმინდი მოგვყავდა, ციტრუსების სანერგეში ვმუშაობდით“. ჩაის პლანტაციები რომ „გაჩნდა“, მოწინავე მეჩაიეს სახელი დაიგდო: დღეში 100-150 კილოგრამ მწვანე ფოთოლს კრეფდა. ნამდვილად კრეფდა, კი არ ჭრიდა ნამგლით, როგორც ბოლო ხანებში იყო. ჯილდოებიც ჰქონდა. არ მახსოვს, რამდენიო, თავს იმართლებს), აი, ეს ქალბატონი აგიზგიზებულ ღუმელთან იჯდა და დრო და დრო რეპლიკებით ერთვებოდა საერთო საუბარში:

— ბაბუა ასწავლიდა ბიჭებს თამადობას.

ცხოვრების სიბრძნეს ასწავლიდა და ძირძველი ტრადიციების ერთგულებას, რომლებიც მაინც და მაინც ქართულ სოფელს შემორჩა.

ამ გარემოში რომ მოხვდები, სხვა ენერგეტიკა შემოდის ძარღვებში, სხვა აურა გაგწმინდავს ნეგატივის ნარჩენებისგან.



ორი თაობა — ნორა თოდუა-ნარმანია, კოტე ნარმანია, ვენედიქტე ნარმანია და ბაბუცა ჯაბუა-ნარმანია

## სოფლიდან – დედაქალაქში

საუბარი ბუხრის პირას, რა მიხვედრა უნდა, აუცილებლად უნდა შეხებოდა და შეეხო კიდეც ამ ოჯახის უფროსი ვაჟის თბილისის მერად დასახელების პერსპექტივას.

— როგორ შეხვდით ამ ამბავს?

პაუზა.

ვისარგებლებ შემთხვევით და ჩავურთავ: **17 წელიწადი კოკში იზრდებოდა ნარმანია დათო. 18 წელიწადია, თბილისშია ნარმანია დავითი. მაშასადამე, სასწორის პინა, ჰანდიკაპი, გნებავთ, ბონუსი ქალაქის სასარგებლოდაა.**

ბებია და ბაბუა ამბობენ პირველ სიტყვას:

— იქ დარჩენილიყო, კაცო, სადაც ახლა არის. რად უნდა ეს მერობა?! სანერვიულო მოგვემატება მაგასაც და ჩვენც. უნიჭო კაცი არ არის, საქმეს მიხედავს. ამაზე შიში არა გვაქვს, მაგრამ... პატარა სოფლიდან ასეთი კაცი რომ გამოვიდა, ამის სიხარული გვაქვს.

მამა:

**— თავს გაართმევს ამ საქმესაც. ნიჭიერია. ადამიანებთან კონტაქტის დამყარების უნარი აქვს. ნორმალურია. წესიერია. კორუფციაში ჩათრეული არ არის.**

დედა:

— დათომ სადაც გინდა იმუშაოს, იქ კაპიკს ზედმეტს არ აიღებს. ყველა დონის ადამიანთან ისეთი ურთიერთობის დამყარება შეუძლია, როგორიც საჭიროა... **ისე არ არის, როგორც ერთმა კაცმა განაცხადა ტელეეკრანიდან: თბილისის მერი უნდა იყოს კარგი ღვინის მსმელი, კარგი თამადა და ისაო...**

— ჩავუთვალოთ, რომ იხუმრა ან სათქმელს თავი უცებ ვერ მოუყარა.

— კი, ქუჩაში ჩამოართვეს ინტერვიუ.

თეა სიჭინავაზეა ნაწყენი ქალბატონი ნორა, ისე აჩვენა „იმედმა“ ჩვენი სოფელი, თითქოს გაუვალი ტყეა და გაუბედურებული. თვითონ ჭუბურხინჯიდან მაინც არ იყოსო.

**— გაართმევს თავს, რა თქმა უნდა. მაგრამ მე თუ მკითხავთ, მისი არც მერობა მინდა, არც მინისტრობა. მშვენიერ ადგილზე მუშაობდა. ისიც მშვიდად იყო და მეც, — ასეთია დედის აზრი.**

— სად გაიცნო ბატონი ბიძინა ივანიშვილი?

— არც არსად. **ვიღაცამ ურჩია დათოს კანდიდატურა მინისტრის თანამდებობაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე იყო, პარალელურად — ამიერკავკასიის სოციოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი. გერმანია აფინანსებდა.**

— ბიძინა ეძებდა კარგ ეკონომისტს. დათო კარგი ექსპერტი იყო და ეკონომიკური პროგრამის დაწერაში დახმარებია (იქვე დიპლომატიურად გაასწორა — მიუღია მონაწილეობა). ექსპერტობის დროს ყველაფერს ობიექტურად აფასებდა და ამიტომ არ ეკარებოდნენ ტელეჟურნალისტები — შენ ოპოზიცია ხარო.

— სააკაშვილის მთავრობა იტყუებოდა, ეს კი ზუსტ ციფრებს ასახელებდა. ტელეეკრანთან მიუშვებდნენ ვითომ?..

**— ჩემი აზრით, — ასკვნის ბატონი კოტე, — დათოს უნდა გაეგრძელებინა მოღვაწეობა მეცნიერებაში, დიდებულ სპეციალისტებს გაზრდიდა. 26 წლის იყო, დისერტაცია რომ დაიცვა. ახლაც აგრძელებს ლექციების კითხვას.**

— რატომ ჰგონია ზოგიერთ თბილისელს, რომ დედაქალაქი მარტო თბილისელების არის?! — ამ შეკითხვით შემოგვიერთდება კოკის საშუალო სკოლის დირექტორი დალილა ჩიქავა, — **სხვას ყველას, ვინც თბილისში არ არის დაბადებული, იმედი უნდა ჰქონდეს გადაწურული, რომ თბილისში ხელმძღვანელ თანამდებობებზე იმუშაოს? ჩვენი სამშობლო ხომ იქ იწყება, რომელსაც უფალი გვაძლევს და ვინ დაანაწევრა ჩვენი ქვეყანა თბილისად და დანარჩენ საქართველოდ?!** „იმედის“ ერთ-ერთ გადაცემაში, ჩემი აზრით, სრულიად უადგილო შეკითხვა გაჟღერდა: „დაუჯერებენ კი კოკელებს თბილისელები?“. დანაწევრება და დაპირისპირება ქვეყნის შიგნით ამით იწყება და, ვაი, თუ ფესვი გაიდგა...

— „პროვინციული ფაშიზმი“ გაგვიგია, „კუთხური სეპარატიზმიც“, „ორლობის პატრიოტიზმიც“ უთქვამთ. ობივატელის პიჟონობაღა გვაკლია. თუმცა, რა გიკვირთ — როცა თავის დროზე თბილისის საკრებულოში არ აირჩიეს საჩხერელი აკაკი წერეთელი.

სოვდაგრების პოზიცია.

**— თუ ზოგიერთი თბილისელისთვის გაუგებარია დავით ნარმანიას თბილისის მერობა, მაშ, რად იყო გასაგები და მისაღები მათთვის და ბევრი სხვისთვის გიგი უგულავას გუბერნატორობა სამეგრელო-ზემო სვანეთში?!** — ამ რეპლიკის ავტორი ჩემ მეგზურთაგან ერთ-ერთი — გენადი ჯიქიაა.

უპასუხეთ, თბილისელებო!

დედაქალაქში ზოგიერთს გართულება აქვს რბილ „ლ“-ზე.

— ვერ ვიგებ, რატომ მაინც და მაინც ამაზე ღიზიანდებიან? დიალექტები, კილოკავები ჩვენი ენის სიმდიდრეა. საქართველო ძლიერია თავისი კუთხეების მრავალფეროვნებით და სწორედ ეს მრავალფეროვნებაა შესანარჩუნებელი. წუხელ „ფეისბუქზე“ ვნახე კომენტარი ამ „ლ“-სთან დაკავშირებით, უხერხული კომენტარი იყო, მაგრამ არა უშავს. ეს იმ ადამიანების სინდისზე იყოს. ჭეშმარიტი ქართველები არასოდეს გაამახვილებენ ამაზე ყურადღებას!

თან, ღმერთი, რჯული, ხომ ვსაუბრობდი ამ ხალხთან ამდენ ხანს, ერთხელაც არავის წამოსცდენია ეს რბილი „ლ“. ა-რა-ვის!

თუმცა მეგრულს უხდება: დედის სითბოსავითაა.

აქ დავსვათ წერტილი. იმათ ილაპარაკონ, ვისაც არ ეზარება.

**არმაზ სანებლიძე**

**დიალექტები, კილოკავები ჩვენი ენის სიმდიდრეა. საქართველო ძლიერია თავისი კუთხეების მრავალფეროვნებით და სწორედ ეს მრავალფეროვნებაა შესანარჩუნებელი**



კოკის საშუალო სკოლის დირექტორი დალილა ჩიქავა: დავით ნარმანიამ ეს სკოლა დაამთავრა

**P.S. კოკი მეგრულად კუნძულს ნიშნავს — ამ ადგილს ირგვლივ მდინარე ჩაუდის, „შუამდინარეთია“. დღეს სოფელი საზოგადოებრივი აზრის მდინარების ცენტრში მოექცა.**

**კარგია.**

**რაც უფრო მეტად დავინტერესდებით, მით უფრო მეტს გავიგებთ ამ და ნებისმიერ სხვა სოფელზე. ბევრ კარგ ადამიანს გავიცნობთ და გავმდიდრდებით ამით. ეს უჩემოდაც იცით!**

**თუთის ხეებთან, ზემოთ რომ ვახსენე, ოთხკუთხა ლოდი იდო. გადმოცემით, იმ ლოდზე ვინც დადგებოდა, მხოლოდ სიმართლე უნდა ელაპარაკა.**

**დედაქალაქის მერობაზე ლაპარაკი იმ ლოდზე დადგომასავითაა.**

**მე ჩემი სიმართლე ვთქვი.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელებისგან „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულ მიშიკოს ქართველი ხალხი უამრავ დანაშაულში სდებს ბრალს. არჩევნების გაყალბება, ბიზნესმენებზე ზემოქმედება, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, მომიტინგეთა აქციების სასტიკად დარბევა, უკანონო დაპატიმრებები, პატიმართა წამება და დაკარგული ტერიტორიები — აი, არასრული ჩამონათვალი იმ ბრალდებებისა, რომლებზეც მიხეილ სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს, თუმცა, ამერიკელი მეგობრების წყალობით, ის ახლა ამერიკაშია და ტაფტის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს თავის წარმატებაზე(?!).**



# დედას მცირეწლოვანი შვილი პედოფილთან დაჰყავდა

**25 წლის ნატიშა ჰილარდს თავისი მცირეწლოვანი შვილი პედოფილთან მიჰყავდა და ფულს ასე გამოიმუშავებდა. გარყვნილმა მამაკაცმა გასულ წელს 8-ჯერ დაამყარა სექსუალური კავშირი გოგონასთან.**

სექსმომსახურების მყიდველი აღმოჩნდა ქალაქ გერის (ინდიანის შტატი, აშშ) მცხოვრები, 40 წლის კრისტოფერ ბური. დედა თავისი შვილისა და პედოფილის სექსუალურ აქტებს ესწრებოდა, მამაკაცი კი ფოტოებს იღებდა.

ბოროტმოქმედების შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც კრისტოფერს ბურის სახლში მისულმა მასაჟისტმა ქალმა კომპიუტერთან ბავშვის პორნოგრაფიული ფოტოები იპოვა. ქალმა პოლიციაში დარეკა და სამართალდამცველებმა ბურის ბინა გაჩხრიკეს.

ჰილარდმა და ბურმა ერთმანეთი 2011 წელს გაიცნეს. მამაკაცს ქალმა თავისი შვილები გააცნო, მათ შორის უფროსი — სამი წლის გოგონა.

ახლა ნატიშა ჰილარდს 30-წლიანი ან უვადო პატიმრობა ემუქრება.



# მაჩო-პოლიციელი შვებულებიდან ქალად დაბრუნდა

**33 წლის ბრაზილიელმა ტიაგო დე კოსტა ტეიშეირამ, ნარკოტიკებთან მებრძოლი განყოფილების ხელმძღვანელმა, გასულ წელს სამთვიანი შვებულება აიღო და ტაილანდში გაემგზავრა სქესის შესაცვლელი ოპერაციის გასაკეთებლად, რის შემდეგაც სამსახურში დაბრუნდა, როგორც ქალი, სახელად ლორა.**

ტეიშეირამ, რომელიც მანამდე დაქორწინებული იყო ქალზე და ჰყავს ორი შვილი, არა მხოლოდ სქესი შეიცვალა, არამედ სახის რეკონსტრუქციის რამდენიმე ოპერაციაც გაიკეთა ნაკვთების შესარბილებლად, ანუ მათთვის მეტი სინაზის მისაცემად.

ტეიშეირამ კარიერა გოიასის შტატის პოლიციის განყოფილებაში დაიწყო, თავდაპირველად — დეტექტივად, შემდეგ კი განყოფილების უფროსად დააწინაურეს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ოფიცერი უკმაყოფილებას გამოთქვამს განყოფილების „ახალი“ უფროსის მიმართ.



# დიქტატორები, რომლებსაც აშშ მხარს უჭერდა

**ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები ხშირად ფარისევლობენ, როდესაც უცხოელი პოლიტიკოსების მოქმედებას გმობენ ან უცხო ქვეყნების საშინაო საქმეებში ერევიან „დემოკრატიის აღდგენის“ საბაბით. ამის ნათელი მაგალითია ქვემოთ მოყვანილი სია მსოფლიოში ცნობილი დიქტატორებისა, რომლებსაც „სიკეთის იმპერია“ ეხმარებოდა და თვალს ხუჭავდა მათ მიერ ჩადენილ მხეცობასა და თვითნებობაზე.**



**1. თეოდორო ობიანგ ნგემა მბასოგო, ეკვატორული გვინეა**

ამ იმპოზანტურმა მამაკაცმა სამი ათეული წლის წინათ დაამხო და მოკლა თავისი დიქტატორი ბიძა, შემდეგ კი საკუთარი დიქტატორული რეჟიმი ააშენა. მბასოგო ამბობს, რომ მუდმივი კონტაქტი აქვს ღმერთთან, რომელიც მიუთითებს მას, ვინ უნდა მოკლას.

მბასოგოს რეჟიმს ადანაშაულებენ ადამიანების გატაცებასა და მკვლელობებში, პატიმრების წამებასა და უკანონო დაპატიმრებებში.

რატომ არის ეს საშინელი ადამიანი აშშ-ის ხელისუფლების მეგობარი? პასუხი ბანალურია: **ეკვატორული გვინეა მდიდარია ნავთობის საბადოებით**. სწორედ ამიტომ უწოდებდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი მბასოგოს „კარგ მეგობარს“, ბარაკ ობამას კი მასთან ფოტოს გადაღებაც არ ეთაკილებოდა.



**4. მანუელ ნორიეგა, პანამა**

მანუელ ნორიეგა აშშ-ში სწავლობდა — ლათინური ამერიკის მომავალი სადამსჯელო რაზმების მეთაურებისა და დიქტატორებისთვის აგებულ საწვრთნელ კომპლექსში, რომელიც ჯორჯიის შტატში მდებარეობს. დიდი ხნის განმავლობაში თანამშრომლობდა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან, ითვლებოდა ჯორჯ ბუშის (უფროსი) მეგობრად. აშშ-ის საზღვაო ფლოტის ოფიცერ ოლივერ ნორტთან ერთად პანამურ კოკაინს ამერიკულ იარაღში ცვლიდა. ნორიეგას დიქტატორობის პერიოდში (1983-1989) პანამაში ათასობით ადამიანი დახვრიტეს გაუსამართლებლად, ბევრი აწამეს, ბევრი კი გააქრეს.

ამერიკელები ნორიეგას მიმართ ლოიალურები იყვნენ, ვიდრე მან სანდინისტებთან, ოპოზიციურად განწყობილ ძალასთან, ბრძოლის გაგრძელებაზე უარი არ თქვა.

ყოფილი დიქტატორი აშშ-ში ჩაიყვანეს, ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით გაასამართლეს და 30 წლით აღუკვეთეს თავისუფლება. ამჟამად ის სასჯელს პანამაში იხდის. პანამამ კი ახალი პროამერიკული რეჟიმი მიიღო, რომელიც თავისი ბოსების მიმართ უფრო ლოიალურად არის განწყობილი.



**2. აუგუსტო პინოჩეტი, ჩილე**

1974 წელს პინოჩეტი სათავეში ჩაუდგა სამხედრო ამბოხებას და ჩილეს დემოკრატიულად არჩეული ლიდერი სალვადორე ალიენდე დაამხო. მისი მმართველობის პერიოდში ჩილეში, ოფიციალური მონაცემებით, 3,5 ათასი ადამიანი დაიღუპა, 80 ათასი — ქვეყნიდან გაიქცა, 30 ათასი, მათ შორის, ქალები და ბავშვები — აწამეს. პინოჩეტის საჯარო კრიტიკის მიუხედავად, აშშ-ის მთავრობა პინოჩეტს ალიენდეს დამხობაში დაეხმარა და მისთვის ფინანსურ სახსრებსაც არ იშურებდა.



**5. ფერდინანდ მარკოსი, ფილიპინები**

ფერდინანდ მარკოსსა და მის ცოლს — იმელდას ფეხსაცმლის ყველაზე დიდი კოლექცია ჰქონდათ მსოფლიოში. ციხეში კი იმიტომ მოხვდნენ, რომ გადასახადების გადახდას არიდებდნენ თავს. თუმცა გაცილებით მძიმე დანაშაულებიც ჰქონდათ ჩადენილი: მარკოსის რეჟიმი არც ადამიანების გატაცებას ერიდებოდა და არც ბოთლებითა და მუშტებით პატიმრების ცემა-წამებას. ამის მიუხედავად, პრეზიდენტ კარტერის ადმინისტრაციამ მხარი დაუჭირა მსოფლიოს ბანკისგან ფილიპინებისთვის 88 მილიონი დოლარის გამოყოფას, ხოლო 1981 წელს აშშ-ის იმჟამინდელმა ვიცეპრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსი) კმაყოფილება გამოთქვა ფერდინანდ მარკოსის მიერ „დემოკრატიული პრინციპებისა და დემოკრატიული პროცესებისადმი მხარდაჭერისთვის“.



**7. ადოლფ ჰიტლერი, გერმანია**

როდესაც ჰიტლერი გერმანიის ხელისუფლების სათავეში მოექცა, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე იყო ბრეკენრიჯ ლონგი. სწორედ ლონგის მეცადინეობით მისცეს უფლება ჰენრი ფორდს, ფაშისტებისგან შეეძინა ტანკები და სწორედ ლონგის მითითებით არ აძლევდნენ აშშ-ში შესვლის უფლებას ებრაელ ლტოლვილებს. გარდა ამისა, პრეზიდენტმა რუზველტმა რამდენიმე ამერიკულ კომპანიას უფლება მისცა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც კი არ შეეწყვიტა ვაჭრობა გერმანიასთან. შედეგად გამდიდრდნენ კორპორაციები —„ჯენერალ მოტორსი“, „დიუპონი“, „სტანდარტ ოილი“ და სხვები.



**3. იდრის დები, ჩადი**

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა აფრიკულ სახელმწიფო ჩადს „ტერორიზმთან ბრძოლაში უდიდესი მოკავშირე“ უწოდა, როდესაც ამ სახელმწიფოს ხელისუფლებამ სუდანიდან ლტოლვილებს თავშესაფარი მისცა. თუმცა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ის ცნობით, ამ ქვეყანაში ბევრია ჰუმანიტარული ორგანიზაციის წარმომადგენელთა გატაცების, ქალებსა და გოგონებზე ძალადობის, პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებისა და ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტი.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის მიერ ჩადისთვის გამოყოფილი თანხა, რომელიც შიმშილის დაძლევას უნდა მოხმარებოდა, დების რეჟიმის დასაცავად იარაღის შეძენისთვის დაიხარჯა.



**6. მობუტუ სესე სეკო, ზაირი**

მობუტუ სესე სეკომ 5 მილიარდი დოლარის ქონება დააგროვა. ის სიამოვნებით იღებდა ფულს აშშ-ის ხელისუფლებისგან, თუმცა თავისი სამშობლო აფრიკის უღარიბეს ქვეყნად აქცია. მობუტუ სესე სეკოს რეჟიმი, რომელიც კორუფციისა და კლეპტოკრატიის ჭაობში იყო ჩაფლული, ხშირად არღვევდა ადამიანის უფლებებს (პატიმრებს ლურსმნებიანი ჯოხებით სცემდნენ), თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, მობუტუ აშშ-ის პრეზიდენტების — ნიქსონის, რეიგანისა და ბუშის, მეგობარი ყოფილიყო. რეიგანმა მას „კეთილი ნებისა და კეთილგონიერების ხმაც“ კი უწოდა.



**8. მიხეილ სააკაშვილი, საქართველო**

მიხეილ სააკაშვილს დიქტატორს არ ეძახდნენ, თუმცა მან, ისევე როგორც ზემოჩამოთვლილმა პირებმა, არანაკლები უბედურება დაატეხა თავის ქვეყანას.

ამერიკელებისგან „დემოკრატიის შუქურად“ წოდებულ მიშიკოს ქართველი ხალხი უამრავ დანაშაულში სდებს ბრალს. არჩევნების გაყალბება, ბიზნესმენებზე ზემოქმედება, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, მომიტინგეთა აქციების სასტიკად დარბევა, უკანონო დაპატიმრებები, პატიმართა წამება და დაკარგული ტერიტორიები — აი, არასრული ჩამონათვალი იმ ბრალდებებისა, რომლებზეც მიხეილ სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს, თუმცა, ამერიკელი მეგობრების წყალობით, ის ახლა ამერიკაშია და ტაფტის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს თავის წარმატებებზე(?!).

ერაყის კუთვნილი 10 ათასამდე უნიკალური ექსპონატი ინახება აშშ-ში, კორნელის უნივერსიტეტში, რომლის ხელმძღვანელობაც უარს ამბობს ამ ექსპონატების კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნებაზე.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ მოვიპაროთ ისტორია

**ერაყიდან აშშ-ისა და მის მოკავშირეების ჯარების გამოყვანა 10 წლის წინათ დაიწყო. საერთაშორისო გამოძიების სტრინგერის ბიურომ გამოაქვეყნა მასალები, რომლებიც მოწმობს, რომ ერაყის ოკუპაციის ერთ-ერთი მიზანი ამ ქვეყნის მუზეუმების გაძარცვა იყო. ზარალი, რომელიც ერაყის კულტურულ ფასეულობებს მიადგა, აუწერელია. შუმერისა და ბაბილონის ცივილიზაციების ათასწლოვანი კულტურული ძეგლები ან დაზიანებულია, ან ქვეყნიდან არის გატანილი.**



დასავლელი „განმათავისუფლებლები“ თვლიან, რომ სხვა ერის კულტურული ფასეულობები მათი ნადავლია

**ექსპერტთა ვარაუდით, 2003-2004 წლებში ერაყიდან 130 ათასამდე კულტურულ-ისტორიული ფასეულობა გაიტანეს.**

— ერაყის არქეოლოგიური არტეფაქტების დიდი ნაწილი აშშ-ია, თუმცა ვაშინგტონი უარსაა მათ დაბრუნებაზე, — აღშფოთებით ამბობს ერაყის ტურიზმისა და სიძველეთა დაცვის მინისტრი ლივა ალ სუმაისიმი.

ამერიკული სამხედრო ბაზა Camp Alha ერაყის ოკუპაციის პირველ დღეებში ბაბილონის არქეოლოგიური გათხრების ტერიტორიაზე იყო განლაგებული. ამერიკელი ჯარისკაცები პირდაპირ ისტორიული ძეგლებიდან ჩიჩქნიდნენ ნაბუქოდონოსორის ბეჭედიდან ქვებს და სუვენირებად მიჰქონდათ, — განაცხადა სამუზეუმო კომპლექსის მცველმა მუქსინ მუჰამედმა. ამ სპონტანური ძარცვის გარდა, იყო დაგეგმილი ძარცვაც. **2003 წელს, ერაყის ტერიტორიაზე შეჭრის შემდეგ, აშშ-ის არმიამ არასანქცირებულად დაიწყო ქვეყნიდან სიძველეების გატანა, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებს სამხედრო და საოკუპაციო ვითარებაში ისტორიული ფასეულობების დაცვისა და შენახვის შესახებ...**

არ გაუმართლა ბაღდადის ნაციონალურ მუზეუმსაც — 15 ათასი ექსპონატიდან იქ მხოლოდ 4 ათასიღა დარჩა. ზარალი, რომელიც ამ მუზეუმის საცავს მიადგა, დღემდე არ არის შეფასებული.

**ერაყის კუთვნილი 10 ათასამდე უნიკალური ექსპონატი ინახება აშშ-ში, კორნელის უნივერსიტეტში, რომლის ხელმძღვანელობაც უარს ამბობს ამ ექსპონატების კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნებაზე.**

სხვათა შორის, სხვა ხალხების კულტურისადმი „ფრთხილი“ დამოკიდებულების უფრო ახალი მაგალითების მოყვანაც შეიძლება. **ლიბიის ნაციონალური ბანკიდან მოიპარეს „ბენღაზის საგანძური“, რომელიც ელინიზმის ეპოქას მიეკუთვნება — გაქრა ალექსანდრე მაკედონელისდროინდელი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს 7,7 ათასი მონეტა.**

მოპარულია უძველესი სტატუეტები, სპილოს ძვლისგან დამზადებული საგნები, სამაჯურები, მედალიონები, საყურეები, ბეჭდები და ძვირფასი ქვები. ლიბიაში დასავლეთის ჯარები ფორმალურად არ ყოფილან, მაგრამ „ბენღაზის საგანძურის“ ერთ-ერთი მონეტა აშშ-ში გამოჩნდა და 440 ათას დოლარად არის შეფასებული.

დასასრულ — ავღანეთი. იქ შეჭრის შემდეგ არა მხოლოდ ნარკოტიკების, არამედ ნაციონალური რელიკვიების ტრაფიკიც გაძლიერდა.



დიდი ბრიტანეთის მონარქის გვირგვინს მოპარული ალმასი ამშვენებს

**ამჟამად სამხედრო დარტყმის საფრთხე ემუქრება სირიას. ქვეყნის დედაქალაქი — დამასკო — ერთ-ერთი უძველესია პლანეტაზე. ვარაუდობენ, რომ ის 6 ათასი წლის წინათ დაარსდა. და იქაც ბევრი რამ არის ისეთი, რისგანაც სარგებლის მიღება შეიძლება.**

## ფასდაუდებელი ალმასი

ისეთი ომები, როგორებიც ერაყსა და ავღანეთში მიმდინარეობდა, რა თქმა უნდა, გეოპოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად არის მიმართული, თუმცა ნაციონალური საგანძურის მითვისებასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. **აშშ ძალიან ახალგაზრდა სახელმწიფოა. რა მოსატანია მისი არსებობის 238 წელი ახლო აღმოსავლეთის 50-საუკუნოვან ისტორიასთან?! რას ასწავლის სტეროიდებით გაჟღენთილი მოზარდი ცხოვრებით დაბრძენებულ მოხუცს?!**

ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ჰყოფნის „სოლიდურობა“. აქედან გამომდინარე, საჭიროა ისტორიის კორექტირება. მოკლევადიან პერსპექტივაში ეს თითქმის შეუძლებელია, მაგრამ **ამერიკელთა მომავალმა თაობამ შეიძლება დაიჯეროს, რომ აზიელთა ურდოებს ცივილიზაცია „პოლიტკორექტულმა აფროამერიკელებმა“ შეუქმნეს. აი, მტკიცებულებაც — შეხედეთ, მეტროპოლიტენ-მუზეუმის ვიტრინებში გამოფენილია ფასდაუდებელი რელიკვიები, რომლებიც, ბარბაროსებისგან განსხვავებით, ჩვენ შევუნარჩუნეთ კაცობრიობას!**

აი, მტკიცებულებაც: **ახლახან ინდოეთმა სარჩელი აღძრა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ — ითხოვს ალმას კოხ-ი-ნორის დაბრუნებას, რომელიც ბრიტანეთის დედოფლის — ელისაბედ მეორის გვირგვინს ამშვენებს. ეს უმშვენიერესი ალმასი ინგლისელებმა ინდოელ მაჰარაჯას წაართვეს ოქროს ტახტთან ერთად.**

ბრიტანულმა პრესამ იმწამსვე ატეხა ხმაური:

— როგორ ბედავენ დაუბანელი ინდუსები ჩვენი ღირსების შელახვას და იმის გაფიქრებასაც კი, რომ ბრიტანეთის მონარქი მოპარულ ბრილიანტს ატარებს?

გამოკითხვის შედეგების თანახმად, ინგლისელთა უმრავლესობა თვლის, რომ ალმასი კოხ-ი-ნორი მათი ქვეყნის საკუთრებაა უხსოვარი დროიდან, სიმართლე კი მხოლოდ 11 პროცენტმა იცის. არადა, ინგლისის ხელისუფლებას ეს ალმასი არც ისე დიდი ხნის წინათ, XIX საუკუნეში, ჩაუვარდა ხელთ.

ასეა — ისტორიას გამარჯვებულები წერენ.



## სკოლის თანამშრომელმა ქალმა მოზარდი გააუპატიურა

**ქალაქ უეიმუტის (მასაჩუსეტის შტატი, აშშ) სკოლაში სკანდალია. 36 წლის ქალი ჯონელ ფორლი თავისი დაქალის 15 წლის შვილზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით დააპატიმრეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ, როცა ბიჭის მშობლებმა ჯონელ ფორდი სახლში დაპატიჟეს, მან არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირი დაამყარა.

დაპატიმრებული ფორლი 5 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, თუმცა ვალდებულია, CPS-სამაჯური ატაროს. ქალი სხვა ანალოგიურ დანაშაულშიც არის ეჭვმიტანილი — არასრულწლოვან ნათესავზე სექსუალურ ძალადობაში.




## სენატორის ვაჟი ნარკოტიკის შენახვისთვის დააპატიმრეს

**ქალაქ ბოლდერში (აშშ) სენატორ (კოლორადოს შტატიდან) მარკ უდალის ვაჟი, 26 წლის ჯედ უდალი სამი ავტომობილის გატეხვის შემდეგ დააპატიმრეს. პოლიციელებმა ახალგაზრდა კაცს ჰეროინი უპოვეს.**

როგორც ჯედ უდალმა პოლიციელებს განუცხადა, სხვის ავტომობილებში იმიტომ შეძვრა, რომ ეძებდა მავთულებს თავისი ავტომობილის აკუმულატორის დასამუხტავად. ჰეროინის გარდა, სენატორის შვილის ნივთებში უკვე გამოყენებული შპრიცი და კოვზიც იპოვეს.

ჯედ უდალი 1500 დოლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, თუმცა მას სასამართლო პროცესი ელის.

## მუსიკოსს სტრადივარიუსის ვიოლინო გასტაცეს



**მილუოკიში (ვისკონსინის შტატი, აშშ) სიმფონიური ორკესტრის კონცერტმეისტერსა და მევიოლინეს, ფრენკ ელმონდს, უძვირფასესი ვიოლინო წაართვეს.**

სტრადივარიუსის მიერ 1715 წელს დამზადებული ვიოლინო მუსიკოს ელმონდს შესანახად რამდენიმე წლის წინათ გადასცეს გავლენიანმა პირებმა, რომლებსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდათ მილუოკისთან.

24 იანვარს, ვისკონსინის ლუთერანულ კოლეჯში კონცერტის ჩატარების შემდეგ, მევიოლინე ავტოსადგომზე მანქანაში ჩაჯდომას აპირებდა, როდესაც თავს მძარცველი დაესხა. ბოროტმოქმედმა ელექტროშოკით ელმონდს გონება დააკარგვინა, ვიოლინო წაართვა და მიიმალა თანამზრახველთან ერთად, რომელიც ავტომობილით ელოდებოდა. გატაცებული ვიოლინ 3 მილიონ დოლარად არის შეფასებული. ადრე ეს ინსტრუმენტი იტალიელ მუსიკოს ჯუზეპე ტარტინის ეკუთვნოდა, შემდეგ — პოლონელ ვირტუოზ კაროლ ლიპინსკის.

## «მაკდონალდსში» ჰეროინს ყიდდნენ

**სწრაფი კვების რესტორნის თანამშრომელი ჰეროინს „ბედნიერი კვების“ ყუთებით ჰყიდდა.** სამართალდამცველებმა ნარკოტიკების გასაღების ბრალდებით ქალაქ პიტსბურგში (აშშ), პენ-ავენიუზე მდებარე „მაკდონალდსის“ თანამშრომელი, 26 წლის შანია დენისი დააპატიმრეს. დენისი ნარკოტიკის გაყიდვისას გამოიჭირეს. პოლიციელმა ქალს 82 დოლარი მისცა, ამ თანხიდან მან 2 დოლარი სალაროში ჩადო, 80 კი საცვალში შეინახა.

„მაკდონალდსში“ ჰეროინის შესაძენად საჭირო იყო ავტოფანჯარაში საბავშვო



სადილის შეკვეთა და კოდური ფრაზის თქმა: „მინდა, სათამაშო შევუკვეთო“.

შანია დენისს სამუშაო ადგილზე უპოვეს Happy Meal-ის („ბედნიერი კვება“) ათი კოლოფი, რომლებშიც ჰეროინით სავსე პაკეტები იდო. კიდევ 50 პაკეტი ცალკე იყო გადადებული.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო მთელ მსოფლიოში აკონტროლებს ინფორმაციის ნაკადებს თავისი სუპერქსელი „ეშელონის“ საშუალებით. ამ ქსელის არსებობას 1998 წლამდე არავინ აღიარებდა.**

# ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს აჩრდილი

**17 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას, გამოსვლამ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს რეფორმირების თემაზე ამერიკელი და უცხოელი მოქალაქეების თვალთვალთან დაკავშირებით არსებული რეალობა საერთოდ არ ასახა. პრეზიდენტის გამოსვლის მიზანი იყო, ეჩვენებინა, რომ ეს უწყება ხელისუფლების კონტროლქვეშაა და კანონის შესაბამისად მოქმედებს. სინამდვილეში კი ყველაფერი სხვაგვარადაა.**



1952 წელს შექმნილი ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო აშშ-ის ყველაზე დატოტვილი სტრუქტურაა, სადაზვერვო ინფორმაციის მომგროვებელ სტრუქტურებს შორის. მისი ფუნქციები დასაწყისიდანვე განისაზღვრებოდა ელექტრონული ჯაშუშობით საზღვარგარეთ და ამერიკული სახელისუფლო კომუნიკაციების დაცვით უცხოური ჯაშუშებისგან.

სააგენტოს თანამშრომელთა რაოდენობა და წლიური ბიუჯეტი საიდუმლოა. არსებობს მხოლოდ დაუდასტურებელი ოფიციალური მონაცემები, რომელთა მიხედვითაც სააგენტოს შტაბ-ბინაში 30 ათასი თანამშრომელი მუშაობს, საზღვარგარეთ გაფანტულ სადგურებზე კი — კიდევ 100 ათასი. ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ბიუჯეტი დაახლოებით 13 მილიარდ დოლარს შეადგენს.

სააგენტო რომ არღვევს ოფიციალურად მიწერილი ფუნქციების საზღვრებს, ჯერ კიდევ 1960 წელს გახდა ცნობილი თავად სააგენტოს თანამშრომლების — უილიამ მარტინისა და ბერნონ მიტჩელის მიერ გავრცელებული ცნობებით. მათ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გაახმოვანეს სენსაციური მონაცემები სააგენტოს მხრიდან არა მხოლოდ მოწინააღმდეგეების, არამედ მოკავშირეების, კერძოდ საფრანგეთის მიმართ ჯაშუშობის დეტალებზე. შემდეგ მორიგმა ინფორმატორმა ვიქტორ ნორის გამილტონმა განმარტა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს კონტროლს ექვემდებარება საერთაშორისო ორგანიზაციებიც. და ბოლოს, 2013 წელს ყველაფერი ედვარდ სნოუდენის გამოაშკარავებებით დასრულდა.

**ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო მთელ მსოფლიოში აკონტროლებს ინფორმაციის ნაკადებს თავისი სუპერქსელი „ეშელონის“ საშუალებით. ამ ქსელის არსებობას 1998 წლამდე არავინ აღიარებდა.**

„ეშელონისთვის“ თვალთვალის ობიექტებს წარმოადგენენ სახელისუფლო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ფირმები, პოლიტიკოსები, ბანკირები და მეწარმეები, საზოგადოებრივი მოღვაწეები და რიგითი მოქალაქეები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.

**მთელ პლანეტაზე გაბნეული სუპერქსელის სადგურები კოლოსალური რაოდენობის ინფორმაციას აგროვებენ ეთერის ფაქტიური შესრუტვით. მთელი ელექტრონული ფოსტა, ყველა სატელეფონო საუბარი მობილური საუბრების ჩათვლით, ყველა პეიჯერული შეტყობინება, ტელექსი, ტელეგრამა, ფაქსი, რადიო და ინტერნეტი დღეს საინფორმაციო სივრცეს წარმოადგენს და მას საგულდაგულოდ ამოწმებს ეშელონი“. ყველაფერი, რაც გადაიცემა სახმელეთო, საჰაერო, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით, მთელი რადიოკომუნიკაცია — სატელეფონო ჭორაობიდან სარადარო შეტყობინებებამდე ამ ქსელში გაივლის.**

ფაქტობრივად, მსოფლიოში ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ტელეფონს, ფაქსს ან ელექტრონულ ფოსტას იყენებს, კონტროლს ექვემდებარება. ამერიკული სისტემის მუშაობას უზრუნველყოფს ოთხი ინგლისურენოვანი ქვეყნის სპეცსამსახურები: ინგლისის კომუნიკაციების სამთავრობო შტაბი (GCHQ), კანადის კომუნიკაციის უსაფრთხოების დაწესებულება (CSE), ავსტრალიის კავშირგაბმულობის დაცვის სააგენტო (DSD) და ახალი ზელანდიის კომუნიკაციების უსაფრთხოების სამთავრობო ბიურო (GCSB).

ამჟამად უკიდურესი გასაიდუმლოების ატმოსფეროში ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ინფორმაციის შეგროვების ახალ სისტემას „ტეტრე-5“-ს ამუშავებს. ინფორმაციას მოიპოვებენ იმ გვერდითი ელექტრომაგნიტური გამოსხივებებითა და მინიშნებებით, რომლებიც აუცილებლად წარმოიშობა ნებისმიერი რადიოელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობისას. ეს პროგრამა გახდება სხვათა საიდუმლოებებში ცხვირის ჩაყოფის ახალი ეტაპი.

„ეშელონი“ არის რთული, მრავალდონიანი სისტემა. მისი ქვესისტემების ფარგლებში ხორციელდება საერთო პროგრამები, მაგალითად „Classical Bullseye“ და „Pusher“ — მაღალი სიხშირის სიგნალების მისაღებად, „Steeplebush“, „Runway“ და „Moonpenny“ — თანამგზავრული კავშირების მოსასმენად, „Voicecast“ — ხმოვანი შეტყობინებების ამოსაცნობად და მოლაპარაკეთა პიროვნების დასადგენად.

**ქსელის საფუძველს წარმოადგენს მგრძნობიარე ანტენებით აღჭურვილი სახმელეთო სადგურები. გარდა ამისა, არსებობს სხვა სახის სადგურებიც, რომლებიც განთავსებულია მიწისზედა, მიწისქვედა და წყალქვეშა ტელეკომუნიკაციების მახლობლად, რომლებიც სიგნალს იღებენ ჩვეულებრივი და ოპტიკურბოჭკოვანი კაბელებიდანდ.**

ამ სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ კავშირგაბმულობის საერთაშორისო თანამგზავრები „Intelsat“-I, რომლებიც გეოსტრატეგიულ ორბიტებზეა განლაგებული. ამ თანამგზავრებს იყენებს მსოფლიოს უმეტესი სატელეკომუნიკაციო კომპანია, რადგან ისინი არიან სატელეფონო საუბრების, ფაქსების და ელექტრონული ფოსტის რეტრანსლატორები.

გარდა ამისა, „ეშელონის“ შემადგენლობაში შედის იმ სადგურების ქსელი, რომლებიც სხვა თანამგზავრული ორბიტბიდანაც იღებენ ინფორმაციას. ეს არის მენვიფ ჰილი, რომელიც ევროპასა და რუსეთს უთვალთვალებს, შოელ ბეი, რომელიც ინდონეზიას აკონტროლებს, ლეიტრიმი, რომელიც ლათინურ ამერიკას ადევნებს თვალს და ჩრდილო იაპონიაზე პასუხისმგებელი მისავა.

**მენვიფ ჰილის სადგური მსოფლიოში უმსხვილესი პუნქტია თავისი 25 თანამგზავრული ტერმინალით. მასზე 1400 ინჟინერი, ფიზიკოსი, ლინგვისტი, მათემატიკოსი, კომპიუტერის სპეციალისტ და თავდაცვის სამინისტროს 370 თანამშრომელი მუშაობს. სადგურს მთელი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის თანასწორი შტატი ჰყავს.**

წარმოადგენს რა თანამგზავრული ჯაშუშების კავშირის წერტილს, მათ შორის ევროპის მაკონტროლებელი ცენტრალური ქსელისთვისაც, სადგური კლასიკური რადიოჯაშუშობის მძლავრი კვანძის მსგავსადაც მუშაობს. ის იჭერს მიკროტალღური კავშირის მიწისზედა ქსელებს, რომლებითაც გადაიცემა სახელმწიფო სამსახურების სამართავი ბრძანებები, მათ შორის დიპლომატიური დირექტივები და სამხედრო განკარგულებები. ამ ქსელებით კონტინენტები ერთანეთთან არიან დაკავშირებულნი.

მაგრამ „ეშელონის“ ყველაზე მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს კომპიუტერული ქსელი (კოდური სახელწოდება „პლატფორმა“), რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული სუპერკომპიუტერების 52 განცალკევებულ ქსელს.

„პლატფორის“ სამართავი ცენტრი მდებარეობს მერილენდში, ფორტ მიდში, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს შტაბ-ბინაში. „ეშელონის“ ადგილობრივი ქსელების კომპიუტერული ქსელები მილიონობით შეტყობინებას შორის ეძებენ იმ შეტყობინებებს, რომლებიც კოდურ სიტყვებს შეიცავენ. მონაცემთა მართვა სრულად ავტომატიზებულია და სადგურის კოორდინაცია იმგვარია, რომ სისტემის ცენტრალურ ორგანოებს თითქის მყისიერი წვდომა აქვთ მთელი ▶



ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს შტაბბინა, მერილენდის შტატი

## კბილაშვილმა ორგანიზაცია «ევროპული არჩევანი» დააფუძნა

**ორგანიზაცია „მოქალაქის“ პრეზენტაციაზე მისმა დამფუძნებელმა, ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ყოფილი მთავარი პროკურორის ორგანიზაციის მიზანი საქართველოს ევროპასთან დაახლოება იქნება.**

„მოქალაქე“ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ითანამშრომლებს და ერთ-ერთი მათგანი სწორედ კბილაშვილის „ევროპული არჩევანი“ იქნება. “არჩილ კბილაშვილი გახლავთ პროფესიონალი იურისტი. მე მგონი, ორგანიზაციის სახელიც არის ძალიან საინტერესო — „ევროპული არჩევანი“ და სწორედ სამართლის მიმართულებით დაეხმარება ის საზოგადოებას სხვადასხვა ტიპის პროექტების დამუშავებაში. დღესაც მოხიბლული ვარ არჩილ კბილაშვილის განცხადებით, როდესაც ის პოლიტიკაში შემოვიდა, სწორედ რომ პასუხისმგებლობაზე საუბრობდა. როდესაც მოქალაქესა და სამოქალაქო საზოგადოებაზე ვსაუბრობთ, მახსოვს, რომ ეს მას კარგად აქვს გაცნობიერებული.

არჩილ კბილაშვილს ჰყავს ძალიან კარგი გუნდი, გახლდით მასთან ოფისში და საოცრად ევროპულადაა მოწყობილი. ის გახლდათ ძალიან წარმატებული ადვოკატი, ჰყავს ძალიან კარგი პარტნიორები. მათ აქვთ კარგი შემოსავალი, პატიოსანი შრომით მიღებული, აქვთ პასუხისმგებლობის დიდი განცდა, რომ დაეხმარონ ქვეყანას ევროპისკენ სვლის დაჩქარებაში“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

გამორიცხული არ არის, რომ დასავლური სპეცსამსახურები ათასგვარ დადგმულ ტერაქტებს ახორციელებდნენ, რათა შემდგომ ყველაფერი ტერორისტებს დააბრალონ და პარლამენტს საკუთარი ბიუჯეტის გაზრდა აიძულონ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მსოფლიოდან მოპოვებულ მნიშვნელოვან ინფორმაციასთან.

როგორც ედვარდ სნოუდენის გამოაშკარავებების შემდეგ გახდა ცნობილი, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს კიდევ ერთი პროგრამა „PRISM" ინტერნეტჯაშუშობის მძლავრი იარაღია და ინტერნეტგიგანტების სერვერებთან პირდაპირი წვდომის საშუალებით უზრუნველყოფს სააგენტოს.

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს საჯაშუშო შესაძლებლობების მოკლე ჩამონათვალიც კი გასაგებს ხდის, რომ მის საქმიანობაში ელექტრონული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ამოცანები მესამეხარისხოვან როლს ასრულებს. სააგენტო აგროვებს ინფორმაციას, რომელსაც არანაირი შეხება არ აქვს ამ ამოცანებთან. სხვა სახელმწიფოთა საიდუმლოებების ან ტერორისტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება იძირება იმ მონაცემთა ოკეანეში, რომლებიც ფორმალურად სააგენტოს არაფერში სჭირდება.

**ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ახორციელებს სულ სხვადასხვა სახის ინფორმაციის კოორდინირებასა და ანალიზს. ეს ინფორმაცია ეხება ცალკეული სახელმწიფოების, ხალხებისა თუ ადამიანების ცხოვრებას. ედვარდ სნოუდენის განცხადებით, სააგენტო დღეში 200 მილიონ SMS-შეტყობინებას აგროვებს მთელ მსოფლიოში.**

სამრეწველო ჯაშუშობას რაღაც აზრი აქვს და შეიძლება გასაგები იყოს, რისთვის სჭირდება ეს აშშ-ს, მაგრამ როგორ აიხსნება სააგენტოს ამოცანებს შორის გაეროს, მსოფლიო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ატომური ენერგეტიკის სააგენტოს, საბავშვო იუნისეფის, ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშე", უფლებადამცველი ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიის" და სხვათა კომუნიკაციების კონტროლის მოხვედრა?

**გამოაშკარავებათა შედეგად იქცა 2013 წლის 19 დეკემბერს გაეროს მიერ ინტერნეტის მომხმარებელთა დაცვის რეზოლუციის იღება. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ინტერნეტში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პირადი ცხოვრების სრული ხელშეუხებლობა. ამავე დროს რეზოლუცია გაეროს ყველა ქვეყანას მოუწოდებს სადაზვერვო და სპეცსამსახურების რეფორმისკენ, კერძოდ გაიცა რეკომენდაციები, შეიქმნას დამოუკიდებელი სადამკვირვებლო ორგანოები, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავენ ქსელის თვალთვალისა და კონტროლის მიზანშეწონილობას.**

საერთაშორისო სკანდალის საპასუხოდ ობამამ განაცხადა, რომ სპეცსამსახურები მოქალაქეთა პირადი მონაცემებისადმი წვდომას მხოლოდ სასამართლოს გავლით მოიპოვებენ. თავად ბაზები კი უნდა შეინახონ კერძო კომპანიებმა, რომლებსაც უფლება ექნებათ, ხელისუფლების მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნონ. ცხადია, რჩება ექსტრემალური შემთხვევები, რომელთა დროსაც მოქმედება ნებისმიერი ნებართვის გარეშეც ნებადართულია.

**გარდა ამისა, თუ აქამდე უსმენდნენ არა მხოლოდ ტერორიზმში ეჭვმიტანილთან მოსაუბრეს, არამედ ამ მოსაუბრის ყველა სხვა ნაცნობსაც, ახლა ოფიციალურად ნებადართულია მხოლოდ ტერორიზმში ეჭვმიტანილთა უახლოესი გარემოცვის გაკონტროლება. და კიდევ, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს აეკრძალა აშშ-ის მეგობარი ქვეყნების ხელმძღვანელების თვალთვალი.**

პრეზიდენტს არ უხსენებია თვალთვალის საიდუმლო კანონი და მისი შეზღუდვა. ამ კანონში კი არ არის თვალთვალის ობიექტის ზუსტი განსაზღვრება და არც ინფორმაციის მომხმარებელთა განსაზღვრება. არადა ეს ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია: ვინ არის აშშ-ში ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მიერ მთელი პლანეტის ცხოვრების შესახებ შეგროვილი ინფორმაციის მომხმარებელი. საბოლოო ჯამში ხომ აშშ-ის არც ერთ უწყებას არ სჭირდება მონაცემთა კოლოსალური რაოდენობა ყველა ადამიანისა და ორგანიზაციის ცხოვრების შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არასწორი იქნება ვიფიქროთ, რომ უზარმაზარი ხარჯების გაღებით მოპოვებული ეს ინფორმაცია უბრალოდ სანაგვე ყუთში იყრება.

როგორც ჩანს, სწორედ ამ კითხვაზე პასუხში იმალება სააგენტოსთან დაკავშირებული სკანდალის ამოხსნაც, და პასუხი ერთადერთი შეიძლება იყოს: ამ ინფორმაციის მომხმარებელია აშშ-ის კულისებსმიღმა წრეები, რომლებიც ქმნიან ამ სახელმწიფოს პოლიტიკას. ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მთავარი მიზანია, სრულად აკონტროლოს პლანეტის ხალხთა ცხოვრების სიღრმისეული პროცესები და საჭირო დროს მოახდინოს ომების, კრიზისებისა თუ რევოლუციების პროვოცირება.

**ამიტომაც ობამას მიერ დაწესებული შეზღუდვები მხოლოდ კოსმეტიკურ ხასიათს ატარებს, ინფორმაცია კვლავაც იმ გზაზე წავა, რომელზეც აქამდეც მიდიოდა...**

fondsk.ru

# სავაჭრო მარკა «ალ-ქაიდა»

**ამერიკელებმა ვერაფრით შეძლეს „ალ-ქაიდას" დამარცხება. მისი ლიდერი ბენ ლადენიც კი მოკლეს, მაგრამ ეს ორგანიზაცია მაინც ყვავის და სულ ახალ-ახალ ფილიალებსაც ქმნის. ამ ყველაფერს ბოლო არ უჩანს. ის ყველგანაა — აფრიკაშიც, ახლო აღმოსავლეთშიც, პაკისტანსა და ავღანეთშიც. სწორედ ამის გამო უსმენს და უთვალთვალებს ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ყველა ცოცხალ არსებას დედამიწაზე — დიდი შანსია, რომ ყოველი მეორე ადამიანი ამ ტერორისტული ქსელის წევრი იყოს.**





ამერიკული მასმედია მუდამ გადავსებულია „ალ-ქაიდას" ტერორისტებით. ისეთი განცდაა, თითქოს ისინი უკვე თეთრი სახლის აღებასაც გეგმავენ. რატოაც არა, თუკი ამდენნი არიან?

რატომ იზრდება და ფართოვდება „ალ-ქაიდა" განუწყვეტლივ, როცა მას დასავური სპეცსამსახურების მამაცი და ჭკვიანი მეომრები დღედაღამ ებრძვიან?

ერთერთი პასუხი ამ კითხვაზე არის ის, რომ **„ალ-ქაიდა" ვიღაცისთვის ძალზე მომგებიანი პოლიტიკური მითია. ვისთვისაა მომგებიანი ამის კითხვაც კი არ ღირს.** გაზეთის „აზია თაიმსი" წერს, რომ კომპიუტერთან მჯდომ ამერიკაზე გაბრაზებულ ადამიანს აბსოლუტურად უპრობლემოდ შეუძლია, თავი „ალ-ქაიდას" მორიგ ფილიალად გამოაცხადოს. ვინ შეამოწმებს?

**გამორიცხული არ არის, რომ დასავლური სპეცსამსახურები ათასგვარ დადგმულ ტერაქტებს ახორციელებდნენ, რათა შემდგომ ყველაფერი ტერორისტებს დააბრალონ და პარლამენტს საკუთარი ბიუჯეტის გაზრდა აიძულონ.**

რაც შეეხება დადგმას, ეს ძალიან იოლია. ინტერნეტში ან ტელევიზიით გამოაჩენენ ვიღაც წვერიან შეიარაღებულ ბიჭებს შავი დროშის ფონზე და ათქმევინებენ, რომ ისინი „ალ-ქაიდას" ახალი ბუდის წევრები არიან. შემდეგ ისინი ამერიკას ან მის მეგობრებს ტერაქტით ემუქრებიან.

არის მეორე ვარიანტიც: აჩვენებენ აფეთქებით განადგურებულ რაღაცას და ამას გამოაცხადებენ იმის დადასტურებად, რომ „ალ-ქაიდამ" ახალი ტერაქტი მოაწყო. ამის შემდეგ ცსს გამოაცხადებს, რომ ვიღაც „ბოროტმოქმედების" საუბარი მოისმინა, შეიძლება აჩვენონ უპილოტო საფრენი აპარატიდან რაკეტის გაშვების მომენტიც, როგორც „ტერორისტებთან ბრძოლის" ეპიზოდი, მაგრამ სინამდვილეში სად ისროლეს ეს რაკეტა და ვინ მოკლეს, არავინ იცის.

გამოდის, რომ ვაშინგტონი თავად წყვეტს, სად არის „ალ-ქაიდა" და სად — არა. იქვეადგენენ, სად განახორციელებენ ტერორისტები მორიგ დარტყმას.

**სინამდვილეში „ალ-ქაიდა" ამერიკის საგარეო პოლიტიკის თანამგზავრია. იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, თუ რა დაემართებოდა ამ პოლიტიკას, უეცრად „ალ-ქაიდა" რომ აღარ არსებობდეს.** სპეცსამსახურები, სამხედროები, კომპიუტერების სპეციალისტები სამსახურს დაკარგავენ. გაურკვეველი ბედი ეწეოდათ ათასი ჯურის ექსპერტებსაც. რაც მთავარია, გაქრებოდა ესოდენ მოსახერხებელი საბაბი საზოგადოების ცნობიერებით მანიპულირებისთვის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ამიტომაცაა, რომ ბენ ლადენის მოკვლას არანაირი გავლენა არ მოუხდენია არც თავად ორგანიზაციაზე და არც მასთან ბრძოლაზე.

ბოლო პერიოდის მოვლენები სწორედ ზემოთქმულს ადასტურებს...

**„Daily Telegraph"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ, ყატარი და საუდის არაბეთი მხარს უჭერენ სირიული ოპოზიციის მეამბოხეებს,რომლებიც ისლამური დაჯგუფებების წინააღმდეგ იბრძვიან.**

ცხადია, ეს ყველაფერი საიდუმლოდ ხდება, მაგრამ პრესა მაინც იგებს, რაც იმას ადასტურებს, რომ იმავე სპეცსამსახურების იგივე ბიუჯეტები კრიზისის დროსაც კი სათანადო დონეზეა.

გენერლები არ უნდა შიმშილობდნენ და შტატები არ უნდა შემცირდეს, რადგან ირგვლივ უამრავი ტერორისტია. ვინ თქვა, რომ აშშ ასადის ხელისუფლებას ებრძვის? მისი მტერი „ალ-ქაიდაა" და სირიაში მხოლოდ ტერორისტებს ებრძვიან.

რაც შეეხება ყატარსა და საუდის არაბეთს, ისინი ამ კამპანიაში იმიტომ ჩართეს, რომ მსოფლიო საზოგადოებამ ამერიკის სატელიტებზე რაიმე ცუდი არ იფიქროს. მაგალითად, საუდის არაბეთში ვაჰაბისტები საერთოდ არ არსებობენ, როგორც ხედავთ, ერრიადიც ტერორისტებსა და მათ ფილიალებს ებრძვის.

საქმე ისაა, რომ სირიაში ომი უკვე სამი წელია გრძელდება და ამ დროის მანძილზე „ალ-ქაიდა" იქაც წარმოუდგენლად გაიზარდა. დასავლური მედია წერს, რომ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლთა ნახევარზე მეტი უკვე შეფიცულია ან ახლა აპირებს შეეფიცოს აზ-ზავაჰირს.

ეს უკანასკნელი თავად კი მიანიშნებს, რომ არც ისე დიდი არმია ჰყავს, როგორც ამერიკული სპეცსამსახურები ასახავენ, მაგრამ ამის შემჩნევა არავის სურს.

რამდენიმე დღის წინათ მედია წერდა, რომ რადიკალურ ისლამისტებსა და ეგრეთ წოდებულ ზომიერ მეამბოხეებს შორის შეტაკებას სირიაში ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. და ამ შეტაკებაშიც ზომიერ ისლამისტებთან ერთად „ალ-ქაიდაც" მონაწილეობდა.

რაც შეეხება „ალ-ქაიდას" წინააღმდეგ დემოკრატიის ისეთი შუქურების ბრძოლას, როგორიც ყატარი და საუდის არაბეთია, აქ ამერიკელებს საერთოდ დაავიწყდათ ლოგიკის არსებობაც კი. პრესაში გამალებით ხატავენ ერ-რიადის ახალ, როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ ცენტრალური მებრძოლის სახეს, მაგრამ ვის სჯერა ამის, ჯერჯერობით გაუგებარია.

გამოდის, რომ **„ალ-ქაიდა" არის „უშიშროების" სფეროს სავაჭრო ნიშანი, რომლის იმიჯზეც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოსა და სხვა სპეცსამსახურების გამოცდილი მარკეტოლოგები და სცენარისტები მუშაობენ.** ამ ხალხს სნოუდენის გამოაშკარავებებიც კი ხელს აძლევთ, რადგან ახლა ყველამ იცის, რომ „უფროსი ძმა" სერიოზულად უთვალთვალებს მთელ მსოფლიოს. რომ არ უთვალთვალებდეს, აქამდე ავფეთქდებოდით. ამიტომაცაა, რომ ამ თვალთვალს ამერიკელების თითქმის ნახევარი ამართლებს.

topwar.ru

მოკლედ

## კონკურსი პატრიარქის ფონდში პროექტების მისაღებად

**პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელმა ლაშა ჟვანიამ იმ მიმართულებებსა და პრიორიტეტებზე ისაუბრა, რომელთა მიხედვითაც პროექტების დაფინანსება მოხდება.** „პატრიარქის ფონდის მმართველი საბჭო იმ საკითხზე შეიკრიბა, რომელიც ეხება ბიზნესმენ დავით იაკობაშვილის მიერ განხორციელებული შემოწირულობის — 350 000 ლარის — განაწილებას, თუ რა მიმართულებებით უნდა გამოცხადდეს პროექტების მიღება. შესაბამისად, საბჭო რამდენიმე ძირეულ მიმართულებაზე ჩამოყალიბდა. ერთი მიმართულება არის სოფლის მეურნეობა. ამ მიმართულებით გამოიყო 200 000 ლარი, დაახლოებით 20 000 ლარი კი — სასწავლო გრანტზე. აქ ყურადღება გამახვილდება სამაგისტრო და სადოქტორო გრანტებზე თელავის, ბათუმის, ქუთაისისა და გორის აგრონომიულ სასწავლებლებში. 200 000 ლარი გამოყოფილი იქნება სოფლის მეურნეობის საწარმოებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისთვის", — განაცხადა ლაშა ჟვანიამ. რაც შეეხება სხვა მიმართულებებს, ესენია: ფილოსოფია და ფსიქოლოგია, საღვთისმეტყველო თარგმანები, ქართული ენის სწავლება სხვადასხვა დიასპორის წარმომადგენელთათვის.

**კონკურსი ამ კვირის ბოლოს გამოცხადდება და ფონდი პროექტებს ერთი თვის განმავლობაში მიიღებს მისამართზე: კათოლიკოს-პატრიარქის ფონდი, რუსთაველის გამზ. №21, 10:00-დან 17:00 საათამდე.**



მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყოველდღიურად ამერიკის საავადმყოფოებში საშუალოდ 20 ბავშვი და მოზარდი ხვდება და ყველა მათგანი ცეცხლსასროლი იარაღითაა დაჭრილი. ამ ბავშვების 6%-ის გადარჩენა ვერ ხერხდება. ეს 6% არ არის გათვალისწინებული იმ 3000-ზე მეტ ბავშვში, რომლებიც ჰოსპიტალიზაციამდე ადგილზევე იღუპებიან.**



# ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ამერიკაში წელიწადში 3000 ბავშვს კლავენ

**აშშ-ში მასობრივი ხოცვის მორიგი შემთხვევა ქალაქ კოლამბიას სავაჭრო ცენტრში მოხდა. ახალგაზრდამ სკეიტბორდების მაღაზიის ორი თანამშრომელი მოკლა და შემთხვევითი გამვლელი ქალი დაჭრა, შემდეგ კი თავი მოიკლა.**

ინციდენტი 25 იანვარს მოხდა. დაახლოებით შუადღისას 19 წლის დარიონ მარკუს აგილიარიმ ბალტიმორის გარეუბანის სავაჭრო ცენტრში ზურგჩანთით იარაღი მიიტანა. თავდაპირველად იგი სკეიტერებისთვის განკუთვნილ ერთ მაღაზიაში შევიდა, შემდეგ კი რესტორნის შიდა ეზოში ჩავიდა. ერთი საათის შემდეგ აგილიარი მაღაზიაში დაბრუნდა და სროლა ატეხა.

სროლას ორი გამყიდველი — 21 წლის მარტოხელა დედა ბრაიანა ბენლოლო და 25 წლის ტაილერ ჯონსონი ემსხვერპლნენ. მაღაზიის მახლობლად მდგარი ქალი ფეხში დაიჭრა, კიდევ ოთხი ადამიანი ატეხილი ჩოჩქოლის შედეგად ჭყლეტაში დაზარალდა. მკვლელმა კი ადგილზევე დაიხალა ტყვია.

დამნაშავის ზურგჩანთაში პოლიციამ საბრძოლო მასალები და თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები იპოვა. მის სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად კი ახალგაზრდის დღიურს მიაგნეს. ჩანაწერები ადასტურებს, რომ მკვლელი ძალზე უბედური და საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილო ადამიანი იყო.

ბიჭი დედასთან ერთად ცხოვრობდა, სკოლა ერთი წლის წინ დაამთავრა და სკეიტბორდებით იყო გატაცებული. მეზობლები და მეგობრები აგილიარის მშვიდ და წყნარ ადამიანად ახასიათებენ, მსგავს ქმედებას მისგან არავინ ელოდა.

ამერიკაში ქუჩებში სროლა და მკვლელობა არ მცირდება. რაც ყველაზე სამწუხაროა, მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით წელიწადში იქ 3000 ბავშვს კლავენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა იელის სამედიცინო სკოლამ ჩაატარა და ეს რაოდენობაც სწორედ ამ კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გამოთვალეს. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრილი ბავშვების რაოდენობა წელიწადში 7000-ს აჭარბებს.

მონაცემები შეგროვდა ჭრილობების შედეგად ჰოსპიტალიზებული ბავშვების რაოდენობის დაჯამებით. ციფრები იმაზე მიანიშნებს, რომ ყოველდღიურად ამერიკის საავადმყოფოებში საშუალოდ 20 ბავშვი და მოზარდი ხვდება და ყველა მათგანი ცეცხლსასროლი იარაღითაა დაჭრილი. ამ ბავშვების 6%-ის გადარჩენა ვერ ხერხდება. ეს 6% არ არის გათვალისწინებული იმ 3000-ზე მეტ ბავშვში, რომლებიც ჰოსპიტალიზაციამდე ადგილზევე იღუპებიან.



# ამერიკელები ევროპას შხამ-ქიმიკატებით წამლავენ

**მოინდომა რა, ჩაეშალა რუსეთის ნავთობსაგაზე ექსპორტი, ვაშინგტონმა ევროპას ენერგეტიკული დამოუკიდებლობის იდეა შეაპარა. შემდეგ კი განსაკუთრებული ენთუზიაზმით თავადვე შეუდგა ამ იდეის განხორციელებას იმ ქვეყნებში, რომლებშიც რუსეთის ჰეგემონიის მიმართ გენეტიკური შიში აქვთ. აღფრთოვანება ჩაეხშო, როდესაც გაირკვა, რომ ფიქლური გაზის მოპოვების ამერიკული მეთოდი ევროპას გლობალურ სამარედ აქცევდა.**




აღმოსავლეთევროპული ქვეყნების წარმომადგენლებმა საერთაშორისო გამოძიების ბიუროდან ადგილებზე შეაგროვეს ცნობები ფიქლური გაზის მოპოვების შესახებ.

ახლა ევროპელი მწვანეები პანიკაში არიან — გაზარდეს რა ფიქლური გაზის მოპოვების მოცულობა სამშობლოში, ამერიკელები მზად არიან და დიდი მონდომებითაც კი ცდილობენ, რომ მრავალი წლის მანძილზე რუსულ და ნორვეგიულ გაზზე დამოკიდებულ საკუთარ ევროპელ მოკავშირეებსა და პარტნიორებს გამოცდილება გაუზიარონ.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ოკეანისგადაღმელ სასწაულს ერთი „პატარა" ნაკლი აღმოაჩნდა — ფიქლური გაზის მოპოვების ადგილები ეკოლოგიური კატასტროფების ზონებად იქცევა. საქმე ისაა, რომ ფიქლური გაზის მოპოვებისას ბურღებში მომწამვლელი ქიმიკატების ხსნარს უშვებენ. ეს მომწამლავი ქიმიკატები უპრობლემოდ ხვდება წყლოვან ფენაში და დროთა განმავლობაში ყველა მომწამვლელი ნივთიერება ადგილობრივი მოსახლეობის სადილშია.

ქიმიური ნაზავის მიერ გამოდევნილი გაზიც მილებში მხოლოდ ნაწილობრივ თუ ხვდება, დანარჩენი კი ბზარების გავლით მიწის ზედაპირისკენ მიდის და დამატებით წამლავს წყალსაც და ნიადაგსაც.

ამერიკაში ამ პრობლემებს ძალზე მარტივად გაართვეს თავი — ნავთობ-გაზის ლობის ზეწოლის შედეგად ეკოლოგებს, უბრალოდ, აუკრძალეს ფიქლური გაზის მოპოვების ადგილებში რაიმე სახის მონიტორინგის ჩატარება. ამ ყველაფრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი კანონი 2005 წელს ვიცეპრეზიდენტმა დიკ ჩეინმა გაიტანა. პოლიტიკაში მოსვლამდე დიკ ჩეინი კომპანია Halliburton-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის სავარძელში იჯდა და საოცარი დამთხვევით სწორედ ამ კომპანიამ შეიმუშავა ფიქლური გაზის მოპოვების ზემოაღნიშნული მეთოდი.

**გარედან მართლაც ყველაფერი ლამაზად იქნებოდა, მაგრამ ფეხქვეშ რჩება კანცეროგენების ძალიან საშიში ნაზავი, რომელიც წყლოვან პლასტებში მოხვედრის შემთხვევაში ქვეყნის ნახევარს საცხოვრებლად გამოუდეგარ ეკოლოგიური კატასტროფის ტერიტორიად აქცევს, თუმცა ამგვარი წვრილმანები ამერიკელებს საერთოდ არ ადარდებთ**

ამერიკელები იოლად დათანხმდნენ ასობით კვადრატული კილომეტრის ფართობების საკუთარი ტერიტორიების მოწამვლას, მაგრამ ვინ დათანხმდება ამას მჭიდროდ დასახლებულ ევროპაში?

ყველაზე საოცარი ისაა, რომ ციცქნა ესტონეთში ფიქლურ ნახშირწყალბადებს, უკვე არაერთი ათწლეულია, მოიპოვებენ. კოხტლა-იარვეს ფიქლური აუზი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ითვლებოდა ერთ-ერთ უდიდესად. ახლა იქ ჯერ კიდევ საბჭოთა ტექნოლოგიებს იყენებენ — ექსკალატორები მანქანებზე ტვირთავენ საწვავს და ამ მანქანებით მიაქვთ ის მომხმარებლამდე. ნაწილი საწვავის სახით ელექტროსადგურებზე მიდის, ნაწილს კი ფაბრიკებში ფიქლურ ზეთად გარდაქმნიან.

ეს ტერიტორია ახლა დაახლოებით ისე გამოიყენება, როგორც მთვარის პეიზაჟი ბირთვული ომის შემდეგ. ექსპრეზიდენტმა ედვარდ სავისაარმა აღიარა, რომ ესტონეთი ბალტიისპირეთში ყველაზე ბინძურ ელექტროობას გამოიმუშავებს — ფიქლური ენერგეტიკა ქვეყანაში ეკოლოგიას 80%-იან ზარალს აყენებს. გასაკვირი არაა, რომ ამერიკელები გაორმაგებული ენერგიით ავითარებენ აქ თავიანთ ტექნოლოგიებს. ტალინში მუდმივად იმართება ფიქლური გაზისადმი მიძღვნილი კონფერენციები, რომლებიც ქვეყანაში აშშ-ის საელჩოს შუამავლობით ორგანიზდება და რომლებშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამერიკის სამთო-ქიმიური კომპლექსის კომპანიები. სცენარი ამ კონფერენციებზე მუდამ ერთგვარია: ოკეანისგაღმელები თავისას არ იშლიან და ირწმუნებიან, რომ მომავალი ჰიდროგახლეჩის ტექნოლოგიებს ეკუთვნის. მისი საშუალებით მოიპოვება არა საწვავი ფიქლები, არამედ ბინებრივი გაზი, რომლის დაწვისასაც ატმოსფეროში გამონაბოლქვები გაცილებით ნაკლებია, გადამუშავებული ნარჩენები კი საერთოდ არ არსებობს.

გარედან მართლაც ყველაფერი ლამაზად იქნებოდა, მაგრამ ფეხქვეშ რჩება კანცეროგენების ძალიან საშიში ნაზავი, რომელიც წყლოვან პლასტებში მოხვედრის შემთხვევაში ქვეყნის ნახევარს საცხოვრებლად გამოუდეგარ ეკოლოგიური კატასტროფის ტერიტორიად აქცევს, თუმცა ამგვარი წვრილმანები ამერიკელებს საერთოდ არ ადარდებთ.

უფრო მეტიც, მტკიცე უარს ვერ ეუბნებიან ოკეანისგაღმელ პარტნიორებს თავად ესტონელებიც.

თავიანთ გეოპოლიტიკურ ინტერესებს ავითარებენ ამერიკელები მეზობელ ▶

**ეს მომწამლავი ქიმიკატები უპრობლემოდ ხვდება წყლოვან ფენაში და დროთა განმავლობაში ყველა მომწამვლელი ნივთიერება ადგილობრივი მოსახლეობის სადილშია**



**ფრანგულმა სახელმწიფომ უარი განაცხადა მოქალაქეების წინაშე საკუთარ ვალდებულებებზე. დამკვირვებლები გაოგნებულები არიან იმით, რომ პოლიტიკოსი, რომელმაც არჩევნები მოიგო იმ პირობით, რომ სათავეში ჩაუდგებოდა მკაცრი საბიუჯეტო ზომებისა და სოციალური ხარჯების შემცირების მიმართ სამხრეთ ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობას, ახლა სულ სხვაგვარად ალაპარაკდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბალტიის ქვეყნებმა საბადოების დაზვერვაც კი არ დაიწყეს, პოლონეთიდან ყველაზე მსხვილი ინვესტორები გარბიან. ბულგარეთმა, უნგრეთმა, რუმინეთმა მტკიცედ თქვეს «არა», ევროპის საზოგადოებამ კი ამერიკის მცდელობებს „ეკოლოგიური კატასტროფის გლობალური ექსპორტი“ უწოდა

◀ ლატვიაშიც. 2011 წლის თებერვალში საგარეო საქმეთა მინისტრმა გირტს ვალდის კრისტოვსკისმა, რომელიც აშშ-ში დაიბარეს, განაცხადა, რომ აუცილებელია ერთობლივი პროექტი ლატვიის ფიქლური გაზის მოსაპოვებლად. 2012 წლის ზაფხულში კი რიგაში სპეციალურად ჩაფრინდა ჰილარი კლინტონი, რათა პრეზიდენტ ანდრიას ბერზინიშისთვის პირადად აეხსნა ამერიკული ტექნოლოგიების უპირატესობა, თუმცა უშედეგოდ — მწვანეთა პარტიის ლიდერი თვით „რკინის ლედიმაც“ კი ვერ დაითანხმა.

„გვაქვს თუ არა ფიქლური გაზი? თეორიულად — კი, მაგრამ ლატვიაში მისი მოპოვება ეკოლოგიური ბომბია. ამაზე არც ერთი ხელისუფლება არ წავა თვით ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნითაც კი“, — განაცხადა სეიმის დეპუტატმა ნიკოლაი კაბანოვმა.

სამაგიეროდ ვარშავაში ვაშინგტონის ემისრებს უკიდურესი სიხარულით დახვდნენ. ჯერ კიდევ 2010 წლის აპრილში აშშ-ის საელჩომ პოლონეთის საელჩოში ჩაატარა კონფერენცია, რომელიც ფიქლური გაზის თემას ეძღვნებოდა. ამ კონფერენციის შემდეგ ასამდე ლიცენზია გაიცა დაზვერვისა და ფიქლური გაზის მოპოვებისთვის. მოგვიანებით პროცესი დამუხრუჭდა — ქვეყნის ხელისუფლებას ამ დრომდე ვერ გადაუწყვეტია, თუ რა რაოდენობის იჯარა უნდა გადაიხადონ ინვესტორებმა.

ეს ძალიან ჰგავს ჯერ კიდევ მოუკლავი დათვის ტყავის გაყოფას, რადგან ამჟამად პოლონეთში ჯერაც არ არის ფიქლური გაზის რეალური ან სავარაუდო მარაგები. არის მხოლოდ სხვადასხვა შეფასება, რომლებიც მიახლოებითაც კი არ ემთხვევა ერთმანეთს და, სავარაუდოდ, რეალობასაც.

რაც შეეხება ლიტვას, თავიდან ამერიკელებმა მოახერხეს იქ თავიანთი ფიქლური გეგმის გაყიდვა. 2011 წელს ქალბატონი კლინტონის ორი ვიზიტის შემდეგ გამოქვეყნდა მისი და ლიტვის პრეზიდენტის ერთობლივი განცხადება ფიქლური თანამშრომლობის შესახებ.

მაგრამ ამ გეგმების წინააღმდეგ თავად ლიტველები გამოვიდნენ. რესპუბლიკა ერთმანეთთან დაკავშირებულ მიწისქვეშა ტბებზე დგას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკული ტექნოლოგიის გამოყენება იქ ნამდვილ კატასტროფას გამოიწვევს. საკმარისია, გაზი და ქიმიკატები წყლოვან ფენაში მოხვდეს, ფაქტობრივად, განადგურდება მთელი სოფლის მეურნეობა, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონის ეკონომიკაში.

ქვეყნის აგრარული ეკონომიკის სრულ განადგურებას ნიშნავს ფიქლური გაზის მოპოვება ბულგარეთშიც, ამის გამო ეროვნული კრების დეპუტატებმა 2012 წელს ამერიკელებს საბადოების დაზვერვის ჩატარებაც კი აუკრძალეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი სოფიას დაუგეგმავი ვიზიტით ჰილარი კლინტონი ეწვია. იმისათვის, რომ, რაც შეიძლება მეტი ზეწოლა მოეხდინა ამერიკის ენერგეტიკული გეოპოლიტიკის მტრებზე, რკინის ლედიმ თან წაიყვანა მძიმე არტილერია ენერგეტიკის საკითხებში სპეციალური წარგზავნილის — რიჩარდ მინინგსტარის სახით.

ჰილარი კლინტონის ვიზიტს წინ უსწრებდა ამერიკის ელჩის, ჯეიმს უორლიკის, არადიპლომატიური ქცევა. ბულგარეთის პარლამენტის საბედისწერო გადაწყვეტილებამდეც და მას შემდეგად იგი რამდენიმეჯერ გამოვიდა ტელევიზიით და ირწმუნებოდა, თუ რაოდენ სულელურია მომგებიან წინადადებაზე უარის თქმა, მით უფრო, თუ ამ წინადადებას შეუძლია დააკმაყოფილოს საწვავზე ქვეყნის მოთხოვნილებები ათწლეულების განმავლობაში.

ელჩის მფარველური ტონი ბულგარელებს ძალიან არ მოეწონათ. ჰილარი კლინტონის ვიზიტი სრული კრახით დასრულდა, ბულგარელებს ისედაც საამისო განწყობა ჰქონდათ ამერიკასთან ოცწლიანი მეგობრობის შედეგად მიღებული უმნიშვნელო სარგებლის გამო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საკუთარი ეკოლოგიით შეპყრობილ დასავლეთ ევროპაში ისედაც ძნელად თუ მოიძებნებოდა მომწამვლელი ამერიკული ტექნოლოგიის გამოყენების მსურველი, უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის პირველი ფიქლური შეტევა ევროპაზე სრული კრახით დასრულდა. თანამდებობიდან მოიხსნა და აზერბაიჯანში ელჩად გამწესდა „მძიმე არტილერისტი“ მონინგსტარი. ბალტიის ქვეყნებმა საბადოების დაზვერვაც კი არ დაიწყეს, პოლონეთიდან ყველაზე მსხვილი ინვესტორები გარბიან. ბულგარეთმა, უნგრეთმა, რუმინეთმა მტკიცედ თქვეს „არა“, ევროპის საზოგადოებამ კი ამერიკის მცდელობებს „ეკოლოგიური კატასტროფის გლობალური ექსპორტი“ უწოდა.

როგორც გაირკვა, აშშ-ის სატელიტები ჯანსაღ აზრსა და მოკავშირულ ვალს შორის იხლიჩებიან, მაგრამ საბოლოოდ მაინც პირველს ირჩევენ. ის, რის უფლებასაც აშშ საკუთარ თავს აძლევს თავისსავე ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიებზე, აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა მჭიდროდ დასახლებული ევროპისთვის.

მაგრამ საკუთარ გეგმაზე და ნახშირწყალბადოვან ჰეგემონიაზე ასე იოლად უარის თქმას არც აშშ აპირებს. თუ ევროპაში ამერიკის გაზისმომპოვებელმა კომპანიებმა ვერ მოიკიდეს ფეხი, რატომ არ უნდა მოამარაგოს ევროპა ამერიკამ საკუთარი ფიქლური გაზით? 30 აგვისტოს გამართულ შეხვედრაზე ბალტიისპირეთის სამ პრეზიდენტს ობამამ პირდაპირ განუცხადა: „ამერიკის შეერთებული შტატები მზადაა, ხელი შეუწყოს ამერიკული ფიქლური გაზის ექსპორტს ნატოს ქვეყნებში“. რისი გაწირვა მოუწევთ ამისთვის ევროპელებს, მალე შევიტყობთ...

**fbii.org**







# საფრანგეთი: «ჩვენ ვცხოვრობთ ვულკანზე»

**იანვრის შუა რიცხვებში საფრანგეთის პრეზიდენტმა სოციალისტმა ფრანსუა ოლანდმა გამოაცხადა ეკონომიკური კურსის მკვეთრი შეცვლა იმ განზრახვით, რომ საბიუჯეტო ხარკები მომდევნო სამ წელიწადში 50 მილიარდი ევროთი შემცირდეს. ესოდენ მკაცრი ზომები პირველად იქნა მიღებული. მშვენივრად ესმის რა იმის არაპოპულარობა, რასაც აკეთებს, ოლანდი შეეცადა, ფრანგებისთვის ჩაენერგა, რომ საფრანგეთის აღორძინების უმოკლესი გზა გადის, მისი აზრით, ზედმეტად გულუხვი სოციალური სისტემის დემონტაჟზე.**

„თუ საფრანგეთს სურს, მსოფლიოზე გავლენა შეინარჩუნოს, — განაცხადა ოლანდმა, — თუ მას სურს, მომავალშიც მიიღოს მონაწილეობა ევროპაში გადაწყვეტილებების მიღებაში, თუ მას სურს, კვლავაც დარჩეს საკუთარი ბედის განმკარგავად, მისთვის აუცილებელია ძველი ეკონომიკური სიმძლავრის დაბრუნება“.

ფრანგულმა სახელმწიფომ უარი განაცხადა მოქალაქეების წინაშე საკუთარ ვალდებულებებზე. დამკვირვებლები გაოგნებულები არიან იმით, რომ პოლიტიკოსი, რომელმაც არჩევნები მოიგო იმ პირობით, რომ სათავეში ჩაუდგებოდა მკაცრი საბიუჯეტო ზომებისა და სოციალური ხარჯების შემცირების მიმართ სამხრეთ ევროპის წინააღმდეგობის მოძრაობას, ახლა სულ სხვაგვარად ალაპარაკდა. ოდესღაც ხომ ის „ფინანსების სამყაროზე“ შეტევის, მოსახლეობის ღარიბი ფენების სასარგებლოდ პროგრამების დასაფინანსებლად მსხვილი კაპიტალის 75%-იანი დაბეგვრის, მინიმალური ხელფასის გაზრდის შესახებ საუბრობდა.

ფრანგები ირონიულად ლაპარაკობენ იმის თაობაზე, თუ სად გაქრა ოლანდის სოციალიზმი. ახლა საფრანგეთში სულ უფრო ხშირად გაიგონებთ, რომ სოციალისტური პარტია წამყვან ნეოლიბერალურ ძალად იქცა და ემსახურება მსხვილი ფინანსური კაპიტალის ინტერესებს, რომ ის მემარჯვენეებისაგან მხოლოდ პირადი მოხმარების ფუფუნებით განსხვავდება. მემარჯვენე და კონსერვატორი ფრანგი პოლიტიკოსები თავს მართლაც არ აძლევენ რაიმე მსგავსის უფლებას. ნაციონალური ფრონტის ლიდერი მარინ ლე პენი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთმა უარი უნდა თქვას ეკონომიის მკაცრ ზომებზე, რადგან ეს „პაციენტის მკვლელი წამალია“ და პრესტიჟი უნდა დაუბრუნოს შრომას. და ცხადია, დატოვოს საძულველი „ევროპული საბჭოთა კავშირი“. მარილ ლე პენს უყვარს იმის გამეორება, რომ „გლობალიზაცია, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პროცესი, კონტროლს ემორჩილება — სახელმწიფო, პირველ რიგში, საკუთარ ინტერესებს უნდა იცავდეს“.

საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული რეფორმების დედაბოძი არის ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის „პასუხისმგებლობის პაქტი“. ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ სერიოზულად შეამცირებს კომპანიების მიერ სოციალურ ფონდებში შესატანი თანხების მოცულობას. ეს მეწარმეებს საშუალებას მისცემს, წარმოების ხარჯი 35 მილიარდი ევროთი შეამცირონ. სამაგიეროდ მათ უნდა შექმნან დამატებით ერთი მილიონი სამუშაო ადგილი, რათა შეამცირონ უზომოდ გაზრდილი უმუშევრობა (საფრანგეთში ახლა დაახლოებით 3 მილიონი უმუშევარია).

ესოდენ სუსტი ეკონომიკური ზრდის პირობებში ეკონომისტები უმუშევრობის შემცირებას შეუსრულებელ ამოცანად მიიჩნევენ. 2013 წელს საფრანგეთის საერთო შიდა პროდუქტი მხოლოდ 0,2%-ით გაიზარდა, ექსპერტები წელსაც ანალოგიურ ზრდას ელიან, ანუ სტაგნაცია გრძელდება და გაგრძელდება. სწორედ ამის გათვალისწინებით, Standard & Poor's-მა საფრანგეთის საკრედიტო რეიტინგი „AA+“-დან „AA“-მდე შეამცირა.

ასეთ პირობებში უმუშევრობის შემცირებაზე საუბარი არასერიოზულია. ამიტომაც ჰქონდა მწვავე რეაქცია საფრანგეთის პროფკავშირებს „პასუხისმგებლობის პაქტზე“. ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში პროფკავშირების „სამუშაო ძალა“ გენერალური მდივანი ჟან-კლოდ მაინი ამბობდა: „ჩვენ ვცხოვრობთ ვულკანზე, რომელიც მთელი ძალით ბოლავს. მართალია, მიწა ჯერ არ ირყევა, მაგრამ მის ქვეშ ყველაფერი დუღს“.

პრეზიდენტის ახალი კურსის წინააღმდეგ გამოვიდა კომუნისტების ლიდერი, მემარცხენე ფრონტის თანათავმჯდომარე ჟან-კლოდ მელანშონიც, რომელმაც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში 11%-ზე მეტი მოიპოვა და რომლის მხარდაჭერამაც უზრუნველყო ფრანსუა ოლანდის გაპრეზიდენტება.

პროფკავშირებისა და მემარცხენეების მწვავე რეაქცია იმაზე მიანიშნებს, რომ ფრანსუა ოლანდს, რომლის პოზიციებიც შესუსტებულია არა მხოლოდ ცუდი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, არამედ სასიყვარულო თავგადასავლებითაც, სერიოზული შიდაპოლიტიკური კონფლიქტები ელის.

მემარცხენე პრესა გულახდილად ეჭვობს, რომ პრეზიდენტს შესწევს უნარი, რაიმეს მიაღწიოს საკუთარ გამოცხადებულ კურსზე.

ამ კურსს კი ფრანგები არა მხოლოდ არ ეთანხმებიან, არამედ ებრძვიან კიდეც. 26 იანვარს პარიზში 50-ზე მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „მრისხანების დღე“ მოაწყო. მიუხედავად თავსხმა წვიმისა, ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა. დემონსტრანტები პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვდნენ, შემდეგ კი — უმუშევრობასთან ბრძოლის ეფექტურ მეთოდებსა და „ცალსქესიანი კანონმდებლობის“ გაუქმებას. ფრანგულ პოლიციას დიდხანს არ უცდია მოვლენების განვითარებისთვის, მან ყოველგვარი ცერემონიის გარეშე ძალის გამოყენებით დაშალა მანიფესტაცია და 262 ადამიანი დააკავა...

**fondsk.ru**



გეოსტრატეგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რომის კლუბს“ საკუთარი კერძო სადაზვერვი სააგენტოები აქვს და, გარდა ამისა, ინფორმაციას დევიდ როკფელერის კონტროლს დაქვემდებარებული ინტერპოლისგანაც „სესხულობს“. მათთან ძალიან ახლოს თანამშრომლობს აშშ-ის, აგრეთვე, რუსეთისა და ისრაელის ყველა სადაზვერვო სამსახური.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-3 (236-238)

**„რომის კლუბი“ – ეს არის შეთქმულთა ორგანიზაციის ოფიციალური საფარი, რომელიც ანგლო-ამერიკელი ფინანსისტებისა და ევროპის „შავი არისტოკრატიის“ ძველი ოჯახების, განსაკუთრებით — ლონდონის, ვენეციისა და გენუის ე. წ. არისტოკრატიის კავშირს წარმოადგენს. მათ მიერ მსოფლიოს მართვის წარმატების საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური კრიზისების ვარდნებისა და დეპრესიების გამოწვევა შეუძლიათ. „300-თა კომიტეტი“ გლობალურ სოციალურ კატაკლიზმებსა და ეკონომიკურ დეპრესიებს განიხილავს, როგორც უფრო სერიოზული მოვლენების მოსამზადებელ საშუალებას და ძირითად მეთოდს მსოფლიოს მასშტაბით ხალხის ისეთი მასების შექმნისა, რომლებიც მომავალში მისი „უმუშევრობის შემწეობის“ მორჩილი მიმღებები გახდებიან.**



როგორც ჩანს, კაცობრიობის მიმართ კომიტეტის ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება პოლონელი არისტოკრატის — ფელიქს ძერჟინსკის ფილოსოფიას ეყრდნობა. ძერჟინსკი მიიჩნევდა, რომ ადამიანი განვითარების დონით პირუტყვზე ოდნავ მაღლა დგას. იყო რა ბრიტანელი მზვერავ სიდნეი რეილის ახლო მეგობარი (ფაქტობრივად, რეილი ძერჟინსკის ქმედებებს აკონტროლებდა ბოლშევიკური რევოლუციის განვითარებისას), იგი ხშირად გულწრფელად საუბრობდა მასთან ლოთობის დროს. ძერჟინსკი სწორედ ის მტარვალი იყო, რომელიც წითელი ტერორის აპარატს მეთაურობდა. ერთხელ, მორიგი ღრეობის დროს, მან რეილის უთხრა: „ადამიანს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. შეხედეთ, რა ხდება, როდესაც თქვენ მას აშიმშილებთ. იგი თავისი მკვდარი თანამოძმეების ჭამას იწყებს, რათა გადარჩეს. ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენით არის დაინტერესებული. მხოლოდ ეს არის რეალობა. სპინოზას მთელი ფილოსოფია კი ნაგვის გროვაა“.

**„რომის კლუბს“ საკუთარი კერძო სადაზვერვი სააგენტოები აქვს და, გარდა ამისა, ინფორმაციას დევიდ როკფელერის კონტროლს დაქვემდებარებული ინტერპოლისგანაც „სესხულობს“. მათთან ძალიან ახლოს თანამშრომლობს აშშ-ის, აგრეთვე, რუსეთისა და ისრაელის ყველა სადაზვერვო სამსახური.** ერთადერთი სპეცსამსახური, რომელიც არ მოექცა მისი გავლენის ქვეშ, გდრ-ის დაზვერვა "შტაზი" იყო. „რომის კლუბს“ ასევე ჰყავს საკუთარი კარგად ორგანიზებული პოლიტიკური და ეკონომიკური სააგენტოები. სწორედ მათ უბრძანეს პრეზიდენტ რეიგანს „300-თა კომიტეტის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წევრის, პოლ ვოლკერის (Paul Volcker) პოსტზე დატოვება. ვოლკერი აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარედ დარჩა, მიუხედავად იმხანად პრეზიდენტობის კანდიდატ რეიგანის მტკიცებისა, რომ მას გადააყენებს, როგორც კი რეზიდენტად აირჩევენ.

კარიბის ზღვის კირიზისში საკვანძო როლის შესრულების შემდეგ, „რომის კლუბი“ ცდილობდა, პრეზიდენტ კენედისთვის თავს მოეხვია „კრიზისების მართვის“ საკუთარი პროგრამა („საგანგებო სიტუაციების ფედერალური სააგენტოს“ — FEMA-ს წინამორბედი). ტავისტოკის ინსტიტუტის (დიდი ბრიტანეთი) რამდენიმე მეცნიერმა მოინახულა პრეზიდენტი, რათა აეხსნათ პროგრამის აზრი, მაგრამ კენედიმ უარყო მათი რჩევები. იმავე წელს, როდესაც კენედი მოკლეს, ტავისტოკის წარმომადგენლებმა ნასა-სთან მოლაპარაკებები განაახლეს. ამჯერად მოლაპარაკება წარმატებული აღმოჩნდა. ნასა-მ ტავისტოკთან კონტრაქტი გააფორმა მომავალი კოსმოსური პროგრამის ამერიკულ საზოგადოებრივ აზრზე გავლენის შეფასების მიზნით.

## ნაციონალიზმი იგივეა, რაც ავთვისებიანი სიმსივნე ადამიანისთვის — აი, პეჩეის მიერ წარმოთქმული რამდენიმე მნიშვნელოვანი სიტყვის თემა

კონტრაქტის შესრულება „სტენფორდის კვლევით ინსტიტუტს“ და „კორპორაცია რენდს“ (Rand Corporation) დაევალა. ამ პროექტის ბევრმა მასალამ, რომელიც ტავისტოკის უნივერიტეტის, სტენფორდის ინსტიტუტისა და რენდის მიერ მომზადდა, მზის შუქი ვერ იხილა და დღემდე დახურულია. სენატის რამდენიმე სადამკვირვებლო კომიტეტმა და ქვეკომიტეტმა, რომლებსაც მივმართე ინფორმაციისთვის, მაცნობეს, რომ „არასოდეს სმენიათ ამის შესახებ“ და წარმოდგენა არ აქვთ, სად შემეძლო იმის პოვნა, რასაც ვეძებდი. ასეთია „300-თა კომიტეტის“ ძალაუფლება და პრესტიჟი.

1966 წელს ჩემმა კოლეგებმა დაზვერვიდან მირჩიეს, ექიმ ანატოლი რაპაპორტისთვის მიმემართა. მან დაწერა ნაშრომი, რომლითაც, როგორც ამბობდნენ, ადმინისტრაცია იყო დაინტერესებული. ამ დოკუმენტის მიზანი იყო, ბოლო მოეღო ნასა-ს კოსმოსური პროგრამისთვის, რომელმაც, რაპაპორტის მტკიცებით, დიდი ხანია, სარგებლიანობა დაკარგა. რაპაპორტმა სიამოვნებით წარმომიდგინა თავისი ნამუშევრის ასლი, რომლის აზრიც, რომ არ დავწვრილმანდეთ, იმაში მდგომარეობდა, რომ ნასა-ს მთელი კოსმოსური პროგრამა სანაგვეზე იყო მოსასროლი. ნასა-ში მეტისმეტად ბევრი მეცნიერი დაგროვდა, რომლებიც ამერიკაზე ცუდ გავლენას ახდენდნენ, რადგან ყოველთვის სიამოვნებით კითხულობდნენ ლექციებს სკოლებსა და უნივერსიტეტებში იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს რაკეტები — მათი მოძრაობის პრინციპით დაწყებული, კონსტრუქციის დეტალებით დამთავრებული. რაპაპორტი ამტკიცებდა, რომ ეს მომავალში გამოიწვევს ზრდასრული ადამიანების მთელი თაობის გაჩენას, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ კოსმოსის კვლევის სპეციალისტები გახდნენ და რომლებიც ერთ მშვენიერ დღეს „ზედმეტები“ აღმოჩნდებიან, რადგანაც 2000 წელს მათი ცოდნა არავისთვის იქნება საჭირო.

როგორც კი „რომის კლუბმა“ ნატო-ში ნასა-ს შესახებ რაპაპორტის ეს მოკლე ანგარიში წარადგინა, „300-თა კომიტეტმა“ მოქმედება მოითხოვა. ნატო-ს ფუნქციონერთა რიგებში მყოფი „რომის კლუბის“ წევრები, რომლებსაც დაევალათ ნასა-ს წინააღმდეგ კამპანიის ჩატარება, იყვნენ: ჰარლანდ კლივლენდი, ჯოზეფ სლეიტერი, კლეიბორნ კ. პელი, უოლტერ ჯ. ლევი, ჯორჯ მაკჯი, უილიამ უოტსი, რობერტ შტრაუს-ჰუპე (აშშ-ის ელჩი ნატო-ში) და დონალდ ლეში.




1967 წლის მაისში „ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტისა“ და „საგარეო პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტის“ მიერ ორგანიზებულ იქნა „კონფერენცია ტრანსატლანტიკური დისბალანსისა და თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც დედოფალ ელისაბედის სასახლეში გაიმართა.

კონფერენციის მთავარი მიზანი აშშ-ში ტექნოლოგიური და სამეწარმეო პროგრესისთვის ბოლოს მოღება იყო. კონფერენციის მასალები ორი წიგნის საფუძვლად იქცა, რომელთაგან ერთი — ბჟეზინსკის „ტექნოტრონული ერა“ უკვე ვახსენეთ; მეორე — კონფერენციის თავმჯდომარის, აურელიო პეჩეის მიერ იყო დაწერილი და „უფსკრულის წინაშე“ ჰქვია (The Chasm Ahead). **პეჩეი ძირითადად ეთანხმება ბჟეზინსკის, მაგრამ ამატებს, რომ მომავალში მსოფლიო ქაოსში აღმოჩნდება, თუ იგი ერთიანი მსოფლიო მთავრობის მიერ არ იქნება მართული.** პეჩეი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირს უნდა შესთავაზონ „ნატო-სთან კონვერგენცია“ (Convergence - შერწყმა, დაახლოება) და ეს კონვერგენცია ახალ მსოფლიო წესრიგში აშშ-თან თანასწორი პარტნიორობით დასრულდება. ორივე ერს უნდა ეგო პასუხი მომავალში „კრიზისების მართვასა და გლობალურ დაგეგმარებაზე“. „რომის კლუბმა“ „გლობალური დაგეგმარების შესახებ“ პირველი კონტრაქტი „მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტს“ (Massachusetts Institute of Technology (MIT), „300-თა კომიტეტის“ ერთ-ერთ მთავარ კვლევით ინსტიტუტს, მიანდო. პროექტს სათავეში ჯეი ფორესტერი და დენიზ მიდოუზი ჩაუყენეს.

რაში მდგომარეობდა მათი მოხსენების აზრი? თავისი არსით იგი მალთუსისა და ფონ ჰაიეკის (Frederich Von Hayek) ქადაგებებისგან არ განსხვავდებოდა, ანუ კვლავ წამოიწია ძველი საკითხი იმის შესახებ, რომ ბუნებრივი რესურსები ყველას არ ეყოფა. **ფორესტერ-მიდოუზის დასკვნა მტკნარი სიცრუე იყო. მასში განზრახ არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, რომ გენია ადამიანისა, რომელმაც საკუთარი ძლიერება დაამტკიცა, ყოველთვის იპოვის რესურსის უკმარისობის პრობლემის გადაჭრის გზას. რესურსის შესაქმნელად შეიძლება გამოყენებულ იქნას ცივი თერმობირთვული სინთეზის ენერგია – „300-თა კომიტეტის“ მთავარი მტერი.** მაგალითად, **ცივი თერმობირთვული სინთეზის ენერგიის დახმარებით შესაძლებელია ერთი კილომეტრი ცარიელი მადნიდან მივიღოთ იმდენი ალუმინი, რამდენიც სჭირდება ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას 4 წლის განმავლობაში.**

პეჩეის არასოდეს შეუწყვეტია ქადაგება ერ- ▶

**ᲗᲣᲙᲘ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲖᲐᲨᲘᲐ, ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲒᲐᲜᲮᲔᲗᲥᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲖᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲡ ᲘᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ, ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ, ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲐᲮᲕᲔᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲡ.**

ᲑᲔᲡᲢᲡᲔᲚᲔᲠᲘ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ოვნული სახელწიფოების წინააღმდეგ. იგი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ ისინი კაცობრიობის პროგრესის მუხრუჭს წარმოადგენენ და „კოლექტიური პასუხისმგებლობისკენ" მოუწოდებდა. **ნაციონალიზმი იგივეა, რაც ავთვისებიანი სიმსივნე ადამიანისთვის — აი, პეჩეის მიერ წარმოთქმული რამდენიმე მნიშვნელოვანი სიტყვის თემა**. მისმა ახლო მეგობარმა, ერვინ ლასლომ 1977 წელს დაწერა მსგავსი მოხსენება სათაურით „კაცობრიობის მიზნები". ეს მოხსენება „რომის კლუბის" კვლევებში მნიშვნელოვან მიჯნად იქცა და პროგრამულ დოკუმენტს წარმოადგენს, შედგება მწვავე თავდასხმებისგან სამრეწველო ზრდასა და ურბანიზაციაზე. მთელი ამ წლების განმავლობაში კისინჯერი, როგორც „საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის" უფლებამოსილი წარმომადგენელი, ინარჩუნებდა მჭიდრო კავშირს მოსკოვთან. კისინჯერის მეგობრები კრემლში რეგულარულად იღებდნენ მოხსენებებს „გლობალური მოდელირების" შესახებ.

**„რომის კლუბის" წევრმა ჰარლანდ კლივლენდმა მოამზადა მოხსენება მსოფლიოს მესამე ქვეყნებზე, რომელიც ცინიზმის მწვერვალს წარმოადგენდა. იმ დროს კლივლენდი შეერთებული შტატების ელჩი იყო ნატო-ში. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ მსოფლიოს მესამე ქვეყნებმა თავად უნდა გადაწყვიტონ ერთმანეთში, — მათი მოსახლეობის რომელი ნაწილი განადგურდეს.** მოგვიანებით პეჩეი წერდა (კლივლენდის ანგარიშის საფუძველზე): **„მსოფლიოში სამი უმსხვილესი ქვეყნისა და ბლოკის დაპირისპირების პოლიტიკის შედეგად არსებული საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი თვალსა და ხელს შუა ირღვევა... ვინ უნდა გადარჩეს, მათი შერჩევის დაწყების აუცილებლობა საკმაოდ ბნელი პერსპექტივაა. მაგრამ, თუ, სამწუხაროდ, მოვლენები სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა, ასეთი გადაწყვეტილებების მიღების უფლება მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც ეს მათ მისცემს მსოფლიოს მოშიმშილე ქვეყნებზე მზაკვრულ ძალაუფლებას".**

სწორედ აქედან მოდის კომიტეტის აფრიკული ერების შიმშილით განადგურების მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც ნათლად ჩანს საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარე ქვეყნების მაგალითზე. ეს ამაზრზენი ცინიზმი იყო, რადგან „300-თა კომიტეტმა" უკვე მიითვისა სიკვდილ-სიცოცხლის ერთპიროვნული განკარგვის უფლება და პეჩეიმ ეს იცოდა. ადრე

## ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲛᲐ ᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲚᲝᲜ «ᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ» ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ, ᲐᲜ ᲯᲣᲜᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲜ

იგი მიუთითებდა ამაზე თავის წიგნში „ზრდის ფარგლები". პეჩეი სრულიად უარყოფდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროგრესს და ამის ნაცვლად ითხოვდა, რომ მსოფლიო ერთ საკოორდინაციო საბჭოს დაქვემდებარებოდა. გულისხმობდა, რა თქმა უნდა, „რომის კლუბს" და ნატო-ს დაწესებულებებს, რომლებიც ერთიან მსოფლიო მთავრობას უნდა წარმოადგენდნენ.

ბუნებრივი რესურსები გლობალური დაგეგმარების ფარგლებში უნდა გადანაწილდეს. **ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲛᲐ ᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲚᲝᲜ „ᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ" ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ, ᲐᲜ ᲯᲣᲜᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲜ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚ „ᲡᲐᲪᲓᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ" ᲛᲘᲓᲝᲣᲖᲘ ᲓᲐ ᲤᲝᲠᲔᲡᲢᲔᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ 1973 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗ-ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲝᲛᲡ ᲐᲠᲐᲝᲠᲐᲖᲠᲝᲕᲜᲐᲓ ᲓᲐᲔᲜᲐᲮᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲗᲕᲘᲡ: ᲘᲡᲔᲗᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲒᲔᲒᲛᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲢᲠᲝᲚᲥᲕᲔᲨ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲡ, ᲠᲐᲨᲘᲪ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, „300-ᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ" ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ.**

ტავისტოკის ინსტიტუტი გამოვიდა პეჩეისთან კონსულტაციების მოწოდებით, რომელშიც ასევე ჩართული იყვნენ მაკჯორჯ ბანდი (McGeorge Bundy), ჰოუმერ პერლმუტერი (Homer Perlmutter) და დოქტორი ალექსანდრ კინგი (Dr. Alexander King). პეჩეი ლონდონიდან თეთრ სახლში გაემგზავრა, სადაც პრეზიდენტსა და მის კაბინეტს შეხვდა. ამას მოჰყვა ვიზიტი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც მან სახელმწიფო მდივანთან, სახელმწიფო დეპარტამენტის სადაზვერვო სამსახურისა და პოლიტიკური დაგეგმარების სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელებთან მოითათბირა. ამგვარად, **შეერთებული შტატების ხელისუფლება თავიდანვე სრულად იყო ინფორმირებული „300-თა კომიტეტის" გეგმების შესახებ ამ ქვეყნის მიმართ. აი, პასუხიც ხშირად დასმულ შეკითხვაზე: „რატომ აძლევს ჩვენი ხელისუფლება „რომის კლუბს" უფლებას, ძირგამომთხრელი საქმიანობა აწარმოოს შეერთებულ შტატებში?"**

ვოლკერის ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკა დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრის, „300-თა კომიტეტის" წევრის, სერ ჯეფრი ჰოუს, პოლიტიკის ანარეკლი იყო. ეს იმის მაგალითია, თუ როგორ მართავდა ბრიტანეთი შეერთებულ შტატებს 1812 წლის ომის შემდეგ და აგრძელებს ქვეყანაზე კონტროლს „300-თა კომიტეტის" პოლიტიკის მეშვეობით.

როგორია ამ საიდუმლო ელიტური ჯგუფის მიზნები, რომლებიც საკუთარ თავს ილუმინატების („მორიას დამპყრობელი ქარი" – Moriah Conquering Wind), დიონისეს კულტის, იზიდას კულტის, კატარებისა და „ბოგომილების" მემკვიდრეებად მიიჩნევენ? ამ ელიტური ჯგუფის წევრებს, რომლებიც საკუთარ თავს „ოლიმპიელებსაც" უწოდებენ (მათ ჭეშმარიტად სჯერათ, რომ თავიანთი მდგომარეობითა და ძლიერებით ოლიმპოს ლეგენდარულ ღმერთებს უტოლდებიან, რომლებმაც საკუთარი თავი, მათი ღმერთის — ლუციფერის მსგავსად, ჩვენს ჭეშმარიტ ღმერთზე მაღლა დააყენეს), მტკიცედ სჯერათ, რომ ისინი ღვთაებრივი უფლებით მოწოდებულნი არიან, განახორციელონ შემდეგი:

**1) დაამყარონ ერთიანი მსოფლიო მთავრობის მმართველობა – ახალი მსოფლიო წესრიგი გაერთიანებული ეკლესიითა და ფულადი სისტემით მათი მმართველობის ქვეშ. არც ისე ბევრმა ადამიანმა იცის, რომ ერთიანმა მსოფლიო მთავრობამ დაიწყო თავისი „ეკლესიის" შექმნა 1920-30 წლებში. იგი აცნობიერებს კაცობრიობის ბუნებრივ მოთხოვნას რელიგიური რწმენის მიმართ და ამიტომაც დააფუძნა „საეკლესიო" ორგანიზაცია, ეს რწმენა მისთვის სასურველ კალაპოტში რომ წარმართოს;**

**2) სრულიად დაანგრიოს ეროვნული ცნობიერება და ეროვნული ღირსება;**

**3) გაანადგუროს რელიგიები და განსაკუთრებით — ქრისტიანობა, გარდა ერთადერთი გამონაკლისისა – ზემოთ ნახსენები მის მიერვე შექმნილი რელიგიისა;**

**4) აკონტროლოს უკლებლივ ყველა ადამიანი ცნობიერების მართვის საშუალებათა გამოყენებით და ასევე, იმის მეშვეობით, რასაც ბჟეზინსკიმ „ტექნოტრონიკა" დაარქვა, რომელიც შექმნის ადამიანის მაგვარ რობოტებს და ტერორის ისეთ სისტემას, რომელთან შედარებითაც ფელიქს ძერჟინსკის წითელი ტერორი ბავშვურ თამაშად მოგეჩვენებათ;**

**5) სრულად შეაჩეროს სამრეწველო განვითარება და ბირთვულ სადგურებზე ელექტროენერგიის წარმოება ე. წ. „ნულოვანი ზრდის პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში". გამონაკლისი იქნება კომპიუტერული მრეწველობა და მომსახურების ინდუსტრია. შეერთებული შტატების შენარჩუნებული მრეწველობა გადატანილი იქნება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა მექსიკა, სადაც ჭარბადაა მონური შრომა. უმუშევრები, რომლებიც მრეწველობის ნგრევის შედეგად გაჩნდებიან ან ჰეროინისა და კოკაინის მომხმარებელი ნარკომანები გახდებიან, ან ციფრებად იქცევიან განადგურების პროცესის სტატისტიკაში, რომელიც დღეს ცნობილია სახელით „გლობალ-2000" (Global 2000);**

**6) ნარკოტიკებისა და პორნოგრაფიის ლეგალიზაცია;**

**7) დიდი ქალაქების მოსახლეობის შემცირება სცენარით, რომელიც კამბოჯაში პოლ პოტის რეჟიმმა შეიმუშავა. საინტერესოა, აღვნიშნოთ, რომ პოლ პოტის გენოციდის გეგმები აქ, შეერთებულ შტატებში, შემუშავდა „რომის კლუბის" ერთ-ერთი კვლევითი ცენტრის მიერ. საინტერესოა ასევე, რომ კომიტეტი ახლა კვლავ ცდილობს პოლ პოტის მკვლელების მოყვანას კამბოჯის მთავრობაში;**

**8) ყველა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შეჩერება, იმათ გარდა, რასაც კომიტეტი სასარგებლოდ მიიჩნევს. ძირითადი ძალები მიმართული უნდა იყოს ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების წინააღმდეგ.** განსაკუთრებულ სიძულვილს იწვევს ცივი თერმობირთვული სინთეზის ექსპერიმენტები, რომელთა ყოველმხრივ დისკრედიტებას და დაცინვას ეწევა კომიტეტი და მისი ხელქვეითი პრესა. ცივი თერმობირთვული სინთეზის საფუძველზე რეაქტორების შექმნა ქვას ქვაზე არ დატოვებდა კომიტეტის კონცეფციისგან „შეზღუდული ბუნებრივი რესურსების" შესახებ. ასე, ენერგეტიკული დანადგარების დახმარებით, მათი სწორი გამოყენებით არის შესაძლებელი სასურველი ნივთიერებებისა და მასალების შექმნა ყველაზე ჩვეულებრივი მადნეულიდან. ცივი თერმობირთვული სინთეზის რეაქტორების გამოყენების შესაძლებლობები მართლაც უსაზღვროა და მათ შეუძლიათ კაცობრიობას ისეთი სიკეთე მოუტანონ, რომლის შესახებაც ხალხს წარმოდგენაც არ აქვს.

**ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ**

**ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ «300-ᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ» ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲐᲘ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲪ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲡᲛᲣᲚ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ: «ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ «ᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲡ» ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲫᲘᲠᲒᲐᲛᲝᲛᲗᲮᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ?»**



## ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲪ ᲓᲐᲠᲗᲔᲡ

**„არ იკითხო, არ თქვა (Don't ask, don't tell)" — ასე უწოდეს კანონს, რომელიც 1993 წელს მიიღეს აშშ-ში და რომელიც არმიაში კრძალავდა ორივე სქესის ჰომოსექსუალთა მსახურებას, თუკი ისინი არ მალავდნენ თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას, აგრეთვე, ითხოვდნენ სამხედრო ხელმძღვანელობისგან, არ გაერკვიათ მონაცემები სამხედრო მოსამსახურეების სექსუალური ორიენტაციის შესახებ.**

კანონი 17 წლის განმავლობაში მოქმედებდა, ვიდრე 2011 წელს აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ არ გააუქმა. შედეგად მიიღეს ახალი კანონი, რომლითაც ჰომოსექსუალებს, რომლებიც არ მალავენ თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას, უფლება აქვთ, არმიაში იმსახურონ.

**ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ.**

აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა წესები, რომლებითაც სამხედრო მოსამსახურეებს, მეთაურების ნებართვით, შეუძლიათ რელიგიური ტანსაცმელი ატარონ, ილოცონ და შეასრულონ რელიგიური რიტუალები.

ამ წესების მიღებამდე აშშ-ის არმიაში არ იყო ერთიანი ნორმები, რომლებიც კომპრომისული იქნებოდა დისციპლინისა და საბრძოლო მზადყოფნის მოთხოვნებსა და რელიგიური ნორმების მიმართ. ახლა კი **ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲘᲣᲓᲐᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲜ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲙᲘᲞᲐᲡ (ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲥᲣᲓᲘ) ᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲐᲓ, ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲡᲘᲜᲒᲰᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ ᲨᲐᲜᲡᲘ, ᲐᲢᲐᲠᲝᲜ ᲩᲐᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲬᲕᲔᲠᲘ. ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲐᲚᲝᲡᲜᲘᲡ ᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ.** მოთხოვნას ტატუირებისა და რელიგიური სამოსის ტარების შესახებ განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს ზემდგომი ოფიცერი, ხოლო მოთხოვნას რიტუალების ჩატარების შესახებ — მეთაური იმ ნაწილისა, რომელშიც ჯარისკაცი მსახურობს.

**გადაწყვეტილება ამ საკითხებზე მიიღება იქიდან გამომდინარე, თუ სად გადის პირი სამხედრო სამსახურს და რა გავლენას მოახდენს ეს მის სამხედრო მზადყოფნაზე. სამხედრო მოსამსახურისთვის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მისიის მიზანი პრიორიტეტულია.**

რას მოუტანს ეს გადაწყვეტილებები აშშ-ის არმიას, მის მოკავშირეებს, ძნელი სათქმელია, მაგრამ საქართველოს არმიისთვის, რომელიც ნატოს სტანდარტებს უნდა დაექვემდებაროს, მულტიკულტურალიზმი, ალბათ, მიუღებელი იქნება...

**მულტიკულტურალიზმის** (პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ერთ ქვეყანაში და, საერთოდ, მსოფლიოში კულტურული განსხვავებების შენარჩუნებისკენ. პოლიტიკური ლიბერალიზმისგან განსხვავდება იმით, რომ აღიარებს კოლექტიური სუბიექტების — ეთნიკური და კულტურული ჯგუფების — უფლებებს) **უსუსურობის მაგალითები ეჭვქვეშ აყენებს ლიბერალიზმის შეთავსებას ნებისმიერ კულტურასთან.**

მულტიკულტურალიზმის იდეა ევროპაში არ გაჩენილა, ამ მოდელის რეალიზება ხდება კანადაში, ავსტრალიასა და აშშ-ში. მაგრამ აშშ-ში ყველაფერი არც ისე კარგადაა, თუ, მაგალითად, მზარდ დემოგრაფიულ დისბალანსს გავითვალისწინებთ ესპანურენოვანი მოსახლეობის სასარგებლოდ, თუმცა ეს ქვეყნები სამოთხედ უნდა ჩაითვალოს ევროპაში მიმდინარე ვნებათაღელვის ფონზე.

შვეიცარია ევროპაში ერთადერთი მაგალითია მულტიკულტურალიზმისა. იქ ეს მიმდინარეობა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და წარმოადგენს არა სხვა ცივილიზაციებისა და ეთნოსების, არამედ ევროპული კულტურების ნაერთს. ხალხების უმრავლესობისთვის სწორედ კულტურული ფასეულობები იყო (და ნაწილობრივ დღესაც ასე რჩება) ცივილიზაციის მთავარი ნერვი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ, **ᲗᲣᲙᲘ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲖᲐᲨᲘᲐ, ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲒᲐᲜᲮᲔᲗᲥᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲖᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲡ ᲘᲛᲘᲒᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ, ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ, ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲐᲮᲕᲔᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲡ.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბოლოს და ბოლოს, ჩვენ, სრულწლოვან ქართველებს, გვაქვს თუ არა უფლება და უნარი იმისა, რომ ჩვენი მდგომარეობა პატივცემული ბუკიკიოსა თუ აპატურაის დაუკითხავად შევაფასოთ! დავიჯერო, დასავლელმა ექსპერტებმა უკეთ იციან, რა უკეთესად ხარობს ჩემს ბოსტანში, ხაშურში? ან ხარობს თუ არა რქაწითელი უშგულში?“**

# «ნაცმოძრაობა» — პოლიტიკური პარტია თუ ბანდა?

**ადამიანთა ორგანიზებული ერთობა თავისი არსით მრავალგვარი შეიძლება იყოს, რომელიც იმაზეა დამოკიდებული, რა აერთიანებს მათ — რწმენა, მრწამსი, ინტერესები, მიზნები, მოთხოვნები და ა. შ. ამაზეა დაფუძნებული რელიგიური, პოლიტიკური, პროფკავშირული, სამწერლობო და სახელოვნებო, სამეცნიერო და სპორტული ორგანიზაციები. თითოეულ მათგანს საფუძვლად უდევს იდეოლოგია, რომელიც განსაზღვრავს მათ ორიენტაციას, მოქმედების ფორმებსა და შინაარსს. თუ ეს იდეოლოგია ზოგადსაკაცობრიო პრინციპებს არ ეწინააღმდეგება, მაშინ მასზე დაფუძნებულ თითოეულ ორგანიზაციას აქვს არსებობის უფლება და ყველა ადამიანს შეუძლია, აირჩიოს ან არ აირჩიოს იგი.**




**«ნაცმოძრაობა», როგორც კრიმინალური ბანდა, უნდა გასამართლდეს და ამოიძირკვოს ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან! ვინც ამას ხელს შეუშლის, ისიც ნაცბანდის მორალის მქონე იქნება, ვინც უნდა იყოს ის — აქაური თუ გადამთიელი!**

ახლა სათაურში გამოტანილ „პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ“: არის თუ არა პოლიტიკური პარტია „ნაციონალური მოძრაობა“?

მოდი ვნახოთ, როგორ არის განსაზღვრული პოლიტიკური პარტიის ცნება ავტორიტეტულ საცნობარო ლიტერატურაში. ყველაზე გავრცელებული ენციკლოპედიური განსაზღვრება ასეთია: **„პოლიტიკური პარტია არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავს საზოგადოების, კლასის ან სოციალური ფენის ინტერესებს, აერთიანებს მის ყველაზე აქტიურ წარმომადგენლებს და წარმართავს მათ ძალისხმევას გარკვეული მიზნებისა და იდეალების მიღწევისკენ“.**

პოლიტიკური პარტიები, თავის მხრივ, მრავალგვარი და მრავალრიცხოვანია, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც, როგორც ერთი ჩვენებური ემიგრანტი იტყოდა, სამი ქართველი ოთხ პარტიას ქმნის. პარტიები ერთმანეთისგან განსხვავდება პრინციპებით, რასაც განსაზღვრავს როგორც მათი იდეოლოგია, ისე ორგანიზაციისა და მართვის თავისებურებანი, ამიტომ არის ნებისმიერი პოლიტიკოსი ამა თუ იმ იდეოლოგიური მრწამსისა და შესაბამისი პრინციპების მქონე. კაცს, რომელიც პოლიტიკოსობს და ზუსტად განსაზღვრული პრინციპები არ აქვს, უწოდებენ პოლიტიკანს, რაც წესიერ საზოგადოებაში სალანძღავი სიტყვაა.

ახლა ვნახოთ, არის კი „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური პარტია და მისი ლიდერები თუ გამოჩენილი სახეები — პოლიტიკოსები (რიგით წევრებზე ლაპარაკიც არ ღირს, რადგან მათმა უდიდესმა უმრავლესობამ ხეირიანად ისიც არ იცის, რას ნიშნავს ტერმინი „ნაციონალური“ და ის „ეროვნული“ ჰგონიათ).

ვის ინტერესს გამოხატავს „ნაცმოძრაობა“ — სრულიად საქართველოს საზოგადოებისას? **გაურკვეველი ფუნქციისა და პასუხისმგებლობის მქონე თანამდებობის პირებს 18-20-ათასლარიანი ხელფასები ჰქონდეთ, პედაგოგებისა და ექიმების ხელფასი 300 ლარს არ აღემატებოდეს, ხოლო მოსახლეობის 70% უმუშევარი იყოს — ეს არის ქართველი საზოგადოების ინტერესები?**

იქნებ რომელიმე სოციალური კლასის ინტერესების გამომხატველია „ნაცმოძრაობა“?

**მუშათა კლასის?** ასეთი კლასი ჩვენში, ფაქტობრივად, არ არის და, რომც იყოს, განა მისი ინტერესი წარმოების განადგურება და უმუშევართა რაოდენობის კატასტროფული ზრდა იქნება? ცხადია, არა!

იქნებ **გლეხობის** ინტერესებს ემსახურებოდნენ „ნაცები“? სახნავ-სათესი მიწების ლამის ნახევარი უცხოელებს მიჰყიდეს, სოფლებს ტყე და საძოვრები წაართვეს, გუშინდელი გლეხები ქალაქში ჩამორეკეს დღიურ მუშებად და ისინი არიან „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები?

ისე არაფერი გეტკინოთ!

„ნაცების“ რიტორიკას თუ დავუჯერებთ, კაპიტალისტთა კლასი უნდა ყოფილიყო ყველაზე მეტად მათი საქმიანობით კმაყოფილი. სინამდვილეში კი მეწარმეებს იმაზე უარესს, რაც მათ „ნაცებმა“ დამართეს, დამპყრობელიც ვერ უზამდა. რეკეტი, ტერორი, ექსპროპრიაცია, შანტაჟი — აი, მეწარმეების მიმართ „ნაცების“ დამოკიდებულების მეთოდები. ასე რომ, „ნაცმოძრაობა“ არც მემარჯვენე პარტიაა.

ინტელიგენციის ინტერესებს ხომ არ გამოხატავდნენ „ნაცები“? გაგეცინათ, ხომ? მეცნიერება და განათლება გაანადგურეს, ხელოვნება გადააგვარეს, მწერლობა დაარბიეს... ინტელიგენტთაგან ვინც რბევას გადაურჩა, გაახეს. გაბახებულს კი, რასაც მოისურვებ, იმას გააკეთებინებ, მე შენ გეტყვი, ღირსებამ და თავმოყვარეობამ არ შეაკავოს! თუ გინდა, „მიშა მაგარიას“ აბღავლებ, გინდა, მის სახელზე ლოცვას აღავლენინებ. **გაბახებულს — მომღერალს, მწერალს, მსახიობს თუ მეცნიერს, გინდა „ბრწყინვალების“ ორდენი ჩამოჰკიდე და გინდა — „ღირსებისა“, ვერც ბრწყინვალებას შესძენ და ვერც ღირსებას!**

ასე რომ, არც ინტელიგენციის პარტიაა „ნაცმოძრაობა“!

აბა, ვის ინტერესებს ემსახურება და რა აერთიანებს?

საკუთარი ინტერესები, მომხვეჭელობა და თვითგადარჩენის ცხოველური ინსტინქტი.

რა აერთიანებს მგლების ხროვას? ერთმანეთის სიყვარული თუ მაღალი იდეალები? — შიში, ბატონო, შიში! ხროვა ძალაა! მას თავისი კანონები აქვს. ხროვას, თუ მისი წევრი ხარ, ვერ უგანებ, შეგჭამენ! ან ერთად ყოფნა, ან დაღუპვა! — აი, მგლური ბუნების კანონზომიერება.

სამწუხაროდ, ადამიანებიც ერთიანდებიან ამ მგლური კანონების მიხედვით და ასეთ გაერთიანებას ბანდა ეწოდება.

**„ნაცმოძრაობა“, რაც უნდა საწყენი იყოს ჩემი თანამემულეების ერთი ნაწილისთვის, ძალიან ჰგავს ბანდას. „ნაცმოძრაობის“ პარტიული ჰიმნი — „ჩვენ ერთი გუნდი ვართ!“ — ბანდის ფსიქოლოგიის დამკვიდრებისკენ იყო მიმართული. ამ „გუნდის“ საქმიანობამ სულ მალე დაამტკიცა, რომ მათ ლოზუნგს საერთო არაფერი ჰქონდა რაინდულ მორალთან „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის!“, იგი წმინდა წყლის კრიმინალური შინაარსის მქონე იყო.** ეს სრულიად ნათლად გამოჩნდა გასული წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ საშინელ და წარმოუდგენელ დანაშაულში მხილებული „ნაცმოძრაობის“ აქტივისტების დაჭერა სცადა. დაპატიმრების ყოველ მცდელობაზე ნაცბანდა ერთსულოვნად დგებოდა ყალყზე და ქვეყნის დამაქცევართ „ეროვნულ გმირებს“, „აღმაშენებლებს“, „ცოტნე დადიანებს“ უწოდებდა. ბევრი მათგანი „ზურგზე თაფლის წასმასა“ და პროკურატურის შენობის წინ ასფალტზე წამოწოლას გეგმავდა. „მეც დამიჭირეთ, მეც ერთი მათგანი ვარ!“ (დროებით დაპატიმრებული ესა თუ ის „ნაცი“ იგულისხმებოდა), ეს განა ბანდის მორალის გამოვლინება არ არის?

გუნდურობა, როდესაც იგი ამხანაგობასა და მეგობრობას გულისხმობს, ცუდი როდია. გუნდის წევრები ერთმანეთს მხარს უნდა უჭერდნენ, მაგრამ უპირობო მხარდაჭერას მხოლოდ ბანდის მორალი უდევს საფუძვლად. აბა, მეგობართა წრიდან ვინმემ ამორალური საქციელი რომ ჩაიდინოს, მის ქმედებას მეგობრები არათუ გაამართლებენ, არამედ თავიანთი საძმოდან მოკვეთენ, როგორც ულირსს, რადგან ამხანაგობა-მეგობრობა ზნეობას ეფუძნება, ბანდის წევრობა კი — უზნეობას.

„ნაცმოძრაობის“ ადეპტები მკერდზე მუშტებს იბრაგუნებენ — ჩვენ და ჩვენნაირმა „გმირებმა“ კრიმინალური სამყარო ხერხემალში გადავტეხეთო (ქურდულ სამყაროს გულისხმობენ).

კი, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ შეიძლება მართლაც მიაღწიეს წარმატებას და ეს არც არის გასაკვირი: ფაშისტებმაც გაანადგურეს ორგანიზებული კრიმინალური (ქურდული) სამყარო გერმანიასა და იტალიაში, მაგრამ საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით კი არა, ძლიერ კონკურენტებს ხედავდნენ მათში და იმიტომ.

**ბანდა, რომელსაც სახელისუფლო სადამსჯელო საშუალებები უპყრია ხელთ, ქურდულ გაერთიანებებს უსათუოდ მოერევა, რადგან ქურდული სამყაროს მოქმედებას მაინც ზღუდავს გარკვეული წესები და კანონები, ბანდას კი ხელს არაფერი უშლის.** „ბეზპრედელშინა“ — აი, მათი მოქმედების პრინციპი. „ნაცმოძის“ ზეობის ხანაში არ არსებობდა ისეთი კანონი, რომელიც მათ გზაზე გადაეღობებოდა. **თვით კონსტიტუციასაც კი ისე აუპატიურებდნენ, როგორც ორღობის კახპას.** ახლა ჩვენ ვართ ხელისუფლებაში და, რასაც მოვისურვებთ, იმას ვიზამთო, — საჯაროდ განაცხადა „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთმა სახემ მათი ბატონობის დასაწყისში. „ნაცმოძრაობის“ ბელადი ხომ მიკიბმოკიბვის გარეშე ამბობდა, სახელმწიფო — ეს მე ვარო! აბა, სხვა რა იყო, არაერთგზის რომ განაცხადა, აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტის ბრძანება მე გავეციო.

**ხელისუფლებაში მოსული (თუ მოყვანილი) ბანდა განსხვავდება ხელისუფლების გარეთ, საკუთარი თავის იმედად მყოფი ბანდისაგან. ამ უკანასკნელის წევრები თავზეხელაღებულები და უშიშარი ადამიანები არიან, მათ საკუთარი თავის მეტი დამცველი არავინ ჰყავთ. სახელისუფლო ბანდებში კი, ძირითადად, გულნამცეცა, რძენაწყენი, ბავშვობაში დაჩაგრულები ან სხვა რამის გამო დაკომპლექსებულები ერთიანდებიან. მათ ზურგს უკან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უზარმაზარი ძალოვანი მანქანა დგას — პოლიცია, პროკურატურა, სოდი, კუდი და სხვ.** ამიტომ არიან ისინი ▶

მოკლედ

## სოფლის მეურნეობის მაღალჩინოსნების წინააღმდეგ საჩივარი პროკურატურამ სასამართლოდან გაითხოვა

**პროკურატურამ სოფლის მეურნეობის მაღალჩინოსნების წინააღმდეგ აღძრული სარჩელი სასამართლოდან გაითხოვა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა ბრალდებული ცხრა პირიდან ექვსის ინტერესების დამცველმა სოსო ბარათაშვილმა, დღევანდელ პროცესზე პროკურატურამ დააყენა შუამდგომლობა და ბრალდებულებს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რომელიც გაფლანგვას გულისხმობს, ბრალი მოუხსნა.**

ადვოკატის თქმით, ბრალდების სხვა ნაწილზე პროკურატურამ განრიდება გააკეთა და სარჩელი გაითხოვა. შარშან, მაისში შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სახელმწიფო შპს ,,მექანიზატორის“ მაღალი თანამდებობის პირები დააკავეს.

ამ პერიოდში სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე იყო. დაკავებულ პირებს ბრალად სახელმწიფოს კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვა, სამსახურებრივი გულგრილობა და ექსპერტებზე ზეწოლა წაუყენეს. დაკავებულები გირაოთი გათავისუფლდნენ.

აღნიშნული პირების დაკავების შემდეგ დავით კირვალიძემ თანამდებობა დატოვა.

# ქართული ენის უგულებელყოფაში, აბუჩად აგდებაში არაერთგზის შემჩნეულებთან, მამა-პაპათა სისხლითა და ოფლით მორწყული და მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით შენარჩუნებული მამულის გასხვისებაში ბრალდებულებთან ლოიალობა დანაშაულია!

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საშიშნი. ბოლმა, არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებთ მათ და ბიოლოგიური ზიზღი აქვთ სრულყოფილთა მიმართ. ამიტომ უცქერენ სიამოვნებით, როგორ სცემენ საქართველოს ხელ-ფეხშეკრულ სწორუპოვარ ფალავანს...

„ნაცბანდას" არ აინტერესებს, რას ფიქრობს ხალხი, რა სურს, რისკენ მიისწრაფვის, რა არის მისთვის ძვირფასი და შეუქცევადი ღირებულება. საზოგადოება მისთვის არც არსებობდა. ასე რომ არ ყოფილიყო, სახალხო უკმაყოფილების გამომხატველ დემონსტრანტებს როგორ გაუბედავდა ერთ-ერთი ნაცბოსი ტელეეკრანიდან ამის თქმას: **დედას გიტირებთ, სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებოო! ასეთი რამის თქმას ნორმალურ ქვეყანაში პოლიტიკოსი ვერ გაბედავდა, რადგან იმ წუთიდანვე შეწყდებოდა მისი გუნდის პოლიტიკური სიცოცხლე.**

არჩევნებში გამარჯვებული კოალიციის ლიდერის განცხადებამ, „ნაცმოძრაობას" ისე კი არ მოვექცევით, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ჩვენს ხალხს ეკადრებაო, მაშინვე გამოიწვია „ნაცების" უცხოელი პატრონების ლუსტრაცია — არიქა, ჩვენ მიერ დაქირავებული „ნაცბანდა" (რატომ დაიქირავეს — ამის გამოძიებას დიდი სიბრძნე არ სჭირდება) საერთოდ არ მოკვეთონ პოლიტიკიდანო და ატყდა ერთი ვაი-ვიში — ზეწოლაო, დევნაო, დემოკრატიის საფრთხეო... **უცხოელი „დემოკრატები" ისე „გადემოკრატდნენ", რომ სისხლის სამართლის დამნაშავისა და შარაგზის ყაჩაღის დაჭერის მცდელობა (მცდელობა!) დემოკრატიის ხელყოფად ჩათვალეს და ახალ ხელისუფლებას მუქარის წერილები გამოუგზავნეს.**

ჩვენ მიერ არჩეულ დეპუტატებსა თუ მათ მიერ დანიშნულ მინისტრებს იქნებ შეეშინდათ კიდეც დასავლელი „დემოკრატების" მუქარისა, მაგრამ ჩვენ? ჩვენც უნდა გვეშინოდეს? მერედა ვისი — ვიღაც პედარასტი და ლიბერასტი ნაძირლებისა?! ნუთუ ვეღარ უნდა ავირჩიოთ ისეთი ხელისუფლება, რომელსაც თავმოყვარეობა ექნება და, საკუთარი ხალხის გარდა, არავისი შეეშინდება?!

აბა, რას ჰგავს საქართველოს მოსახლეობის დღევანდელი მდგომარეობა? ტელეეკრანზე ყველაზე ხშირად ჩანან „ნაცბანდის" წევრები, რომლებიც ჩვენ მიერ არჩეულ ხელისუფლებას დასცინიან, ემუქრებიან და აპამპულავებენ.

მავანმა შეიძლება თქვას, — თუ არ გინდა, სხვა არხზე გადართე ტელევიზორიო. სად გადართავ? ყველგან ეგენი არიან! საზოგადოებრივი მაუწყებელი და „რუსთავი 2" ხომ მაგათია, სხვა არხებს კი ევროპელი დამკვირვებლებისა თუ მოთვალთვალეებისა ეშინიათ, „ნაცბანდის" უფლებების შეზღუდვა არ დაგვაბრალონო, და ყველაზე მეტ დროს „ნაცებს" უთმობენ.

**ბოლოს და ბოლოს, ჩვენ, სრულწლოვან ქართველებს, გვაქვს თუ არა უფლება და უნარი იმისა, რომ ჩვენი მდგომარეობა პატივცემული ბუკიკიოსა თუ აპატურაის დაუკითხავად შევაფასოთ! დავიჯეროთ, დასავლელმა ექსპერტებმა უკეთ იციან, რა უკეთესად ხარობს ჩემს ბოსტანში, ხაშურში? ან ხარობს თუ არა რქაწითელი უშგულში?**

მე, ერთი რიგითი ქართველი, ჩვენს მდგომარეობას ასე ვაფასებ:

**— კრიმინალურ ბანდასთან, რომელიც ყველა სიავესთან ერთად, სამშობლოს ღალატშიც არის შემჩნეული, თანაცხოვრება, ანუ „დასავლური" კოაბიტაცია შეუძლებელია!**

**— ეროვნულ ტრადიციებს, ეთნიკურ მენტალიტეტსა და მართლმადიდებლობასთან მებრძოლ „ნაცბანდასთან" თანამშრომლობა სამშობლოს ღალატია!**

**— ქართული ენის უგულებელყოფაში, აბუჩად აგდებაში არაერთგზის შემჩნეულებთან, მამა-პაპათა სისხლითა და ოფლით მორწყული და მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით შენარჩუნებული მამულის გასხვისებაში ბრალდებულებთან ლოიალობა დანაშაულია!**

**„ნაცმოძრაობა", როგორც კრიმინალური ბანდა, უნდა გასამართლდეს და ამოიძირკვოს ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან! ვინც ამას ხელს შეუშლის, ისიც ნაცბანდის მორალის მქონე იქნება, ვინც უნდა იყოს ის — აქაური თუ გადამთიელი!**

**ზურაბ ცუცქირიძე**

**P.S. „მედასავლეთეები" დღენიადაგ იმეორებენ, — საქართველოს სახლი ევროპაა, ჩვენი სახლი ნატოაო. საქართველოს სახლი საძებარი არასოდეს ჰქონია და არც დღეს აქვს, იგი თავის სახლში ცხოვრობს! თქვენ, უსამშობლო და უსახლკაროებმა, სადაც გინდათ, იქ შერგეთ თავი, თუ გსურთ, კვლავაც ნაცში ("ნაცმოძრაობაში") დარჩით!**

**„მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი", — სრული უაზრობაა. მე ვარ ქართველიო რომ იტყვი, მას არავითარი „მაშასადამე" აღარ სჭირდება. რაც შეეხება ევროპელობას, ევროპა-აზიის საზღვარი კუმა-მანიჩის ღრმულზე გაივლის თუ ქსენია ბიცოლას ბოსტანზე, ამით არც ქსენიას შეგნება შეიცვლება და არც ვანიასი.**

# ქართულად, ქართულად!

## ანუ ტრიპტიქი ახალ ქართულ თარგმანებზე



### წერილი მესამე

**ვერდი** (მთარგმნელი — **ნ. კალანდარიშვილი**. რედაქტორი — **რ. სულაკაური**, მთ. რედაქტორი — **ზაზა აბზიანიძე**).

**როგორ წარმოვიდგინო ახლა, რომ „ქართულ ბიოგრაფიულ ცენტრში", რომლის ყოველ ახალ ნამუშევარს, უკვე რა ხანია, ასე დიდი ინტერესით ელის მადლიერი მკითხველი, მართლა არ იციან, რა არის „აპოსტროფი" და როგორ უნდა დაიწეროს ქართულად, ვთქვათ, ორლეანელი ქალწულის გვარი?! არადა, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, სამწუხაროდ, სწორედ ასეა — მერიდება, პირდაპირ, ვერაფრით ამიხსნია, რას უნდა მივაწეროთ ასეთი, ძალზე მსუბუქად თუ შევაფასებთ, უყურადღებობა?! ერთეული შემთხვევა რომ იყოს, უმალ ე. წ. კორექტურად მოვნათლავდით, მაგრამ...**

ორლეანელი ქალწული შემთხვევით არ მიხსენებია — „უცხო სიტყვათა ლექსიკონში" (1989, გვ. 49) ბერძნული სიტყვის „აპოსტროფის" განსამარტავად სწორედ მისი გვარია გამოყენებული და მითითებულია, რომ ქართულად უნდა იყოს — **„დ'არკი"** ე. ი. ეს გვარი იწერება ე. წ. „აპოსტროფით", ანუ მძიმის მსგავსი სტრიქონზედა ნიშნით, რომელიც, ჩვეულებრივ, ისმება გამოტოვებული ხმოვნის ადგილას.

როგორც ჩანს, სწორედ ეს განსაკუთრებული, მაღალფარდოვნად თუ ვიტყვით, **განფენილობა** მძიმის მსგავსი ნიშნისა („სტრიქონზედობა"), არ მოსწონთ გამოცემის მესვეურებს და ამიტომაც უკრეს მას თავი ასოთა ტრადიციულ მწკრივში („ჟანა დ,არკი", გვ. 327).

ვიმეორებ, ეს რომ ერთადერთი შემთხვევა იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ აგერ გამოჩენილი იტალიელი დრამატურგიც (რომლის ცნობილი პიესა, ლეგენდარული **ელეონორა დუზეს** წყალობით ესოდენ გახმაურებული მთელ მსოფლიოში — „იორიოს ასული" ჯერ კიდევ 1909 წელს დაიდგა საქართველოში) ასე ჰყავთ წარმოდგენილი („დ,ანუნციო", გვ. 322), ბარემ 105-ე გვერდიც გავიხსენოთ („მასიმო დ,აძელომ, გახდა თუ არა პრემიერ-მინისტრი...") და ცხადი ხდება, რომ გამოცემას, სამწუხაროდ, აშკარად აკლია რედაქტორის ხელი... რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ 325-ე გვერდის მეცხრე სტრიქონი, არც მეტი, არც ნაკლები, მძიმით იწყება (,ამაზე) ეს უკვე, გურულად რომ მოვუქციო, ნამეტანია და არაფრით ეკადრება „ქართულ ბიოგრაფიულ ცენტრს"!

ყოველივე ამის ფონზე, მართლაც, „ლირიკად" მოგეჩვენებათ სხვა ფაქტობრივი თუ ორთოგრაფიული „უზუსტობანი" (ბოლომდე ვიყოთ კორექტული): ვთქვათ, ჯ. ვერდის მეოთხე ოპერის სახელწოდება — „ლომბარდიელები პირველ **ჯადოსნურ** (უნდა იყოს — „ჯვაროსნულ" — გ. დ.) ლაშქრობაში" (გვ. 327). ამასთანავე, პირველი ოპერა ხან წერია დეფისით („ობერტო, გრაფი სან-ბონიფაჩო" (იქვე), ხან — უდეფისოდ და ცალ-ცალკე — „...სან ბონიფაჩო" (გვ. 330). 22-ე ოპერის სახელწოდებაც დასახვეწია — რა თქმა უნდა, „ბედისწერის ძალა", როგორც კარგა ხანია, დადგენილია ქართულად და არა „ბედის ძალა" (გვ. 327) და ა. შ.

რაც შეეხება, მოკლედ რომ ითქვას, ორთოგრაფიას, უკვე ნამდვილად მოსაბეზრებელია იმის გაუთავებლი ჩიჩინი, თუ რომელი სიტყვა როგორ იწერება, რომელი გამოთქმა, ტერმინი და ა. შ. და ა. შ. სხვათა შორის, შარშან ამ საკითხებზე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე (22.VIII და 13.IX) საგანგებო სემინარებიც კი ჩავუტარე მწერლებს, რომლებიც ერთობ დახუნძლულები კი არიან უმაღლესი საპატიო წოდებებითა და პრემიებით, მაგრამ დღემდე დეფისი ტირესგან ვერ განურჩევიათ... აქაოდა, ეს რა ჩვენი საქმეა, ჩვენ უნდა ვწეროთ და მერე „წერტილ-მძიმეებზე" (ასე აგდებულად ეკიდებიან ისინი მშობლიური ლიტერატურული ენის სიტყვათა წერის წესების სათანადოდ დადგენილ სისტემას), გამომცემლობის მუშაკებმა უნდა იზრუნონო, მთელი სერიოზულობით მითხრა ერთმა ძალიან, ძალიან ცნობილმა მწერალმა...

ახლა, ტრადიციულად, რამდენიმე ნიმუში ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, ანუ ისევ ჩვენი „ძველი ნაცნობები":

I. „რაღაც-რაღაცეები" კი არა (70, 179, 284), არამედ — „რაღაც-რაღაცები"; „ლაკონური" (109, 115, 138) — „ლაკონიური"; „პროფესიონალური" (180,236) — „პროფესიული"; „ქაოტურმა" (161) — „ქაოსურმა". **„ვ"** ზედმეტია შემდეგ სიტყვებში: „თრთოლვა" (217), „მთრთოლვარება" (103), „აბურძგვნილები" (276). ცალ-ცალკე იწერება: „ან კი" („ანკი", გვ. 27), „ზემოთ მოყვანილი" („ზემოთმოყვანილი" გვ. 71). ერთად იწერება: „აბდაუბდა" (და არა დეფისით — „აბდა-უბდა", 115), „თავისუფლებისმოყვარე" („თავისუფლების მოყვარე", 22), „ვაივაგლახით" („ვაი-ვაგლახით", 92).

II. **„წინ"** და **„წინათ"** არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ: „რამდენიმე თვის წინ რომ წერდა" (81), „ორი თვის წინ..." (94), „ერთი წლის წინ..." (123) და ა. შ და ა. შ. ყველგან უნდა იყოს „წინათ".

III. ნამეტარი „რუსულია" ეს ვითომ იტალიურიდან თარგმნილი კონსტრუქციები: „ისეთ ავტორთა რიგს არ განეკუთვნება..." (83), „ისეთ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი..." (137) და ა. შ. ან შემდეგი: „ყოველგვარი შურის გარეშე..." (72), „ყოველგვარი ძალადობის გარეშე" (300), „ყოველგვარი მიზნის გარეშე" (301), „ყოველგვარი გეგმის გარეშე" (309) და ა.შ.

IV. ეს კია ქართული, მაგრამ ესეც ნამეტანია: „...მიწერილ წერილში... წერდა" (159), „წერილი მისწერა პიავეს... და თან სწერდა" (137), „იგი წერილებს წერილზე სწერდა პიავეს" (100) და ა.შ. და ა.შ.

V. ახლა, **მიხეილ ჯავახიშვილის** შეფასებით, ე. წ. დაკუტებული წინადადებები: „...მესის შესრულებისათვის უფრო შესაფერისი იქნებოდა სან-მარკოს ტაძარი" (243), უნდა იყოს: „...მესის შესასრულებლად..." და ა.შ.

VI. დროის, წლების უცნაური შეგრძნებებიც იპყრობს ყურადღებას — 1866 წლის ნაცვლად რომ 1966 წერია (157), ცხადია, ეს ნამდვილი „კორექტურაა", მაგრამ 125-ე გვერდზე როცა ვკითხულობთ: „კვლავ დადგა 1852 წლის გაზაფხულიო", უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ რაღაც ასტრონომიული ცდომილება იგულისხმება...

ერთი სიტყვით, საგაზეთო სტატიებით (ცხადია, შეზღუდულ ფორმატს ვგულისხმობ) მხოლოდ საკითხის დაყენება შეიძლება და კარგი იქნება, თუ ეს შევძელით. ახლა კი სიტყვა გამომცემლობაზეა — თუკი აინტერესებთ დაწვრილებითი საუბარი თავიანთ პროდუქციაზე, მაშინ ისღა დამრჩენია, მივესალმო ამ წინადადებას — ჩვენი ხმალი და ჩვენი კისერი, ჩვენო ძვირფასო კოლეგებო!

**გოგი დოლიძე,**
**პროფესორი,**
**აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი**

**P.S. წინა ნომერში ორი უზუსტობა გაიპარა, როგორც მითხრეს, შრიფტის კონვერტირებისას ლათინურად აწყობილი ორი სიტყვა („ბუნიუელი" და „სპელინგი"), ვერ მიეწოდა რედაქციას ადეკვატურად, რაზეც, ჩემდა წილად, ვიხდი ბოდიშს მკითხველის წინაშე (გ. დ.).**

მოკლედ

# სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო თემურ ქეცბაიას ხელფასს აღარ გადაუხდის

**საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის — თემურ ქეცბაიასა და მისი შტაბის წევრების ხელფასს სახელმწიფო აღარ გადაიხდის. ამის შესახებ გაზეთი „ლელო" წერს.** არსებული ინფორმაციით, ეს თანხა წლიურად 2,52 მილიონ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ თანხას აქამდე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო იხდიდა. აღნიშნული სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით, მწვრთნელს ამიერიდან ანაზღაურებას ფეხბურთის ფედერაცია გადაუხდის. სახელმწიფოს მიერ ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბისთვის მოსახმარი თანხა კი საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს დაურიგდებათ. როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე ოთარ გიორგაძე აცხადებს, ფეხბურთის ფედერაცია თემურ ქეცბაიას ხელფასს 2015 წლის ბოლომდე გადაუხდის.

**„რაც შეეხება იმას, შეუმცირდება თუ არა მთავარ მწვრთნელს ანაზღაურება, ამაზე განცხადება მოგვიანებით გაკეთდება",** — აღნიშნა გიორგაძემ.

გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ფეხბურთის ფედერაციამ თავად გადაწყვიტა, ნაკრების მწვრთნელს ხელფასი აუნაზღაუროს, ხოლო მისთვის განკუთვნილი სახსრები ეროვნულ ჩემპიონატს მოახმაროს", — განაცხადა ეკა კვიტაშვილმა.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე უხამსი იუბილე



**ბრიტანელმა დორის დიჰარდიმ 100 წლის იუბილეზე საკუთარ თავს ზედმეტად პიკანტური საჩუქარი გაუკეთა: მისთვის დაქირავებულმა სტრიპტიზიორმა მამაკაცებმა იცეკვეს.** წვეულება ქალაქ რეტფორდის ერთ-ერთ პაბში გაიმართა. იუბილარის ვაჟის თქმით, დედამ გადაწყვიტა, საუკუნოვანი იუბილე განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი ყოფილიყო მისთვისაც და მისი ოჯახის წევრებისთვისაც, ამიტომ სტრიპტიზიორების სერვისი მოითხოვა, თანაც მომსახურების „სრული პაკეტი“. შესაბამისად, ერთ-ერთი სტრიპტიზიორი ცეკვის დროს დორისის წინ სრულიად გაშიშვლდა.

## ჟელატინის დიეტა



**ვინც ერთხელ მაინც ყოფილა დიეტაზე, მიხვდება, რა რთულია, შეზღუდო საკვების დოზა, რასაც ყოველთვის თან ერთვის შიმშილის გრძნობა.**

ვინაიდან მსოფლიოში ჭარბი წონა დიდ პრობლემად იქცა, მეცნიერებმა ახალ ხერხს მიაგნეს — ჟელატინი, რომელიც შიმშილის გრძნობას აქრობს და კუჭს ატყუებს, თითქოს დანაყრებულია.

ჟელატინის დიეტაზე ბირმინგემის უნივერსიტეტის მეცნიერები მუშაობენ და საზოგადოებას გახდომის ამ საშუალებას უახლოეს მომავალში შესთავაზებენ.




## ბრაუზერ Chrome-ს ფარული მიყურადების ფუნქცია უპოვეს

**კომპიუტერების ბრაუზერ Chrome-ს ხარვეზი უპოვეს, რომელიც საიტებს მომხმარებლის საუბრის ფარულად ჩაწერის შესაძლებლობას აძლევს. „ხვრელი“ ებრაელმა პროგრამისტმა თალ ატერმა აღმოაჩინა.**

როდესაც მომხმარებელი Chrome-ში საიტს ხსნის, რომელიც ხმის ჩაწერას ითვალისწინებს, ბრაუზერი მიკროფონის წვდომას ითხოვს. თუ ნებართვა გაიცემა, საიტის ჩანართში ჩნდება ინდიკატორი, რომელიც მომხმარებელს აცნობებს, რომ ჩაწერა მიმდინარეობს. როდესაც საიტს ხურავენ, ინდიკატორი ქრება.

ატერმა გაარკვია, რომ, თუ საიტმა შექმნა „მხტუნავი ფანჯარა“ (Pop-up), ჩაწერა გრძელდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძირითადი გვერდი უკვე დახურულია. რადგან გვერდი თავიდანვე შესამჩნევი არაა, მიკროფონს შეუძლია საკმაოდ დიდხანს იმუშაოს და ჩაიწეროს საუბარი, რომელიც კომპიუტერის სიახლოვეს მიმდინარეობს.

ხმის ჩაწერის ინდიკატორი Chrome-ის „მხტუნავ ფანჯრებში“ არ არის. ამის გამო მომხმარებლებს, რომლებმაც საბოლოოდ „მხტუნავი ფანჯარა“ იპოვეს, უჭირთ, გაიგონ, რომ იგი მათ საუბარს „ისმენდა“.

ავტორმა განაცხადა, რომ Google-ს „ხვრელის“ შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. იგი კომპანიას 13 სექტემბერს დაუკავშირდა. Google-მა მიიღო ინფორმაცია, ატერი პრემიაზე (Google საკუთარ საიტებზე ხარვეზების აღმომჩენებს ფულს უხდის) პრეტენდენტების სიაში შეიყვანა, ორი კვირის მანძილზე ხარვეზის აღმოსაფხვრელი „ჩასწორება“ მოამზადა, მაგრამ პროგრამისტისთვის უცნობი მიზეზების გამო მომხმარებლებს არ დაუგზავნა.



Google-ის წარმომადგენლებმა The Verge-თან ინტერვიუში განაცხადეს, რომ ატერის მიერ მოძებნილ „ხვრელს“ სახიფათოდ არ თვლიან. **„ჩვენ განმეორებითი გამოძიება ჩავატარეთ და უწინდებურად დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი საფრთხეს არ წარმოადგენს. მომხმარებელმა თითოეული საიტისთვის თავდაპირველად საუბრის ამომცნობი უნდა ჩართოს“,** — განაცხადეს მათ.

სტატისტიკის სერვის StatCounter-ის ინფორმაციით, ბრაუზერი Chrome მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ბრაუზერია, მას ბაზრის 46,6 პროცენტი ეკუთვნის. ხმის ამოცნობის ფუნქცია Google-ის ბევრ სერვისში გამოიყენება, მაგალითად, შესაძლებელია, კომპანიის საძიებო სისტემას კითხვები დაუსვა.



## ზამთარში მუშაობა ფსიქიკურ პრობლემებს იწვევს

**ზამთარში ბევრი ადამიანი სამსახურში მანამდე მიდის, სანამ ინათებს და სახლში ბრუნდება, როცა უკვე ბნელა. რეჟიმს, რომელსაც მზის სინათლის ნაკლებობა ახლავს, სერიოზული ფსიქიკური პრობლემები მოსდევს, ამტკიცებენ ორგანიზაცია Mental Health Research UK-ის სპეციალისტები. თუ ადამიანი ყოველდღიურად საჭირო რაოდენობის მზის სინათლეს არ იღებს, მას დეპრესია და აპათია უვითარდება. ამან შეიძლება სეზონური აფექტური აშლილობა გამოიწვიოს.**

10-დან 3 ადამიანი ზამთრის თვეებში გათენებამდე დგება და სახლში მზის ჩასვლის შემდეგ ბრუნდება. კვლევაში მონაწილე 2000 ადამიანიდან 50% შეშფოთებული იყო იმით, რომ სამუშაო ადგილზე ბუნებრივი განათების წყარო საკმარისი არ იყო. ხოლო ყოველი მეათე სამსახურში ბუნებრივ განათებას საერთოდ მოკლებული იყო.

დოქტორი ლაურა დევიდსონი დამსაქმებლებს ცუდად განათებულ ოფისებში დამატებითი სინათლის წყაროების დამონტაჟებისკენ მოუწოდებს. ამასთან, მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ზამთრის ყველაზე მძიმე დღე იანვრის მესამე ორშაბათია. ამას ცუდი ამინდის ეფექტი, წინა წლიდან დარჩენილი ვალები და მოტივაციის დაქვეითება ერთვის.

## ტვინიდან ცუდი მეხსიერების წაშლა შესაძლებელია



**მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ელექტროშოკის თერაპიით (ECT) ტვინიდან ცუდი მოგონებების წაშლაა შესაძლებელი. ECT საუკეთესო საშუალებაა ძლიერი დეპრესიის სამკურნალოდ.**

ქალაქ ნეიმეგენის უნივერსიტეტ Radboud-ის ნეირომეცნიერი მარინ კროესი და მისი კოლეგები ამბობენ, რომ შეუძლიათ პაციენტის მეხსიერებიდან უსიამოვნო ეპიზოდები გააქრონ. კროესი და მისი გუნდი დაკვირვებას აწარმოებდა 42 პაციენტზე, რომელთაც კლინიკური დეპრესიის მკურნალობისთვის ECT დაუნიშნეს.

ექსპერიმენტისას მეცნიერებმა სლაიდ-შოუში 2 ძლიერი სტრესული ამბავი დააფიქსირეს, რომელიც პაციენტებს სიმშვიდეს უფრთხობდა — ავტოავარია და ფიზიკური ძალადობა. გუნდის წევრებმა პაციენტებს მოგვიანებით უთხრეს, რომ ამ ორი ისტორიიდან მხოლოდ ერთზე ეფიქრათ, იმაზე, რომელიც მათ გულს ყველაზე მეტად სტკენდა, ამ დროს კი ელექტროშოკური თერაპია დაიწყეს.

ექსპერიმენტიდან ერთი დღის შემდეგ ექიმებმა მათ ამ მძიმე ეპიზოდის გახსენება სთხოვეს — უმეტესობამ ყველაზე მტკივნეული ამბავი, რომელმაც მათი ცხოვრება უარესობისკენ შეცვალა, ვერ გაიხსენა, ზოგმა კი მხოლოდ ბუნდოვანი კადრები აღიდგინა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ისინი ტკივილს აღარ გრძნობდნენ და ისეთი განცდა ჰქონდათ, რომ რაღაცისგან გათავისუფლდნენ.

როგორც მეცნიერები ამბობენ, ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ თერაპია პროცესს გარკვეული დროით ბლოკავს.

მეცნიერთა გუნდი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ეს თემა ძალიან ფაქიზია და მისი დანერგვა მხოლოდ კარგად შესწავლის შემდეგაა ნებადართული.

## ჩიკაგოს ზოოპარკში თეთრი დათვი გაცივდა



**აშშ-ში, ჩიკაგოს ზოოპარკში, სადაც დაბალი ტემპერატურა ფიქსირდება, თეთრი დათვი ანანა გაცივდა.**

იმის გამო, რომ ცხოველი დაბალ ტემპერატურას ცუდად იტანს, დროებით დახურულ ვოლიერში გადაიყვანეს, სადაც ტემპერატურა +4-დან +10-გრადუსამდე მერყეობს.

ზოოპარკის წარმომადგენლების თქმით, ანანას გაციება, აიხსნება იმით, რომ დიეტა, რომელსაც იგი ზოოპარკში მისდევს, განსხვავდება იმისგან, რასაც ბუნებრივ პირობებში ბინადარი დათვები მიეჩვივნენ. იმისთვის, რომ სიცივე აიტანონ, ცხოველები სელაპისა და ვეშაპის ლეშის ჭამით კანქვეშ ცხიმს იგროვებენ. ზოოპარკში კი დათვები ნაკლებად ცხიმიანი ხორცით იკვებებიან.

აშშ-ს ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში ბოლო 20 წლის მანძილზე პირველად ანომალურად დაბალი ტემპერატურა ფიქსირდება.



## ადამიანი, რომელსაც 60 წელი არ უბანავია

**80 წლის ირანელ მამაკაცს — ამუ ჰაჯის 60 წელი არ უბანავია. მას მთელ სხეულზე ჭუჭყი აქვს მოდებული, რის გამოც სახის ნაკვთების გარჩევაც კი ძნელია. არავინ იცის, რატომ ცხოვრობს მამაკაცი ასეთი ცხოვრების წესით. ამუ პატარა ირანული სოფლის ჯეგას ბინადარია.** ამუ ცხოვრების პრიმიტიულ წესს მისდევს და მისი მთავარი ქონება მეტალის წყლის მილია, რომელსაც ის ნაკელის მოსაწევად იყენებს. სახლი ნახევრად დანგრეული აქვს. ცნობისმოყვარე ფოტოგრაფი მამაკაცს სიგარეტით გაუმასპინძლდა, ამუმ კი გადაწყვიტა მთლიანი კოლოფი სიგარეტი ერთად მოეწია. ცხოვრების დიდ ნაწილს ის უძრავ მდგომარეობაში ატარებს — სძინავს ან მზეს ეფიცხება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელოვნური განაყოფიერებით დაბადებულთა ჯანმრთელობა საფრთხეშია

**ინ ვიტრო, ანუ ექსტრაკორპორალური განაყოფიერება (IVF) უშვილობის მკურნალობის დამხმარე მეთოდია, რომლის დროსაც ქალისა და მამაკაცის სასქესო უჯრედების შერწყმა ხდება ორგანიზმის გარეთ, სინჯარაში, ხოლო ამგვარად მიღებული ემბრიონი ქალის საშვილოსნოში ინერგება. ამჟამად ეს მეთოდი მთელ მსოფლიოში უშვილობის მკურნალობის ყველაზე თანამედროვე და წარმატებულ მეთოდად მიიჩნევა, მაგრამ მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ყველაფერი ასე მარტივად არაა.**



ქალებს, რომლებიც შვილებს IVF მეთოდით აჩენენ, ხუთჯერ მეტი შანსი აქვთ, რომ სერიოზულ სირთულეებს წააწყდნენ. ბრიტანულმა გამოცემამ Daily Mail ადელაიდის უნივერსიტეტის მეცნიერების კვლევა წარმოადგინა. მეცნიერებმა ავსტრალიაში 1986-დან 2002 წლამდე დაბადებული 300 000 ბავშვის მონაცემები შეისწავლეს. დასკვნაში მითითებულია, რომ მსგავსი მეთოდით დაბადებული ბავშვები ნორმაზე გაცილებით მცირე წონით იბადებიან, ხშირად ფიქსირდება გარდაცვლილი ჩვილის გაჩენა, არის ნაადრევი მშობიარობა ან პატარა მშობიარობიდან რამდენიმე კვირაში იღუპება.

ამასთან, მეცნიერების მტკიცებით, ქალი, რომელიც უშვილობას ნებისმიერი სახით მკურნალობს, მშობიარობისას 2-ჯერ მეტი შანსია, რომ ჩვილი თანდაყოლილი ნაკლით, ნაადრევი მშობიარობით ან ნაკლები წონით დაიბადოს, ამასთან, არსებობს გარდაცვლილი ჩვილის გაჩენის შანსიც და, როდესაც საკითხი ინ ვიტრო განაყოფიერებას ეხება, ჩამოთვლილი სირთულეები ხუთჯერ მეტია.

გინეკოლოგები ამბობენ, რომ რთული მშობიარობის მთავარი პრობლემა ისიცაა, რომ ქალები უშვილობას განაყოფიერების კლინიკებში არ მკურნალობენ, ხშირად სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილები სხვადასხვა მედიკამენტს ინტერნეტითაც კი იძენენ. ამ შემთხვევაში სპეციალური რეკომენდაციის გარეშე ზედმეტ დოზას იღებენ ან თვითნებურად მკურნალობენ.

როგორც კვლევის ხელმძღვანელი, პროფესორი მაიკლ დევისი ამბობს, დეფექტების ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ემბრიონი ცხოვრებას ლაბორატორიულ სინჯარაში იწყებს და არა საშვილოსნოში. მაიკლ დევისის აზრით, ორგანიზმი იღებს ძლიერ მედიკამენტებს, რომლებიც გამოიყენება იმისთვის, რომ გააძლიეროს კვერცხუჯრედის რაოდენობა. მეცნიერების აზრით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ექიმმა ხანგრძლივი დროით ადევნოს თვალი ხელოვნური განაყოფიერებით დაბადებული ბავშვის ჯანმრთელობას.

**„აუცილებელია, რომ ინფორმირებულნი ვიყოთ რისკების შესახებ, რომელიც ამ თერაპიასთანაა დაკავშირებული. ამის შემდეგ საფუძვლიანი გადაწყვეტილების მიღებას შევძლებთ“,** — ამბობს პროფესორი დევისი.

ლონდონში მდებარე კლინიკის (London Create fertility clinic) დირექტორი, ექიმი გეტა ნარგუნდი ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ ექიმმა ინ ვიტრო განაყოფიერება მაქსიმალურად უსაფრთხოდ უნდა აწარმოოს და მედიკამენტების დიდი დოზა არ გამოიყენოს. ოქსფორდის უნივერსიტეტის ექიმი დაგან უელსი მეცნიერების კვლევას ეხმაურება და ამბობს, რომ უნაყოფო წყვილების მკურნალობის მეთოდების უფრო საფუძვლიანი კვლევაა საჭირო.

**„მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევა მიუთითებს არახელსაყრელი შედეგის რისკებზე, რომელიც მაღალია ინ ვიტრო განაყოფიერებით მიღებული ფეხმძიმობისას, ამ პრობლემების რისკის საერთო მახასიათებლები რჩება სუსტი. ეჭვი მაქვს, რომ ეს კვლევის შედეგი უშვილო წყვილებს აიძულებს, რომ უარი თქვან ექსტრაკორპორალური განაყოფიერების გამოყენებაზე“,** — ამბობს ექიმი უელსი.

# ლოდები, რომლებიც წვიმის დროს იზრდება



**ეს ფენომენი დღემდე გამოცანად რჩება და მეცნიერები მის ამოხსნას უშედეგოდ ცდილობენ.**

რუმინეთის ქალაქ კოსტესტში არის ლოდები, რომლებიც წვიმის დროს ფორმას იცვლის და დიდდება. სანახაობა ყველაზე დიდ სკეპტიკოსსაც კი აოცებს. ლოდები UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი.

# რენესანსის შედევრები ლეგოსგან



**იტალიელმა მხატვარმა მარკო სოდანომ რენესანსის ეპოქის შედევრები საბავშვო კონსტრუქტორ ლეგოსგან შექმნა.** კუბურ კონტურებში ადვილად იკითხება „მონა ლიზასა“ და „გოგონა მარგალიტის საყურით“ გამოსახულება, ასევე რაფაელ სანტის სურათის „ღვთისმშობელი მარიამის დაწინდვა“ და ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობის“ სიუჟეტი. მხატვარს სურდა, საკუთარი შემოქმედებით აღენიშნა, რომ შედევრების შექმნა ბავშვებსაც შეუძლიათ.

# 66 წლის კაცი ირწმუნება, რომ იესო ქრისტეა



**66 წლის ბრაზილიელი კაცი, რომლის სახელი და გვარია ალვარო თეისი, ფიქრობს, რომ იესო ქრისტეს რეინკარნაციას წარმოადგენს და, ბოლო 35 წელია, ქადაგებს.**

თეისს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ათასამდე მიმდევარი ჰყავს და მოიხსენიებენ, როგორც ინრი ქრისტოს. მამაკაცმა 1979 წლიდან 27 ქვეყანაში იმოგზაურა. პროფესიით ფილოსოფოსი ბრაზილიურ გადაცემებში ხშირად მონაწილეობს და ექსცენტრიული გამოხდომებით დასავლური პრესის ფურცლების ხშირი სტუმარია. მასთან ერთად მისი მიმდევრებიც ცხოვრობენ და უმეტესობა ქალია. ყველაზე ახალგაზრდა მიმდევარი 24 წლისაა და ინრის მოწოდებებს 2 წლიდან ისმენს.

იესო ქრისტესავით შემოსილი ალვარო აბორტის თემაზე სხვადასხვა განცხადების გაკეთებისთვის პოლიციამ 40-ჯერ დააკავა.

„ვიცი, რომ ბრაზილიასა და მთელ მსოფლიოში ცხოვრობს უამრავი ადამიანი, რომლებიც ჩემსავით ფიქრობენ. რაც შეეხება შობას — ეს უბრალოდ დღეა, როდესაც მდიდარი ღარიბს შეურაცხყოფას აყენებს. ამ დღეს მდიდარი კაცების პატარა ვაჟებს მიღებული საჩუქრებით ტრაბახი შეუძლიათ, ღარიბთა შვილები კი პურის ნამცეცებს იღებენ“, — ამბობს იგი.

# შიშველი ავსტრალიელი სარეცხ მანქანაში გაიჭედა



**მელბურნის მკვიდრი გაშიშვლდა, სარეცხ მანქანაში შეძვრა და შეყვარებულის დაბრუნებას ელოდა, იმ იმედით, რომ გოგონას გააოცებდა.** შეყვარებულის სახლში მისვლის შემდეგ მამაკაცმა სარეცხი მანქანიდან დამოუკიდებლად გამოსვლა ვერ შეძლო და მაშველების გამოძახება გახდა საჭირო. ადგილზე მისულ პოლიციის თანამშრომლებსა და მაშველებს ახალგაზრდისთვის ზეითუნის ზეთის წასმა მოუწიათ.

# პოლიციის ძაღლებს პენსიას გადაუხდიან

**დიდი ბრიტანეთის პოლიციის ერთ-ერთი სამმართველო უჩვეულო ინიციატივით გამოვიდა — პოლიციის ძაღლებს, რომლებმაც იმსახურეს და „პენსიაზე გავიდნენ“, ვეტერინარული დახმარების საფასურს გადაუხდიან.**

მაგრამ იდეა ყველას არ მოეწონა: უკმაყოფილონი არიან გადასახადების გადამხდელები, რომელთა ხარჯზეც „ძაღლ-პენსიონერებს“ დააფინანსებენ.

ნოტინგემშირის პოლიციის განყოფილებაში თვლიან, რომ ოთხფეხა სამართალდამცავები დაფასებას იმსახურებენ. პოლიციელებმა გადაწყვიტეს, რომ „პენსიაზე გასვლიდან“ პირველი სამი წლის მანძილზე ცხოველებმა წელიწადში 500 ფუნტის ღირებულების ვეტერინარული დახმარება მიიღონ.

აღმოჩნდა, რომ ეს ხარჯები ჩვეულებრივ პოლიციელებს აწევთ მხრებზე. ნოტინგემშირის პოლიციის კომისარი პედი ტიპინგი ყვება, რომ ოფიცრები მათი შენახვის ყველა ხარჯებს იხდიან. **„ამჟამად ჩვენ 26 ძაღლი გვყავს, ყველა შესანიშნავ ფორმაშია. ისინი პოლიციაში 6-7 წელი მსახურებენ. პენსიაზე გასვლისას, ძაღლი ინსტრუქტორს რჩება — პოლიციის ოფიცერს, რომელიც მას უვლის“,** — განაცხადა ტიპინგმა.

მაგრამ, ბრიტანეთის სახელმწიფო ორგანიზაციებში ამჟამად კადრების შემცირებაა, ბევრი პოლიციელი სამუშაოს გარეშე რჩება. ამიტომ ძაღლებისთვის ვეტერინარული პენსიის პროგრამა, რომელიც გადასახადების გადამხდელების ხარჯზე ფინანსდება, წინააღმდეგობრივ რეაქციას იწვევს.



# ᲕᲘᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲕᲨᲐᲜᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ?



**„პირველი რადიოს“ ჟურნალისტებმა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ავტოსერვისში მიტოვებული ორი საბრძოლი მანქანა — თურქული წარმოების „კობრა“ და ისრაელის მიერ წარმოებული „ვულფი“ აღმოაჩინეს და სკანდალური ფოტორეპორტაჟის გამოქვეყნების შემდეგ საბრძოლო ჯავშანტექნიკის მფლობელის ვინაობით დაინტერესდნენ.**

ავტოსერვისის წარმომადგენლები ამბობენ, რომ საბრძოლო ტექნიკა სახელმწიფოს საკუთრებაა, რომელიც შესაკეთებლად მიიყვანეს, თუმცა დღემდე დავალიანებას არ ფარავენ. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები განმარტავენ, რომ საბრძოლო ტექნიკა მათ ბალანსზე არ ირიცხება(?). არადა, თურქული წარმოების საბრძოლო მანქანა „კობრა“ შეიარაღებაში თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს აქვთ. ისრაელის მიერ წარმოებული საბრძოლო მანქანა „ვულფი“ კი თავდაცვის სამინისტრომ ბოლო სამხედრო აღლუმზეც გამოიყვანა, რომელიც რუსთაველის გამზირზე 2011 წლის 26 მაისს ჩატარდა. შეგახსენებთ, რომ უკვე ერთ წელზე მეტია, სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორები — „ვულფი“ და „კობრა“ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე პროფილაქტორიუმშია გაჩერებული. ეს სამხედრო მანქანები თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების პერიოდში მიიყვანეს შესაკეთებლად და შესაბამისი ხელშეკრულებაც გააფორმეს, მაგრამ დღემდე დავალიანების დაფარვაზე უარს ამბობენ, ავტოსერვისის მფლობელი კი მანქანებს სამინისტროებს არ ატანს.

# ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲡ

**3 თებერვალს საფრანგეთის ქალაქ ექს-ან პროვანსის სასამართლომ საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი პატიმრობიდან გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლა.**

კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადირების საკითხზე საფრანგეთის სასამართლო 27 თებერვალს იმსჯელებს. დავით კეზერაშვილი საფრანგეთში ქართული მხარის მოთხოვნით გასული წლის 14 ოქტომბერს დააკავეს. მის წინააღმდეგ საქართველოში სისხლის სამართლის ორი საქმეა აღძრული — რიყისა და „ტელეიმედის“ გასხვისების საქმე, რომელშიც კეზერაშვილს სხვისი ქონების მითვისებას ედავებიან და კონტრაბანდული სპირტის საქმე, სადაც თავდაცვის ყოფილ მინისტრს კონტრაბანდული სქემის მფარველობაში ადანაშაულებენ. საქართველოს მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, დავით კეზერაშვილი პატიმრობიდან ელექტრონული სამაჯურის გამოყენების პირობით გათავისუფლდა. მოსამართლემ დავით კეზერაშვილს აუკრძალა საფრანგეთის ტერიტორიის დატოვება და დააკისრა ვალდებულება, იცხოვროს ექს-ან-პროვანსში მოსამართლის მიერ მითითებულ კონკრეტულ მისამართზე. სასამართლომ კეზერაშვილს უფლება მისცა, დატოვოს საცხოვრებელი ადგილი, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, მხოლოდ 10:00-დან 18:00 საათამდე, ხოლო შაბათს და კვირას — 9:00-დან 21:00 საათამდე. ექს-ან-პროვანსის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ელექტრონული სამაჯურის ტარების ვადად განისაზღვრა 6 თვე და არა მხოლოდ 27 თებერვლამდე პერიოდი, როდესაც ექსტრადიციის საკითხზე მოსამართლემ მსჯელობა უნდა განაახლოს. გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დავით კეზერაშვილმა სასამართლოს უნდა ჩააბაროს თავისი ორი პასპორტი. საქართველოს მთავარი პროკურატურა განაგრძობს ფრანგ კოლეგებთან ექსტრადიციის საკითხზე მუშაობას.

# ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲘᲜᲔᲑᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲔᲗ!

## ᲙᲘᲔᲕᲘ ᲡᲐᲕᲡᲔᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲔᲑᲘᲗ — ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲮᲓᲘᲐᲜ

**რამდენიმე დღის წინათ კიევში გამართულ ოპოზიციის მომხრეთა 5-ათასკაციან მიტინგზე საპარლამენტო ფრაქცია „ბატკივშჩინას“ ლიდერმა არსენ იაცენიუკმა განაცხადა, რომ დასავლეთს ფინანსური დახმარების თხოვნით მიმართა.**

„ჩვენ მივმართეთ დასავლელ პარტნიორებს, რათა ისინი ფინანსურად დაგვეხმარონ ჩვენ, ანუ უკრაინელ ხალხს“, — დააზუსტა იაცენიუკმა. მისი თქმით, „ისინი (დასავლელი პარტნიორები) მზად არიან, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, მაგრამ ამისთვის ჩვენ ხალხის ძალაუფლება უნდა აღვადგინოთ“. დეპუტატი თვლის, რომ პარლამენტმა კონსტიტუცია უნდა შეცვალოს, „პრეზიდენტს დიქტატორული უფლებამოსილებები უნდა ჩამოერთვას“ და „უკრაინის ახალი ხელისუფლება ახალი კონსტიტუციის საფუძველზე აირჩეს“.

იაცენიუკის **ამ განცხადებაში აშკარად გამოსჭვივის მოთხოვნა თავისი პატრონებისადმი (და არა პარტნიორებისადმი), ანუ იმ ძალებისადმი, რომლებმაც ამ აქციების მოწყობას შეუწყვეს ხელი.**



ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს რესტორნის ოფიციანტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს — ესა და ეს მიირთვით და ახლა, კეთილი ინებეთ და გადაიხადეთო. იაცენიუკიც ასე მიმართავს დასავლელ პატრონებს: ყველაფერი გავაკეთეთ, არეულობა გამოვიწვიეთ, პრემიერი გადავაყენეთ და ახლა კეთილი ინებეთ და გადაიხადეთო.

**P.S.** **რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველს, აკადემიკოს სერგეი გლაზიევს მიაჩნია, რომ „ევრომაიდანი“ ამერიკის შეერთებული შტატების პროვოცირებულია და სწორედ აშშ-მა გადაქაჩა უკრაინაში მილიარდობით დოლარი უკრაინული სახელმწიფოს გასანადგურებლად.**

**„არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით 5-10-ათასდოლარიან გრანტებს გასცემენ სტუდენტებზე, ახალგაზრდებზე, სპეციალისტებზე, რომლებიც შემდეგ ამ გრანტების გამოყენებაზე ანგარიშს პუბლიკაციებით, პრესასა და ტელევიზიებში გამართული დისკუსიებით აბარებენ.**

**კიევში სიტუაციის უკიდურესად გამწვავებაში ამერიკის გავლენაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ახალი ნიმუშის დოლარების რაოდენობით, რომლებსაც ვალუტის გასაცვლელ პუნქტებში შეხვდებით, მოსკოვში კი ახალ დოლარებს თითქმის ვერსად ნახავთ“, — ამბობს სერგეი გლაზიევი.**

# ᲐᲠᲐ — ᲒᲔᲜᲛᲝᲓᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲔᲑᲡ




**საქართველო ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისთვის დახურულ ტერიტორიად ცხადდება და ქვეყნის ტერიტორიაზე მისი გარემოში ინტროდუქცია იკრძალება, რაც იმას ნიშნავს, რომ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით შექმნილი თესლი საქართველოში თავისუფლად აღარ შემოვა, შემოსვლის შემთხვევაში კი, მისი ინტროდუქცია, ანუ ნიადაგში შეტანა დახურულ სივრცეში მოხდება, რაზეც ლიცენზია უნდა გაიცეს.**

ამ ცვლილებებს ითვალისწინებს კანონპროექტი „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მოამზადა და მთავრობამ პარლამენტს განსახილველად უკვე გაუგზავნა. ამასთანავე, კანონპროექტი არ ითვალისწინებს გენმოდიფიცირებული პროდუქციის საბაზრო ქსელში გატანის საკითხებს და ამ მხრივ რეგულაციებს არ აწესებს.

**ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ გენმოდიფიცირებული თესლი და გენმოდიფიცირებული თესლისგან წარმოებული პროდუქცია, რომელიც შეიძლება შემოდიოდეს საქართველოში. ჩვენ მეორეს არ ვკრძალავთ და ამას ვერც ავკრძალავთ, მაგრამ საქართველო გამოცხადდება დახურულ ზონად ცოცხალი გემოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებით შექნილი თესლებისთვის, ანუ გემოდიფიცირებული სათესლე ნედლეული საქართველოში არ უნდა შემოვიდეს. სამეცნიერო წრეებში დღემდე მიდის დავა, ბჭობა — სასარგებლოა თუ უსარგებლო ის და შეუძლია თუ არა ავნოს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.**


# ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲗ

**ნანა პაიჭაძე სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, კისრის, მენჯ ბარძაყის სახსრის ართროზის, დისკოზისს, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტსა და ყველა იმ დაავადებას, რომლებშიც ძვალ-სახსარს უკავშირდება.**

**ჯემალ ღაღანიძე,** მსახიობი:

ქალბატონ ნანასთან მივედი ნერვის მწვავე ანთებით რომელიც ოსტეოქონდროზმა და ლორდოზმა გამოიწვია, ძლიერი ტკივილგამაყუჩებლები არ მშველოდა. ქალბატონ ნანას მალამომ არაჩვეულებრივი შედეგი მომიტანა უმოკლეს დროში. მადლობა საუკეთესო მკურნალს.

**ᲢᲔᲚ. 599-54-64-81, 593-00-08-26, 290-5189**

# ᲫᲕᲐᲚ-ᲡᲐᲮᲡᲐᲠᲗᲐ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდური ართროზის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, წონის დაკლება 5-15 კგ-მდე თვეში, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშების გარეშე. ასევე **სიმაღლეში სწრაფი ზრდა 20-დან 25 წლამდე,** კურსით 3-5 სმ. მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული პრეპარატების უკუჩვენებების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით (კეთდება მასაჟი ძვალ-სახსართა პრობლემებზე) შედეგები გარანტირებულია.

**Ტ. 555-62-09-01 ᲔᲥᲘᲛᲘ Ქ-ᲜᲘ ᲛᲔᲒᲘ;**
**Ტ. 218-46-08 ᲝᲤᲘᲡᲘ**

# ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

**პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.**

**პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.**

**ᲢᲔᲚ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ᲔᲥᲘᲛᲘ Ქ-ᲜᲘ ᲘᲜᲒᲐ**



საქართველო და მსოფლიო — ყოველკვირეული გამოცემა
ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲘᲢᲡ
პოლიტიკა · ეკონომიკა · საზოგადოება · ადამიანის უფლებები · ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲝᲓᲣᲐ
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894